

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტი

სამეცნიერო შრომების კრებული

I

ედვენება პროფესორ კორნელი დანელიას
დაბადებიდან 75-ე წლისთავს



გამომცემლობა „ანკვარსალი“
თბილისი 2010

კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტისა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც მოხსენებების სახით წაკითხულ იქნა 2009 წლის 18-19 დეკემბერს პროფესორ კორნელი დანელიას 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ კონფერენციაზე. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ძველი ქართული ენის კათედრის ყოფილი პროფესორი, რუბენ ენუქაშვილიც (რეუგენ ენოხი), რომელიც ამჟამად ისრაელში მოღვაწეობს.

სარედაქციო კოლეგია: დამანა მელიქიშვილი (რედაქტორი), კახა გაბუნია, რუსუდან ზეკალაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან თვალთვაძე (რედაქტორის მოადგილე), ვახტანგ იმნაიშვილი, მაია მადუაშვილი, ნათია მიროტაძე, სოფიო პაპიაშვილი, ინგა სანიკიძე (პასუხისმგებელი მდივანი), რამაზ ქურდაძე (რედაქტორის მოადგილე), ნინო შარაშენიძე, ზურაბ ჭუმბურიძე.

© ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010
გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის რაზმ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-167-3



კორნელი დანელია 75

კორნელი დანელია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

15 ივნისი კორნელი დანელიას დაბადების დღეა. 2009 წლის 15 ივნისს მას 75 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საიუბილეო თარიღამდე ვერ მიაღწია, – გარდაიცვალა 12 წლის წინათ, 63 წლის ასაკში, სწორედ მეცნიერული მოღვაწეობის აღმავლობისა და შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში. ეს იყო უმძიმესი დანაკრგი მთელი ქართული საენათმეცნიერო სკოლისთვის, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ.

დღეს, როცა ჩვენ ვიგონებთ ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, ბუნებრივია, თვალი გადავაგვლოთ მისი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის ძირითად თარიღებს.

კორნელი დავითის ძე დანელია დაიბადა 1934 წლის 15 ივნისს მარტვილის რაიონის სოფელ ნაჯახაოში. მამა – დავით ივანეს ძე დანელია ჭკვიანი მეურნე გლეხი იყო, დედა – ქსენია ვასილის ასული ჭოჭუა კი დიასახლისი. 1953 წელს კ. დანელიამ მედალზე დაამთავრა ლეხანდრავის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ქათაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. აქ იმ დროს ლექციებს კითხულობდა არაერთი ცნობილი მეცნიერი: გიორგი როგავა, ანგია ბოჭორიშვილი, ქეთევან ძოწენიძე, დავით გეწაძე, დავით ბრეგაძე და სხვ. მათგან კორნელის განსაკუთრებული ამაგი დასდო პროფესორმა ქეთევან ძოწენიძემ, აკაკი შანიძის რჩეულმა და ნიჭიერმა მოწაფემ. 1957 წელს, როცა კ. დანელიამ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, სწორედ ქ. ძოწენიძემ გაუწია მას რეკომენდაცია თავისი მასწავლებლის წინაშე. ა. შანიძის შუამდგომლობით 1958 წელს კ. დანელია მიღებული იქნა უფროს ლაბორანტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, 1960 წელს ის გადაიყვანეს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. იმავე წლის სექტემბერში ჩააბარა მისადები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში და ჩაირიცხა ასპირანტად ძველი ქართული ენის კათედრაზე, სადაც მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი აკაკი შანიძე იყო.

1963 წლის სექტემბრიდან, ასპირანტურის კურსის დამთავრების თანავე, კ. დანელიამ მუშაობა დაიწყო ძველი ქართული ენის კათედრის ასისტენტად. 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა“, 1978 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები და მათი ენა“.

1967-1980 წლებში კ. დანელია იყო ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი, ხოლო 1980 წლიდან – პროფესორი. 1987 წელს, აკაკი შანიძის გარდაცვალების შემდეგ, არჩეულ იქნა ამავე კათედრის გამ-

გედ. 1986 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1988 წელს აირჩიეს ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად. როგორც დეკანის, ისე კათედრის გამგის მოვალეობას კ. დანელია ასრულებდა გარდაცვალების დღემდე – 1997 წლის 27 სექტემბრამდე. 1995 წლის მაისში კორნელი დანელია შევიდა ახლად აღდგენილი გელათის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ წევრთა შემადგენლობაში.

კ. დანელიას ეკუთვნის 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მეცნიერულ-პოპულარული წერილი, მათ შორის 10 მონოგრაფიული გამოკვლევა, გამოცემული სქელტანიან წიგნებად. ამ ნაშრომების თემატიკა მოიცავს ძველ ქართულ ენას და უძველესი წერილობითი ძეგლების კრიტიკულ გამოცემას, ქართული სამწერლო ენის ისტორიას, მეგრულ-ლაზურ ენის გრამატიკას და ტექსტების პუბლიკაციას, პოეტური ენის საკითხებს, ქართველოლოგიის ისტორიას და სხვ. ამ ნაშრომების სრული მიმოხილვა ერთ მოხსენებაში შეუძლებელია და ამჟამად არც არის აუცილებელი. შეჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

კ. დანელიას გამოკვლევებიდან უპირველესად აღსანიშნავია ისინი, რომლებიც ეხება ძველი ქართული ენის სტრუქტურისა და ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხებს. ამ სახის ნაშრომებში ის ძველი ქართული ენის მასალასთან ერთად წარმატებით იყენებს უცხოენოვან წყაროებს, მეცნიერულად ფლობს რა ძველ ბერძნულ, ძველ სომხურ და სირიულ ენებს. ამ წყაროებზე დაყრდნობით კ. დანელია არკვევს უძველესი ქართული ტექსტების წარმომავლობასა და ურთიერთმიმართებას, ადგენს კრიტიკულ ტექსტს. ძეგლების პუბლიკაციისას ის წარმოგვიდგება როგორც მახვილი კრიტიკული ალღოს მქონე ტექსტოლოგი, რომლის მიერ დადგენილი ტექსტიც მაქსიმალურად ზუსტი და სანდოა.

კ. დანელიას მიერ მეცნიერულად გამოცემული ძველი წერილობითი ძეგლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „პავლეს ეპისტოლეტა ქართული ვერსიები“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974 წ.). ეს არის მძიმე და მომქანცველი შრომის ნაყოფი, როგორც ამას აღნიშნავს აკად. ა. შანიძე ამ გამოცემაზე დართულ წერილში. აქ ხაზგასასმელია კიდევ ერთი გარემოება: პავლეს ეპისტოლეტა ქართული ვერსიების კვლევა თავის დროზე წამოწყებული ჰქონდა კ. დანელიას მასწავლებელს და ჩვენთვის დაუვიწყარ მეცნიერს ქეთევან ძოწენიძეს, რომელსაც ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. სწორედ ამ საქმის გაგრძელება და დაგვირგვინება ითავა კ. დანელიამ. ამას დაერთო ისიც, რომ 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლებში ქართველი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომი გახდა საზღვერგარეთის ქართული კულტურის ცენტრებში დაცული ბევრი ხელნაწერი, მათ შორის პავლეს ეპისტოლეტა შემცველი ხელნაწერები, რომლებიც მანამდე უცნობი ან ხელმიუწვდომელი

იყო. კ. დანელიამ თავი მოუყარა სულ 12 ხელნაწერს, რომელთა სერუპულოზური ანალიზის შედეგად გამოვლინდა 4 რედაქცია (ძველი, გარდამავალი, გიორგისეული, ევრემისეული). მკვლევარმა თითოეული ამ რედაქციისათვის საყრდენი ხელნაწერების ჩვენებთაგან განსხვავებული ვარიანტები სრულად აღნუსხა კრიტიკულ აპარატში, უჩვენა ციტატების პირველწყაროები, მეცნიერულად გამართა ტექსტი უცხოენოვანი წყაროების მოხმობით. კ. დანელიასა და ქ. ძოწენიძის ამ გამოცემამ სამართლიანად დაიმსახურა მაღალი შეფასება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ბიბლიური ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიისათვის დიდად ფასეულია კ. დანელიას მონოგრაფიული ნაშრომი: „ევთაღეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, 1976), რომელიც შეიცავს პავლეს ეპისტოლეტა ევთაღესეული დანართის ძველი და გვიანდელი ქართული რედაქციების ტექსტს, ლექსიკონსა და გამოკვლევას. **ამ შრომაში ორი მნიშვნელოვანი სიახლეა:** პირველად არის გამოვლენილი ფაქტი, რომლითაც ახალი აღთქმის წიგნთა თარგმნა IV–V საუკუნეთა მიჯნაზე თავსდება; მეორეც, ტექსტზე დართულ ლექსიკონში ყველა განსამარტავ ერთეულს ახლავს ბერძნული ფარდები (საჭირო შემთხვევაში სომხურიც), რამაც ცხადყო, რომ ერთი ქართული სიტყვა მოხმობილია ზოგჯერ ორი, სამი და ოთხი ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად. მთარგმნელობითი პრინციპებისა და თარგმნის ისტორიისათვის ასეთი ფაქტების გამოვლენას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებული ღირებულებისაა კ. დანელიას მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები)“, ტ. I ორ წიგნად: ნაწილი I – 1987, ნაწილი II – 1997 (გამოცემის თანამონაწილენი – სტ. ჩხენკელი და ბ. შავიშვილი). პირველი ნაწილი შეიცავს ძველი აღთქმის საკითხავებს, მეორე – ახალი აღთქმისას. ორივე წიგნს ახლავს კ. დანელიას ვრცელი გამოკვლევები და ლექსიკონი.

გამოცემული ტექსტი ზუსტი და სანდოა, მისი დადგენისას ქართული თარგმანი თავიდან ბოლომდე შედარებულია უპირველესად ბერძნულ პირველწყაროსთან და შემდგომ აგრეთვე სომხურ (ზოგჯერ სირიულ) თარგმანთანაც. შრომაში რამდენიმე ასეული გასწორების აუცილებლობაზეა მსჯელობა, რაც კარგად მეტყველებს მეცნიერის მაღალ პასუხისმგებლობაზე. ამ შრომის უპირველესი ღირებულება ის არის, რომ მასში არსებითად გადაჭრილია ერთი კარდინალური პრობლემა ქართული ფილოლოგიისა – **ლექციონარში შესული ბიბლიური საკითხავების ტექსტობრივი მიმართება ბიბლიურ წიგნთა დამოუკიდებელ თარგმანებთან.** აქ დასაბუთებულია, რომ ლექციონარის საკითხავების გარკვეული (არქაული) ფენა ადრე არსებულ ბიბლიურ წიგნთა თარგმანებიდან კი არ არის აღებული, არამედ დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს და ქართული ენის ისტორიისათვის

თავისთავადი ღირებულების წერილობითი ძეგლია; მაგრამ მოგვიანებით ლექციონარის გაგრძობისას საკითხავების ნაწილი შეტანილია უშუალოდ ბიბლიის თარგმანიდანაც და ისინი ლექციონარში მეორეული პლასტისა არიან.

რადგან ძველი ქართული სამწერლობო ენის სტაბილურობა და ნორმატულობა არსებითად ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებშია მიღწეული (მათზე უადრესი ძეგლები არ შემონახულა), კ. დანელია განსაკუთრებული ინტენსივობით იკვლევს ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორცაა ქართული თარგმანის გენეზისი, მხატვრული სპეციფიკა, ქართული ქრისტოლოგიური ტერმინოლოგია და მისი მიმართება წინაქრისტიანულ წარმართულ სამყაროსთან. ამათგან ქართული თარგმანის გენეზისს ეხება კ. დანელიას სპეციალური ნაშრომები: „იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული რედაქციები და მათი წარმომავლობის საკითხი“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, 19649), „პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციების წარმომავლობის საკითხი“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, 1980) და სხვ. ქართული თარგმანის მხატვრულ სპეციფიკას და ქრისტოლოგიური ტერმინოლოგიის საკითხებს ეძღვნება „რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან“ (თსუ შრომები, ტ. 183, 1978), „მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, 1984). აღნიშნული საკითხები კ. დანელიას ზემოხსენებულ ნაშრომებში პირველად არის დასმული და მდიდარი საანალიზო მასალის მოშველიებით განხილული, დასახულია ამ უბანში კვლევის პერსპექტივები.

განსაკუთრებით ფასეულია კ. დანელიას მონოგრაფია „ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები“ (თსუ გამოცემა, 1983). ამ 26 თაბახიან ნაშრომში კომპლექსურად არის შესწავლილი ბევრი საკვანძო საკითხი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. მონოგრაფიაში ძველი ქართული თარგმანების პირველწყაროებთან შედარების გზით გამოვლენილია უცხო ენათა გავლენის ელემენტები: გრეციზმები, არმენიზმები, სირიაციზმები. ეგზეგეტიკურ შრომათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია მანამდე უცნობი ფაქტები და ახლებურად არის წარმოჩენილი ეფრემ მცირის (XII ს.) როლი ქართული სამწერლობო ენის განვითარებაში, ასევე წარმოჩენილი და შეფასებულია XI ს. დიდი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ენობრივი პოზიცია. ამ მონოგრაფიას ფილოლოგიურ-ლინგვისტურთან ერთად ისტორიული მნიშვნელობაც აქვს ადრექრისტიანულ ხანაში საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების წარმოსახენად. ეს წიგნი როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტების მიერ ერთხმად არის მიჩნეული ქართული ფილოლოგიის მნიშვნელო-

ვან მიღწევად. ამ ნაშრომისათვის მის ავტორს ივანე ჯავახიშვილის პრემია მიენიჭა.

კ. დანელიას აქვს საყურადღებო შრომები ძველი ქართულისა და „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის წყაროებზე, ამ ლექსიკონში შესულ ცალკეულ სიტყვათა ისტორიაზე. მკვლევარი დაინტერესებული იყო პოეტური ენის სკიოთხებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მონოგრაფიული ნაშრომი მეხოტბეთა ენის შესახებ – „ჩახრუხადისა და შავთელის ხოტბათა პოეტიკური და ლინგვისტური ანალიზის ცდა“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, 1988).

კ. დანელიამ ერთ-ერთმა პირველმა გაიხადა სპეციალური შესწავლის საგნად ქართული ენის უცხო ენებთან კონტაქტების პრობლემა. ამ პრობლემას მიეძღვნა წერილების მთელი სერია (8 ნაშრომი), გამოქვეყნებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“ საერთო სათაურით: „უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში“. ამ წერილებში დასმულია და ისტორიულ ასპექტში შესწავლილია სრულიად ახალი საკითხები, გარკვეულია, როგორ შეადწიეს ორიგინალურ ძეგლთა ენაში უცხოენოვანმა მოვლენებმა, მათგან რა შერჩა ან რამდენ ხანს შერჩა სამწერლობო ქართულს.

ბუნებრივია, კ. დანელიას კვლევითი ინტერესების მიღმა არ დარჩენილა სხვა ქართველური ენები, კერძოდ, მისი მშობლიური მეგრული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. მეგრულ-ლაზური გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებს მიეძღვნა მეტად საყურადღებო ნაშრომები: „ენებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში“, „სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში“, „რ-ს ბგერათგანლაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ მეგრულში“, „მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში“ და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **მეგრული ტექსტების გამოცემა** ა. ცანავას თანაავტორობით (1988 წ.). მასში შესულია ზღაპრები, ანდაზები, შელოცვები, გამოცანები, გადმოცემები და სხვა მასალა, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ისტორიისათვის. ტექსტს ახლავს სინქრონული თარგმანი, კომენტარები და ვრცელი გამოკვლევა. იოსებ ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკაზე“ დართული ტექსტების შემდეგ სხვა ასეთ ვრცელსა და სანდო წყაროს ვერ დავასახელებთ.

სავსებით ბუნებრივია, რომ კ. დანელიამ სათანადო პატივი მიავთავის სახელოვანი წინამორბედის – პროფესორ იოსებ ყიფშიძის ხსოვნას და მისი დაბადების ასი წლის თავზე, 1985 წელს, გამოსცა ვრცელი მონოგრაფია ამ შესანიშნავი მეცნიერის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, ხოლო შემდეგ ხელახლა გამოსცა მისი მეგრული ენის გრამატიკა.

როცა იოსებ ყიფშიძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას ვაცნობია, ბატონ აკაკი შანიძეს იმდენად მოსწონებია ის, რომ ავტორისათვის უთქვამს: ბედნიერი ვიქნებოდით, თუ ასეთ ნაშრომს ვინმე ჩემზეც დაწერდაო. თავისთავად ცხადია, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები აკაკი შანიძის უერთგულესი მოწაფისათვის; და აი, სულ მალე, 1987 წელს, ა. შანიძის დაბადების ასი წლის თავზე კორნელი დანელიამ და ზურაბ სარჯველაძემ თავინთი ძვირფასი მასწავლებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უძღვნეს მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიაც სრულად არის წარმოჩენილი აკაკი შანიძის დამსახურება ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. კ. დანელია იყო აკაკი შანიძის თხზულებათა 12-ტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და II ტომის რედაქტორი.

იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების სახით კ. დანელიას კველევის სფეროში შემოვიდა **ქართული ფილოლოგიური და ენათმეცნიერული აზრის ისტორიის შესწავლა**. ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებამაც მისცა მკველევარს ბიძგი, რომ ეთავა ახალი სასწავლო კურსის – „ქართველოლოგიის შესავლის“ შემოღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ჩვენ საგანგებოდ ვერ შევჩერდებით კ. დანელიას ცალკეულ გამოკვლევებზე, მაგრამ თუ განხილვა არა, უბრალოდ მაინც უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთი, მოცულობით შედარებით მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი, როგორცაა, მაგალითად: „ქართველ რომანტიკოსთა ლექსიკა“ (წიგნში: „ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, 1980), „იოანე პეტრიწის ორმუხლელი ბიბლიოლოგიური იამბიკოს ტექსტის განმარტებისა და დადგენისათვის“ („მაცნე“, № 1, 1982), „საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში“ („მაცნე“, №2, 1983), „მსხოვარ“ სიტყვის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“ („საენათმეცნიერო ძიებანი“, 1983), „პოეტური ენის სპეციფიკისათვის“ („კრიტიკა“, № 3, 1985), „რა კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ისტორიისათვის“ („წელიწდეული“ XII, 1985), „ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში“ („მაცნე“ № 1, 1989), „აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე“ („ცისკარი“, №4, 1991), „მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ქართული ბრუნების სისტემაში“ („მაცნე“ №4, 1992), „ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ თარგმანებში“ („მაცნე“, №2, 3–4, 1993), „წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველი ქართული ენის ბრუნების სისტემაში“ (იკე, XXXIII, 1995), „ახალი აღთქმის“ გამოცემის გამო“ („ლიტ. საქართველო“, 9–17 V, 1996) და სხვანი.

სამეცნიერო მუშაობასთან ერთად კ. დანელია ეწეოდა დიდ პედაგოგიურ-აღმზრდელობითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას: კითხულობდა ლექციებს, ხელმძღვანელობდა ასპირანტებსა და მაძიებლებს, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებს, იყო არაერთი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი.

კ. დანელია ათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრას, დაახლოებით ცხრა წლის განმავლობაში კი იმავდროულად იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (1988–1997წწ.). ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა მძიმე იყო ეს წლები ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მიუხედავად სიძნელებისა, კ. დანელიამ შეძლო დაემსახურებინა სტუდენტი ახალგაზრდობის ნდობა და სიყვარული და ამავდროს შეენარჩუნებინა ავტორიტეტი მთავრობისა თუ სხვადასვა ორგანიზაციების ოფიციალურ და არაოფიციალურ წარმომადგენელთა თვალში.

კ. დანელია იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი (ე. წ. სადისერტაციო) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უნივერსიტეტში და საბჭოს წევრი ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით, ასევე მისი რეცენზენტობითა და ოპონენტობით დაცულია არერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

კ. დანელიას სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია დღემდე გრძელდება. ერთ-ერთი ბოლო წიგნი, რომელიც მან თავის ხელით ჩააბარა გამომცემლობას, იყო წერილების კრებული – „ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან“ (ტ. I). სამწუხაროდ, ავტორი ვეღარ მოესწრო ამ წიგნის გამოცემას. ის გამოიცა ავტორის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ – 1998 წელს. სულ ახლახანს, ავტორის დაბადების 75 წლის თავზე, გამოვიდა ხსენებული ნარკვევების II ტომი.

ამ დღეებში მკითხველმა მიიღო აგრეთვე დიდი ხნის რუდუნებით მომზადებული კოლექტიური ნაშრომი „ქართული სამოციქულოს სიმფონია – ლექსიკონი“ (შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, რედაქტორი – ლ. ბარამიძე). წიგნს წინ უძღვის კორნელი დანელიას მრავალმხრივ საყურადღებო წინასიტყვაობა, რომელსაც თარიღად უზის „15 მაისი 1995 წელი“.

ერთი სიტყვით, კორნელი დანელია კვლავ ცოცხალია თავისი საქმით, თავისი მეცნიერული ნაშრომებით, თავისი მშვენიერი ოჯახით, თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა და კოლეგებისათვის დაუვიწყარი სახელით.

საკულტო ვუმევა (ვუმევა) ფუძის ისტორიისათვის¹

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემებით და ლექსიკოგრაფიული ნაშრომებიდანაც საკმაოდ ცნობილია ვუმევა (ვუმევა) ფუძე, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა **ხმარება, გამოყენება**: „არა-რად **ვივუმევი** ამათგანი (1კორ. 9,15), გულს-მოდგინედ **ივუმევედეს** საზრდელსა“ (მ.ც.ხ. 1105, 268 V), „**ივუმევი**, ვითარცა სათნო არს შენდა“ (დაბ. 16,6; **O**-ოშკის ბიბლია). ეს ცნობილი ფაქტია და სიტყვას არ ვაგერძელებთ, მაგრამ ძველ ქართულშივე არის სხვა მნიშვნელობის **ომონიმური** ფუძე ვუმევა, რომელიც იშვიათადაა რეალიზებული წერილობით წყაროებში და ამიტომაც ეს სიტყვა **არც ერთ** ქართულ ლექსიკონში არ არის შეტანილი. ამ ფუძისგან ნაწარმოები ფორმები დაცულია X-XII საუკუნეთა ხელნაწერებში, რომელნიც წინასწარმეტყველთა ძველ ქართულ რედაქციებს შეიცავენ. ეს ფორმებია: ვუმევა, არვუმევა, უვუმევენ, უვუმევედით, უვუმევედეს, მვუმეველი. მოგვეყავს დამოწმებანი:

ვუმევა: „მივიდეს **ვუმევა**დ და მსახურად ღმერთთა უცხოთა“, იერ. 44, 3 **JO** (შდრ. წარსულთა **ვუმევა**დ და კუთნვად ღმერთთა სხუათა **W**)², „რად იქმთ თქუენ... განმწარებად ჩემდა... **ვუმევა**დ ღმერთთა უცხოთა ქუევანისა ეგვპტისასა“ იერ. 44,8 **J** (შდრ: „**ვუმევე**ით ღმერთთა სხუათა“**W**); „არამედ ყოფით ვყოთ ყოველი სიტყუად, რომელი აღმოვდეს პირით ჩუენით **ვუმევა**დ დედაკაცსა ცისასა და ზორვად მისა საზორველი“, იერ. 44,17 **J** (შდრ: **ვუმევა**დ მეფეას ცისასა და ზორვად მისა საზორველთა“ **W**); „და ვითარცა მოვაკლეთ **ვუმევა**დ დედოფალსა ცისასა და ზორვად მისა საზორველი, ნაკლულევან ვიქმნენით ჩუენ ყოველნი და მახვლითა და სიყმილითა მოვაკლდით“, იერ. 44, 18. **JO**.

არვუმევა: „არა მოყვეს ყური მათი მოქცევად უკეთურებისაგან მათისა **არვუმევისა** ღმერთთა სხუათადსა“, იერ, 44,5 **W**.

უვუმევენ: „...რამეთუ **უვუმევენ** დედანი მათნი ღმერთთა უცხოთა, იერ. 44,15 (შდრ. „ვითარ **უვუმევენ** ცოლნი მათნი ღმერთთა სხუათა“ **W**).

¹ წინამდებარე სტატია პროფესორ კორნელი დანელიას არქივს შემორჩა. ავტორმა იგი წაიკითხა აკად. აკაკი შანიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საფაკულტეტო კონფერენციაზე 1993 წლის 26 თებერვალს. იბეჭდება პირველად. სტატია დასაბუქლად მოამზადეს **დარეჯან თვალთვაძემ** და **მაია ლომია**.

² ხელნაწერთა ლიტერებია: **J** (იერუსალიმური ნუსხა, XI ს.), **O** (ოშკის ბიბლია, ათონური ნუსხა, X ს.), **G** (გელათური ბიბლიის ნუსხა, A-1108), ხოლო **W**-თი აღვნიშნავთ ვახტანგ VI-ის მიერ 1710-იან წლებში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა ტექსტს, რომელიც **G**-ს ემყარება.

უკუმეველით: „და დედებმან მან თქუა: რამეთუ **უკუმეველით** ჩუენ დედაკაცსა ცისასა და უზორავთ მას საზორავსა, იერ. 44, 19 J. „და ჰრქუა იერემია ყოველსა ერსა... : არა ჳუმევისაგან, რომელსა **უკუმეველით** ქალაქთა შინა იუდაჲსთა... , არამედ პირისაგან, რომელთა **უკუმეველით** და რომელ შესცოდეთ უფალსა და არა ისმინეთ ჳმად უფლისაჲ, იერ. 44, 21-23 J .

უკუმეველეს: „არა მოყვეს ყური მათი მოქცევად უკეთურებისაგან მათისა, რადთამცა არა **უკუმეველეს** ღმერთთა უცხოთა, იერ. 44, 5 J.

მკუმეველი: „და წარვწყმიდო მოაბისაჲ[თ]... აღმავეალი ბაგინსა ზედა და **მკუმეველი** კერპთა მათთა (ღმერთთა მისთა **W**), იერ. 48,35 **JOW**.

ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში ჳუმევა-სა და მისგან ნაწარმოებ ფორმებს უცხოენოვან წყაროებში ეფარდება გუნდრუკის ან საკმეველის კმევის მნიშვნელობის ერთეულები, კერძოდ, ბერძნული $\theta\sigma\delta\mu\alpha$ და სომხური խունსუ არქანსუ . სომხურში არქანსუ ზმნა, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „სროლა“, „გადაგდება“, სახელურ (խუნსუ „საკმეველი“) ფუძესთან ერთად ქმნის ერთმნიშვნელობიან ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას: $\text{խუნსუ არქანსუ} =$ „საკმეველის გდება“ – კმევა“ (მდრ. ღიւր არქանსუ „წყლის გდება“ = „მორწყვა“; ձայն არქանსუ „ხმის გდება“ = „ყვირილი“ და სხვ. ჳუმევა, ჳუმევად ($\text{Թսւմճ. խունսւ արქանսու}$), არჳუმევა ($\mu\eta$ $\text{Թսւմճ. չարქանսու խունსու}$), უჳუმევენ ($\text{Թսւմճ. արქանսն խունსու}$), უჳუმეველით ($\text{Թսւմճ. մէք արկաք խունსու}$), უჳუმეველეს ($\text{Թսւմճ. արქանսու խունსու}$), მჳუმეველი ($\text{Թսւմճ. արქանսու խունსու}$). რუსული თარგმანიც ზემოდასახელებულ ადგილებში რეალიზებულია: кадить, каждение, кадят, кадили.

ჳუმევა რომ რიტუალური **კმევის** შინაარსის არის, ეს აშკარად ჩანს არა მარტო უცხოენოვანი წყაროების ფარდი სიტყვებიდან, არამედ პარალელური ვერსიების სინონიმური იკითხვისებიდან, კერძოდ, ოშკის ბიბლიაში **ჳუმევის** ფარდად ნახმარია **კუმევა** (იერ. 44, 5; 44, 19; 44,21-23...), და, რაც საგულისხმოა, **კუმევა-ს**, რომელსაც სხვადასხვა რედაქციაში ვარიანტული ჳუმევა არ მოეპოვება, იგივე **უცხოენოვანი** ლექსიკური ერთეულები ეფარდება, რაც ზემოდასახელებულ ადგილებში **ჳუმევას**. საყურადღებოა, რომ ძველი აღთქმის ტექსტის ქართულ თარგმანში ნახმარ **ჳუმევას** არ ახლავს სახელწოდება იმ საგნისა (ნივთიერებისა), რომელიც მოიხმარებოდა კმევისას, ვთქვათ, **გუნდრუკი** ან **საკუმეველი**. მაგრამ ოთხთავის ქართულ რედაქციებში მხოლოდ ორჯერ ნახმარ **კუმევას** ორჯერვე ახლავს **საკუმეველისა**, ე.ი. გვაქვს სინტაგმა **საკუმეველის კუმევა**. იოანე ნათლისმცემლის მამა ზაქარია მღვდელზე ნათქვამია: „მსგავსად ჩუეულებისა მღვდლობისა ჳხუდა მას **საკუმეველისა კუმევა** და შევიდა ტაძარსა და ყოველი სიმრავლე ერისა ილოცვიდა გარეშე ჳამსა მას **საკუმეველისა კუმევისასა** (ლკ. 1,9-10). აღსანიშნავია, რომ ბერძნულსა და სომხურ

რედაქციებში „საკუმეველის“ ფარდი არა გვაქვს, მათში მარტო „კუმევის“ მნიშვნელობის ფორმებია და ამდენად, ინტენსიური შინაარსის ერთგვარად პარონომაზიის მსგავსი შესიტყვება „საკუმეველის კუმევა“ ქართული რედაქციის კუთვნილებაა: ἔλαχε τὸν θυμαίνου (ლკ 1, 9); τῆ ἄρᾳ τὸν θυμαίνου (ლკ. 1, 20).

მაშასადამე, ჳუმევა და კუმევა აშკარა სინონიმებად გაიგება ორი გარემოების გამო: 1. ქართულ რედაქციებში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან, პარალელურად მოიხმარებიან. 2. ორივეს მყარად ერთი და იგივე ერთეული ეფარდება უცხოენოვან ტექსტებში. ამიტომ ჳუმევის ისტორიის დადგენისთვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება კუმევის ისტორიასაც. ეს უკანასკნელი კი გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა: დეტერმინებული სახელური კუამ-ლ და ზმნური *კუამ (->კუმ. შდრ. მთად იგი სინად **კუმოლა** ყოვლად, გამ. 19, 18 **O**) ერთი ძირეული მორფემაა. კუმ-ის ფუძეზე -ევ სუფიქსის დართვით მიღებულია აქტიური კუმ-ევა („**უკუმეველს** ერდოებსა ზედა მათსა, იერ. 19,13 **O**), ხოლო სახელური კუამლ-საერთოქართველური ფუძეა, შდრ. მეგრ. კუმ-ა (<-კუმ-ა), ლაზ. კომ. (<-კუმ-ი), სვან. კჷამ.³

ი. ეიფშიძემ არა თუ დააკავშირა მეგრ. კუმა „კვამლი“ ოკუმაფუ (ო-კუმ-აფ-უ „საკუმეველი“) ფუძესთან, არამედ მიუთითა, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელობით იგივე იყო, რაც ბერძნ. თვიმიანი (θυμιάνα), ხოლო შესიტყვება **ოკუმაფუმ ვილადალა** განმარტა, როგორც ღვთაება ჯგერაგუნას პატივსაცემად მსხვერპლშეწირვის კომპონენტი ქრისტეს ამაღლების დღეს. ამ დროს ოკუმაფუ-სთან ერთად სწირავენ ჭადის ნამცხვარს (ჭვიშტარს), რომელიც იქვე იჭმევა, რომ ფუტკრები ოჯახის (სკის) გაყოფისას შორს სხვაგან არ გაფრინდნენ⁴.

ცხადია, „ჳუმევა“-ც -ევ სუფიქსით გართულებული ფუძეა, ხოლო ძირეული ჳუმ უნდა იყოს რედუცირებული ჳუმე, რომლის კანონზომიერ შესატყვისად საგულვებელია მეგრულ-ლაზური ხჷამ (შდრ. ხჷამ [ხვამა] „ლოცვა“, ო-ხვამ-ე „სამლოცველო“), ხოლო სვანური ჳუმე (ლა-ჳუმე „სამლოცველო“) გახმოვანების კვალობაზე მეგრულისგან მომდინარეობას უნდა მიაწინებდეს.⁵ ერთიანი ფუძის სემანტიკური დიფერენციაცია ქართველურ ენებში დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს მისი საერთოქართველურ ფუძედ მიხნევისათვის.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჳუმ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა **წვას, გზებას** უკავშირდება და ამ მნიშვნელობით უნდა იყოს ეს ძირი დაცული საჳუმილ (სა-ჳუმ-ილ-ი) და მესაჳუმილე (მე-სა-ჳუმ-ილ-ე) ფუძეებში. „საჳუმილის“ მნიშვნელობაა „ღუმელი“, „ქურა“,

³ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, 62. Г.А. Климов, Этимологический словарь Картвельских языков, М. 1964, ст.108-109.

³ ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, 177.

⁴ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С-П., 1914, 262.

⁵ შდრ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

ბრძმედი“, „თონე“: „შესთხინენ იგინი **საკუმილსა** მას ცეცხლისა აგ-
ზებულისასა, მთ. 13, 42. „ვითარცა გამოიცადების ოქრო და ვეცხლი
საკმილსა შინა“, ივანე. 17, 3 პბ. „**მესაკუმილეთა** მათ კაცთა აღაგ-
ზნეს **საკუმილი**“,⁶ მაგრამ, ცხადია, **საკუმილი** გასუბსტანტივებული
მიმდებარა (სა-კუმ-ილ ← *სა-კუმ-ელ, ეტიმოლოგიურად: „სა-წე-ელ“,
„სა-გზებ-ელ“).

არაა გამორიცხული, რომ კუმე ძირის სემანტიზებული დერივა-
ტივი იყოს *ღუმე-იცი, რომელიც დაცული უნდა იყოს ღუმელ (ღუმე-
ელ „ღუმელი“) ფუძეში: ვითარცა განაპურვის ღუმელი ფრიად“, ლიმ.
43,9; უბრძანეს მას გამოგვა **ღუმელისა**, ლიმ. 43,11-12.⁷ ისტორიულად
შეუძლებელი არა ჩანს **კ**-ს გადასვლა **ღ**-ში, შდრ. კერი „სასანთლეთ
რტოები“ (საბა) და ღერი „სასანთლის შტოები (გამ. 25,31), ჩალის ღე-
რო, გინა სასანთლისა.⁸ ან კიდევ: კუმეზა („მრგვალი პური“: „არარაა
გუაქუს, გარნა ხუთი კუმეზა პური და ორი თევზი, მთ. 14, 17) და
ღუმეზელი (← ღუმეზელ ← კუმეზ-ელ).

კუმევის მსგავსად კუმევის ზმნური ფორმები ნაღვერდალზე,
ცეცხლზე მსხვერპლშეწირვის პროცესს უკავშირდება. ცეცხლზე
მსხვერპლის და საკმეველის დაწვა წარმართული დროის კერპთმსახუ-
რებისას ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთში, შემ-
დგომ ძველი აღთქმის კანონში შევიდა, ხოლო ბოლოს – ქრისტიან-
ულ კანონშიც. ბიბლიაში მოიხსენიება 30-მდე სახეობის სურნელი;
მათი გარკვეული ნაწილის შეზავებით (სტაქსის, სმირნის, ონიქსის,
ხის წებოს, ლიბანის, ერთგვარი ნიჟარის და სხვ.) მზადდებოდა საკ-
მეველი, ხოლო სურნელოვანი ნივთიერებები გამოიყენებოდა ორი და-
ნიშნულებით: 1. ყოველდღიურ ყოფაში, 2. საკულტო ღვთისმსახურე-
ბაში. პირველ შემთხვევაში სურნელის ცნება გაიგებოდა, როგორც
სიღამაზის დამკვიდრება, სიცოცხლის სიხარული (ივ. 27,9), როგორც
სასიამოვნო სუნით პიროვნების ფიზიკურ არსებაში შეღწევა, გან-
მსჭვალვა სხვაში და ამით სასურველი პიროვნების გულის მოგება,
მისი მოხიბლვა. ამ მიზნით ცხებდნენ სურნელს ახალჯვარდაწერი-
ლებს, სასურველ სტუმრებს...

მეორე შემთხვევაში სურნელის, საკმეველის ნაღვერდალზე კმევა
მოიაზრებოდა, როგორც საკულტო მსახურების სიმბოლო. კმევა წარ-
მართობიდან გადმოვიდა ისრაელში და შევიდა ძველი აღთქმის კა-
ნონში, სადაც ლაპარაკია „სასაკმეველზე“ (დაბ. 30, 1-10), რომელიც
სავსეა სურნელოვანი საკმეველით (რიცხ. 7, 86), და მსხვერპლშეწირ-
ვისას დილასა და საღამოს კმევაზე (გამ. 30, 7). ამ შემთხვევაში კმე-
ვა, ზეასული სურნელოვანი კვამლის სახით, გააზრებულა, როგორც
ღვთისადმი აღვლენილი ქება-დიდების, მისდამი თაყვანების სიმბოლო.
შდრ. „უფალო, ღაღად-ვყავ შენდამი: ისმინე ჩემი, მომხედე ჳმასა

⁶ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, 233, 386.

⁷ იქვე, გვ. 464.

⁸ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1986.

ლოცვასა ჩემისასა, დადადებასა ჩემსა შენდამი, **წარემართენ ლოცვაჲ ჩემი, ვითარცა საკუმეველი შენ წინაშე...**“ (ფსალმ. 140, 2). კმევა ბოლოს ხდება სიმბოლო სრულყოფილი თავყვანებისა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისადმი, რომელსაც აღასრულებს ყველა ხალხი განკითხვის (ესქატოლოგიის) ჟამს. ღმერთისადმი სრულყოფილი სურნელოვანი თავყვანების მაგალითი ქრისტემ მისცა ხალხებს და „მისცა თავი თვისი ჩუენთვს **შესაწირავად და მსხუერპლად, სულად სულნელად** (ეფეს. 5,2). ამის კვალობაზე ყველა ნათელღებული სურნელოვანი მირონის ცხებით ხდება ქრისტეს მიერ ცხებულად: „ღმერთსა მადლი, რომელმან მარადის მომფინის ჩუენ ქრისტეს მიერ და **სული იგი სურნელებისად** გამოაჩინის ჩუენ მიერ ყოველთა ადგილთა, რამეთუ **ქრისტეს სულნელებანი ვართ** ღმრთისა მიერ ცხოვრებელთა შორის და წარწყმედულთა (11 კორ. 2,14-15).

კუმევას, როგორც კუმევის სინონიმს, თავდაპირველად, როგორც აღვნიშნეთ, **წვა, გზება** უნდა აღვნიშნა. ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მას დაცული ქართულ საკუმეილ-ში (სა-კუმეილ „სა-წველ-ი“, „სა-გზებ-ი“ „ღუმელი“, „ქურა“), ხოლო მნიშვნელობის დავიწროებითა და საკრალიზაციით ცეცხლზე რიტუალური მსხვერპლშეწირვა და ნაღვერდალზე **საკმეველის წვა, კუმევა** უნდა გამოეხატა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხ. ხუამ-ს, რომელიც „ლოცვას“ გამოხატავს (ო-ხვამ-ე „სამლოცველო“, ე.ი. ეკლესია, აქედან სვან. ღა-კჷამ „სალოცავი“) თავიდან უნდა გამოეხატა ცეცხლზე მსხვერპლშეწირვა და მისი **თანმხლები ნაღვერდალზე საკმეველის წვა**. ამის კვალობაზე ო-ხვამ-ე, რომელიც დღეს „ეკლესიას“, უკეთ, „სამლოცველოს“ აღნიშნავს, თავდაპირველად უნდა ჰქმედოდა იმ ადგილს, სადაც ცეცხლზე მსხვერპლშეწირვა და კმევა ხდებოდა, ე.ი. სამსხვერპლო, სასაკმეველ ადგილს. ქრისტიანულ საღვთისმსახურო ტერმინებში განსხვავება ქართულსა და კოლხურს შორის იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ისტორიულად კოლხეთს ქრისტიანობა იბერიისგან დამოუკიდებლად უნდა მიეღო, შდრ. შობა – ქისე/ქირსე/„ქრისტე“/, ადღომა – თანაფა /„თენება“/, ეკლესია (ბერძნ./ „საკრებულო“ – ოხვამე (ცეცხლზე მსხვერპლშეწირვისა და კმევის ადგილი – „სალოცავი“ ადგილი), მღვდელი – პაპა (ღათ. გვიან ნასესხები ჩანს) და სხვ.⁹, მაგრამ, რადგან მსხვერპლშეწირვასა და კმევას ღვთისადმი ავღლენილი ქება-დიდება, ლოცვა-ვედრება ახლდა, ამავე ფუძეს შეეძლო **ლოცვა – კურთხევის** მნიშვნელობის გადმოცემაც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს სვანურის ჩვენება, სადაც **კმევის** შინაარსს გადმოგვცემს **წვის** მნიშვნელობის **ტუს** ძირი: ა-ტუს-ე „აკმევს“, ღი-ტუს-ე

⁹ კ. დანელია, რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან: თსუ-ს შრ., ტ. 183, 1978, 134.

„კმევა“, ნა-ტუს-უნ „საკმეველი“, მუ-ტჷს-ე „მკმეველი“.¹⁰ შდრ. ტუს-ავ-ს, შე-ტუსე-ილ-ი, შდრ. მეგრ. ტუც-უნ-ს „ტუს-ავ-ს“, გო-ტუცი-ილ-ი, „გა-ტუს-ულ-ი“.

საერთოქართველური ჰუმევე ფუძის მნიშვნელობათაგან, როგორც აღვნიშნეთ, ზოგი ძველ ქართულს დაუცავს, ზოგიც კოლხურსა და სვანურს, კერძოდ: 1. წვა, გზება, (შდრ. საჭუმილი, მესაჭუმილე, ღუემელი <- ჰუმეველი); 2. რიტუალური მსხვერპლშეწირვა ცეცხლზე. სურნელოვანი ნივთიერების ნაღვერდალზე წვა, ე.ი. კმევა (შდრ. ჰუმევა, უჰუმევენ, უჰუმევედენ, მჰუმეველი); 3. მსხვერპლშეწირვისა და კმევის თანმსლები ღვთისადმი აღვლენილი სადიდებელი, ღოცვა (შდრ. მეგრ. ხჷამ-ან-ს „ღოცავს“, ო-ხჷამ-ე „სამლოცველო“, ე.ი. ეკლესია, სვან. ღა-ჰჷამ „სამლოცველო“). ეს ფუძე რიტუალური მნიშვნელობით ახალმა ქართულმა დაკარგა და მისი ადგილი კმევა-მ დაიკავა, კოლხურსა და სვანურში კი შემორჩა, მაგრამ მეორეული მნიშვნელობით, ღოცვის გაგებით. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა „ჰუმევას“ ძველ ქართულში არ განუვითარებია, რადგან სათანადო შინაარსს სხვა ფუძეებით (კურთხევა, ღოცვა) გამოხატავდა.¹¹

Korneli Danelia

Towards the History of Cult *Khumeva* (Summery)

The article deals with homonymous root *khumeva* that has rarely been applied in written sources and has not been included in any Georgian dictionary. The forms produced out of the root are preserved in X-XII century manuscripts that include prophesiers' old Georgian editions. Out of common Georgian *Khumev* root

¹⁰ ქართული და სვანური ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა ზ. სარჯველაძემ (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 301), მაგრამ რატომღაც მეგრულის მონაცემები არაა მოყვანილი.

¹¹ **შემოკლებათა განმარტებანი:**

1 კორ. – 1 კორინთელთა, პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე;

მ. ცხ. – მამათა ცხოვრება;

იერ. – იერემიას წინასწარმეტყველება;

ლკ. – ლუკას სახარება;

გამ. – გამოსვლათა წიგნი;

მთ. – მათეს სახარება;

იგავ. – იგავნი სოლომონისნი;

ლიმ. – ლიმონარი;

დაბ. – დაბადება;

რიცხ. – რიცხვთა;

ფსალმ. – ფსალმუნნი;

ეფეს. – პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლე;

11 კორ. – პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ მეორეთმეტე ეპისტოლე.

meanings the author distinguishes the following three: 1. Burning, flaming (compare: *sakhumili*, *mesakhumile*, *ghumeli* <-*khuemeli*); 2. Ritual sacrifice on a fire, producing a fragrant odor when burned, incense (compare: *Khumeva*, *ukhumeven*, *ukhumevden*, *mkhumeveli*); 3. Adoring and praying that accompanies sacrifice and incense (compare Megrelian *khuam-an-s* – blesses, *o-khuam-e* – chapel, church. Svani *la-khuam* – chapel). Modern Georgian language has lost this root with the meaning of ritual. It has been replaced by the term *Kmeva* (incense). It is still preserved in Kolkhuri and Svani languages, however with the secondary meaning – praying. Old Georgian expressed the meaning of praying by other roots.

K – 29 ხელნაწერი კოდიკოლოგიური კუთხით

გაზიარებული აზრის თანახმად, *ფსალმუნი* ერთ-ერთი ყველაზე ადრე ნათარგმნი ძეგლია ქრისტიანული მწერლობის ძეგლთა შორის (კეკელიძე, 1980, 416), რომელმაც შემდგომში მეტ-ნაკლები ცვლილებები განიცადა. ამ ცვლილებებით ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია სამი სხვადასხვა ტიპის სახით, რომელთაც შეიძლება რეცენზია ვუწოდოთ. ესენია: სინური (S), მცხეთური (M) და გიორგი მთაწმინდელისეული (G) (შდრ. შანიძე, 1960).

ცნობილია, რომ *ფსალმუნი* ბერძნულთან შეწამების გზით გაასწორა *გიორგი მთაწმინდელმა* – „*თარგმნენ ესე დავითნი (არ) ახლად ბერძნულისგან ქართულად მე, ვლახაკმან გიორგი, უღირსმან ხუცეს-მონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თვით იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძნულთა დედათა და დავითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა*“ (შანიძე, 1960, 027). გიორგი მთაწმინდელი მთარგმნელობით მოღვაწეობას 1042 – 1065 წლებში ეწეოდა (კეკელიძე, 1980, 219) და ამავე პერიოდში, ე.ი. XI საუკუნის შუა წლებში, თარგმნა *ფსალმუნნიც*, რომლის შემცველი ყველაზე ადრინდელი ხელნაწერები XIII საუკუნით თარიღდება¹, მაშასადამე, ეს ხელნაწერები ორი საუკუნით არის დაშორებული რეცენზიის შექმნის თარიღს.

გარდა უშუალოდ *ფსალმუნის* ხელნაწერებისა, *ფსალმუნის* ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია *ფსალმუნთა* განმარტებებშიც – სრულსა და გამოკრებულში.

ცნობილია, რომ ე.წ. სრული კატენები *ეფრემ მცირეს* მიერაა თარგმნილი („თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ“), რომლის უძველესი ნუსხა (Q 37) 1091 წლით თარიღდება (ეს ხელნაწერი XI საუკუნეშივეა გადაწერილი და ყველაზე ახლოსაა რეცენზიის შექმნის თარიღთან), მაგრამ ამ თხზულებას ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია (შემორჩენილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც პირველ 76 ფსალმუნს და მათ თარგმანებას შეიცავს). ამ ხელნაწერის ღირებულებას ზრდის ისიც, რომ ეფრემ მცირე დიდი სიზუსტით იწერდა *ფსალმუნის* ციტატებს. ამის შესახებ *ფსალმუნთა* თარგმანების ანდერძში იგი წერს: „*ხოლო ბერძენთა და ქართველთაჲ წიგნი ფსალმუნთაჲ ყოველივე სწორ არს და ერთ წიგნ შეწვენითა ღმრთისაჲთა და მოსწრაფედ მოღუაწებითა დიდისა მის მნათობისა გიორგი მთაწმინდელისაჲთა, ვინაჲცა მისითავე ლოცვითა და მადლითა ბერისა ჩუე-*

¹ G – იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №161 (ბლვიკის აღწერილობით); H – იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №133 (ბლვიკი); L – პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ხელნაწერთა განყოფილება, B I (ძველი ნომრები G 116 და B 4).

ნისადთა ყოველსავე ამას დავითისა თარგმანსა შინა არცა ერთსა მუკლსა სადა ეკმარა ცვალებად, არამედ მისივე თარგმნილი მუკლი დავწერეთ მის მიერთთა ოხითა განმკნობილთა, რომლისაჲ იყავნ საუკუნოჲ ნეტარებაჲ და ჳსენებაჲ მისი!" (თვალთვაძე, 2009, 198).

გამოკრებული თარგმანება, როგორც მზექალა შანიძე ვარაუდობს, ეფრემის *სრული თარგმანების* შემოკლებული ვარიანტია, მისი ავტორი კი ეფრემის მთარგმნელობითი სკოლის უცნობი წარმომადგენელია. *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების* რამდენიმე ხელნაწერია ჩვენამდე მოღწეული. ესენია: K-29, Q-558, Q-675, A-14, S-18, S-1472. მათგან ყველაზე ძველია ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი K-29, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით XIII–XIV საუკუნეებით თარიღდება (ნიკოლაძე, 1953, 119-125). ლამარა ქაჯაიას ზეპირი და წინასწარი მოსაზრებით კი ხელნაწერი უნდა იყოს არა უგვიანეს XIII საუკუნისა.

თუ გიორგი მთაწმინდელის ტექსტი *სრულ თარგმანებაში* უცვლელად გადაიტანეს, სავარაუდოა, რომ არც *გამოკრებული თარგმანების* ავტორი შეცვლიდა მას. მაგრამ ამ აზრის დაზუსტება ტექსტების შედარების საფუძველზე უნდა მოხდეს. თუმცა, სანამ უშუალოდ ხელნაწერში დაცულ *ფსალმუნთა* ტექსტს შევეხებოდეთ, უნდა გავარკვიოთ ამ ხელნაწერის სანდოობისა და მისი გადამწერების კვალიფიკაციის საკითხი. სტატია სწორედ ამ მიზნითაა დაწერილი და ხელნაწერის აღწერას ეძღვნება.

ხელნაწერი K-29 ძალიან საინტერესოა კოდიკოლოგიური თვალსაზრისითაც. იმისთვის, რომ ხელნაწერი სწორად წავიკითხოთ, მნიშვნელოვანი და აუცილებელია იმ პრინციპების ცოდნა, რომლებითაც ხდებოდა ტექსტის აწყობა-გამართვა, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება კატენურ კრებულს.²

ხელნაწერი შემოსულია გელათის მონასტრიდან. წიგნი რომ გელათის მონასტრის საკუთრება იყო, ამას ადასტურებს ხელნაწერში არსებული მინაწერები, მაგ.: „*ქ ესე სულთა განმანათებელი დავითის თარგმანი მე, ნიკოლოზ მაღალაძემ, გარდავაწერინე სუეტის ცხოვლისათვის და ესე გელათისა არის და ვინც წაიღოთ გელათისა საყდარსა მოიტანეთ, თვარემ პასუხი მიეცით*“ (181-ე v); „*1860 მე ვკითხულობ ამა წიგნსა რღცა ფდ სასარგებლო არს სულისა. სერაპიონ [...]* და ეხლა არხიმანდრიტი გაენათის მონასტრისა იას ნოებრით ჩყოთს წელ[სა]“⁴ (182-ე v). K 29 შეიძლება გელათშიც გადაეწერათ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ აქ უკვე გადაწერილი მიეტანათ.

² კატენური კრებულები ორგვარია: 1) განმარტება ტექსტშია შეტანილი (ეფრემ მცირეს ტერმინოლოგიით *მართლგაწყობილი*) ანდა 2) ტექსტის გარშემო, აშეიბზეა დაწერილი (ეფრემ მცირეს ტერმინოლოგიით *გარემოწერილი*).

³ სახელის შემდეგ არის სერეპიონის ხელრთვა, რომელიც ვერ ამოვიკითხეთ.

⁴ II ნომბერი, 1879 წელი

ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდზე, რომელიც მუქი ყვითელი ფერისაა, შეიძლება ითქვას, მოყავისფროც (სწორედ ესაა ლ. ქაჯაიასთვის ხელნაწერის დათარიღების არგუმენტი არა უგვიანეს XIII საუკუნით), დაახლოებით პირველი 100 ფურცელი ფერშეცვლილია და დალაქავებულია ნესტისგან. ოთხი ფურცელი, 1 r-დან 4 v-მდე, საკმაოდ დაზიანებულია, მოხეული აქვს აშიები და ზოგან ტექსტის ნაწილიც, ამიტომ ტექსტი რთულად იკითხება. 301-ე გვერდიდან 314-ე გვერდამდე ხელნაწერს ყველა გვერდზე აქვს ლაკუნები.

ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობაში წერია, რომ ხელნაწერს აქვს ტყავგადაკრული ხის ყდა, დღეს ხელნაწერი არის დაშლილი და უყდო.

ფურცლის ზომა: 30,5 X 22,5

შიდა აშია: 2,0-იდან 3,0-მდე

გარე აშია: 3,5-იდან 6,0-მდე

ზედა აშია: 3,0-იდან 3,5-მდე

ქვედა აშია: 4,6-იდან 6-მდე

ტექსტის ზომა:

სიგანე: 16,5

სიგრძე: 23,5

ლინირება (განკანონება):

გარე ჩარჩო: 16,6

შიდა ჩარჩო: 14,6

ხაზებს შორის მანძილი: 1,0

ჩარჩოებს შორის მანძილი: 1,0

ხელნაწერი შესრულებულია ერთ სვეტად, შედგება 365 ფურცლისა და 47 რვეულისაგან. დღეს რვეულებში ფურცლების რაოდენობა ერთნაირი არ არის: გვხვდება 5, 6, 7, 8, 9, 10 ფურცლიანი რვეულები. სუთფურცლიანია ერთი, ექვსიანია ოთხი, შვიდიანი – ექვსი, რვიანი – ოცდათორმეტი, ცხრიანი და ათიანი – ორ-ორი. მათგან ჭარბობს 8 ფურცლიანი რვეულები.

გვერდზე სტრიქონების რაოდენობაც არ არის ერთნაირი. მონაცვლეობს 32-იდან 36-მდე. ჭარბობს გვერდები, რომლებზეც სტრიქონების რაოდენობა 33-ია. ხელნაწერი თავბოლონაკლულია და, აქედან გამომდინარე, არც ანდერძები აქვს, არც ზანდუკი. მინაწერები კი, განსაკუთრებით გვიან გაკეთებული, მრავლადაა.

ხელნაწერში შესული „თარგმანებად ფსალმუნთაჲს“ ტექსტი ნაკლულია, აკლია 1-ლი, მე-2, მე-80 ფსალმუნები სრულად, მე-3, 149-ე და 150-ე ფსალმუნთა დასაწყისები და 77-ე ფსალმუნის 35 - 47 და 92-ის 2 - 15 მუხლები (შანიძე, 1971, 73 და 81), აგრეთვე 151-ე ფსალმუნი. ზოგჯერ აშიაზე მხედრული შრიფტით არის მითითება: „ერთი ფურცელი აკლია (191v; 193v)“. ხელნაწერში თარგმანების ტექსტს წინ უძღვის ეფრემ მცი-

რეს თეოლოგიური ლექსიკონი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზიანებულია და რთულად იკითხება.

ხელნაწერი შემკულია სინგური ასოებით რუბრიკატორის მიერ. 85-ე r; 110-ე v; 130-ე v და 182-ე v გვერდებზე მოხსენიებულია **ბერი დოსითე**. ყველა ეს მინაწერი მთავრულითა და სინგურითაა შესრულებული და ტექსტიდან მათი გამოყოფა ძნელია, რადგან ამაზე კი არაა მიწერილი, არამედ უშუალოდ ტექსტშია ჩართული, რომლის შემდეგაც ასევე სინგურითაა ნაწერი. ერთი ფსალმუნისა და მისი თარგმანების შემდეგ ახალ ფსალმუნს გადამწერი ახალი ხაზიდან იწყებს და ზოგჯერ პატარა ადგილი რჩება შეუვსებელი. სამჯერ (85r; 110v; 130v) სწორედ ამგვარ ადგილზეა **დოსითეს** მინაწერი. მხოლოდ 182-ე v-ს წარწერა მოხდევს ტექსტს: 182-ე v თითქმის ცარიელია, მხოლოდ ერთ ხაზზეა ტექსტი დაწერილი, შემდეგ ტექსტისავე ხელით სინგურითა და ასომთავრულით შესრულებულია მინაწერი, რომელშიც მოხსენიებულია **ბერი დოსითე: დბე ჳა სრულმყოფელსა ყლთა კეღლთასა ჰნ. ბერსა დოსითეს ადიდენ ჳნ სლთთა ამინ**. 182-ე v ამ მინაწერით მთავრდება, გადამწერს გვერდი ცარიელი დაუტოვებია. გვიანდელ მკითხველებს კი თავიანთი შენიშვნებით შეუვსიათ. ამ გვერდზე კიდევ ექვსი მინაწერია, რომელთაგან ორი ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის და ორივე დათარიღებულია XIX საუკუნით (1860 და 1879). ამ გვერდზე მთავრდება 76 ფსალმუნი თარგმანებებითურთ. უკვე 183-ე r-დან იწყება 77-ე ფსალმუნი. მზ. შანიძე ხელნაწერის ორად გაყოფას ევრემის *ფსალმუნთა* თარგმანებასთან აკავშირებს, რომლის ტექსტი ორ ხელნაწერში უნდა ყოფილიყო განაწილებული. ჩვენამდე მხოლოდ პირველმა მოაღწია (პირველი 76 ფსალმუნი და მათი თარგმანებები). არაა გამორიცხული K-29-ს დედანიც ორ ნაწილად ყოფილიყო დაყოფილი და ამ ხელნაწერის ასეთი შედგენილობა ამით იყოს განპირობებული (შანიძე, 1971, 94).

გადამწერის ხელი კალიგრაფისაა. ლამაზია და საკმაოდ კარგად იკითხება. დაწერილია ნუსხური ანბანით, მუქი ყავისფერი მეღვინით. სახედაო ასოებსა და სათაურებში გამოყენებულია მრგვალოვანი, რომელიც სინგურით არის შესრულებული. სახედაო ასოები ხელნაწერის გადაწერის შემდეგ რუბრიკატორს ჩაუსვამს, ამაზე მეტყველებს მათი გამოტოვების არაერთი შემთხვევა: ზოგჯერ სახედაო ასოები ჩასმულია ძალზე გვიანდელი ხელითა და შავი მეღვინით.

ხელის მიხედვით ხელნაწერი შესაძლოა სამ ნაწილად დაყვით:

- 1) 1r–25v, 28r–77v, 161r–365v
- 2) 78r–160v
- 3) 26r–27v.

ხელნაწერის ძირითადი ნაწილი გადაწერილია ორი ხელით. ასოთა მოხაზულობა და ლიგატურები (გადაბმები) თითქმის ერთნაირია, მაგრამ I ხელი (1r–25v, 28r–77v, 161r–365v) დახრილია, ხოლო II (78r–160v) ამ ნიშნით არ ხასიათდება. სწორედ ამ ნიშანმა (დახრილო-

ბამ) მოგვცა შესაძლებლობა, ეს ორი ხელი განგვესხვაებინა ერთმანეთისგან.⁵ 26-ე და 27-ე ფოლიოები კი გვიან არის ჩამატებული, შესაბამისად, მისი გადამწერის ხელიც (შავი მელნით დაწერილი წვრილი და ძალზე დამახასიათებელი ფორმის ასოები) ძალიან განსხვავდება ორი ძირითადი ხელისაგან. ეს ფურცლები გვიან არის რესტავრირებული დაახლოებით, XVII საუკუნეში.⁶ ხელნაწერში კარგად ჩანს საწერი საშუალების (ამ შემთხვევაში მელნის) ცვლილება. განსხვავებული მელნის გამოყენება თვალშისაცემია 158-ე რ-ზე.

პუნქტუაციის მხრივ ხელნაწერი მდიდარია, გამოვლინდა პუნქტუაციისა და პირობითი ნიშნების სისტემა:

1. **ერთწერტილი,**

2. **ორწერტილი** (სიტყვებს შორის),

3. **სამი** ერთმანეთთან შეერთებული წერტილი (მიანიშნებს წინადადების, მუხლის, ციტატის ან თარგმანის დასრულებას, შეიძლება ითქვას, წერტილის ფუნქცია აქვს. სამწერტილი ამ ფუნქციით ძალიან ხშირადაა გამოყენებული და გრაფიკულად განსხვავებული ორი სახე აქვს: 1) ერთმანეთთან ახლოს მყოფი ძაფისებური წერტილი ხაზებით დაკავშირებული სამი წერტილი ანდა 2) მესამე წერტილი გამოკვეთილი არ არის და ისარივით წაგრძელებული ბოლო აქვს, სამი წერტილი გამოიყენება ღემასა და განმარტებას შორისაც. სამწერტილი შემავსებლებადაცაა გამოყენებული: გადამწერი ხელნაწერის ცარიელ ხაზებს ამ ნიშნებით ავსებს ერთგვარ დეკორატიულ ელემენტებად იყენებს).

4. **აქცენტის ნიშნები:** ერთ შემთხვევაში მახვილები დასმულია **ოდეს** და **ესე იგი არს** სიტყვებზე. როგორც ვიცით, ქართულში მახვილი არ არსებობს და თუ გამოყენებულია, რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მათი ფუნქცია ძალზე ძნელი განსასაზღვრია ერთი ხელნაწერის (ამ შემთხვევაში K 29-ს) მიხედვით. ჩვენს მაგალითში მახვილის ნიშნები თარგმანების ტექსტზეა დასმული და ვერ დაუუკავშირებთ ფსალმუნთა კითხვის სპეციფიკას. მათი მნიშვნელობის დასადგენად საჭიროა ამ ხანის ხელნაწერთა კომპლექსური კვლევა.

5. **წყვილი ნიშნები:** ჩვეულებრივ, ამგვარი ნიშნები **გარემოწერილ** კატენურ კრებულებში გამოიყენება ციტატისა და თარგმანების დასაკავშირებლად, ხოლო **მართლგაწყობილ** კრებულში სრულიად ზედმეტია, რადგან ციტატას უშუალოდ მოჰყვება თავისი თარგმანება და მკითხველს არ სჭირდება მინიშნება, რომ ციტატას შესაფერისი თარგმანება შეუსაბამოს. სწორედ ასეთია (**მართლგაწყობილი**) K 29, მაშასადამე, ამ ტიპის პირობითი ნიშნები არც აქ არის საჭირო. მაშინ როგორ უნდა ავხსნათ მათი არსებობა ხელნაწერში? როგორც ჩანს, ამ ხელნაწერის დედანი **გარემოწერილი** იყო. ამ, გარემოწერილი ტი-

⁵ ლამარა ქაჯაიამ ამ კრიტერიუმის გამოყენების მართებულობა დაგვიდასტურა.

⁶ ასე გვითხრეს მუხუჟუმის თანამშრომლებმა ამ გვერდების კალიგრაფიის მიხედვით.

პის ტექსტის გამოცემის შესრულება დიდ ტექნიკურ სირთულესთან იყო დაკავშირებული, დიდ ყურადღებას მოითხოვდა როგორც გადამწერისაგან, ასევე მკითხველისგანაც, ამიტომ **კიმენ-სხოლიოდ** გაწეობილი გამოცემები იშვიათად სრულდებოდა, გადამწერები უფრო მარტივ გზას ირჩევდნენ ხოლმე და ტექსტური კატენების ფორმას აძლევდნენ მას. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, პირობითი ნიშნები კი გადამწერმა მექანიკურად გადაიტანა დედნიდან ასლში.

ფსალმუნის ყოველ ციტატას მოჰყვება ერთი ან რამდენიმე ავტორის განმარტება, ეს განმარტებები ინტერტექსტურია, ამიტომ გადამწერს უწევს სხვადასხვა საშუალებით მიუთითოს – სად მთავრდება ციტატა, სად იწყება თარგმანება და ვის ეკუთვნის იგი. ეს პრინციპი ტექსტში რამდენჯერმე იცვლება და არ არის დაკავშირებული გადამწერის შეცვლასთან.

ყველა თარგმანება და ყველა ციტატა ასომთავრული სინგურით შესრულებული ასოებით იწყება, თარგმანებების დასაწყისებთან დამატებით დასმულია სამწერტილი, ხოლო ავტორის ვინაობა გარე აშიებზეა დაქარაგმებული (4-ე რ). უკვე მომდევნო გვერდიდან (4-ე ვ) სპეციალური ნიშნით აღინიშნება *ფსალმუნის* ციტატაც, რომელიც ზოგჯერ იმ სახედაო ასოს თავზე ზის, რომლითაც *ფსალმუნი* იწყება, ზოგჯერ კი იმ ხაზის გასწვრივ, რომელზეც ციტატის დასაწყისია. თარგმანების ავტორის დაქარაგმებული სახელი ისევე აშიაზეა დასმული. მე-10 v-დან კვლავ პირვანდელი ვითარება აღდგება, ასეა მე-16 v-მდე, მე-17 r-დან კვლავ ჩნდება *ფსალმუნთა* მიმანიშნებელი პირობითი აღნიშვნა. მე-19 v-დან ვითარება კვლავ საწყისს უბრუნდება. მე-19 ფურცელსა და მე-20 r-ზე თარგმანებების ავტორთა სახელები აღარაა მითითებული, ხოლო მე-20 v-დან მათი სახელი უკვე ტექსტში შედის, იწერება ასომთავრულით და მთლიანად ან ნაწილობრივ – სინგურით. 23-ე r-ზე ავტორები კვლავ აშიაზეა მითითებული. 26-ე და 27-ე ფურცლებზე ფსალმუნის ღემის წინ წერია სინგურით: „წყლი-საჲ,“ ხოლო ავტორთა სახელები აშიაზეა დაქარაგმებული. 28-ე r-დან ისევე ტექსტში შედის, ოღონდ ამჯერად მხოლოდ პირველი ასოები წერია სინგურითა და ასომთავრულით, ხოლო ციტატებს *ფსალმუნიდან* აღარავითარი პირობითი ნიშანი არ ახლავს. 45-ე v-დან განმარტების წინ ჩნდება სინგურით შესრულებული დაქარაგმებული სიტყვა: **თჳნი**, რომლის შემდეგ ავტორი ხან მითითებულია, ხან – არა. შეიძლება შენიშვნა – **თჳნი** და ავტორის ვინაობა დროდადრო აშიაზეც შეგვხვდეს, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდება. 183-ე r-დან განმარტების ავტორის ვინაობა პირდაპირ წერია თარგმანების წინ ასეა ბოლომდე. *ფსალმუნები* დანომრილია და ასოებრივი ნუმერაცია გატანილია აშიაზე.

ტექსტში ბევრია დაქარაგმების შემთხვევები, ქარაგმად გამოყენებულია პატარა კლაკნილი ხაზი, რომელიც სიტყვას აზის ზემოდან. არის გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც მხოლოდ ქარაგმით გვხვდება და არასოდეს – გაშლილი ფორმით, ძირითადად

კავშირები, ზმნისწინები, თანდებულები და ნაცვალსახელები. ხელნაწერის მხატვრული გაფორმება საზედაო ასოებით შემოიფარგლება.

როგორც გამოჩნდა, K 29-ს შესწავლა პალეოგრაფიული ნიშან-თვისებების (მაგ. განკანონება, ხელნაწერის მხატვრული გაფორმებები, ხელი, სასვენი ნიშნები, პირობითი ნიშნები და სხვ.) თვალსაზრისით (სხვა გელათურ ხელნაწერებთან ერთად) სამომავლო კვლევის საგნად გვესახება, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის გელათის სკრიპტორიუმზე. მაგრამ კვლევის დღევანდელი ეტაპი სრულიად საკმარისია იმის სათქმელად, რომ ხელნაწერი უთუოდ გასათვალისწინებელია *ფსალმუნთა* ტექსტის დასადგენად.

ლიტერატურა:

დობორჯგინიძე, 1996: ნ. დობორჯგინიძე, „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანება“ და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები, 1996

თვალთვაძე, 2009: დ. თვალთვაძე, ევრემ მცირის კოლოფონები, 2009

კეკელიძე, 1980: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980

ნიკოლაძე, 1953: ე. ნიკოლაძე, ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953

შანიძე, 1960: მ. შანიძე, ქართული ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X – XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, ტექსტი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 11, თბ., 1960

შანიძე, 1971: მ. შანიძე, ევრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანები ტექსტისთვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971

Ketevan Gaboshvili

**K – 29 Manuscript from Codicological Viewpoint
(Summery)**

The manuscript K-29 is preserved in the department of the manuscripts of Kutaisi State Historical and Ethnographical museum. This manuscript contains the epitomic text of the catena Psalms. It is dated back to XIII – XIV centuries. Besides the catena the manuscript contains almost the whole text of George the Hagiorite’s review of the Psalms and Odes and it is one of the oldest manuscripts, in which we have this version of the Georgian Psalms. It is valuable not only for the comments and Psalms, but for its codicological importance: this manuscript, belonging to Gelati monastery, is a collection of the forms of text catena and it contains interesting details describing Gelati’s scriptorium. The description of K-29 is represented in the article.

**ლექსიკური კალკები ფსალმუნთა წიგნის
ქართულ თარგმანებში**

უცხოენობრივი ტექსტის ლექსიკა თარგმანში სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა: **საკუთრივ ამ ენის ლექსიკით, ნასესხები სიტყვებით** (სიტყვები, რომლებიც მოცემული ტექსტის თარგმანში ნასესხები და დამკვიდრებული ენაში), **ტრანსლიტერაციით** (ასეთებია, უმეტესწილად, საკუთარი სახელები, სათარგმნი ტექსტისთვის სპეციფიკური ტერმინოლოგია, ან მთარგმნელისათვის გაუგებარი, ან ძნელად გადმოსატანი სიტყვები), **კალკირებით** (ამგვარი სესხება ორგვარია – **ფორმალური** და **სემანტიკური**; მაგალითად, ფორმალური კალკია: *წინასწარმეტყველი*, სემანტიკური – *აღმკუელი*), **ჰომოფონური სიტყვებით** (მსგავსი უღერადობის სიტყვებით, მაგალითად, *გალობა*, *ღალღება*), **თარგმანის ენის ლექსიკით** (თარგმანისათვის დამახასიათებელი სემანტიკური და ფორმალური ნიშნებით) (ხარანაული 2010).

ზემოთ ჩამოთვლილიდან სტატიაში შევხვებით ლექსიკური კალკების გადმოცემის მაგალითებს *ფსალმუნთა* წიგნის ძველ ქართულ თარგმანებში. ამისათვის *ფსალმუნთა* ბერძნულ ტექსტს (LXX) შევადარებ *ფსალმუნების* სინური (Sin. 42, Sin. 22, Sin.29, Graz, Georg.2), ე.წ. მცხეთური (A 38) და გიორგი მთაწმინდელის (G) რეცენზიების ტექსტებს.

კალკი (ფრანგ. calque) ისეთი ნაწილობრივი სესხებაა, როცა რომელიმე ენაში სხვა ენის სიტყვებისა და ფრაზების (სინტაგმების) მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურის მიბაძვით იქმნება ახალი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები, ან უცხო ენის პოლისემიური სიტყვების გავლენით სიტყვები იძენენ მეორეულ მნიშვნელობებს (კ. დანელია, 1998, 58).

ეფრემ მცირე ბერძნულ ლექსიკურ კალკებს „ბერძულად სასწავლელს“ უწოდებს, რითაც მიანიშნებს, რომ მათი გააზრება და გაგება ბერძნულის გზითაა შესაძლებელი: „შეისწავე, ვითარმედ არს ბერძულად სასწავლელი, რომელსა ეტკმლოგია უწოდიან, ესე იგი არს მზასიტყუაობად“ (თ. ოთხმეზური, 2009).

ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ თარგმანებში შემდეგი ტიპის კალკირებულ ფორმებს ვხვდებით:

I. ფორმალური კალკები, რაც ძირითადად კალკირებულ კომპოზიტებს გულისხმობს (კომპოზიტების ქართულ თარგმანებში არის როგორც ცალკეულ კომპონენტთა, ასევე მთლიანი ფორმის თანხვედრა).

II. სემანტიკური კალკები (როდესაც მთარგმნელი სიტყვის ძირის სემანტიკიდან ამოდის და მის საფუძველზე ქმნის დერივანტებს; ამგვარი კალკირება ემყარება სეგმენტაციას სიტყვის დონის ქვეშ).

ფსალმუნებში დაფიქსირებული კალკებიდან ყველა ფორმა აუცილებლად ნეოლოგიზმი არ არის, მაგრამ მათი უმეტესობა, ვფიქრობთ, რომ სწორედ სიტყვა-სიტყვითი თარგმანის გზით არის დამკვიდრებული ქართულ სამწერლობო ენაში.

I. ფორმალური კალკები:

ა) ქართული შესატყვისის პირველი კომპონენტი არსებითი სახელია:

149.8 ἐν χειρο-πέδαξ] ველ-ბორკილითა GSM (შეკრვად მეფენი მათნი ბორკილითა და პატიოსანნი მათნი - **ველბორკილითა** რკინისადათა) [შდრ. ბერძნ. χείρ - ხელი, πέδη - ბორკილი]

4.3 βαρυ-καρδίνι] გულ-ფიცხელ GSM (ძენო კაცთანო, ვიდრემდის **გულფიცხელ** ხართ?) [შდრ. ბერძნ. καρδιά - გული; βάρος - მძიმე, მრისხანე]

90.4 ἐν τῷς μετά-φρειον] ბექთ-საშუალითა GSM (**ბექთსაშუალითა** მისითა გვარვიდეს შენ) [შდრ. ბერძნ. μετά - შორის, შუა, φρήν - ბექი, მკერდი]

ბ) ქართული შესატყვისის პირველი კომპონენტი ხედსართავი სახელი ან ზმნიხედაა:

11.4 μέγαλο-ρήμουα] დიდად-მეტყუელი G; შდრ. მდიდრად-მეტყუელი SM (ენაჲ **დიდადმეტყუელი**; ენაჲ **მდიდრადმეტყუელი**) [შდრ. ბერძნ. μέγας - დიდი; ῥήμα - ლაპარაკი]

73.12 πρὸ-αἰώνος] წინა-საუკუნეთამან G; შდრ. დაბადების წინა SM (მეუფემან ჩუენმან **წინასაუკუნეთამან**; მეუფემან ჩუენმან **დაბადებისწინა**) [შდრ. ბერძნ. πρὸ წინ, αἰών - საუკუნე, დრო]

73.9 πρὸ-φήτης] წინაწარ-მეტყუელ GSM (არღარავინ არს **წინაწარმეტყუელ**) [შდრ. ბერძნ. πρὸ - წინასწარ; φημί - მეტყველება]

15.8 πρὸ-αράμης] წინაღსწარ-გხედველ GSM (**წინაღსწარგხედველ** უფალსა) [შდრ. ბერძნ. πρὸ - წინ; ὀράω - ხედვა]

7.12 μακρὸ-θυσος] სულ-გრძელ GSM (ღმერთი მართლ-მსაჯულ, ძლიერ და **სულგრძელ**) [შდრ. ბერძნ. μακρός - გრძელი, θυσός - სული]

12.6 τῷ εὐ-εργέτησαντι] კეთილის-მყოფელსა GSM (უგალობდე უფალსა, **კეთილისმყოფელსა** ჩემსა) [შდრ. ბერძნ. εὖ - კეთილი; ἐργάζομαι - მუშაობა, ქმნა]

150.5 εὐ-ήχοις] კეთილ-ვმითა G; შდრ. ვმითა სასმენელითა SM (აქებდით მას წინწილითა **კეთილვმითა**; აქებდით მას ვმითა **სასმენელითა**) [შდრ. ბერძნ. εὖ - კეთილი, კარგი; ἦχη - ხმა]

151.6 τῷ ἄλλο-φύλα] უცხო-თვისლსა მას GSM (განვედ მე შემთხუევად **უცხოთვისლსა** მას) [შდრ. ბერძნ. ἄλλος - სხვა, უცხო, φύλον - თესლი, ტომი]

118.62 μεσο-πύκτιον] შუა-ღამე GSM (**შუაღამე** აღვდგი აღსაარებად შენდა განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა) [შდრ. μέσος - შუა, πύξ - ღამე]

50.21 ὄλο-κἀντἀματα] ყოვლად-დასაწუველი G; შდრ. საკუერთხი SM (მაშინ გონდეს მსხუერპლი სიმართლისად, შესაწირავი და **ყოვლადდასაწუველი**; მაშინ გონდეს მსხუერპლი სიმართლისად, შესაწირავი და **საკუერთხი**;) [შდრ. ბერძნ. ὄλος - ყველა, მთელი; κἀν - დაწვა]

გ) ქართული შესატყვისის პირველი კომპონენტი რიცხვითი სახელია:

32.2 δέκα-χորδῶν] ათ-ძალითა GSM (**ათძალითა** საფსალმუნისადთა უგალობდით მას) [შდრ. ბერძნ. δέκα - ათი; χორδῶν - სიმი; ძვ. ქართ. ძალი - სიმი]

149.6 δι-στόμοι] ორ-პირი GSM (და მახულნი **ორპირნი** ჳელთა შინა მათთა) [შდრ. ბერძნ. δῖς - ორი, στόμα - პირი]

დ) ქართული შესატყვისის მეორე კომპონენტი ზმნა ან მიმდევლობა:

9.21 νομο-θέτην] შჯულის-მდებელ GSM (დაადგინე, უფალო, **შჯულისმდებელ** მათ ზედა) [შდრ. ბერძნ. νόμος - ჩვეულება, რჯული, კანონი, τίθημι - დადება, ჩასმა]

118.33 νομο-θέτησιν] შჯულიერ-მყავ GSM (**შჯულიერ-მყავ** მე, უფალო) [შდრ. ბერძნ. νόμος - ჩვეულება, რჯული, კანონი, θέτης - დამდებელი]

ე) არის შემთხვევები, როდესაც ბერძნულში არ არის კომპოზიტი, ხოლო ქართულში კომპოზიტადაა გადმოსული:

73.22 ὄλην τῆν ἡμέραν] მარადღე GSM (რომელ არს უგუნურთაგან **მარადღე**) [შდრ. ბერძნ. ὄλος - მთელი, ἡμέρα - დღე]

7.12 κριτής δίκαιος] მართლ-მსაჯულ GSM (დმერთი **მართლმსაჯულ**, ძლიერ და სულგრძელ) [შდრ. ბერძნ. κριτής - მსაჯული, δίκαιος - მართალი]

ვ) წინდებულებიანი სახელები:

1.3 παρὰ τὰς δι-ἐξ-ὀδοῦς] თანა-წარ-სადინელსა GSM (და იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგული **თანაწარსადინელსა** წყალთასა) [შდრ. ბერძნ. παρὰ - თანა; δι-ἐξ-ὀδοῦς - გავლა, გადინება]

17.33 περι-ζῶσυσαν] გარე-შემარტყა G; შდრ. რომელმან შემოსა SM (დმერთო, რომელმან **გარეშემარტყა** მე ძალი; დმერთო, რომელმან **შემოსა** მე ძალი) [შდრ. ბერძნ. περι - გარე, გარშემო; ζῶσυσαν - ჩაცმა, შემორტყმა]

118.119 παρα-βάνισοντας] გარდა-მავალად G; შდრ. ბრალეულად SM (**გარდამავალად** შევპრაცხენ ყოველნი ცოდვილნი ქუეყანისანი; **ბრალეულად** შევპრაცხენ ყოველნი ცოდვილნი ქუეყანისანი) [παρὰ - გარდა-, გვერდით; βάνω - სიარული]

12.2 ἀπο-σπρέψεις] გარე-მიიქცევ GSM (ვიდრემდის **გარემიიქცევ** პირსა შენსა ჩემგან) [შდრ. ბერძნ. ἀπό - -დან, -გან, გარდა-; σπρέψω - მობრუნება, აღება]

73.5 ἡ-σ-κ-ν-ε-λ-ν-ι] ზე-სკნელნი G; ზე-სკნელსა SM (ვითარცა გამოსავალსა **ზესკნელსა**; გამოსავალნი **ზესკნელნი**) [შდრ. ბერძნ. ἡ-σ-κ-ν-ε-λ-ν-ι - ზე-ვით, მიწის ზევითა ნაწილი, ἄνω - -ზე]

ზ) ქართულ შესატყვისში თანდებულებანი სახელები:

118.91 τὰ σμπαυτα] ყოვლითურთ GSM (რამეთუ **ყოვლითურთ** გმონებს შენ) [შდრ. ბერძნ. τὸν - -თან, -ურთ; πάν - ყველა]

თ) უარყოფითი ნაწილაკით ნაწარმოები სახელები (ბერძნული ἄ-ქართულში უ- უარყოფითი ნაწილაკით არის გადმოტანილი):

6.3 ἀ-σ-θ-ε-ρ-ή-ς] უძლურ GSM (მიწყალე მე, უფალო, რამეთუ **უძლურ** ვარ) [შდრ. ბერძნ. σθένος - ძალა]

118.158 ἀ-σ-υ-σ-θ-ε-τ-ο-σ-υ-ν-τ-α-ς] უჯერონი G; შდრ. უგულისკმონი SM (ვიხილენ **უჯერონი** და დავდნებოდე; ვიხილენ **უგულისკმონი** და დავდნებოდე) [შდრ. ბერძნ. ἀσθενος - ნარევი, შედგენილი, შეჯერებული]

15.4 αἰ ἀ-σ-θ-έ-ν-ε-ι-α-ι] უძლურებანი GSM (განმრავლდეს **უძლურებანი** მათნი) [შდრ. ბერძნ. σθένος - ძალა]

73.18 ἄ-φ-ρ-α-ν] უგუნურმან GSM (ერმან **უგუნურმან** განარისხა სახელი შენი) [შდრ. ბერძნ. φρουά - გონიერება]

1.1 ἀ-σ-ε-β-ῶ-ν] უღმრთოთასა GSM (ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა **უღმრთოთასა**) [შდრ. ბერძნ. σέβας - ღვთისმოშიშობა]

118.147 ἐν ἀ-ω-ρ-ί-α] უჟამოსა GSM (აღვიმსთუე **უჟამოსა** და კმაყვაე) [შდრ. ბერძნ. ὥρα - დრო]

14.2 ἄ-μ-α-μ-ο-ς] უბიწოდ GSM (რომელი ვილოდის **უბიწოდ**) [შდრ. ბერძნ. ἀμμος - ბიწი]

32.7 ἄ-β-ι-σ-σ-ο-σ-υ-ς] უფსკრულთასა GSM (დასხამს საუნჯეთა შინა **უფსკრულთა**) [შდრ. ბერძნ. βισσός - სიდრმე]

5.5 ἀ-σ-ο-μ-ῖ-α-ν] უშჯულოებად G; ურჩულოებად SM (რამეთუ შენ ღმერთი არა ეგრე ხარ, ვითარმცა გინდა **უშჯულოებად**; რამეთუ შენ, ღმერთო, არა ეგრე ხარ, ვითარმცა გინდა **ურჩულოებად**) [შდრ. ბერძნ. ἄσος - ჩვეულება, რჯული, კანონი]

50.8 τὰ ἄ-θ-ῆ-λα] უჩინონი G; გამოუჩინებელნი SM (**უჩინონი** და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე; **გამოუჩინებელნი** და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე) [შდრ. ბერძნ. ἀθλος - ცხადი]

II. სემანტიკური კალკები:

ა) სახელისგან ნაწარმოები ზმნები:

5.11 παρ-ε-π-ί-κ-ρ-α-ν-α-ν] გაგამწარეს GSM (რამეთუ **გაგამწარეს** შენ, უფალო) [შდრ. ბერძნ. πικρός - მწარე]

5.2 ἔν-αἰσα] ყურად-იხუენ G; შდრ. ისმინე SM (სიტყუანი ჩემნი **ყურად იხუენ**; სიტყუათა ჩემთა **ისმინე**) [შდრ. ბერძნ. ὄν - ყური, ἔν-αἰζομαι - ყურის მიცემა, ყურის დაგდება]

11.2 ζῶ-σση] მაცხოვნე GSM (**მაცხოვნე** მე, ღმერთო) [შდრ. ბერძნ. ζῶ - ცხორება]

118.69 ἔ-πληθύν-θη] განმრავლდა GSM (**განმრავლდა** ჩემ ზედა სიც-რუვე ამაპარტავანთად) [შდრ. ბერძნ. πληθύνω - მრავალი]

118.130 φαν-εἰ] განანათლებს G; განმანათლებელ არს SM (გან-ცხადებად სიტყუათა მათ შენთად **განანათლებს** და გონიერ-ჰყოფს ჩნვლთა; განცხადებად სიტყუათა მათ შენთად **განმანათლებელ** არს და გონიერ-ყვნის ჩნვლნი) [შდრ. ბერძნ. φαν-εἰ - სინათლე, განათება]

118.98 ἔ-σῶ-σας] მეცნიერ-მყავ GSM (უფროდს მტერთა ჩემთასა **მეცნიერ-მყავ** მე მცნებათა შენთა) [შდრ. ბერძნ. σῶ - ბრძენი, მეცნი-ერი]

18.8 σῶ-σας] გონიერ-ყვნიან GSM (**გონიერ-ყვნიან** ერმანი) [შდრ. ბერძნ. σῶ - ბრძენი, მეცნიერი]

118.108 εὐ-δῶ-κῆσαι] სათნო-იყავ GSM (ნებისითი პირისა ჩემისა **სათნო-იყავ**) [შდრ. ბერძნ. εὐ - კეთილი]

50.20 ἀγῶ-σασ] კეთილი-უყავ GSM (**კეთილი-უყავ**, უფალო, ნები-თა შენითა სიონსა) [შდრ. ბერძნ. ἀγῶ - სიკეთე]

16.6 ἔ-κράζω] კმა-ყყავ BCDE; შდრ. დაღად-ყყავ GSM (მე შენდამი, უფალო, **კმა-ყყავ**; მე **დაღად-ყყავ**, რამეთუ ისმინე ჩემი G; მე შენდამი, უფალო, **დაღად-ყყავ** SM) [შდრ. ბერძნ. κράζω - ყვირილი]

ბ) სემანტიკურ კალკად შეიძლება ჩავთვალოთ ასევე **გამოკურ-ვებულის**:

17.31 πει-πυρ-αμείνω] გამოკურვებულ G; შდრ. რჩეულ არიან SM (უბიწო არიან გზანი მისნი და სიტყუანი უფლისანი **გამოკურვებულ**; უბიწო არიან გზანი შენნი და სიტყუანი უფლისანი **რჩეულ** არიან) [შდრ. ბერძნ. πειρ ცეცხლი]

დასკვნა:

როგორც მაგალითებიდან დავინახეთ, ბერძნულიდან თარგმნისას გიორგი მთაწმინდელი ძველ მთარგმნელებთან შედარებით უფრო ხშირად იყენებს ენაში უკვე დამკვიდრებულ კალკებს ან თავად ქმნის მათ. ეს გასაგებიცაა, რადგან, საზოგადოდ, გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი სტილისთვის დამახასიათებელია, რაც შეიძლება ზუსტი ადეკვატი მოუქებნოს დედნისეულ ფორმებს თარგმანში. თუმცა ბერძნულის კალკირებული ფორმები ასევე მრავლადაა *ფსალმუნ-თა* ძველ რეცენზიებშიც.

კალკირებული ფორმების სისშირე კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველი მთარგმნელების მიზანი იყო დედანთან არა მარტო შინაარსობრივი, არამედ ფორმალურ-სტრუქტურული შესაბამისობის მიღწევა. ამიტომ ქმნიდნენ ისინი ბერძნული ლექსიკური

ერთეულების კალკირებულ ფორმებს. კალკირებული ფორმების შექმნის შედეგად კი მდიდრდებოდა ქართული ლექსიკური ფონდი.

კორნელი დანელიას აზრით: “სანამ ჯეროვნად არ იქნება შესწავლილი თითოეული ბიბლიური წიგნის ქართული თარგმანი, მისი რედაქციები, მანამ, ცხადია, ზოგადად ქართული თარგმანის რაობასა და ბუნებაზე მსჯელობა ნაადრევია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბიბლიური წიგნების ქართულ რედაქციათა კალკების შესწავლა გარკვეული კუთხით წარმოაჩენს არა მარტო ამ რედაქციათა გენეზისს, არამედ ქართული მხატვრული თარგმანის არსს, მისი სათავეების რაგვარობას” (კ. დანელია, 1998, 60).

წყაროები და მათი ლიტერები:

G – ფსალმუნთა გიორგი მთაწმინდელისეული რეცენზია

S – ბიბლიის სინური რედაქცია (**Sin. 42, Sin. 22, Sin. 29, Graz, Georg. 2**)

M - ბიბლიის ე.წ. მცხეთური რედაქცია (**A 38**)

გამოყენებული ლიტერატურა:

დანელია, 1998 – კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თსუ გამომცემლობა, თბ., 1998

ოთხმეზური, 2009 – თ. ოთხმეზური, ეფრემ მცირე და „ბერძულად სასწავლელი“ სიტყვები, წახნავი, „მემკვიდრეობა“, I, თბ., 2009

ხარანაული, 2010 – ა. ხარანაული, ფსალმუნთა ქართული თარგმანის ლექსიკა, ენათმეცნიერების საკითხები – I, II თბ., 2010, გვ. 264 – 275

Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed. A. Rahlfs.

ლექსიკონები:

აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, “მეცნიერება”, თბ., 1973

ორბელიანი, 1991 - ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, “მერანი”, თბ., 1991

Lampe, 1961 - G.W.H. Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961

Liddell, Scott, 1996 - H.G. Liddell and R. Scott, Greek-English Lexicon, Oxford, 1996

Lexical Calques in the Georgian Translations of The Books of Psalms (Summery)

The article deals with the examples of lexical calques in old Georgian translations of Psalms. With this purpose we have compared the following texts: Greek text of Psalms (LXX) and “Sinuri” (Sin.42, Sin. 22, Sin. 29, Graz, Georg. 2), so called “Mtskheteri” (A 38) and Giorgi Mtatsmindeli’s (G) recensions. The following types of calqued forms can be seen in old Georgian translations of the Book of Psalms:

1. **Formal calques**, that mainly imply calqued composites.

2. **Semantic calques** (when the translator depends on the **semantics of a word root** and makes derivatives out of it; this type of calques depend on segmentation under a word level).

While translating from the Greek Giorgi Mtatsmindeli either uses calques that are already settled in the language or creates them on his own. It is quite understandable since, generally, it is typical for his translation style to find as corresponding adequate to original forms, as possible. However, there are number of calqued forms of the Greek in Psalm’s old recensions too.

The frequency of the calqued forms point once again that the aim of Georgian interpreters was to reach relevance with the original not only on semantic but also on formal and structural levels. That is why they created calqued forms of the Greek. As the result of creating calqued forms the Georgian lexical fund was enriching.

რეზუმე ენობი (რეზუმე ენობაშვილი)
*ისრაელი, არიელის საუნივერსიტეტო ცენტრი
შომრონში და იერუშალაიმის ებრაული
უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის ინსტიტუტი*

ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები “თავსილი”¹

სტატიაში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა (ენობი, 2007, 44-68) შევეხეთ ძველი ქართული ენის ზოგიერთი მახასიათებლის გამოვლენას თავსილში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მახასიათებლები დაჩნდება როგორც სახელთა ბრუნებაში (რის შესახებაც იყო მსჯელობა მითითებულ გამოკვლევაში), ასევე უღვლილების სისტემაშიც (შედარებით ნაკლებად) და აგრეთვე ლექსიკის სფეროშიც. წინამდებარე სტატიაში სწორედ თავსილში ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულების გამოვლენის შესახებ გვექნება მსჯელობა.²

რამეთუ. ეს საკავშირებელი სიტყვა³ თავისი ორი ძირითადი მნიშვნელობით – “რომ”, “რადგანაც” – ძალიან ხშირად გამოიყენება თავსილის ტექსტში. საინტერესო ის გარემოება გახლავთ, რომ იგი

¹ “თავსილი” (ქვემოთ ამ სათაურს ბრჭყალებში აღარ ჩავსვამთ) არის ქართველ ებრაელთა შორის არსებული ზეპირი თარგმანი ძველი აღთქმის წიგნებისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ზეპირი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ჩვენი ვარაუდით, რომელიც ისტორიულ და ენობრივ მონაცემებს ემყარება, იგი შესრულებული უნდა იყოს მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში და ჩვენამდე მოაღწია თავისი მრავალი პირვანდელი ნიშნის შენარჩუნებით იმის გამო, რომ ქართველ ებრაელთა თემის სულიერი მოძღვრები – რაბინები – მაქსიმალურად ცდილობდნენ შემოენახათ თარგმანი უცვლელად. იგი სპეციალურად შეისწავლებოდა ებრაელთა წრეში, რაც ხელს უწყობდა პირველსახესთან სიახლოვის შენარჩუნებას. ბუნებრივია, რომ ამ თარგმანის სახით ხელთა გვაქვს ცოცხალი ქართული ენის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლის შესწავლაც და იმ სავარაუდო ცვლილებათა თვალის გადევნება, რომლებიც მასში მოხდა, მრავალი საინტერესო ვარაუდისა და დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს ქართული ენის ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხის ირგვლივ.

სამწუხაროდ, თავსილი უკანასკნელ ხანებამდე არათუ შესწავლილი არ ყოფილა, მისი არსებობაც კი არ იყო ცნობილი ქართველი ენათმეცნიერებისათვის. ამ სტრიქონების ავტორმა ბოლო წლებში შეძლო ჩაეწერა და ისრაელში გამოეცა ძველი აღთქმის პირველი წიგნი “ბერეშითი” (შესაქმე) (შემდგომ არც ამ სათაურს ჩავსვამთ ბრჭყალებში) თავსილის მიხედვით (ენობი, 2008); ხოლო ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ჩვენი გამოკვლევა² ამ ტექსტის შესახებ (ენობი, 2009). ძველი აღთქმის სხვა წიგნების ტექსტები ჯერჯერობით არ არის ჩაწერილი.

² წიგნად გამოქვეყნებულ გამოკვლევაში აღარ მოგვიხერხდა ამ საკითხზე მსჯელობა, ასე რომ საანალიზო მასალა პირველად აქ ქვეყნდება.

³ აღბათ, კადნიერებად არ ჩამეთვლება, თუ შევნიშნავ, რომ უკანასკნელ ხანს ამ სიტყვას ძალიან ხშირად გაიგონებთ ქართულ მეტყველებაში საჭირო თუ არასაჭირო შემთხვევებში, შესაძლებელ თუ მიუღებელ კონსტრუქციებში. შეიძლებოდა სათანადო მაგალითების წარმოდგენაც, მაგრამ ეს სცილდება ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს.

სამი ფორმით გვხვდება: 1. “ჩვეულებრივი” სახით – **რამეთუ**. 2. **ნამეთურ**. 3. **ნამეტურ**.⁴

წარმოვადგენთ სათანადო მაგალითებს:

1. **რამეთუ**: და დაინახა ღმერთმან, **რამეთუ** კარგი:⁵ 1, 10.

2. **ნამეთურ**: და ინუგეშა უფალმან, **ნამეთურ** გააჩინა იგი ადამიანი ქვეყანაზედა: 6,6.

3. **ნამეტურ**: და აკურთხა ღმერთმან იგი დღე მეშვიდე და დაახასიასა⁶ ის, **ნამეტურ** შინა მისსა მოიცალა იმის ყოველი საქმის მისისაგან: 2, 3.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როგორ მივიღეთ ფორმათა ეს მრავალფეროვნება. ჩვენ სიფრთხილით გამოვთქვით მოსაზრება (ენოხი, 2009, 199), რომ ეს ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგი უნდა იყოს, თუმც კი ყოველთვის არ არის ნათელი მათი მიზეზი. უპირველესად უნდა მომხდარიყო ბგერათმანათლებლობა: **რ** → **ნ** (რამეთუ → *ნამეთუ), შემდეგ კი **რამეთუ** სიტყვის **რ** ბგერასთან ასოციაციით სიტყვის ბოლოს განვითარდა **რ** თანხმოვანი: **ნამეთურ**. მესამე ფორმა უკვე ამ უკანასკნელ სიტყვაში განხორციელებული აბრუპტივაციის შედეგია: **თ** → **ტ** (ნამეთურ → ნამეტურ). შესაძლებელია, ვინმეს ეს ახსნა მეტისმეტად ხელოვნურად მოეჩვენოს და სხვაგვარი პროცესები ივარაუდოს. მთავარი მაინც ის არის, რომ სამივე ეს ფორმა წარმოდგენილია ტექსტში. თუკი ოდესმე მოხერხდა თორის (= ხუთწიგნეულის) ყველა წიგნის გამოქვეყნება, მაშინ უკვე საინტერესო იქნება სტატისტიკურად შემოწმდეს, ამ ფორმათაგან რომელი უფრო ხშირად იხმარება და რა შემთხვევებში.

აწ. ეს დროის ზმნიზედა, რომელიც არა მარტო ძველ ქართულში გამოიყენებოდა, არამედ ახალ ქართულშიც გვხვდება აქა-იქ ზეაწეული სტილის გამოსახატავად (მაგ., **აწ** და მარადის), როგორც ცნობილია, დასავლურ დიალექტებში **აწი** ფორმით იხმარება მომავალი დროის ზმნიზედად. იგი ქართველ ებრაელთა მეტყველებებაში მხოლოდ ამ უკანასკნელი ფორმით გვხვდება დღეს. მაგრამ თავსილის ტექსტში ამ სიტყვის ძველ ფორმას დაკისრებული აქვს დამატებითი ფუნქცია: როგორც ჩანს, მთარგმნელებმა იგი შეარჩიეს ივრითის **א** (= “გეთაყვა”) სიტყვის კვივალენტად. მაგ., ნუ **აწ**, ბატონებო ჩემო: 19,18.

⁴ სხვათა შორის, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ამავე სამი ფორმით გამოიყენება ეს საკავშირებელი სიტყვა ქართველ ებრაელთა წრეში არსებული სალოცავი წიგნების თარგმანებშიც, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა ცალკე ვრცელი გამოკვლევის თემაა.

⁵ უშემასმენლო წინადადებანი ჩვეულებრივია თავსილში. ჩვენს წიგნში ამ საკითხს ვრცელი მსჯელობა ეძღვნება და ზოგადი დასკვნაა ისაა, რომ, როგორც ჩანს, ასეთ წინადადებათა გამოვლენა ძირითადად დედნის – ივრითის (რა თქმა უნდა, არავის მოუვა აზრად, რომ ქართველმა ებრაელებმა თავიანთი რელიგიური მიზნებისათვის გამოსაყენებელი წიგნი უშუალოდ დედნიდან კი არა, რომელიმე სხვა ენიდან თარგმნეს) გავლენის შედეგი უნდა იყოს, თუმც არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ეს კონსტრუქცია სავსებით დასაშვებია ძველ ქართულშიც.

⁶ = წმინდა-ყო, განსაკუთრებული პატივი სცა, განადიდა.

ქართველ ებრაელთა თანამედროვე მეტყველების გავლენამაც იჩინა თავი თავსილის ტექსტში და ახალი ფორმაც გამოიყენეს იმავე მნიშვნელობით (“გეთაყვა”): ქალიშვილი ვისი შენ, გამიცხადე აწი: 24,23.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძველ ქართულში აწ სიტყვას არ ჰქონია ასეთი მნიშვნელობა, მაგრამ თავსილის მონაცემებთან დაკავშირებით, ალბათ, არ იქნებოდა ურიგო, გადამოწმდეს, სადმე ხომ არ არის იგი გამოვლენილი და აქამდე არ მიჰქცევია ყურადღება, რაკი ასეთი დაშვების საბაბი არ არსებობდა.

ტალი. ლექსიკური ერთეული **ტალი** არ არის ფართოდ გავრცელებული ძველ ქართულში. ილია აბულაძის ლექსიკონში (აბულაძე, 1973) იგი არ არის შეტანილი, ზურაბ სარჯველაძეს კი ერთი მაგალითი აქვს წარმოდგენილი და **ტალი** დამოწმების კონტექსტის მიხედვით შემდეგნაირად არის განმარტებული: აქ: ციცაბო (სარჯველაძე, 1995). თანამედროვე ქართულში ამ სიტყვის ორ მნიშვნელობას მიუთითებენ: ტალი-ი (1) იგივეა, რაც კაჟი; ტალი (2) სახეზე (მზისაგან ან სხვა მიზეზით) გაჩენილი ლაქა (განმარტებითი, 1986). ეგვევ სიტყვა დასტურდება თავსილშიც, მაგრამ ნათელია, რომ იგი ძველ ქართულთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და უშუალოდ დედნის გავლენით არის გადმოსული თარგმანში (78 სიტყვის მნიშვნელობა ივრითში არის “ცვარი, ნაჟური”): იმის სიმსუყნისა ქვეყნისაგან იქნება საჯომი შენი და იმის **ტალის** მისისაგან იმის ზეით: 27,39. ებრაულ ორიგინალში ზუსტად იგივე სიტყვაა (78) ამ ადგილას.

ძალიან ფრთხილად იქნებ ვიკითხოთ: ხომ არ შეიძლება დავუშვათ კავშირი ამ სიტყვასა და ტალ (2)-ის მნიშვნელობას შორის (“ცვარი” და “ლაქა” არც ისე შორს არის ერთმანეთისაგან)?

ქვეყანა. ცნობილია, რომ ქვეყანა ძველ ქართულში მიწა-საც აღნიშნავდა. ამის შესახებ, როგორც ჩანს, თავსილის შემოქმედთათვისაც იყო ცნობილი. თარგმანის ერთ-ერთ ვარიანტში,⁷ რომელსაც **C**

⁷ თავსილის ტექსტის ფრაგმენტები ჩავიწერეთ სამი სხვადასხვა რაბინისაგან. ამ ვარიანტებს შორის, მიუხედავად მრავალი ნიშნის მიხედვით მათი ერთობისა, მნიშვნელოვანი განსხვავებანიც არსებობს, რის გამოც გამოცემაში თითოეული ვარიანტი ცალ-ცალკე დაებეჭდეთ: რაბინ აბრამ გაგულაშვილისაგან (ცხოვრობს ბეერ-შევაში, წარმოშობით სენაკიდან) ჩავიწერეთ ბერეშითის მთელი ტექსტი, სწორედ ისაა გამოცემის ძირითადი ნაწილი, **A** ლიტერით აღნიშნული; რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთაც **B** ლიტერი უხის, ჩაწერილია რაბინ სიმონ ელიშავაშვილისაგან (ცხოვრობს აშდოდში, წარმოშობით კულაშიდან); და, ბოლოს, ერთი ფრაგმენტი ჩავიწერეთ აწ განსვენებულ რაბინ შალომ ხენისაგან (წარმოშობით ქუთაისიდან) –**C** ლიტერით აღნიშნული ვარიანტი. თუ ამ ვარიანტების ერთგვარ გრადაციას მოვისურვებდით სავარაუდოდ დედანთან სიახლოვის თვალსაზრისით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სწორედ ლიტერების შესაბამისი რიგი იქნებოდა შესატყვისი: **A** ვარიანტი ყველაზე მეტ არქაულობას ამჟღავნებს, საშუალო პოზიციას იჭერს **B** ჩანაწერი, ხოლო **C** ვარიანტი ყველაზე მეტი ნოვაციის შემცველია. მაგრამ ვარიანტების სკრუპულოზურმა შედარებამ აჩვენა, რომ მათ შორის გადაულახავი კედელი არ არსებობს და ზოგ შემთხვევაში **B** და **C** ვარიანტები არქაულ ნიშნებს წარმოგვიდგენენ იქ, სადაც ძირითად ტექსტში ახალი ფორმაა შესული.

ლიტერით აღვნიშნავთ, სწორედ ეს მნიშვნელობაა დადასტურებული: და დაარქვა ღმერთმა ხმელეთს **ქვეყანა**: 1, 10. **A** ვარიანტი ზოგადად ბევრად უფრო ახლოა ძველ ქართულთან, მაგრამ ლექსიკური ერთეული შეცვლილია: დაარქვა ღმერთმა ხმელეთსა **დედამიწა**. საინტერესოა **B** ვარიანტის ჩვენება: აქ განსახილველი ლექსიკური ერთეულის გამოყენების საჭიროებისას პარალელურად ორივე – ძველი და ახალი – ფორმაა წარმოდგენილი ერთმანეთის გვერდით და ე. წ. “ორმაგ თარგმანს” ვიღებთ: შინა პირველად გააჩინა ღმერთმა იგი მცა და იგი **ქვეყანა**, **დედამიწა**. და იგი **დედამიწა**, **ქვეყანა** იყო ცუდი და ცარიელი: 1, 1-2.

უნდა ვიფიქროთ, რომ თარგმანის გამავრცელებლებს, ერთი მხრივ, სურდათ პირვანდელი თარგმანის ერთგულნი დარჩენილიყვნენ, ხოლო მეორე მხრივ, შიშობდნენ, რომ ძველი ფორმა შეიძლებოდა გაუგებარი ყოფილიყო მსმენელებისათვის, და ამიტომ ახალსაც უმატებდნენ. ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს რაბინების შემოქმედებითს მიდგომას ტექსტის გაგების საჭიროებისადმი და იმ გზასაც წარმოგვიჩვენს, თუ როგორ შედიოდა ცვლილებანი ტექსტში.

ცუდი. წინა პუნქტის ბოლო მაგალითში ძველი ქართულისეული მნიშვნელობით არის გამოყენებული ლექსიკური ერთეული **ცუდი** – ილია აბულაძის განმარტებით, “ცალიერი”... ფუჭი.. (აბულაძე, 1973). საინტერესოა, რომ იგი უგამონაკლისოდ დასტურდება ყველა ვარიანტში. ბავშვის მესხიერების მიხედვით დამოწმება ვერაფერი ბედენაა, მაგრამ, ალბათ, მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩემი ბავშვობის მოგონებებში საკმაოდ ცხოვლად არის აღბეჭდილი თბილისელი რაბინის ყიმანიელ დავითაშვილის მიერ წარმოთქმული იგივე წინადადება იმავე ლექსიკური ერთეულით. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, განსხვავებით იმ სამი რაბინისაგან, რომელთაგანაც ჩავწერე თავსილი, იგი აღმოსავლური დიალექტების წარმომადგენელი გახლდათ.

ნათესაობა. ეს ლექსიკური ერთეული საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ ქართულში, რაზეც ცალსახად მიგვითითებს სათანადო დამოწმებათა სიმრავლე ილია აბულაძის ლექსიკონში, სადაც იგი ასეა განმარტებული: ერი, ხალხი, თესლ-ტომი. იგივე მნიშვნელობა ვლინდება ჩვენს თარგმანშიც: ესენი შვილები შემისა თანა-**ნათესაობით** მათითა: 10, 31.

ალბათ, განმარტება არ სჭირდება იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა არსებითად იმავე მნიშვნელობის მქონე ნათესავ ლექსიკური ერთეულისაგან არის მიღებული. ძველ ქართულში არ ჩანს დადასტურებული იმავე მნიშვნელობის მქონე (და, მაშასადამე, ახალი ქართულის გაგებისაგან განსხვავებული) კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც თავსილში მოგვეპოვება: სანათესაო: ესენი **სანათესაო** შვილები ნოახისა თანა-გვარიშვილობაებით მათითა: 10, 32. ვფიქრობთ, ძველი და საშუალო ქართული ენის ლექსიკონებში, რომლებიც მომავალში გამოიცემა, ამ სიტყვამაც უნდა დაიკავოს ადგილი.

დავედრება. ძველ ქართულში ძირითადად ამ სიტყვას განმარტავენ, როგორც “დაბარება, თხოვნა” (იხ. აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 1995). იგი ნახმარია თავსილშიც: და **დაავედრა** ზედა იმისა ფარყო:⁸ 12,20. საინტერესო ის გახლავთ, რომ დედანში თხოვნაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მეფე **უბრძანებს** თავის ქვეშევრდომებს, რომ აბრამსა და მის ცოლს ხელი არ ახლონ. სხვათა შორის, ეს მნიშვნელობა კარგად დანდებია უშუალოდ ივრითიდან შესრულებულ რუსულ თარგმანშიც (Пять книг Торы, 1975): И дал о нем Паро **повеление** СВОИМ ЛЮДЯМ.

სავსებით შესაძლებელია, რომ დავედრება ლექსიკურ ერთეულს ბრძანების მნიშვნელობაც ჰქონდა ძველ ქართულში და იგი გამოვლინდა თავსილში.

ვიდრე დეედაგნა მათ **ვიდრე** ხობამდე: 14,15.

ეს წინადადება რიგი საინტერესო ენობრივი ხასიათის შენიშვნის გაკეთების შესაძლებლობას გვიქმნის:

1. საყურადღებოა ფორმა **ზმნისა** – დეედაგნა, რომელშიც რამდენიმე ფონეტიკური ცვლილებაა მომხდარი: და **ზმნისწინისეული** ხმოვანი **ე**-ს გვაძლევს, როგორც ეს ჩვეულებრივია ქართულ დიალექტებში, შემდეგ კი ხდება დისიმილაცია – **ზმნის** ძირისეული **ე** ხმოვანი **ა**-ს გვაძლევს. ეს ერთ-ერთი იმ რიგის ცვლილება გახლავთ, რომელსაც, ჩვენი აზრით, განაპირობებს ქართველ ებრაელთა მეტყველების⁹ მისწრაფება ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებისგან განსხვავებულობისაკენ (ენოხი, 2005, 180).

⁸ ფარყო = ფარაონი. ქართველ ებრაელთა სიტყვათხმარებაში იგი საკუთარ სახელთან არის გატოლებული და ფორმათწარმოებაც შესატყვისი აქვს – მოთხრობითს ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

⁹ კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ ჯერ კიდევ ვფრთხილობთ ქართველ ებრაელთა მეტყველებას ებრაელთა ენა ვუწოდოთ, როგორც ეს მიღებულია ბუხარელ ებრაელთა მეტყველების, ლადინოს (ესპანეთიდან გამოსულ ებრაელთა მეტყველების) თუ იდიშის (ევროპულ ებრაელთა დიდი ნაწილის მეტყველების) მიმართ. თუმცე კი უკანასკნელ ხანებში ებრაულ ენათა მკვლევართა წრეში შეინიშნება ტენდენცია, აღნიშნულ ტერმინთა გვერდით დამკვიდრდეს ტერმინი “ქართველ ებრაელთა ენა”; ყოველ შემთხვევაში, ასეთი რუბრიკა წარმოდგენილია მრავალმხრივ მნიშვნელოვან წიგნში “სეფარდ და აღმოსავლეთის თემების ებრაელთა ენები და მათი ლიტერატურა”, იერუსალიმში, 2009 *משורר באש, מתיורופי תומה (רשי יוהי תומש)*, რომელშიც სწორედ ამ რუბრიკით გამოქვეყნდა კონსტანტინე ლერნერისა და ჩვენი სტატიები. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი ერთ-ერთი სტატიის რეცენზენტი (რომლის ვინაობაც ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მადლობელი ვართ მისი, რადგანაც პრინციპულად მაღალი შეფასება მისცა სტატიას და გაზა გაუხსნა გამოსაქვეყნებლად) ოდნავ გაჯავრებული ტონით შენიშნავდა, თქვენ, საქართველოდან ჩამოსულებს, მაინც და მაინც გინდათ, თქვენს მეტყველებას ებრაელთა ენა ეწოდოსო. არ ვიცი, რამ განაპირობა მისი გაჯავრება, რადგანაც ასეთი რამ იმ სტატიაში არ ეწერა და, როგორც ვხედავთ, ახლაც ვფრთხილობთ და არ ვიყენებთ ამ ტერმინს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ფრიად ძნელია ზღვარის გავლება, სად გვაქვს ენა და სად გვაქვს დიალექტი; თუმცე კი გასათვალისწინებელია, რომ ებრაულ ენებთან დაკავშირებით ასეთ მკაცრ თეორიულ კრიტიკურ რეაქციებს არ იყენებენ.

2. კონსტრუქცია – **ვიდრე ხობამდე** – თითქმის მთლიანად ძველი ქართულისეულია, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ძველი ქართულის ელემენტთა სიმრავლეს თავსილში.

3. **ხობი**-ს ეტიმოლოგიის შესახებ მსჯელობისას შეიძლება ყურადღებაამისაქცევი იყოს ის გარემოება, რომ ბიბლიური დასახლებული პუნქტის სახელწოდებასთან სამეგრელოს ქალაქის სახელის დამთხვევა იქნებ შემთხვევითი არ იყოს (განა საქართველოში სხვა ბიბლიურ ადგილთა სახელები არ არის გადმოსული?). ჩვენ ამ შენიშვნით არაფრის მტკიცებას არ ვაპირებთ (ეს სპეციალური გამოკვლევის საქმეა), მხოლოდ შესაძლებლობაზე მივუთითებთ.

შეძინება

ეს ლექსიკური ერთეული უაღრესად საინტერესო მნიშვნელობებს გვიჩვენებს თავსილში.

ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი გაგება ამ ზმნისა არის დამატება, შეერთვა, შეერთება, მაგრამ განსახილველ თარგმანში წარმოჩნდება დამატებითი ნიუანსი – მიცვალებულთა კრებულთან შეერთება, ანუ გარდაცვალება. ასეა, მაგალითად, მომდევნო წინადადებაში, სადაც სიკვდილის პირას მყოფი იაყაკობი¹⁰ მიმართავს თავის შვილებს: მე **შევეძინები** იმათ ერსა ჩემსა: 49,29. თარგმანის გადმოცემითათვის ნათელია, რომ ეს მნიშვნელობა შეიძლება გაუგებარი იყოს მსმენელთათვის, ამიტომ პარალელურ თარგმანსაც ურთავენ: **შევეყრები** იმათ ერსა ჩემსა. რამდენიმე მუხლის შემდეგ უკვე იაყაკობის გარდაცვალების ამბავია მოთხრობილი და ამჯერად აღარ არის დამატებითი თარგმანი, რამდენადაც იგულისხმება, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა უკვე განმარტებულია: და **შეეძინა** იმათ ერსა მისა.

სოლომის განადგურების წინ ანგელოზები ურჩევენ ლოტს თავისი ოჯახი განაშოროს იქაურობას, რათა არ დაიღუპონ – არ შეემატონ ღვთის რისხვის მსხვერპლთა რიცხვს, ანუ თარგმანისეული წინადადებით: არამც **შეეძინონ** შინა ბრალითა იმათ ქალაქსა: 19,15. ამჯერადაც მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ ყველა მსმენელს შეიძლება არ ესმოდეს ძველი მნიშვნელობა ამ სიტყვისა

ამ საკითხთან დაკავშირებით უეჭველად აღსანიშნავია, რომ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ებრაელები შედარებით კომპაქტურად სახლობდნენ, შექმნილი იყო სპეციალური ტერმინები მათი მეტყველების მისანიშნებლად: “ურიული”, “ვიერული” (“ყვეერ” ებრაელს ნიშნავს ივრითზე და ქართულ ვარგონში ყივერ სახით არის გადმოსული); ქუთაისში დამატებითი ტერმინიც კი არსებობდა – “ზეითქუჩური” (ზეითქუნას ეძახდნენ იმ უბანს – ყოფილ შაუმიანის ქუჩასა და მის მიდამოებს, სადაც ქუთაისელ ებრაელთა დიდი ნაწილი სახლობდა). ამ მიმართებით, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ არის საკვლევი, თუმცა კი იმის გამო, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებისა და კულტურის შესწავლას თავის დროზე ვერ მიექცა ყურადღება, ახლა უკვე ბევრი რამ არის უკვალოდ დაკარგული (არა მგონია, რომ დღეს თუნდაც აღნიშნულ ტერმინებს იყენებდეს ვინმე ებრაელთაგან თითქმის დაცარიელებულ რეგიონებში).

¹⁰ ესაა ებრაელი ხალხის ერთ-ერთ მამად წოდებული პერსონაჟის სახელი თავსილში და, საერთოდ, ქართველ ებრაელთა წრეში.

და დართულია დამატებითი თარგმან-კომენტარი: და **მოისპონ**. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია ლექსიკურ ერთეულს ჰქონია დამატებითი ნიუანსიც – მიცვალება, მიცვალებულთა კრებულთან შეერთება. მომავალი კვლევა გვიჩვენებს, რამდენად იყო გავრცელებული ასეთი მნიშვნელობა ძველ ქართულში. ერთი რამ ნათელია – მკვლევარებმა ასეთი შესაძლებლობა მხედველობაში უნდა მიიღონ.

[წა(რ)]მართება

თავსილში ეს ზმნა გამზადების მნიშვნელობით არის გამოყენებული: და **წამართეს** იგი ძვენი ვიდრე მოსვლასა იოსეფისა ნაშუადღევსა: 43,25. პრინციპულად ეს მოულოდნელი არ არის – ილია აბულაძეს ამ ზმნის მნიშვნელობათა შორის შეაქვს “გამართვა” (აბულაძე, 1973).

მოქმედებითში მდგარი უზმნისწინო ფორმა ამ ზმნისა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თავსილში და აქვს მოპირდაპირე-ს გაგება: და ადამიანსა ვერ უპოვნა მომხმარო **მართებით** მისა: 2,20 (მღრ დედნისეული წინადადება: **𐌕𐌆𐌆𐌆 𐌗𐌄 𐌆𐌆𐌆 𐌆𐌆 𐌆𐌆𐌆**).

დასკვნის მაგიერ:

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ძველი ქართულის იმ ლექსიკურ ერთეულთა სიის განგრძობა (გარყვნა, განსჯა, შემოქცევა და სხვ.), რომლებიც თავსილშია წარმოდგენილი, მაგრამ მთავარი, ვფიქრობთ, ნათელია: თავსილი მრავლად წარმოაჩენს ამ ლექსიკას და რიგ შემთხვევაში ახალი ნიუანსების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობასაც გვიქმნის.

მცირე დამატება:

საყურადღებოა, რომ თავსილში ვეფხისტყაოსანში გამოყენებულ საინტერესო ლექსიკურ ერთეულთა პარალელებიც ვლინდება. ამჯერად მხოლოდ ორ მათგანს წარმოვადგენთ:

ქმრობა

ონანისადმი იეუდას ცნობილი მიმართვა ასეა წარმოდგენილი თავსილში: მიდი იმათ ცოლსა ძმის შენისას და **დექმრე** მას: 38,8.

თავსილში ამ ზმნის საწყისის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაც არის წარმოდგენილი: და ის დარქმეული **ქმრობითა**: 20,3 (ქმრობა → ქრობა).

ბუნებრივია, რომ ამ ფორმებთან დაკავშირებით მყისვე გვაგონდება ვეფხისტყაოსნის ცნობილი ტაეპი:

“თუ შენ შენ ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ **ვექმარები**”: 1466,4.

როგორც ჩანს, ვეფხისტყაოსნის შექმნის ეპოქაში ან უფრო ადრეც ენიანი ვნებითის ფორმები ამ ზმნისა ჩვეულებრივი იყო სიტყვათხმარებაში.

გაკვირდება

ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ უმშვენიერეს სტროფში ვკითხულობთ ავთანდილთან დაკავშირებით:

მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,

ისმენდიან, **გაჰკვირდიან**, რა ატირდის, ატირდიან: 964, 2-3.

თავსილში დადასტურებულია ამ დონიანი ვნებითის პირველი სერიის ფორმა: არ **გაკვირდება** იმის უფლისაგან საუბარი: 18, 14. წინადადება სახეცვლილად არის წარმოდგენილი **B** ვარიანტში, მაგრამ ზმნის ფორმა ისეთივე სახით ვლინდება: **გაკვირდება** ჩემგანა საიდმე საუბარი?¹¹ რაბინი ელიშაყაშვილი, როგორც ჩანს, არ იყო დარწმუნებული, რომ ეს ზმნა (და, საერთოდ, წინადადება) გასაგებია მსმენელთათვის, და ამიტომ მყისვე დაურთო კომენტარიც: რაიმე სიკეთე არ შემიძლია გავაკეთო?

ეს განმარტება ახლოა ამ წინადადების სახეობასთან, რომელიც ოშკის ბიბლიაში არის წარმოდგენილი: ნუუკუე **შეუძლებელ არსა** ღმრთისა თანა სიტყუაჲ. მცირეოდენი ცვლილებებით წინადადება იმავე სახით არის დადასტურებული სხვა ძველ ქართულ რედაქციებშიც (AS, SB). რაც შეეხება ბიბლიის თანამედროვე თარგმანს (1989), აქაც არ არის **გაკვირება** ზმნის ფორმა. იგი არ არის წარმოდგენილი არც ისრაელში შესრულებულ ერთ-ერთ თანამედროვე ქართულ თარგმანში (მამისთ., 1985), სადაც ვკითხულობთ: განა უფალს გაუჭირდება რამე; მეორე თარგმანში კი (დავიდ, 1996) ახალი ქართულისათვის საგსებით შესატყვისი შედგენილშემასმენლიანი კონსტრუქცია გვაქვს ამ ზმნის მიძლეობის ბაზაზე: რა არის უფლისაგან გასაკვირველი.

ნათელია, რომ ვეფხისტყაოსანი და თავსილი დგანან ერთად **გაკვირდება** ზმნის (დონიანი ვნებითის ერთპირიანი ფორმის) გამოვლენის თვალსაზრისით.

თავსილში მრავლად გამოვლენილ თავსებურ ზმნურ ფორმათაგან ყურადღებას იპყრობს დონიანი ვნებითის კიდევ რამდენიმე საკმაოდ უჩვეულო ფორმა: 1. **დანატრდა**: შეხემი, შვილი ჩემი, **დანატრდა** სულით მისითა შინა ქალიშვილსა თქვენსა: 34, 8. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, **და** ზმნისწინით ეს ზმნა სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს (თუმც ჩვეულებრივია ქართველ ებრაელთა მეტყველებაში), სადაც **შე** ზმნისწინიანი ფორმაა გაბატონებული (გავისხენოთ “კაკო ყაჩაღის” “თითქოს **შენატრდა** იმას მეურმე”). 2. **დავიწყდება**: არ **დავიწყდება** ყოველი იგი სიმაძღრე შინა ქვეყანასა მიცრაიმისას¹²: 41, 30. ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანთაგან მხოლოდ დავიდი იყენებს იმავე ფორმას (იქნებ, უნებლიე გავლენით თავსილისა, რომელსაც მთარგმნელი შალომ დავითაშვილი – ვაჟი საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ რაბინ ყიმაანუელ დავითაშვილისა – ყრმობიდანვე იცნობს). 3. **დაპატიმრდეს**: ძმა თქვენი ერთი **დაპატიმრდეს** სახლსა საპატიმროსა თქვენსა: 42,19. 4. **დამგლოვდა**: და **დამგლოვდა** ზედა შვილსა მისა: 37,34. ამ ფუძისაგან ან საშუალის ფორმები გვაქვს (გლოვობდა, იგლოვა), ან მიძლეობის ხე-

¹¹ თხრობითის ნაცვლად კითხვითი წინადადება გვაქვს, უარყოფითი ნაწილაკი აღარ არის, თხრობა პირველ პირშია წარმართული (უფლის სახელით) მესამე პირის ნაცვლად, დამატებულია ლექსიკური ერთეული **საიდმე**, რომელიც, ალბათ, ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

¹² მიცრაიმი = ეგვიპტე.

ლახლა გაზმნავებით მიღებული ვნებითი (დამგლოვიარდა). ყველა ეს ფორმა დიდად საინტერესოა ქართული ენის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, რამდენადაც ნათელყოფს ვეფხისტყაოსნისეული **გაკვირ-დიან** რიგის ფორმათა განვითარების გზას.

და ისევ უნდა დავასკვნათ, რომ თავისი მონაცემები უმჯეველად საყურადღებოა ქართული ენის ისტორიის შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, “მეცნიერება”, 1973.

განმარტებითი, 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

დავიდ, 1996 – მოშეს ხუთწიგნეული, ქართული თარგმანითურთ, თარგმანი და რედაქცია შალომ დავიდისა, თელ-ავივი, 1996.

ენოხი, 2005 – היוזר יהודה לך רובידין ששל לך תודחיו תונכות רפסמ ,ךון אובור 2005 ו"שח לכו 2 ,לארש תשרו ,הזנב-יסיאת וזו יהודה לך רובידין ששל

(რეუვენ ენოხი, ქართველ ებრაელთა მეტყველების რამდენიმე განსაკუთრებული თავისებურება ქუთაის-ბანძის რეგიონის ქართველ ებრაელთა მეტყველების მიხედვით, ებრაული მემკვიდრეობა, 2, 2005)

ენოხი, 2007 – რეუვენ ენოხი, ძველი ქართულის ელემენტები “თავსილში”, 1. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები”: ქართველოლოგი, №14, 2007, გვ. 44-68.

ენოხი, 2008 – תאצאה ,תישאר :א .הרתל היוזר יהודה לך תרוסמה הוגרתה .ליבת מ' 290 ,ח"שח ,כח ושל ו הע' .םילשויר הירעה הטיסרבינוה סגאמ ש"י ש"ע (თავსილი. ქართველ ებრაელთა ტრადიციული თარგმანი თორისა. ა. ბერეშითი, გამომცემლობა “მაგნესი”, იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტი, 2008 წელი, 292 გვ.)

ენოხი, 2009 – ,טח ,ושלו הע' ,ךון אובור מאמ ,תישאר רפסל 'ליבת ה'ינויע תש"ס ט' סגאמ הטיסרבינוה הירעה ב'שויר' ,ם' 292 ע'מ' תאצאה תרפ"ע ש"י

(დაკვირვებანი თავსილზე ბერეშითის წიგნის მიხედვით, გამომცემლობა “ მაგნესი”, იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტი, 2009 წელი, 292 გვ.)

მამისთ., 1985 – მოშეს ხუთწიგნეული, ივრითიდან ქართულად თარგმნეს აბრამ მამისთვალოვმა, თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილმა და გერშონ ბენ-ორენმა (წიწუაშვილმა), იერუშალაიმი, 1985.

სარჯველაძე, 1995 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.

თორა, 1978 – Пять книг Торы, Русский перевод Давида Йосифона, йырушалаим, 1978.

Reuven Enoch (Ruben Enukashvili)

**The Ariel University Center of Samaria and the Harry S. Truman
Institute for the Advancement of Peace, Jerusalem**

Old Georgian Words in *Tavsili*

Tavsili is the Traditional oral Translation of the Torah of the Georgian Jewish Community. It has been transferred from generation to generation and has been preserved for about Thousand years with high fidelity to the original source of translation. *Tavsili* has never been committed to writing, and Rabbis in Georgia memorized it diligently and strived to pass it down accurately.

Tavsili was probably created by the 11-th or 12-th century, CE, as can be proved by historical and linguistic data. The three versions of *Tavsili* show a common concern of the informants to conserve the “old Georgian” forms.

Though *Tavsili* preserves many characteristics of ancient Georgian (see my article: “Elements of old Georgian in the *Tavsili*”).

I analyses in the present paper vocabulary of *Tavsili*, especially the ancient Georgian words that are reserved in the text. For example: *ramety* (“because”), *šaikca* (returned), *kueqana* (“earth”), *daekmros* (“he will be her husband), etc.

რეზუმე ენოხი (რუმან ენუქაშვილი)

ისრაელი, არიელის საუნივერსიტეტო
ცენტრი შომრონში და იერუშალაიმის ებრაული
უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის ინსტიტუტი

**მცირე შენიშვნა ერთი ძველი ქართული ტერმინის გან-
მარტვისათვის – “დაბეჭდული”**

ცნობილია, რომ ძველ ქართულ ენაში არსებობდა სპეციალური ტერმინები ე. წ. კანონიკური წმინდა წიგნებისა და არაკანონიკურ წიგნთა აღსანიშნავად. დიდმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ მიუთითა ამ ტერმინების გამოყენების შესახებ ქართველ მწერალთა და საეკლესიო მოღვაწეთა მიერ: “ჩვენი მწერლობის პირველ-სავე პერიოდში ჩვენებს შეგნებული ჰქონიათ – რა არის **კანონიკური** და **არაკანონიკური** წიგნები. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა “ახლისა შჯულისა **დაბეჭდული წიგნნი** ზეპირით იცოდნა¹ და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი², არამედ **დაუბეჭდველნი** წმიდათა მოძღვართა თქუმულნი აღურაცხელნი³ წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ერთ მისითა.”⁴ ამასთანავე კ. კეკელიძე ყურადღებას ამახვილებს მეათე საუკუნის ერთ სინურ ხელნაწერზე, “სადაც ჩამოთვლილია **“დაბეჭდული”**⁵ (ხაზგასმა სამივე შემთხვევაში ჩემია – რ. ე.) წიგნნი ძველისა და ახალი აღთქმისა”⁶.

ტერმინები **კანონიკური** და **არაკანონიკური** ბერძნულ სიტყვა **κανών-ს**⁷ ეყრდნობა და არსებითად ერთადერთია ამ შინაარსის გამოსახატავად – წიგნები, რომლებიც აღიარებულია წმინდა წიგნებად. კ. კეკელიძის მიერ მოხსენიებული ძველი ტერმინები დავიწყებას მიეცა. ი. აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში”⁸ ცალკე სალექსიკონო სტატიად შესულია მიძღვობური ფორმა “დაბეჭდული, დაბეჭდილი”, მაგრამ მის განმარტებათა შორის არ არის შეტანილი მითითებული მნიშვნელობა “კანონიკური”. დამოწმებულ ნიმუშთა შორის წარმოდგენილია ესაიას წინასწარმეტყველების ერთი წინადადების ფრაგმენტი: “ვითარცა

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომში შესულ გამოცემაში დაბეჭდილია: იცნოდნა (გვ. 282).

² გამოცემაშია: შჯულისანი (იქვე), რომელსაც წერტილი მოსდევს.

³ გამოცემაშია: აურაცხელნი.

⁴ კეკელიძე, ქართული, გვ. 426.

⁵ ხელნაწერში წარმოდგენილი ყოფილა ფორმა “ბეჭდული”.

⁶ იქვე.

⁷ ებრაულ სამეციერო ლიტერატურაში არსებობს დაშვება, რომ შესაძლებელია ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად ივრითის **קנה** (kane) სახელს უკავშირდებოდეს, რომლის ლიტერატურული განმარტებაა თხზულების ხარისხიანობის შემოწმება: სეგალი, 3, გვ. 810.

⁸ აბულაძე, ძველი, გვ.105.

სიტყუანი წიგნისა **დაბეჭდულისანი**: 29,11. ებრაულ დედანში კვითხულობთ: **וַיִּקְרָא יְהוָה אֶת־שְׁמֵוֹ**, რასაც ზუსტად შეესატყვისება ქართული თარგმანი, მაგრამ, ცხადია, აქ ლაპარაკი არ არის რაიმე წიგნის კანონიკურობაზე, არამედ დაბეჭდილ,⁹ ი. აბულაძის მართებული განმარტებით, “დაკრძალულ” წიგნზე. ესაა განსახილველი სიტყვის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა.¹⁰ ზურაბ სარჯველაძეს “დაბეჭდვა” ლექსიკური ერთეული შეაქვს თავის “ძველი ქართული ენის ლექსიკონში”, მაგრამ საჭიროდ არ თვლის მის განმარტებას, რამდენადაც ივარაუდება, რომ მისი მნიშვნელობა გასაგებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **დაბეჭდულ** სიტყვის ზუსტად განსაზღვრულ სპეციფიკურ ტერმინად ჩამოყალიბების პროცესი ჩვენ თვალწინ ხორციელდება.

ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა ეს გადასვლა-დაკონკრეტება მნიშვნელობისა? მოვიგონოთ ზურაბ სარჯველაძის მართებული შენიშვნა: “ქართული ენის სტრუქტურისა და განსაკუთრებით ქართული ლექსიკის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართველი მწერლების, მეცნიერების, მთარგმნელებისა და გადამწერების შენიშვნებს, რომლებიც საკმაოდ გვხვდება IX–X საუკუნეთა ძეგლებში, მაგრამ ძალზე ხშირია XI–XII საუკუნეთა წყაროებში”.¹¹ მკვლევარს მოჰყავს მრავალრიცხოვანი მაგალითები იმისა, როგორი მონდომებით ცდილობდნენ ქართველი მოღვაწენი ეპოვათ უცხოური სიტყვებისა და ტერმინების, რა გასაკვირია, განსაკუთრებით, ბერძნულის, ქართული შესატყვისები და, თუ ვერ აღმოაჩენდნენ მათ, მხოლოდ მაშინ ტოვებდნენ უცხოურს.¹² ვფიქრობთ, ამგვარი ძიების ნაყოფია “გამოჩხრეკა” ტერმინებისა **დაბეჭდილი** და **დაუბეჭდველი**.

წმინდა წიგნების კანონიკურად აღიარების პროცესი ებრაულ სამყაროში დაიწყო – იქ, სადაც შეიქმნა ძველი აღთქმა.¹³ ეს არის ძველი აღთქმის ნაწილების წმინდა წიგნებად გამოცხადების პროცესი, რომელიც ებრაულად ცნობილია სახელწოდებით **שׁוּרְשֵׁי הַתּוֹרָה**, სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანით – “წმინდა წიგნების **დაბეჭ-**

⁹ სულ მცირე ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ჩემი ლექცია-საუბრისას პროფ. რ. ქურდაძემ მომაგონა ერთი ქალაქური სიმღერის სტრიქონი: “დაბეჭდილი წერილი მოდის საყვარლისგანა”, სადაც იგივე მნიშვნელობა დასტურდება ამ სიტყვისა, რაც ესაია წინასწარმეტყველების დამოწმებულ ფრაგმენტში.

¹⁰ სარჯველაძე, ძველი, გვ. 55.

¹¹ სარჯველაძე, ქართული, გვ. 201.

¹² იქვე, გვ. 201-232.

¹³ მოკრძალებით გვინდა შევნიშნოთ, რომ დასაზუსტებელია ძველი აღთქმის წიგნთა შექმნის დათარიღება, რომელსაც კ. კეკელიძე გვთავაზობს. იგი წერს, რომ ბიბლიაში წარმოდგენილია “22 ძველი აღთქმის წიგნი, რომლებიც დაწერილი არიან ებრაულ ენაზე დაახლოებით IX საუკუნიდან (ძველი წელთაღ.) მესამემდე (ახალი წელთაღ.)”. ახლა ებრაული ძველი აღთქმის მკვლევართა შორის საბოლოოდ აღიარებულია, რომ მოსე წინასწარმეტყველმა შექმნა ამ კრებულის პირველი წიგნი, თუ მთლიანად არა, უდიდესი ნაწილი მაინც (სწორედ ამიტომ უწოდა მას ქრისტიანულმა ტრადიციამ **მოსეს ხუთწიგნეული** ებრაული შუი ან შუი შუიი **הַחֲמִישָׁה**–ს კვალად). მაშასადამე, იგი დაწერილია დაახლოებით ძვ. წ-ით მე-13 საუკუნის შუა ხანებში (იხ.: ებრაული ენციკლოპედია, ტ. 24, სვ. 287).

დგა¹⁴ ან სხვაგვარად შოიჲ ოჲო თოშოჲი – სიტყვასიტყვითი თარგმანით – წიგნების გაწმინდალება (წმინდა წიგნებად აღიარება). “ძირითადი საზომი წიგნის სიწმინდისათვის იყო, გამოითქვა (შეიქმნა – რ. ე.) თუ არა იგი სულიწმინდით”.¹⁵

ვფიქრობთ, სავსებით დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ რომელიმე ქართველმა მწიგნობარმა, რომელიც ქართულ შესატყვისს ეძებდა ბერძნული “კანონ” სიტყვისათვის, იცოდა ებრაული და გაითვალისწინა ებრაული קַנּוֹן (“დაბეჭდვა”) სიტყვისათვის მინიჭებული მნიშვნელობა კანონიკურად, წმინდა წიგნად გამოცხადებისა, ამ სიტყვის ჩვეულებრივ მნიშვნელობათა გვერდით, რომელიც ზემოთ დამოწმებულ ესაია წინასწარმეტყველების ფრაგმენტშიც გამოჩნდა, და ზუსტად იგი გამოიყენა ქართულისთვისაც.

ამასთან დაკავშირებით გვინდა დავაყენოთ ერთი საკითხი, რომელიც “არ ახალია”, მაგრამ სათანადო ყურადღება ჯერაც ვერ მოუხვეჭია.

სანამ მასზე მსჯელობას შევუდგებოდეთ, ებრაულ-ქართული კავშირების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში ვნახოთ: ქართული ტრადიციით, რომელიც უკვე ოშკის ბიბლიაშია წარმოჩენილი, სოლომონ ბრძენისეულად ჩათვლილ სიყვარულის უმშვენიერეს საგალობელს (მორწმუნეთათვის კი ღმერთისადმი სიყვარულის გამჟღავნებას) “ქებათა ქება” ჰქვია (ებრაულად¹⁶ דְּרוֹשׁ הַיָּשׁ). ბერძნულ თარგმანში ძველი აღთქმის ამ წიგნის სათაურია Ασμα, რომელსაც “გალობის” მნიშვნელობა აქვს და არა ქებისა; ებრაული კომენტარებით კი ეს არის ნაქები ლექსთა შორის,¹⁷ რაც უკვე ონკელოსის არამეულ თარგმანში (სავარაუდოდ, მეორე საუკ. ჩვ. წელთაღ.), რომელიც ებრაელებისათვის იყო შესრულებული, გადავიდა დაახლოებით იმავე მნიშვნელობით, რაც ქართულშია, ანუ, სხვაგვარად, მახვილი გადატანილია ქება-ზე. ამგვარ გააზრებას, რა თქმა უნდა, ალევორიულად გაგებულ შინაარსიც უწყობდა ხელს, რომ ეს არის ღვთის შესხმა მორწმუნის მიერ. რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია, ქებათა ქების ქართველი მთარგმნელი იცნობდა ებრაულ სამყაროში არსებულ კომენტარებს და იაზრებდა მათ ამ რთულად სათარგმნელი სათაურის გადმოტანისას.

¹⁴ იქვე, სვ. 286-288.

¹⁵ სეგალი, იქვე, გვ. 825. საინტერესოა წარმოდგენილი ციტატის გაგრძელება: “და, რაკი სწამდათ, რომ სულიწმინდამ ისრაელი დატოვა სპარსეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, დაადგინეს, რომ იმ წიგნებს, რომლებიც ამის შემდეგ დაიწერა, ე. ი. აღექსანდრე მაკედონელის დღეების შემდეგ, არა აქვთ სიწმინდე”.

¹⁶ “შირ ჰაშირიმის” ქართულ თარგმანებს ახალგაზრდა მკვლევარმა ეკა ნავროზაშვილმა უძღვნა მშვენიერი გამოკვლევა (სადისერტაციო ნაშრომი), რომლის ცალკეული ნაწილებიც გამოქვეყნდა რამდენიმე სტატიის სახით, მაგრამ სასურველი იქნებოდა ნაშრომი ცალკე წიგნის სახით ეხილა მკითხველს.

¹⁷ ძველი აღთქმის ენციკლოპედია, ტ. 7, სვ. 645.

და, აი, მივადექით ჩვენს მთავარ ორმხრივ სათქმელს (რომელიც, სხვათა შორის, უკვე გამოვთქვით ისრაელში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ჩვენს გამოკვლევაში¹⁸):

1. ჩვენი ღრმა რწმენით, ძველი ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი ძველი ალექსის თარგმანების მკვლევრებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოში მოსახლე ებრაელთა (აღბათ, უფრო მეტად, პროზელიტთა – სჯულგამოცვლილთა) მონაწილეობას ძველი ალექსის წიგნთა თარგმნის პროცესში და იმ შესაძლებელ გავლენას, რომელიც მათ შეეძლოთ მოეხდინათ ამ თვალსაზრისით. როგორც ითქვა, ეს საკითხი ახალი არ არის, მასზე თავის დროზე საკმაოდ მსჯელობდნენ კ. კეკელიძე¹⁹ პ. ინგოროყვა²⁰ უკანასკნელ ხანებში მასთან დაკავშირებით ახალი მოსაზრებანი გამოაქვეყნა იერუსალიმში კ. ლერნერი²¹ ჩვენც ვფიქრობთ, რომ თუნდაც წინამდებარე მცირე შენიშვნები კიდევ ერთხელ გვაგარაუდებინებს ამგვარ მონაწილეობას და მისი შეძლებისდაგვარად უკეთ შესწავლის აუცილებლობას.

2. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ალექსის თარგმანების სპეციალისტები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ ტექსტების ქართულ, განსაკუთრებით ძველ ქართულ, თარგმანებს, რომელთაც სიძველით ვერცთუ ბევრი თარგმანი გაუტოლდება. ამის საჩვენებლად თუნდაც იმ გარემოების აღნიშვნაც იკმარებდა, რომ ძველი ალექსის ენციკლოპედიაში, რომელშიც ვრცელი (თითქმის ასგვერდიანი) სტატია ეძღვნება ტექსტების თარგმანებს, ნახსენებიც კი არ არის ქართული თარგმანები, არც მათი შემქმნელნი თუ თარგმნის დრო, რაც, რა თქმა უნდა, აღარიბებს მსჯელობას ამ თარგმანების შესახებ. რასაკვირველია, ეს მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ სტატიის ავტორებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ქართული თარგმანების თაობაზე (თუმც კი რ. ბლეიკის, ჟ. გართისა და სხვ. გამოკვლევები ევროპულ ენებზეა გამოქვეყნებული). ეს კი, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ქართველმა მკვლევრებმა უნდა სცადონ დროდადრო პირველხარისხიან ევროპულ ჟურნალებში გამოაქვეყნონ ახალ ძიებათა შედეგებიც და შემაჯამებელი ხასიათის მასალებიც ქართული ბიბლიური ტექსტების თაობაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს “დაბეჭდულ” ბიბლიურ წიგნებს შორის ქართული ტექსტებიც მოიხსენიებოდეს.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე, ძველი = ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ებრაული ენციკლოპედია = ებრაული ენციკლოპედია 30 ტომად, ტ. 24, იერუსალიმი-თელ-ავივი, 1972 (ივრითზე).

¹⁸ ენოხი, თეპილიმი, გვ. 11.

¹⁹ კეკელიძე, მოქცევაჲ, გვ. 27-76.

²⁰ ინგოროყვა, ქართული, გვ. 116.

²¹ ლერნერი, თხზულება, გვ. 51.

ენოხი, თეპილიმი = რეუვენ ენოხი, თეპილიმის (= ფსალმუნთა) ქართული თარგმანები ებრაელებისა და ქრისტიანებისათვის, თეპილიმი, მასალები ისრაელის მემკვიდრეობის განყოფილების პირველი კონფერენციისა, იეუდასა და სამარიის აკადემიური კოლეჯი, ისრაელის მემკვიდრეობის განყოფილება, არიელი, 2006 (ივრიტზე).

ინგოროყვა, ქართული = პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, მნათობი, №4, 1939.

კეკელიძე, მოქცევაჲ = მოქცევაჲ ქართლისაჲს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1956.

კეკელიძე, ქართული = კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.

ლერნერი, თხზულება = კ. ლერნერი (მთარგმნელი), თხზულება “ქართლის მოქცევაჲ”. ისტორიულ-ენათმეცნიერული გამოკვლევა, თარგმნა ქართულიდან და შესავალი და შენიშვნები დაურთო კ. ლერნერმა, იერუსალიმი, 2003.

სარჯველაძე, ქართული = ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე, ძველი = ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

სეგალი, 3 = მ. ც. სეგალი, ძველი აღთქმის შესავალი, 9 ტომად, ტ. 3, იერუსალიმი (ივრიტზე).

ძველი აღთქმის ენციკლოპედია = ძველი აღთქმის ენციკლოპედია 9 ტომად, ტ. 7, იერუსალიმი, 1976 (ივრიტზე).

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1964.

Reuven Enoch (Ruben Enochashvili)

**The Ariel University Center of Samaria and the Harry S. Truman
Institute for the Advancement of Peace, Jerusalem**

A NOTE ON THE COMMENTARY OF THE ANCIENT GEORGIAN TERM “(DA)BECHDULI”

It is widely known that there were special terms in the Ancient Georgian denominating Canonical and non-Canonical books. Korneli Kekelidze, a notorious Georgian scholar, noted the usage of these terms by the Georgian writers and clerics: the Life of Grigol Khandzteli tells us that Grigol “new by heart **printed/sealed (dabechdulni)** books of the new testament and the Old Testament, as well as **unprinted/unsealed (daubechdvelni)** preaching of many saint fathers.” In addition, Korneli Kekelidze point out one sinuri manuscript from the 10th Century, which “contains **printed/sealed (dabechdulni)** books of the Old and New Testaments (in all three cases bold highlights are mine – R.E.).

The terms **canonic** and **non-canonic** derive from the Greek **κανών** and denominate the books, which are traditionally regarded as the holy books. The above terms pointed out by Kekelidze have not been in use lately.

According to the definitions in the Ancient Georgian dictionaries, formation of **dabechduli** to an exactly defined term is occurring as we speak. He shows numerous examples of zealous attempts of Georgian scholars to find Georgian equivalents of foreign, especially Greek, terms. The usage of **dabechdili** and **daubechdveli** must be results of this process.

The process of the canonization of certain parts of the Old Testament begun in the Jewish world and is called ספרות הקודש, or “**sealing** of the holy books”. An alternative term ספרות הקודש – “holification of the holy books” – is also used in some cases.

It is plausible that a Georgian scholar seeking the Georgian equivalent of **canon** knew Hebrew and the usage of סתימה (sealing) in reference to the canonisation of the holy books.

In conjunction with the above I would like to draw attention to an aspect, which is not completely new but certainly is not sufficiently studied.

But before discussing this issue let’s talk over one important example of Georgian-Hebrew cultural relationships: According to the Georgian tradition, dating back to the Oshki Bible, Song of Songs of King Solomon (שיר השירים in Hebrew) is translated as qebaTa qeba (or Praise of Praises). The Greek name of the book is **Αγμα**, which means gospel, while Jewish commentators point out that the book is the praised of all songs/poems. The Aramaic translation by Onkelos (c. 2nd Century AD) performed for Jews carried the name in approximately the same sense as in Georgian, stressing praise. The religious-allegoric understanding of the book as praise to the Lord explains this translation. Hence it is likely that the Georgian translator was aware of the Jewish commentary and translated the name of Song of Songs accordingly.

And now about the main issue:

1. Researchers of the Ancient Georgian literature, mainly those studying the translations of the holy books, should pay greater attention to the potential contribution of Georgian Jews, especially converts, to the translations.

2. It should also be noted that researchers of the translations of the Old Testament frequently neglect the Georgian, especially the Ancient Georgian, translations, which have few peers when it comes to age. This means that Georgian scholars have to attempt to publish the results of their newest studies, as well as summary papers on Georgian Biblical texts, in the leading European journals to elevate the status of the Georgian translations in the discussions about the “sealed” holy books.

**სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 41
ხელნაწიერი დაცული
მათეს სახარების ტექსტისათვის**

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 41-ე ნომრით ინახება ქართული ოთხთავის ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც 1948 წელს მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის გადაუცია სოფ. ტვიბერის (ცხუმარის თემი) მკვიდრს, გიორგი ქაღდანს. X საუკუნით დათარიღებული სახარების ეს ნუსხა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტვიბერის ოთხთავის სახელით არის ცნობილი¹ და, მიუხედავად სიძველისა, სახარების ქართული თარგმანების მკვლევართა ყურადღების ცენტრში დღემდე არ მოხვედრილა².

ხელნაწერი პირველად აღწერა და X საუკუნით დათარიღა ელ. მეტრეველმა. მანუსკრიპტს X საუკუნეში გადაწერილად მიიხნევს პ. ინგოროყვა,³ თუმცა, ჩვენი აზრით, ხელნაწერის პალეოგრაფიული მახასიათებლები მისი XI საუკუნით დათარიღების საშუალებასაც იძლევა.

ნუსხური ანბანით ეტრატზე შესრულებული სახარების ტექსტი ერთ სვეტად არის ნაწერი. ხელნაწერი ჩასმულია ტყავგდაკრულ ხის ყდაში, ნუსხა საკმაოდ დაზიანებულია, ალაგ-ალაგ ნესტისაგან გაშავებულია ფურცლები. ამჟამად მასში სულ 62 ფურცელია, რომელთაგან ერთი (1r-v) დაუწერელია.

ხელნაწერი შეიცავს მათეს, მარკოზის და ლუკას სახარებების ტექსტს ნაკლები სახით. მათეს სახარების ტექსტს მისი პირველი 9 ფურცელი (2r-10r) უჭირავს, კერძოდ: ერთ ფურცელზე (2r-v) შემონახულია ფრაგმენტი მათეს XIV და XV თავებიდან (fr.I-მათ.14,30-15,14), ხოლო მომდევნო 8 ფურცელზე (3r-10r) წარმოდგენილია მათეს სახარების XXVI-XXVIII თავები (fr.II-მათ. 26,24-28,20).

მანუსკრიპტს ახასიათებს თავისებური ორთოგრაფია, კერძოდ: თანხმოვანფუძიან სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად ნაცვლად -ი-სა, იხმარება -ჲ, (*მაგდანელჲ, კაცჲ, მწყემსჲ, მღვდელთმოძღუარჲ და მისთ...*); სისტემატურად ენაცვლება ერთმანეთს ო და უ გრაფემები (*ურგულნო, მუწაფეთა, ათურმეტთა, ყუფად, უწუდა, არწმონეს, ცულმან, გარდაავურვა, თუელი და სხვ.*); მოშლილია ც-ს ფუნ-

¹ პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ.4, თბ.,1978, გვ.343.

² ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფმა, რომელსაც პროფ. ზ. სარჯველაძე ხელმძღვანელობდა, მოიძია და შეისწავლა ოთხთავის რამდენიმე ათეული ხელნაწერი, რომელთა დიდი ნაწილი აქამდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის ობიექტი. მათ შორისაა მესტიის მუზეუმის № 41 ხელნაწერიც.

³ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი გვ. 343.

ქცია (დღემდელს, დღითითდღელს, მისატევებზლად, მდგომარზნი, გვწინაწარმეტყუელს ჩუენ, ქრისტეს; ჟამამდელს, მოიმოწაფზნი და მისთ); გადამწერი უგამონაკლისოდ ყველგან ქარავმის გარემუწერს უკთუ. პალეოგრაფიულად ტექსტი ერთგვაროვანია, მთელ ტექსტში გამოყენებულია ერთნაირი პუნქტუაციური და განკვეთილობის ნიშნები. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერი წიგნი ერთი პირის მიერ უნდა იყოს გადაწერილი.

ამ ფონზე მით უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათეს სახარების შემორჩენილი ორი ფრაგმენტი (fr.I-2r-v და fr.II-3r-10r) რედაქციულად განსხვავებული აღმოჩნდა ერთმანეთისაგან, კერძოდ, ფრაგმენტი, რომელიც მოიცავს მათე მახარებლის ტექსტის ბოლო სამ თავს (XXVI თავის 24-ე მუხლიდან XXVIII თავის ბოლომდე) რედაქციულად ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების ათონამდელი პერიოდის შემცველი იმ ნუსხების რიგში დგება, რომლებიც პრეათონური (პროტოვულგატური) რედაქციის ხელნაწერთა ჯგუფს ქმნიან (XABDEOMRPSTLIFGabishtmcorw)⁴ და განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს XI საუკუნის რამდენიმე ნუსხასთან (კერძოდ: S-962 (c), Ath.62(0), ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი №1(w) და H-1792 (fr-17), ხოლო პირველ ფრაგმენტში (2r-v), რომელსაც მათეს სახარების 14,30-15,14 მუხლების თარგმანი შემოუნახავს, როგორც მისმა ტექსტოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, განსხვავებული ტექსტია დაცული. მასში შემონახული ტექსტის ზოგიერთი იკითხვისი ადიშური რედაქციის ტექსტს უახლოვდება, ხოლო ვარიანტთა ერთი ნაწილი კი სხვაობს ოთხთავის ქართული თარგმანების შემცველი დღემდე ცნობილი ყველა სხვა ნუსხის წაკითხვისაგან.

სურათის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ტვიბერის ოთხთავის პირველი ფრაგმენტის (M 41, 2r-v) ტექსტს სრული სახით.

M 41 [2r] მ.14,30. ...დანთქმად, და დაღატ-ყო და თქუა: უფალო, განმარინე მე! 31. და იესუ მეფხეულად მიყო კელი და უპყრა და პრქუა მას: მცირედმორწმუნეო, რადსათუზ შეურგულდე? 32. და ვითარ აღვიდეს ივინი ნავსა, დასცხრა ქარი ივი. 33. ხოლო რომელნი-ივი ნავსა მას შინა იყვნეს, თაყუანის-სცეს მას და პრქუეს: ჭეშმარიტად ძმ დმრთისად ხარ! 34. და წიადკდა და მოვიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა. 35. და იცნეს ივი კაცთა მის ადგილისათა და მიმოდააფლინეს ყოველსა მას გარემოდს სოფლებსა და მოართმიდეს მას ყოველსა სნეულებსა. 36. და ვეედრებუდეს, რადთამცა შე-ხოლო-ახეს ფესუსსა სამოსლისა მისისასა. და რომელთა შეახეს, ცხოვნდეს. 15,1. მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და პრქუეს: 2. რადსათუზ მოწაფენი შენნი გარდააჰდენ სწავლასა მდდელთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს ჭამედ პურსა. 3.

⁴ ფრჩხილებში მითითებულია ქართული ოთხთავის ტექსტის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ნუსხათა აღსანიშნად დათქმული ნიშნები.

ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: „რადსათუხ თქუენცა გარდასრულ ხართ მცნებასა ღმრთისასა სწავლითა თქუენითა? 4. რამეთუ ღმერთმან თქუა: „თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა; და რომელი ძურსა იტყოდის მამისათუხ, [2v] ვინა დედისათუხ, სიკუდილით მოკუედეს“. 5. ხოლო თქუენ სთქუთ: რომელმან პრქუას მამასა, ვინა დედასა ნიჭით, რომელ არს რადცა ჩემგან სარგებელ გეყოს, 6. და არა თავ-უყვის მამასა თუხსა, – და შეურაცხ-ჰყავთ სიტყუაჲ ღმრთისაჲ სწავლითა თქუენითა. 7. ურგულნო, კეთილად წინაღსწარმეტყუელელებდა თქუენთუხ ესაია და თქუა: 8. ერი ესე ბავითა ხოლო მადიდებს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან. 9. ცოდად მმსახურებენ მე, ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა. 10. და მოუწოდა ერსა მას და პრქუა მათ: ისმინეთ და გულისკმა-ყავთ! 11. არა თუ რომელი შევალს პირსა და იგი შეაგინებს კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა. 12. მაშინ მოუკდეს მოწაფენი და პრქუეს მას: უწყით, რამეთუ ვითარ ესმა ფარისეველთა სიტყუაჲ ესე, დაბრკოლდეს? 13. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ყოველი ნერვი, რომელი არა დაჰნერვა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურეს. 14. აცადეთ მაგათ: ბრძანი არიან და წინამძღუ...“

ფრაგმენტის შედარებამ ოთხთავის სხვა ნუსხებში დაცულ ტექსტთან გვიჩვენა, რომ მასში წარმოდგენილი ზოგიერთი იკითხვის მხოლოდ ტვიბერის ოთხთავში დასტურდება, ნაწილი კი ადიშის ოთხთავის იშვიათ, დანარჩენი რედაქციებისაგან განსხვავებულ წაკითხვებს იმეორებს. ქვემოთ M 41 ხელნაწერის პარალელურად (რომელსაც აღვნიშნავთ ლიტერით τ), მოგვყავს შესაბამისი ტექსტი ადიშის ოთხთავის (C), წინათონური (Preat.) და გიორგი ათონელისეული (Aton.) რედაქციის ძირითადი ხელნაწერებისა და მათთან ჩვენი ტექსტის შედარების შედეგები:

ა) ტვიბერის ოთხთავის ორიგინალური (ყველა ნუსხისაგან⁵ განსხვავებული) წაკითხვები:

⁵ წინათონური რედაქციის (Preat) ძირითადი ხელნაწერები აღნიშნულია შემდეგი ლიტერებით: **X** - ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); **O** - ოპიზის ოთხთავი (913 წ.); **D** - ჯრუჭის ოთხთავი (H 1660, 936 წ.); **E** - პარხლის ოთხთავი – (A 1453, 973 წ.); **B** - ბერთის ოთხთავი (X ს.); **T** - წყაროსთავის ოთხთავი (A 98, X ს.); **M** - მარტვილის ოთხთავი (S 391, X ს.); **L** - ტბეთის ოთხთავი (995 წ.); **A** - ქსნის ოთხთავი (A 509, XI ს.); **b** – A 1699, H 1887 (X ს.) **R** - Sin.15 (978 წ.); **P** - Sin. 30, Sin. 38 (979 წ.); **S** - Sin. 16 (X ს.); **i** - ქუთ. 176 (X ს.); **s-S** 405 (X ს.); **b** - A 1699, H 1887 (X ს.); **e** - პარხლის ახალი ოთხთავი, S 4927 (X ს.); **h** - H 1240 (XI ს.); **F** - ურბნისის ოთხთავი (A 28, XI ს.); **m** - მესტიის ოთხთავი (1033წ.); **G** - პალესტინური ოთხთავი (H 1741, 1048 წ.); **a** - ალავერდის ოთხთავი (A 484,1054 წ.); **V** - ვატიკანის ოთხთავი (XI); **c** - S 962 (1054 წ.); **o** - Ath.62 (XI ს.); **I-Q** 645 (XI ს.); **w** - ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ხელნაწერი (XI ს.); **t** - A 18 (XII ს.); **r** - 411 (XVI-XVII სს.).

გიორგი ათონელის რედაქციის (Aton.) ძირითადი ხელნაწერები აღნიშნულია შემდეგი ლიტერებით: **H** - ვანის ოთხთავი, A 1335 (XII-XIII სს); **I** - ენშიაძინის ოთხთავი, (XII-

1. როგორც აღვნიშნეთ, ტვიბერის ოთხთავის პირველი ფრაგმენტის ტექსტი მათეს მე-14 თავის 30-ე მუხლიდან იწყება, მაგრამ მას აკლია მუხლის დასაწყისი: „და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო...“ [„ამიტომ 2r-ზე ამ მუხლის ბოლო ნაწილიდაა შემორჩენილი: „... დათქმად, დაღაღ-ყო და თქუა: უფალო, განმარინე მე!“ ფრაგმენტის პირველივე მუხლში დასტურდება ლექსიკური ვარიანტი ფრაზაში: „უფალო, განმარინე მე“, რომლის ნაცვლად ყველა სხვა ხელნაწერში გვაქვს - „უფალო, მიკსენ მე!“

τ. ... დათქმად, და დაღაღ-ყო და თქუა: უფალო, განმარინე მე!

C. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დათქმად, და დაღაღ-ყო და თქუა: უფალო, მიკსენ მე!

Preat. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დათქმად, დაღაღ-ყო და თქუა: უფალო, მიკსენ მე!

დათქმად ODAEVBLFmGalcotr + და ODAEVbT[#]Lτ; დაღაღ-ყო DAbTFaor; მიკსენგანმარინეτ; მე + რამეთუ წარვწყმდები F.

Aton. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დათქმად, დაღაღ-ყო და თქუა: უფალო, მიკსენ მე!

დაღაღ-ყო HIK.

2. განსხვავებული ლექსიკური ვარიანტი გვაქვს მომდევნო (მათ.14,31) მუხლშიც:

τ. და იესუ მეყსეულად მიყო კელი და უპყრა და პრქუა მას: მცირედმორწმუნეო, რადხათვს შეურგულდი?

C. მეყსეულად იესუ განყო კელი, უპყრა მას და თქუა: მცირედმორწმუნეო, რადხა შეორგულდი?

Preat. და მეყსეულად განყო კელი თვსი იესუ, უპყრა მას და პრქუა: მცირედმორწმუნეო, რადხა შეორგულდი?

და¹ - A; ~იესუ კელი m; თვსი - VT^{*}aor; თვსი იესუ - RPBMLbFGclwt; ~ იესუ მეყსეულად მიყო კელი და უპყრა და პრქუა მას τ; ოპყრა b, ხუპყრა X; პრქუა|თქუა T[#]; მცირედმორწმუნეო T; რადხათვს შეურგულდი τ; შეურგულდიb, შეურგულდი T] შეძრწუნდი t.

Aton. და მეყსეულად განყო კელი იესუ, *უპყრა მას და პრქუა: მცირედ-მორწმუნეო, რადხა შეორგულდი?

იესუ + და KN; მცირედმორწმუნეო q; რახა k; შეორგულდიით q.

გარდა იმისა, რომ ამ მუხლში გვხვდება ლექსიკური ვარიანტი „მიყო კელი“, ნაცვლად ყველა დანარჩენ ნუსხაში წარმოდგენილი „განყო კელი“-სა, განსხვავებულია სიტყვათა წყობაც წინადადებაში:

XIII სს); K - გელათის ოთხთავი, Q - 908 (XII-XIII სს); w - Sin. 19 (1074 წ.); Q - Jer. 49 (XI ს); Y - Jer. 153 (XII ს); q - Jer. 93 (XII ს); g - ქუთ. 74 (XII-XIII სს); z - ქუთ. 75 (XII-XIII სს); P - ქუთ. 182 (XII-XIII სს); Z - Jer. 103 (XIII ს); U - Jer. 12 (XII-XIV სს); J - Jer. 122 (XIII-XIV სს); k - ქუთ. 145 (XIII-XIV სს); Q - კალიპოსის ოთხთავი (ქუთ. 76, 1060წ).

„იესუ მეყსეულად მიყო კელი და უპერა და პრქუა მას“, რაც ასევე არ დასტურდება არცერთ სხვა ხელნაწერში.

3. მათეს სახარების სხვა ხელნაწერთა წაკითხვებისაგან სხვაობს მე-14 თავის 33-ე მუხლის წაკითხვაც, სადაც, სხვა რედაქციების სიტყვა „ეტყოდეს“ შეცვლილია სიტყვით „პრქუეს“ და, გარდა ამისა, გამოტოვებულია ყველა რედაქციაში დადასტურებული სიტყვა „მოუკდეს“:

τ. და რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, თაყუანის-სცეს მას და პრქუეს: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ.

C. ხოლო რომელნი-იგი იყვნეს ნავსა მას შინა, მოუკდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ შენ.

Preat. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუკდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ შენ.

ხოლო ... შენ T*; რომელნი RP; რომელნი (+ იგი m) იყვნეს ნავსა მას შინა ODAET#m; მოუკდეს|მოვიდეს მისა m; მოუკდეს და – τ; და¹ – m; თაყუანის-სცეს -Lmc; -ჰსცეს O, -ცეს Abr; და თაყუანის-სცეს – RP; მას – m; იტყოდეს DET#] პრქუეს τ, ხეტყოდეს X; ძედ w, ძე Act, ძეჴ b; ხარი DET#c#wX; შენ – At.

Aton. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუკდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისად ხარ შენ.

რომელნი q; თაყუანისცეს HIKU; ძე NqHIKgzpUJ; ძე ... შენ k*.

4. ლექსიკური ხასიათის მნიშვნელოვან ცვლილებასთან გვაქვს საქმე მომდევნო (მათ.14,34) მუხლშიც: მათეს სახარების ყველა ხელნაწერში აქ იკითხება სიტყვა „განვიდეს“, მაშინ როცა ტვიბერის ოთხთავში გვაქვს სიტყვა „წიადკდა“:

τ. და წიადკდა და მოვიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

C. და განვიდეს და მოვიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

Preat. და განვიდეს და მოვიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

და ... გენესარეთისასა T*; განვიდეს|გამოვიდეს A; მოვიდეს|მოვიდეს XODAET# + მიერ Vac*or; და განვიდეს და მოვიდეს|და წიადკდა და მოვიდეს τ; მას – T#; გენესარეთისასა D, გენესარეთისასა b, გენესარეთისასა c, გენესარეთისასა t.

Aton. და განვიდეს და მოვიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

5. ყველაზე თვალსაჩინო სხვაობა მ.14,35 მუხლის ტექსტში შემინნევა:

τ. და იცნეს იგი კაცთა მის ადგილისათა და მიმოდაავლინეს ყოველსა მას გარემოის სოფლებსა და მოართმიდეს მას ყოველსა სხეულებსა.

C. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინეს ყოველსა მას სანახებსა და მოართვეს მას ყოველი ბოროტად ენებული.

**Preat. და იცნეს იგი კაცთა მათ მის აღგილისათა და წარავლინ-
ნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად
ვნებული.**

ცნეს τ ; მათ – $B\tau$; წარავლინეს $RPVBTMFmacolwtr$ წარვიდეს $ODAE$,
მიმოდაავლინეს τ ; სანახებსა|გარემოდს სოფლებსა τ ; მოართუს M ; მოარ-
თუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული| მოართმიდეს მას ყოველსა სნე-
ულებსა τ ; მას² – $ODAEm$; ვნებული c^* ; ვნებულნი D , ვნებულად $T\#$ სნეუ-
ლი B .

**Aton. და იცნეს იგი კაცთა მათ მის აღგილისათა და წარავლინ-
ნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად
ვნებული.**

იგი – HI ; წარავლინეს $NqKgU$; მოართუეს $HIgzpUJ$;

აქ რამდენიმე, მხოლოდ ტვიბერის ოთხთავში დადასტურებული, განსხვავებული ლექსიკური ერთეულია გამოყენებული სხვა რედაქციის ნუსხებში წარმოდგენილი ვარიანტების სანაცვლოდ. ესენია: წარავლინეს|მიმოდაავლინეს τ ; სანახებსა|გარემოდს სოფლებსა τ ; ბოროტად ვნებული|ყოველსა სნეულებსა τ .

ამ მუხლის ადიშურ და წინათონური რედაქციის ნუსხათა უმრავლესობაში და, ასევე, გიორგი ათონელის ვერსიაში, გვაქვს წაკითხვა: „და წარავლინეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული“. მხოლოდ ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის და ქსნის ოთხთავში ($ODEA$) გვაქვს „წარვიდეს“ ვარიანტი, ნაცვლად „წარავლინეს“ ფორმისა, ტვიბერის ოთხთავში კი სრულიად სხვა სიტყვაა გამოყენებული: „მიმოდაავლინეს“, რომელიც არცერთ სხვა ნუსხაში არ გვხვდება.

გარდა ამისა, ნაცვლად წაკითხვისა – „წარავლინეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული“, რომელსაც თითქმის არა აქვს ვარიანტული წაკითხვები (თუ არა ჩვეთვლით ბერძნის სახარების იკითხვისს, სადაც „ვნებულის“ ნაცვლად „სნეული“ წერია), ტვიბერის ოთხთავში ვკითხულობთ: „მიმოდაავლინეს ყოველსა მას გარემოდს სოფლებსა და მოართმიდეს მას ყოველსა სნეულებსა“. (მდრ. ბერძნ. *καὶ ἐπιγόντες αὐτὸν οἱ ἄδρες τοῦ τόπου ἐκέλευσαν ἀπέσειλαν ἐκ Ἰλίου τὴν περὶ ἕωρον ἐκέλευν, καὶ προσήνευκαν αὐτῷ πάντα τοὺς κακῶς ἔχοντας*).

ბ) წაკითხვები, რომლებიც მხოლოდ ტვიბერისა და ადიშის ოთხთავებში გვხვდება:

1. მათ.15,1 τ . **მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალჴმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და პრქუეს:**

C. მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალჴმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და პრქუეს:

Preat. მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალჴმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს:

მუკდეს *b*; ეტყოდეს + მას *T*; ეტყოდესპრქუეს;

Aton. მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალჰმით ვარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს:

მაშინ ... ეტყოდეს *k**; იესოს *I*.

ბერძნული ტექსტის $\lambda\epsilon\gamma\omicron\upsilon\tau\epsilon\zeta$ ტვიბერისა და ადიშის ოთხთავებში გადმოცემულია ზმნით „პრქუეს“; ხოლო პრეათონური და გიორგისეული რედაქციის ხელნაწერები მას ყველგან „ეტყოდეს“ ზმნით გადმოსცემს. ასეთივე ვითარება გვაქვს მათ.15,10 მუხლის თარგმანშიც, ოღონდ ამჯერად ტვიბერისა და ადიშის ოთხთავებში „პრქუა“ ზმნით ბერძნული $\epsilon\acute{\iota}\pi\epsilon\nu$ არის გადმოცემული, ხოლო წინათონური და ათონური რედაქციის ყველა ხელნაწერში $\epsilon\acute{\iota}\pi\epsilon\nu$ -ს „ეტყოდა“ ზმნა შეესატყვისება.

2. საყურადღებო ლექსიკური განსხვავებებია მათ.15,2-ში: სწავლაქმოძღურება; მღდელიქხუცესი. ბერძნული ტექსტის $\tau\eta\kappa\ \pi\alpha\rho\acute{\alpha}\theta\iota\sigma\iota\nu\ \tau\acute{\alpha}\nu\ \pi\rho\epsilon\sigma\beta\upsilon\tau\acute{\alpha}\rho\alpha\nu$, ნაცვლად პროტოვულგატისა და გიორგისეული რედაქციის წაკითხვისა „მოძღურებასა ხუცესთასა“; ტვიბერის ოთხთავში, ისევე როგორც ადიშის სახარებაში გვაქვს: „სწავლასა მღდელოთასა“ (სწავლასა მას მღდელოთასა *C*). გარდა ამისა, *M* 41-ში გადასმულია ბოლო ორი სიტყვა: პურსა ჭამედქამედ პურსა τ , რაც ადიშურ რედაქციაში პროტოვულგატისა და გიორგისეულის ანალოგიურადაა წარმოდგენილი:

τ. რადსათუს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ სწავლასა მღდელოთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კვლნი, რაჟამს ჭამედ პურსა.

C. რადსათუს მოწაფენი შენნი გარდავლენ სწავლასა მას მღდელოთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კვლნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

Preat. რადსათუს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კვლნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

გარდავლენ *OF*, გარდავლენ *br*, გარდავლენან *T*, გარდავლენ *Bt*; მოძღურებასა + მას *DAEb*; ხუცესთასა *O*; მოძღურებასა ხუცესთასა|სწავლასა მღდელოთასა τ ; დაიბანიან τ ; კვლნი + მათნი *T*; რაჟამს|ოდეს *ODAE*; პორსა *w*; ~ჭამედ პურსა τ .

Aton. რადსათუს მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კვლნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

რადსათუს ... ჭამედ *k**; გარდავლენ *UJ*.

3. მათ.15,3 მუხლი $\omicron\sigma\ \mu\eta\ \tau\upsilon\mu\acute{\iota}\rho\sigma\iota\ \tau\acute{\alpha}\nu\ \pi\alpha\tau\acute{\epsilon}\rho\alpha\ \alpha\upsilon\tau\omicron\upsilon\ \acute{\iota}\nu\ \kappa\alpha\acute{\iota}\ \eta\kappa\alpha\rho\acute{\alpha}\sigma\alpha\tau\epsilon\ \tau\acute{\alpha}\nu\ \lambda\acute{\epsilon}\gamma\omicron\upsilon\tau\omicron\iota\ \theta\epsilon\omicron\iota\ \delta\iota\acute{\alpha}\ \tau\eta\kappa\ \pi\alpha\rho\acute{\alpha}\theta\iota\sigma\iota\nu\ \acute{\iota}\mu\acute{\alpha}\nu$ ადიშისა და ტვიბერის ოთხთავებში ისევე ერთნაირი ლექსიკური საშუალებებით არის გადმოტანილი, კერძოდ, ორივეგან სიტყვა $\pi\alpha\rho\acute{\alpha}\theta\iota\sigma\iota\zeta$ გადმოცემულია „სწავლა“ სიტყვით - „სწავლითა თქუენითა“ τ | „სწავლისა თქუენისათუს“ *C*, რასაც ყველა დანარჩენში ენაცვლება სხვა ლექსიკური ერთეული - „მოძღურება“ - „მოძღურებითა თქუენითა“, თუმცა, იმავე მუხლში ადიშისა და ტვიბერის ოთხთავები აბსოლუტურად იდენტურ წაკითხვას მაინც არ გვიჩვენებენ: ტვიბერის ოთხთავში წინადადება სხვა კონსტრუქციისაა:

„რადსათვის თქვენცა გარდასრულ ხართ მცნებასა ღმრთისასა სწავლითა თქუენითა?“ ადიშის ოთხთავსა და სხვა დანარჩენში – სხვაგვარი: „რადსათვის თქვენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა სწავლისა თქუენისათვის?“

ტ. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: რადსათვის თქვენცა გარდასრულ ხართ მცნებასა ღმრთისასა **სწავლითა თქუენითა?**

ც. მან მიუგო და პრქუა მათ: რადსათვის თქვენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა **სწავლისა თქუენისათვის?**

Preat. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მათ: და რადსათვის თქვენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა **მოძღურებითა თქუენითა?**

ხოლო მან მიუგო τ; იესუთავადმან T; და² – ODAERPbTmLmatt; თქუენ DBERPMLt; გარდაჰხუალთ OAERPL; გარდახუათ t, გარდასრულ xarT τ; მცნებასაცა B; მცნებათა ღმრთისათა T; მოძღურებითა|სწავლითა τ.

Aton. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მათ: და რადსათვის თქვენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა **მოძღურებითა თქუენითა?**

და² – U; გარდაჰხუალთ NKp.

4. ტვიბერის ოთხთავის განსხვებული წაკითხვები ადიშის ოთხთავის მსგავსია მათეს მე-15 თავის მე-4 მუხლშიც, სადაც სხვა რედაქციების საპირისპიროდ ბერძნული *Τῆα τὸν πατέρα καὶ τὸν υἱὸν* ორივეგან ერთნაირადაა გადმოტანილი: „თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა“: ასევე მსგავსია ამ მუხლის მეორე ნაწილის წაკითხვაც: ტვიბერის ოთხთავში გვაქვს: „რომელი ძვრსა იტყოდის მამისათვის, გინა დედისათვის, სიკუდილით მოკუედეს“; ხოლო ადიშის სახარებაში – „რომელი ძვრსა იტყოდის მამისათვის ანუ დედისათვის, სიკუდილით მოკუედინ“: სხვაობა, ცხადია, უმნიშვნელოა - გინა|ანუ C და მოკუედეს|მოკუედინ C, მაშინ როცა პრეათონური რედაქციის ყველა ხელნაწერსა და გიორგისეული ვერსიის ყველა ნუსხაში გვაქვს განსხვავებული იკითხვისი: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათვის, გინა დედისათვის, მოკუედინ“:

ტ. რამეთუ ღმერთმან თქუა: **თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა;** და რომელი **ძვრსა-იტყოდის მამისათვის, [2v]გინა დედისათვის, სიკუდილით მოკუედეს.**

ც. რამეთუ ღმერთმან თქუა: **თავ-უყავ მამასა და დედასა;** და რომელი **ძვრსა იტყოდის მამისათვის, ანუ დედისათვის, სიკუდილით მოკუედინ.**

Preat. რამეთუ ღმერთმან თქუა: **პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა;** და რომელმან **თქუას ბოროტი მამისათვის, გინა დედისათვის, მოკუედინ.**

ღმერთმან – l; ბოროტი თქუას ODAEbTL; მამისათვის + და r; გინა დედისათვის – M; გინა|და ODAEb; დედისაჯს + სიკუდილით Vao, სიკუდილითა r.

Aton. რამეთუ ღმერთმან თქუა: **პატივეც** მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან **თქუას ბოროტი** მამისათვს, გინა დედისა, სიკუდილით მოკუდინ.

5. მათ.15,6-ში M 41-სა და აღიშის სახრებაში ბერძნული *τῆς* (*ὁὐκ ἔστιν ἡμεῖς*) ზმნის შესატყვისად ისევე, როგორც მათ.15,4-ში, „თაგ-უყავ“ ზმნაა წარმოდგენილი: „და არა თაგ-უყვის მამასა თვსსა“ τ / „არა თაგ-ჰუყოს მამასა თვსსა“ C, მაშინ როცა იგივე ადგილი პროტოვულგატის ხელნაწერებში კვლავ გვაძლევს წაკითხვას: **პატივე-სცეს**: „და არა პატივე-სცეს მამასა თვსსა“.

იმავე მუხლში ბერძნული *ἡμεῖς* τὸν λῆγον τὸν θεὸν διὸ τῆς παρδῶσιν *τῆς* ტვიბერისა და აღიშის ოთხთავებში ასეა თარგმნილი: „შეურაცხ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად სწავლითა თქუენითა“; პროტოვულგატაში კი - „ესევითართა დაუმტკიცებელ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად მოძღურებითა თქუენითა“ (დაუმტკიცებელ-ჰყავთ *ἡμεῖς* შეურაცხ-ჰყავთ τ C)

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც მათ.15,3-ისა და მათ.15,4-ის შემთხვევაში, ბერძნული ტექსტის *τῆς* παρδῶσιν-ის გადმოსაცემად მესტიის მუხუემის ორივე ხელნაწერში სხვა ნუსხების „მოძღურებას“ ისევე „სწავლა“ ენაცვლება: *მოძღურებითა* | *სწავლითა* τ C

τ. და არა **თაგ-უყვის** მამასა თვსსა, – და შეურაცხ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად **სწავლითა** თქუენითა.

C. და არა **თაგ-ჰუყოს** მამასა თვსსა, – და შეურაცხ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად **სწავლისა** თქუენისათვს.

Preat. და არა **პატივე-სცეს** მამასა თვსსა, ანუ დედასა თვსსა, ესევითართა დაუმტკიცებელ-ჰყავთ სიტყუად ღმრთისად **მოძღურებითა** თქუენითა.

და – T; -სცეს O]-ეც b; თვსსა¹ –RPVbBTMLFmGacoltr; ანუქინა Tw, და ODAE; ანუ დედასა – t; თვსა² T, თ-ვსსა w; ესევითართა[#], ესევითართან OAb]და a – r; -ჰყავ T, გიყოფიეს E; სიტყუად] მცნებაა Vaor.

Aton. და არა **პატივე-სცეს** მამასა, ანუ დედასა თვსსა, – ესევითართა დაუმტკიცებელ-ჰყავთ მცნებად ღმრთისად **მოძღურებითა** თქუენითა.

6. საინტერესო ვითარება გვაქვს მათ.15,8-ის (*Ὁ λαὸς ὁὐκ ἔστιν ἡμεῖς* με *τῆς* ἢ δὲ καρδία *αὐτῶν* πῶρον *ἀπέχει* ἀπ' *ἑμοῦ*) ქართულ თარგმანში. ოთხთავის წინაათონური და ათონური რედაქციის ხელნაწერში ბერძნული ზმნა *τῆς* (*τῆς*) (ისევე, როგორც მე-15 თავის მე-4 და მე-6 მუხლებში) „პატივე-მცემს“ ზმნითაა გადმოცემული (გამონაკლისია t ნუსხა (A-18), რომელშიც მას „მსახურებს“ ზმნა ენაცვლება), აღიშისა და ტვიბერის ოთხთავებში კი იგივე *τῆς* (*τῆς*) მათ.15,4-სა და მათ.15,16-ში „თაგ-უყვის“ ფორმით არის გადმოცემული, ხოლო მათ.15,8-ში მის შესატყვისად (*τῆς*) გამოყენებულია სხვა ზმნა, კერძოდ - „მადიდებს“.

τ. ერი ესე ბავითა ხოლო **მადიდებს** მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან.

C. *ერი ესე ბავითა ხოლო მადიდებს მე, ხოლო გული მათი გან-
შოვრებულ არს ჩემგან.*

Preat. *ერი ესე ბავითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი
მათნი შოვრად განშოვრებულ არიან ჩემგან.*

ერი ესე] მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და Vo;
პატივ-მცემს VT] მსახურებს t; მე - r; შორად ODAERPbBT*MFmGclw,
შორს Vaor] ბრტად t; განშოვრებულ ODAERPvBTFGacolwtr; ჩემგან -
ODAETr.*

Aton. *მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბავითა
მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშოვრებულ
არიან ჩემგან.*

თუმცა, იმავე მუხლში ადიშისა და ტვიბერის ოთხთავებს შორის
სხვაობაცაა: ტვიბერის ოთხთავში, პროტოვულგატის ხელნაწერების
მსგავსად, „გულნი“ მრავლობით რიცხვშია და მის მსახდურელად გა-
მოყენებულ სიტყვას „განშორებულ“ დამატებული აქვს სიტყვა „შო-
ვრად“: „გულნი მათნი შორად განშოვრებულ არიან ჩემგან“; ადიშის
ოთხთავში კი „გული“ მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენი-
ლი: „გული მათი განშოვრებულ არს ჩემგან“. შდრ.: ἡ δὲ καρδία αὐτῶν
πάρρησά μιν ἐξείπεν ἄπ' αὐτοῦ.

7. ყველა დანარჩენი ნუსხისაგან განსხვავებული წაკითხვა
გვაქვს მათეს სახარების 15,9 მუხლშიც. მუხლის პირველ ნაწილი
μᾶλλον δὲ σέβονται με ტვიბერისა და ადიშის ნუსხებში ქართულად ასეა
თარგმნილი: „ცუდად (ცოდად τ) მმსახურებენ მე“. სხვაგან ყველგან
გვაქვს: „ამაოდ მმსახურებენ მე.“

τ. *ცოდად მმსახურებენ მე, ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა
კაცთასა.*

C. *ცუდად მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და
მცნებასა კაცთასა.*

და - C; კაცთას C

Preat. *ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა
და მცნებასა კაცთასა.*

და *ამაოდ ETt; მსახურებენ ODAERPbBTLFmGwt; რამეთუ]და ODAET
- b; მოძღურებასა D, მოძღრებასა G; მცნებასა + მცნებასა L; კაცთა O.*

Aton. *ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა
და მცნებასა კაცთასა.*

8. მე-15, თავის მე-11 მუხლშიც (οὐ τὸ ἐκπερχόμενον ἐκ τῶ σῶμα κοινοῖ τὸν
θεῖον, ἀλλὰ τὸ ἐκπορευόμενον ἐκ τοῦ σώματος τοῦτο κοινοῖ τὸν θεῖον) ადიში-
სა და ტვიბერის ნუსხებში ბერძნული ἐκπερχόμενον და ἐκπορευόμενον-ის
შესატყვისად გვაქვს ზმნის პირიანი ფორმები „შევაღს“ და „გამო-
ვაღს“: რომელი შევაღს პირსა τ; რომელი გამოვაღს პირისაგან τ //
რომელი შევაღს პირით C, რომელი გამოვაღს პირისაგან C, ყველა

დანარჩენში – მიმდებარე გამოყენებული: *პირად შემავალი; პირით გამოშვებული.*

τ. არა თუ რომელი შევალს პირსა და იგი შეავინებს კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეავინებს კაცსა.

C. არა თუ რომელი შევალს პირით, შეავინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეავინებს კაცსა.

Preat. არა თუ პირად შემავალი შეავინებს კაცსა, არამედ პირით გამოშვებული შეავინებს კაცსა.

არად V; პირად|პირით DAEVcoltr; შემალი V; შემავალი პირად T; პირით -D; გამოვალი T, გამოშალი V|გამოვა პირით T#*

Aton. არა თუ პირით შემავალი შეავინებს კაცსა, არამედ პირით გამოშვებული შეავინებს კაცსა.

9. ტვიბერისა და ადიშის ოთხთავები ერთმანეთის მსგავს და ყველა დანარჩენი რედაქციის ტექსტისაგან განსხვავებულ წაკითხვას გვაძლევენ ფრაგმენტის ბოლო, მე-15 თავის მე-14 მუხლის, შემორჩენილ ნაწილშიც, სადაც ბერძნული *ἄφρα αἰτία* ასეა თარგმნილი: *აცადეთ მაგათ τ / κ აცადეთ მათ C. ყველა დანარჩენ ნუსხაში გვაქვს სიტყვა „უტვეეთ“:*

τ აცადეთ მაგათ: ბრმანი არიან და წინამძღუ...

C κ აცადეთ მათ: ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი...

Preat. უტვეეთ მათ, ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი...

ხოლო უტვეეთ Tt; უტვეენით VFaor; მათუვე Vο

Aton. უტვეენით ეგვ. რამეთუ ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი...

როგორც ვხედავთ, ტვიბერის ოთხთავის პირველი ფრაგმენტის ტექსტი საკმაო სიახლოვეს ამჟღავნებს ადიშის ოთხთავის ტექსტთან, თუმცა არის რამდენიმე შემთხვევა, როცა ის შორდება ადიშურ ნუსხას და წინათონური რედაქციის შემცველი სხვა ხელნაწერების იკითხვისებს იმეორებს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

მათ. 15,13. ადიშის ნუსხაში არა გვაქვს სიტყვა „ძირითურთ“, რომელიც გვაქვს ტვიბერის ოთხთავსა და წინათონური და ათონური რედაქციის ნუსხათა უმეტესობაში. ეს სიტყვა არ ჩანს მხოლოდ X საუკუნის ერთ სინურ ოთხთავში (P - Sin.30, Sin.38), რომელიც 979 წელსაა გადაწერილი:

τ. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ყოველი ნერვი, რომელი არა დაჰნერვა მამამან ჩემმან ზეცათამან, ძირითურთ აღიფხურეს.

*მანქავადმან Prot. Aton. მიუგო და - ODABERTbMLmt; დანერვა r; ჩემმან|მან E; ზეცათამან - Fw; ძირითურთ - CP, ძირითორთ w; აღიფხურენინ l, აღიფხურენ w, აღიფხურეს ODAEVT p., აიფხურეს b, აღიფხურასი*r, აღიფხურინ c. აღმოიფხურეს C.*

ტვიბერის ოთხთავში მათ.15,8. მუხლის მეორე ნაწილის წაკითხვა „ერი ესე ბაგითა ხოლო მაღიდებს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან“, მეტ სიახლოვეს ამჟავნებს პრეათო-

ნური და გიორგისეული რედაქციის ნუსხებთან, ვიდრე ადიშის ხელნაწერთან, რომელშიც არ გვაქვს სიტყვა „შორად“, გარდა ამისა, სიტყვა „გული“ და, შესაბამისად, მასთან შეწყობილი შემასმენელიც, მხოლოდით რიცხვშია: C - „ხოლო გული მათი განშორებულ არს ჩემგან“; შდრ.: Preat. - ხოლო გულნი მათნი შორად(შორს Vaor) განშორებულ არიან ჩემგან (ჩემგან – ODAETr); Aton. – „ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“.

რაც შეეხება M41-ში დაცულ მათეს სახარების მეორე ფრაგმენტს, რომელიც მათე მახარებლის ტექსტის ბოლო სამ თავს (XXVI თავის 24-ე მუხლიდან XXVIII თავის ბოლომდე) მოიცავს, მასში დაცული ტექსტი წინაათონური რედაქციის ძირითად ხელნაწერებში წამოდგენილი ტექსტისგან მხოლოდ რამდენიმე ვარიანტული წაკითხვით განსხვავდება და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველაზე მეტად ამ რედაქციის ნუსხათა ერთი ჯგუფს უახლოვდება (c – S 962, o – Ath.62; w – ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი №1 და fr-17 - H1792). მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

მ. 26,24 ... უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი (უმჯობეს τ);

26,26. და ვითარცა ჭამდეს ივინი, მოილო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და პრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს კორცი ჩემი (აკურთხა და – τ.)

26,28. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქემისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა (მისატევებელად τ.)

26,29. ხოლო გეტყჳ თქუნ: არღარა ვსუა მე ამიერითგან ნაყოფისაგან ამის ვენაკისა ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს ვსუა იგი ახალი თქუნ თანა სასუფეველსა მამისა ჩემისასა (მე-τხGc(fr17); თქუნ თანა - τMa)

26,31. მაშინ პრქუა მათ იესუ: თქუნ, ყოველნი, დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცემ მწყემსსა და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოდსა მისისანი (დავსცემ მწყემსსა] დავსცე მწყემსე τ, დავსცე (დავსცე V) მწყემსი VsBmaot)

26,33. მიუგო პეტრე და პრქუა: დაღათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე შენდა მიმართ. (დაღათუ] დაღაცათუ τAMFct(fr17); სხვანი] - τVBLm*; დაბრკოლდენ] დავბრკოლდეτ; დავბრკოლდე Fo*)

26,34. პრქუა მას იესუ: ამენ გეტყჳ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ვმობადმდე სამგ ზის უვარ-მყო მე (ვმობადმდე] ვმობადმდე τMLFot(fr17)

26,45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და პრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა, ესერა, მოახლებულ არს ქამი, და ძმ კაცისაჲ მიეცემის ჳელთა ცოდვილთასა (მოწაფეთა] მოწაფეთა τ; განისუენეთ] განისუენეთτ; მიეცემის] მიეცეს τODEeBT).

26,50. ხოლო იესუ პრქუა მას: მოყუასო, რომლისათვისცა მოხრულ ხარ? მაშინ მოუკდეს და დაასხნეს კელნი მათნი იესუდს ზელა და შეიპყრეს იგი (მათნი-τხ)

26,51. და ერთმან იესუდსთანამან მიყო კელი და იკადა მახელი თვისი და სცა მონასა მღდელთმოძღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი (თვხიქმისი τMhFGcwt)

ცხადია, ტვიბერის ოთხთავის მეორე ფრაგმენტში წარმოდგენილი ვარიანტული წაკითხვები სრულიად სხვა ტიპისაა, ვიდრე პირველი ფრაგმენტის განხილვისას მოყვანილი მაგალითები, რაც გვაპარაუდებინებს, რომ ამ ხელნაწერში მათეს სახარების ორი განსხვავებული რედაქციის ტექსტია შენახული. თუ როგორ, რა გზით და რატომ მოხვდა ერთ ხელნაწერში სხვადასხვა რედაქციის ტექსტი, ეს შემდგომი კვლევის საგანია.

ლიტერატურა და წყაროები

პინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ.4, თბ., 1978.

ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ.წ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.

ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984.

ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მახანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003 წ.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 41 ხელნაწერი (M 41 - ტვიბერის ოთხთავი).

ქართული ოთხთავის წინათონური რედაქციის ხელნაწერები:

X - ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); **O** - ოპიზის ოთხთავი (913 წ.); **D** - ჯრუჭის ოთხთავი (H 1660 936 წ.); **E** - პარხლის ოთხთავი - (A 1453, 973 წ.); **B** - ბერთის ოთხთავი (X ს.); **T** - წყაროსთავის ოთხთავი (A 98, X ს.); **M** - მარტვილის ოთხთავი (S 391, X ს.); **L** - ტბეთის ოთხთავი (995 წ.); **A** - ქსნის ოთხთავი (A 509, X ს.); **a** - ალავერდის ოთხთავი (A 484, 1054 წ.); **b** - A 1699, H 1887 (X ს.) **R** - Sin.15 (978 წ.); **P** - Sin.30, Sin. 38 (979 წ.); **S** - Sin.16 (X ს.); **i** - ქუთ.176 (X ს.); **s** - S 405 (X ს.); **b** - A 1699, H 1887 (X ს.); **e** - პარხლის ახალი ოთხთავი S 4927 (X ს.); **h** - H 1240 (XI ს.); **F** - ურბნისის ოთხთავი (A 28, XI ს.); **m** - მესტიის ოთხთავი (1033 წ.); **G**

- პალესტინური ოთხთავი (H 1741, 1048 წ.); c - S 962 (1054 წ.); o - Ath.62 (XI ს.); I - Q 645 (XI ს.); w - ანტიოქიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №-1 ხელნაწერი (XI ს.); t - A 18 (XII ს.); r - A 411 (XVI-XVII სს.).

ქართული ოთხთავის გიორგი ათონელის რედაქციის ხელნაწერები:

H - ვანის ოთხთავი, A 1335 (XII-XIII სს.) **I** - ემბიადინის ოთხთავი, (XII-XIII სს.); **K** - გელათის ოთხთავი, Q 908, (XII-XIII სს.); **N** - Sin. 19 (1074 წ.); **Q** - Jer.49 (XI ს.); **Y** - Jer.153, (XII ს.); **q** - Jer.93 (XII ს.); **g** - ქუთ. 74 (XII-XIII სს.); **z** - ქუთ.75 (XII- XIII სს.); **p** - ქუთ.182 (XII-XIII სს.); **V** - ვატიკანის ოთხთავი (XI); **Z** - Jer.103, (XIII ს.); **U** - Jer.102, (XII-XIV სს.); **J** - Jer.122, (XIII-XIV სს.); **k** - ქუთ.145 (XIII- XIV სს.); **⊕** - კალიპოსის ოთხთავი (ქუთ.76, 1060წ.).

The Old Georgian Four Gospels: **Khanmeti and Adishi Redaction**, On the basis of the original manuscripts, edited by Sophio Sarjveladze and Darejan Tvaltvdaze, Tbilisi, 2001-2002. ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 26.3.2002/18.10.2002. (<http://titus.uni-frankfurt.de/texste/etca/cauc/ageo/nt/Adisnt/Adisn001/htm/>)

The Old Georgian Four Gospels: **Preatonian Redaction**, On the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunasvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab sarjveladze and Darejan Tvaltvdaze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.2002. ([http://titus.uni-frankfurt.de/texste/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan001/htm.](http://titus.uni-frankfurt.de/texste/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan001/htm/))

The Old Georgian Four Gospels: **Georgi Athonite` Redaction**, (Giorgi the Hagiorite`s) On the basis of the original manuscripts, edited by Elguja GiunaSvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab sarjveladze and Darejan Tvaltvdaze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999 -2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/ 26.9.2002. ([http://titus.uni-frankfurt.de/texste/etca/cauc/ageo/nt/Giornt/Goinn001/htm.](http://titus.uni-frankfurt.de/texste/etca/cauc/ageo/nt/Giornt/Goinn001/htm/))

Eberhard Nestle, Erwin Nestle, Kurt Aland, Novum Testamentum Graece, Publisher: American Bible Society; 27th edition, 1993.

Constantin Tischendorf, Greek New Testament - Critical 8th Edition, Publisher: Pierson Publishing Group, 2001.

Darejan Tvaltvadze

**Towards the Text for the Gospel of St. Matthew Preserved in № 41
Manuscript of Svaneti Hystory-Ethnography Museum (Mestia)
(Summery)**

Svaneti Hystory-Ethnography Museum (Mestia) preserves X century Georgian manuscript № 41 of the Four Gospels known in scientific literature as Tviberi Four Gospels. Despite its antiquity it has not attracted the attention of the researchers who study the Georgian translations of the Gospel.

The manuscript includes incomplete texts of St. Matthew's, St. Mark's and St. Luke's Gospels. Text from the Gospel of St. Matthew covers the first nine pages (2r-10r) of the manuscript, namely: one page (2r-v) preserves the fragment from Mathew's chapters XIV and XV (fr. I, St. Matthew 14,30-15,14), the rest eight pages (3r-10r) present XXVI-XXVIII chapters (fr. II, St. Matthew 26,24-28,20) from the Gospel of St. Matthew.

The textological research showed that the above mentioned manuscript preserves the texts of two different editions of the Gospel of St. Matthew. Namely, the fragment that covers the last three chapters (from chapter XXVI, article 24 to the end of chapter XXVIII) from the Gospel of St. Matthew join the manuscript of Four Gospels' old Georgian translations that create the group of preathonian (protovulgate)manuscripts (it shows particular connection towards several manuscript of XI century: S-962, Ath.-62; Vienna National Library manuscript № 1 and H-1792), the first fragment (2r-v) covers the translation of chapters 14,30-15,14 from St. Matthew's Gospel. It preserves a different text. Some parts from the fragment text resembles Adishi edition of the Georgian Four Gospels text. However, one part of the varieties differs from all other Georgian translations of Four Gospels.

The article presents the outcomes of textological research. Provided examples prove that Tviberi Four Gospels preserve the fragment which is different from the researched manuscript text of the Gospel's Georgian translation.

**მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის სემანტიკის ბანკითარებისათვის
ქართულ სარაინდო პოეზიასა და პროზაში**

ე. წ. საშუალო პერიოდის სარაინდო პოეზიასა და პროზაში მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები უჩვეულოდ ხშირად იხმარება (მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“).

ეს ფაქტი თვალშისაცემია, თუ გავითვასლისწინებთ, რომ თავად ძველ ქართულში მცა ნაწილაკიანი ფორმები მიჩნეულია ისტორიულად უფრო ადრინდელ მოვლენად კავშირებითის მწკრივებთან შედარებით და, თუმცა მცა ნაწილაკი კავშირებითის პარალელურად იხმარებოდა, მაგრამ შეფარდება, გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის საკმაოდ დიდია (30:1, 125:1, 79:1 და ა. შ.) (ვეყრდნობით პ. გაჩეჩილადის სტატიას)².

მცა შუა საუკუნეების ძეგლებში გვხვდება შემდეგი ფუნქციებით:

1. მცა ნაწილაკი თხრობითი კილოს რომელიმე მწკრივის ზმნასთან კავშირში გვაძლევს თხრობითი კილოს მომავალი დროის გაგებას, 2. მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ზმნა კავშირებითი კილოს ფუნქციით იხმარება, 3. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები იძლევა უნდაობით მოდალობას (რაც თავისთავად კავშირებითის შინაარსს გულისხმობს), 4. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კითხვითი ინტონაციის მქონე წინადადებებში ზმნას კავშირებითი კილოს გაგებას აძლევს, 5. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციებში კავშირებითი კილოს გაგება ნუთუ, ნეტარ (იქნებ, ეგებ, ნეტავ) სიტყვებთან, 6. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები გამოიყენება I, II, და III პირის ბრძანებითების საწარმოებლად მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში, 7. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები გვაძლევს II რეზულტატივის გაგებას, 8. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები შემასმენელს ანიჭებს I ხოლმეობითის გაგებას.

მაგ.: I. მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით:

ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე **ვინმც** მეფერა? (ვინ მეფერება), ვეფ. 791, გ.

ავსა კაცსა ურჩევნია **ავსამცა** რას ადრე **სცნობდა!** (რაც ადრე გაიგებს ცუდს), ვეფ. 762, დ.

მტერი არავინ გიხანს, მაგრამ ვერავინ გავნებს და **რამცა** ვინ **გკადრა** (ვინ რას გკადრებს), ამირ. 97, 46.

გამოსცა პასუხი ხვალისად, ვითა: **მზამცა** ხარ? (მზად იქნები), ამირ. 13, 30.

ნუმცა ვინ ეძებს დიაცისაგან მოწყალებასა, **ნუმცა ვინ სთესავს** მლაშესა ველსა ზედა ვარდსა (ნურავინ დათესავს მლაშე ველზე ვარდს), ვის, 165, 12.

რათგან რამინ ვისის გული არ შეინახა და მას ვერ შეეგუა, **შენმცა რამ გაგახარა?** (შენ როგორ გაგახარებს), ვის. 178, 3.

მნიშვნელოვანია, რომ მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით გვხვდება ნებისმიერი აგებულების წინადადებაში: მარტივშიც, შერწყმულშიც, რთულშიც. რთული ქვეწყობილი წინადადების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში.

თავად მცა ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ნებისმიერ სიტყვას: სახელსაც, ზმნასაც, ნაწილაკსაც, კავშირსაც და ა. შ.

II. მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმები კავშირებითი კილოს გაგებით:

არ ეგების ამას იქით, **თუმცა** თავი არ **გამონე** (რომ არ დაგემონო), ვეფ. 258, ბ.

თავსა მოვიკლავ, მე **თუმცა** შენგან არ **ვეჭვდი** წყენასა (რომ არ ველოდე წყენას), ვეფ. 844, ბ.

ჩვენგან ესე არ ეგების, **რომელმცა** არ **უშუელეთ** (რომ არ ვუშველოთ), ამირ. 105, 4.

ნეტარ რა არის ღონე, **რომელმცა ვიჭსენით** იგი? (რომ ვიხსნათ), ამირ. 15, 3.

თუმცა ათი ათასი სული მედგა ყველა მისთუისვე მინდა ((ათი ათასი სული რომ მედგას), ვის. 160, 39.

მნიშვნელოვანია, რომ 1. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კავშირებითის კილოს ფუნქციით გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, 2. როდესაც მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია დამოკიდებულ წინადადებაში იძლევა კავშირებითი კილოს გაგებას, მცა დაერთვის მხოლოდ და მხოლოდ კავშირს.

პოლისემიური ფორმები

ხშირად თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს გამიჯვნა ერთმანეთისაგან ჭირს მცა ნაწილაკიან ფორმებში: კონსტრუქციები პოლისემიურ მნიშვნელობას გვიჩვენებს. ამ მოვლენის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ორივე ფორმებისათვის – თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოსათვის – ამოსავალი სწორედ მომავალი დროა, რომლის წიაღშიც უნდა ჩასახულიყო კავშირებითი კილო, მაგ.:

უშენოდ **რამცა** ვით **გავიხარეთ?** (როგორ გავიხარებ? როგორ გავიხარო?), 1650 გ.

რადმცა გაგწირე, თუ ვითა გაყრასა მოვითმინებო (რად გაგწირავ ან რად გაგწირო?), 1580, დ.

მონებისა უკეთესი **რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?** (რას ვიშოვი, რას ვიქონიებ? ან რა ვიშოვო, რა ვიქონიო?) 1646 დ.

ასეთი მაგალითებისათვის ამა თუ იმ მნიშვნელობის მიკუთვნება ვფიქრობთ, მთლიანად მკითხველის აღქმა-გემოვნებაზე დამოკიდებული.

III. კავშირებითია კილო „უნდაობითი“ მოდალობის შემცველ მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებშიც:

მაგისად ნაცვლად **რამც ვიყავ** ღირსი ქებისა თქვენისა (რა უნდა ვიყო), ვეფ. 303, ბ.

მქმნელი საქმისა ძნელისა **კაციმცა იყო** ცნობილი (კაცი უნდა იყოს), ვეფ. 943, ბ.

ყმამან უთხრა: ვერ წავიტან, **რაზომსაცა** ცრემლსა **ჰღვრიდი** (რამდენი ცრემლიც უნდა დაღვარო), ვეფ. 790, დ.

რაზომცა კეკლუცი და ჰელმწიფე ქმრები **უვის**, მალვით ვგრეცა მიჯნურობენ (რაც უნდა ღამაზი ქმრები ჰყავდეთ), ვის. 156, 22.

რაზომცა დიდი ღაშქარი **არის**, ომსა ვერსით წაუვალთ (რაც უნდა დიდი ღაშქარი იყოს), ამირ. 105, 10.

კილოს მიხედვით უნდაობითი ფორმები შუალედურ ვითარებას გვიჩვენებენ ბრძანებით და კავშირებით კილოებს შორის.

ამ მხრივ გარკვეული ზღვარის გავლება შეიძლება: როცა „უნდაობითი“ ფორმა მთავარ წინადადებაში იგულისხმება, მაშინ იგი კატეგორიულობით ბრძანებით ფორმას ემსგავსება (ათასიმცა ენა უნდა! ცამცა გაიდარბაზესა...!).

როცა „უნდა“ იგულისხმება ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში, ან კითხვითი შინაარსის მქონე წინადადებებში, მაშინ კილო შესაძლო, სათუო, სავარაუდო ნიუანსების მიხედვით კავშირებითია (რამც ვიყავ, რაზომცა დაგეყოვნების...).

IV. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კითხვითი შინაარსის მქონე წინადადებებში ზმნა-შემასმენელს კავშირებითი კილოს გაგებას ანიჭებს:

შენთვის მოვკვდე, ამისებრი **მემცა** საქმე რა **ვიღონე!** (რა ვიღონო), ვეფ. 258, დ.

შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი **ვითმცა** **შევაჯერენ** (როგორ დავაჯერო), ვეფ. 799, დ.

აწ **რადმცა** ესრე უთმინოდ **ვიყავ?** რად **რადმცა** ესრე დაღრეჯილი და მოჭირვებული ვიყავ? (რად ვიყო) ვის. 182, 19.

V. მცა ნაწილაკიანი სინტაქსურ კონსტრუქციებში კავშირებითი კილოს გაგებაა ნუთუ, ნეტარ სიტყვების შემცველ წინადადებებში:

კვლა **ნუთუმცა** **შემოვიქეც**, ღმერთმან სრულად არ დამკარგა (იქნებ დავბრუნდე, არ დამკარგოს ღმერთმა), ვეფ. 168, დ.

იტყვის: ნეტარ, მიჯნურობა არ დამანდეს, **დამცა-ვფარე** ნეტავ (დავფარო), ვეფ. 734, ბ.

შევებრაღდები ადრინდელსა მტერსა და **ნუთუმცა** შენცა **შეგ-ვწყალე**, (იქნებ შენც შემობრაღო), ვის. 174, 32.

ნუთუმცა ჩემიცა ვარდი **გამოჩნდა**, (იქნებ ჩემი ვარდიც გამოჩნდეს), ვის. 184, 25.

მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ წინადადებებში მცა ნაწილაკი ერთვის თავად ნუთუ სიტყვას, რითაც ხაზი ესმება ამ სიტყვის მნიშვნელობას კილოს გაგებისათვის.

ვისრამიანში გვხვდება ნატვრითი ინტონაციის შემცველი მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები კავშირებითი კილოს გაგებით (ნეტავ სიტყვის გარეშე):

აჰა იქმნებოდამცა და იგიმცა ჩემებრ გამოიჯნურდებოდა (ნეტავ მოხდებოდეს და ისიც ჩემებრ გამოიჯნურდებოდეს), ვის. 153, 31.

V. **მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქციები გამოიყენება I, II და III პირის ბრძანებთების საწარმოებლად მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში:

I პირის ბრძანებითი

შენ თუ უშმაგო მგონიხარ, **ვარმცა** ურია მე ლევი! (მე ვიყო ურია ლევი), ვეფ. 826, გ.

ასრემცა მინახავს ყოვლისა აქა მოსრულისა კაცისა თავიო (ასე მენახოს), ამირ. 96, 26.

აგრემცა დღემოკლე **ვარ** და ღმრთისაგან აბეზარ-ქმნილი, ოდესცა შენი ფიცი გავტეხოო (დღემოკლე ვიყო), ვის. 176, 20.

II პირის ბრძანებითი

ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი (იყავ საქმის ბრძნად წარმმართველი), ვეფ. 49, დ.

ღმერთმან ბევრ-წელ გყოს, ღმრთისაგან და **ბედისაგანმცა** მხიარულნი **ხართო** (იყავით), ვის. 147, 35.

ძმაო, **კურთხეულმცა ხარ**, რომელი იმა დიაცისაგან გუიკსენო (კურთხეულ იყავი), ამირ. 94, 36.

III პირის ბრძანებითი

ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, **ორგულიმცა** შენი **კვდების!** (შენი ორგული მოკვდეს), ვეფ. 788, ბ.

კურთხეულმცა არს მარჯვენა სეფედავლე დარისპანის-ძისაო (კურთხეული იყოს)! ამირ, 69, 45.

რაა ესეთი ბედი ჩემი?! **და-მცა-იკარგვის**, რომელ ზოგჯერ ტახტსა ზედა დამსვამს და ზოგჯერ ნაცართა (დაიკარგოს), ვის, 167, 19.

მნიშვნელოვანია, რომ 1. მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციები ბრძანებითი კილოს გაგებით გვხვდება ყველა სახის წინადადებაში, გარდა დამოკიდებული წინადადებისა.

2. მცა ნაწილაკთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი ძირითადად აწმყოშია.

3. მცა ნაწილაკი კავშირის გარდა ყველა სიტყვას შეიძლება დართოს.

VII. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები II რეზულტატივის გაგებას იძლევა (ძირითადად პირობით-დამოკიდებულ და დათმობითი შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადადებებში).

ვთქვი: არ იცის აშიკობა, **თუმც** იცოდა, წყნარად **ზისმცა** (რომ სცოდნოდა, წყნარად იჯდებოდა), ვეფ. 378, დ.

თუმცა რამინის ნახვისა მიზეზი არ **იყო**, **აწმცა** ჩემი სახელი გარდასრულთა თანა **გესმის** (რამინის ნახვის მიზეზი რომ არ ყოფილიყო, ჩემს სახელს მიცვალებულებში გაიგებდი), ვის. 161, 26.

ძველ ქართულში პირობით-შედევობით წინადადებებში მცა ნაწილაკი აუცილებლად ერთვოდა როგორც მთავარ წინადადებას (ანიჭებდა I ხოლმეობითის მნიშვნელობას), ისე-დამოკიდებულს (II რეზულტატივის გაგებით). ამასთან დამოკიდებულში მცა აუცილებლად კავშირზე იყო დართული. „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი დაქვემდებარება მხოლოდ ორ წინადადებაშია შენარჩუნებული, „ვისრამიანში“ – ერთში.

სხვა შემთხვევებში მცა ნაწილაკდართულ დამოკიდებულში II რეზულტატივი იგულისხმება, ხოლო მთავარში უკვე ჩამოყალიბებული I ხოლმეობითის მწკრივია:

მითქვამს: „**თუმცა** მზე **გვეახლა**, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზვრიდა (მზე რომ ჩვენთან ყოფილიყო, ზამთარი ვერ გაგვიცინავდა), ვეფ. 1029, დ.

თუმცა კაცი **იყავ** საუკუნოსა **საგზალსამცა** **იურვოდი** სიბერესა, არა ყრმასა ცოლსა, (კაცი რომ ყოფილიყავი ახალგაზრდა ცოლზე კი არა საუკუნო საგზალზე იზრუნებდი), ვის. 147, 15.

VIII. მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია შემასმენელს I ხოლმეობითის გაგებას ანიჭებს:

მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზესა **რამცა დააბრუნვებს** (მზეს თუ რამე დააბრუნებდა არ ვიცოდი), ვეფ. 755, ა.

გამიკვირდა, სხვად **ვითამცა ვქმენ** გულისა მწველთა სითხე (სხვანაირად როგორ შევათხელებდი მწველ ალს), ვეფ. 365, გ.

რათამცა ჰგუნდა მოწიფებულსა ყმასა ვისის ბერი ძიძა? (რით დაემსგავსებოდა), 162, 26.

ოდესმცა ნახე, ამას იტყოდი (როცა ნახავდი), ამირ. 77, 20.

IX. მცა ნაწილაკს ფუნქცია არა აქვს წინადადებაში.

ამავე ძეგლებში გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებშიც მცა ნაწილაკი დართული აქვს რომელიმე სიტყვას, მაგრამ ზმნა-შემასმენლის მწკრივისა და შესაბამისად, კილოსაც მნიშვნელობას არ უცვლის.

მჭვრეტნი მისნი გაანკვირვნა, **რასამცა** ვინ იაზრებდა (ვინ რას იაზრებდა), ვეფ. 1191, დ.

კაცი ხმდა, მისთა მჭვრეტათვის **ღონემცა ეაჯა** რისა (შველა ეთხოვა მჭვრეტელთა), ვეფ. 619, გ.

სულ „ვეფხისტყაოსანში“ მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების 261 მაგალითი გვაქვს, რომელთაგან მხოლოდ 31 შემთხვევაა არადანიშნულებისამებრ დაფიქსირებული.

„ამირანდარეჯანიანში“ მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები გვხვდება 118-ჯერ. მათგან 55 მაგალითში მცა ნაწილაკის სინტაქსური ძალა შენარჩუნებულია, 63-ში მცა ნაწილაკს ფუნქცია არა აქვს.

„ვისრამიანში“ მცა ნაწილაკი გვევლინება 89 მაგალითში: 51 შემთხვევაში ფუნქცია სინტაქსური ძალის ზემოქმედებისა ამ ნაწილაკს გააჩნია, 38-ჯერ კი იგი ფუნქციის გარეშე იხმარება.

შეიძლება დავასკვნათ:

მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევები ე.წ. სარაინდო-სამიჯნურო პროზასა თუ პოეზიაში მეტი თუ არა ნაკლები სიხშირით არ დასტურდება ძველ ქართულთან შედარებით. ამასთან ისინი ზუსტად იმეორებენ იმ ფუნქციებს, რომლებსაც კავშირებითის მწკრივები გამოხატავენ. უფრო მეტიც, რამდენადაც იზრდება კავშირებითის მწკრივების გამოყენება სხვადასხვა ფორმებთან, იმდენად მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების გამოყენების არეალი ფართოვდება.

განსაკუთრებით ხშირია მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“. გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ძველ თუ საშუალო პერიოდის სხვა ძეგლებში. ვფიქრობთ, ამ ფორმებს რუსთაველი პოეტური მიზანდასახულობით მიმართავდა, ეს მისი პოეტური სტილის მახასიათებელია. სწორედ რუსთაველის გაფლენას უნდა უკავშირდებოდეს მცა ნაწილაკიანი ფორმების მომრავლება სარაინდო პროზაში – „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“.

დამუშავებული ძეგლების სახელწოდებათა შემოკლებანი და დამოწმებული ლიტერატურა

ამირ. – ამირანდარეჯანიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ გვ. 1.

გაჩეჩილაძე პ., კვლავ მცა ნაწილაკისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ XII, 1960, გვ. 247.

ვეფ. – ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, 1986, მესამე სასკოლო გამოცემა, ნ. ნათაძის კომენტარებითა და განმარტებებით.

ვისრ. – ვისრამიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, გვ. 140.

Tamar Tushishvili

**Towards the Semantic Development of *Mtsa* – particle Construction
in Georgian Epic Poetry and Prose
(Summery)**

The cases of applying *Mtsa* – particle constructions can be identified at the same level in epic prose as in old Georgian. In addition, they repeat the functions, that the relative conjugations express. Moreover, the more relative conjugation application increases with different forms, the bigger becomes scope of *Mtsa* – particle constructions. Applying *Mtsa* – particle constructions in “*Vepkhistk-aosani*” (The Knight in the Panther's Skin) is especially common - much frequent than in other pieces of literature of old or middle periods. We believe Rustaveli addressed these forms with poetic purpose, it is the poetic characteristics of his style. The increased usage of *Mtsa* – particle constructions in other prose such as – *Amirandarejniani* and „*Visramiani*” must be connected to Rustaveli’s influence.

**Παρά და δὴ წინდებულთა ეკვივალენტები ფსალფუნთა წიბნის
კველ ქართულ რეცენზიებში**

ცნობილია, რომ თარგმანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაზე: თარგმნისას სრულიად განსხვავებული სისტემების ენები ხვდებიან ერთმანეთს და მიმღებ ენაში სათარგმნი ენის გავლენით არაერთი სიახლე მკვიდრდება, რომელიც სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უჩვეულოა მისთვის. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული სამწერლობო ენა, რომელიც თარგმანის პროცესში ჩამოყალიბდა და დაიხვეწა და შემდეგ ამ ენაზე დაიწერა ორიგინალური თხზულებები, რომლებიც გაუღენთილია უცხოენოვანი (ბერძნული) ენობრივი მოვლენებით. ქართული სალიტერატურო ენის ამ თავისებურებას კ. დანელია ადნიშნავს: „*უცხო (ამ შემთხვევაში ბერძნული) ენის გავლენის კვალი ძველი სამწერლობო ქართულის ზედაპირს კი არ ატყვია, ვთქვით, როგორც ლექსიკური ნასესხობანი, არამედ ენის შიდა სტრუქტურულ შრეებშია აღბეჭდილი და ძნელად შესამჩნევად აღსაქმელია, ძნელია იმიტომ, რომ ასეთი უცხოენოვანი ელემენტები ოდენ თარგმნითი ძეგლების დამახასიათებელ ნიშნებად კი არ გვევლინება, არამედ ორიგინალური ძეგლებისად, უკეთ, მთელი სამწერლობო ქართულისად გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში.*“¹

თანდებულთა სისტემა ენის გრამატიკული სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია, ამიტომ მნიშვნელოვანია, თვალი გავადევნოთ მისი ჩამოყალიბების პროცესს. ცნობილია, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში თანდებულები სულ უფრო და უფრო აქტიურდებოდა. საინტერესოა, მათი გააქტიურება ბერძნულის გავლენასთან იყო დაკავშირებული, თუ საკუთრივ ქართულ ნიადაგზე მოხდა? არის თუ არა კავშირი ქართული და ბერძნული ენების თანდებულთა სისტემებს შორის?

ამჯერად ჩვენ ავირჩიეთ *πάρὰ* და *δὴ* წინდებულები. არჩევანი რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: 1) ეს ბერძნული თანდებულები პოლისემანტურია, 2) საკმაოდ ხშირად გამოიყენება ბერძნულში, 3) ქმნიან ფრაზეოლოგიზმებს და, რაც ყველაზე მთავარია, 4) მათი ზოგიერთი მნიშვნელობა ქართულისთვის სრულიად უცხოა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველი მთარგმნელები სირთულეების წინაშე დადგებოდნენ მოცემული წინდებულების ეკვივალენტების მოძიებისას. საინტერესოა, როგორ ართმევენ ისინი თავს ამ სირთულეებს, რა ეკვივალენტებს უსაბამებენ, მათგან რომელი რჩება სალიტერატურო ქართულში და რა ვერ სცდება ერთი კონკრეტული ტექსტის ფარგლებს?

¹ კორნელი დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1998, გვ. 3

παρά და δὲ წინდებულების გადმოცემა შევისწავლეთ *ფსალმუნის* ქართული თარგმანის მცხეთური (C), სინური (P) და გიორგისეული (L) რეცენზიების მთელი ტექსტის მიხედვით. ასე რომ, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ თარგმან-რეცენზირების სამ ქრონოლოგიურ ეტაპს. ეს საშუალებას მოგვცემს, დავაკვირდეთ იმ სტილისტურ ცვლილებებსაც, რომლებიც ამ წინდებულთა ეკვივალენტების სისტემაში მოხდა თავად ქართულის ნიადაგზე. კვლევისას დავადგინეთ *παρά* და *δὲ* წინდებულების ეკვივალენტები და ბერძნული დედნის გათვალისწინებით განვსაზღვრეთ მათი მნიშვნელობები.² გარდა ამისა, ამ წინდებულთა გადმოტანაზე დაკვირვებით შევეცადეთ გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილის განსაზღვრასაც.

ფსალმუნთა წიგნში *παρά* (ცხრილი № 1) თანდებული 38-ჯერაა გამოყენებული, აქედან 20-ჯერ გენეტივთან, 9-ჯერ დატივთან, 10-ჯერ აკუზატივთან. *παρά* ქმნის ფრაზეოლოგიზმებსაც: *παρά βραχῦς* (2-ჯერ), *παρά μικρὸν* (1-ხელ), *παρ' ὀλίγον* (1-ხელ) (ცხრილი № 2).

παρά წინდებულის შესატყვისი სემანტიკური ჯგუფები და ეკვივალენტები *ფსალმუნთა წიგნის* ქართულ რეცენზიებში (ცხრილი № 3):

1) აღნიშნავს პირს, რომელიც მოქმედების ინიციატორი, წყარო ან შემსრულებელია ანუ მოქმედება მისგან „გამოედინება“, იგი შეიძლება გადმოიცეს: ა) მიერ, -გან, მიმართ თანდებულებით (მაგ., 21.26 *παρά σοῦ ὁ ἔπαισός μου*] *შენ მიერ არს ქებაჲ ჩემი* C^L; 23.5 *οὐτως λήμψεται εὐλογίαὶν παρὰ κυρίου καὶ ἐλεημοσύνην παρὰ θεοῦ σωτήρος αὐτοῦ*] *ამან მოიღო (-ს L) კურთხევაჲ უფლისაგან და წყალობაჲ ღმრთისაგან მაცხოვარისა (მაცხოვრისა L) თვისისა (მისისა L) C^L; 7.11 δικάια ἢ βιοῦθειά μου παρὰ τὸν θεὸν τὸν σῶζοντάς τοὺς ἐσθλούς ἢ καρδίᾳ*] *ჭეშმარიტ (>L) არს (>L) შეწვენაჲ ჩემი ღმრთისა მიერ, რომელმან განარინის წრფელნი გულისთა C^L; ჭეშმარიტ არს შეწვენად ჩემდა ღმრთისა მიმართ, რომელმან განარინის წრფელნი გულისთა P*); ბ) მოქმედებითი ბრუნვით (მაგ., 120.2 *ἢ βιοῦθειά μου παρὰ κυρίου*] *შეწვენა ჩემდა სახელითა უფლისაჲთა C*) გ) ან შესაძლოა, მთარგმნელმა თავისუფლად თარგმნოს (151.7 *ἐγὼ δὲ σπασάμειος τῆς παρ' αὐτοῦ μάχαιραν*] *ხოლო მე სახელითა უფლისა ჩემისაჲთა მოვიღე მახვლი იგი მისი C^L; ხოლო მე ვკვადე მახვლი მისი L*).

2) გამოხატავს საგნის სივრცეში მდებარეობის ნიუანსებს: ა) თანაობას, შესაბამისად გადმოიცემა თანა თანდებულებით (მაგ., 11.5 *τὰ χεῖλη ἡμῶν παρ' ἡμῶν ἔστειλ*] *ბავენი ჩუენნი ჩუენ თანა არიან C^L*); ბ) წინაშეობას, შესაბამება წინაშე თანდებულებით (მაგ., 38.13 *ὅτι πάροικος ἐγὼ εἶμι παρὰ σοῦ*] *რამეთუ მსხემ ვარ შენ წინაშე C^L*); გ) შიგნით

² მნიშვნელობების გამოყოფისას და დალაგებისას ვისარგებლეთ შემდეგი ლექსიკონებით: Lampe G.W.H., *A Patristic Greek Lexicon*, Oxford, 1961; Liddell H.G. and Scott R., *Greek-English Lexicon*, Oxford, 1996 და Martin Johannesson, *Der Gebrauch der Prapositionen in der Septuaginta*, 1925.

მყოფობას, ეკვივალენტია **შინა** თანდებული (მაგ., 140.7 *διεσκορίσθη τὰ ὀστᾶ ἡμῶν παρὰ τὸν ἄδην*) *ეგრე განიბნინენ ძუალნი მათნი ჯოჯოხეთს შინა* **ც**; განიბნინეს ძუალნი მათნი *ჯოჯოხეთს შინა* **ლ**).

3) **აწარმოებს აღმატებით ხარისხის**. **παρὰ** თანდებულიან სეგმენტს ქართულში **უფროვს** სიტყვიანი კონსტრუქცია შეესაბამება (მაგ., 44.3 *ἀραιὸς κάλλει παρὰ τοὺς υἱοὺς τῶν ἀνθρώπων*) *შუენიერ არს იგი ხილვად უფროვს ყოველთა ძეთა კაცთასა* **ც**; *შუენიერ სიკეთითა უფროვს ძეთა კაცთასა* **ლ**).

4) **παρὰ βραχῦ** (**2**); **παρὰ μικρὸν** (**1**); **παρ' ὀλίγον** (**1**) – ფრაზეოლოგიზმები სინონიმური მნიშვნელობისაა, აღნიშნავს **თითქმის, ლამის, წამიც და, ფსალმუნთა** ქართულ რეცენზიებში არსებული ეკვივალენტები: **კნინდა, მცირედლა, კნინ ერთლა, წუთლა** (მაგ., 93.17 *παρὰ βραχῦ παρῶκησεν τῷ ἄδῃ ἡ ψυχὴ μου*) *კნინ ერთლა და და-მცა-ემკვდრა ჯოჯოხეთს სული ჩემი* **ც** **ლ**; 72.2 *ἔμῳ δὲ παρὰ μικρὸν ἐσαλεύθησαν οἱ πόδες παρ' ὀλίγον ἐξέχυθη τὰ διαβήματά μου*) *ხოლო ჩემი კნინდა და შემიდრწუნდეს ფერკნი ჩემნი (> ლ), მცირედლა და შემეცთებოდეს (შემეცთეს ლ) სღვანი ჩემნი* **ც** **ლ**).

παρὰ წინდებულის ეკვივალენტები რეცენზიათა მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში № 4.

δὴ წინდებული *ფსალმუნთა წიგნში* საკმაოდ პროდუქტულია და მნიშვნელობებიც მრავალფეროვანი აქვს, ქმნის ფრაზეოლოგიზმებსაც (ცხრილი № 5 და 6).

δὴ წინდებულის შესატყვისი სემანტიკური ჯგუფები და ეკვივალენტები *ფსალმუნთა წიგნის* ქართულ რეცენზიებში (ცხრილი № 7):

1) **ინსტრუმენტალისი**: ა) **მეშვეობით**, ბ) **შემწეობით**, **წყალობით**, გადმოიცემა: ა) **მოქმედებითი ბრუნვით** (მაგ., 15.4 *οὐδὲ μὴ μνησθῶ τῶν ὀνομάτων αὐτῶν δὴ χεῖλέων μου*) *არცა მოვიკსენო სახელები მათი ბავითა ჩემითა* **ც** **ლ**); ბ) **მიერ** თანდებულით (მაგ., 77.49 *θλιψὺν ἀποστολήν δὲ ἀγγέλων ποιηρῶν*) *ჭირი მივლინებითა ანგელოზთა მიერ ბოროტთა* **ლ**; გ) **კვლით**, მაგ. 77.49 *ჭირი მიავლინა მათდა კვლითა*³ *ანგელოზისა მრისხანისადთა* **ც** **ლ**).

2) **მოდრალბა ერთი წერტილიდან მეორისაკენ რაიმეს გაგლით** (**შორის, შუა**), გადმოიცემა: ა) **-თ სუფიქსიანი მრავლობითის მიცემითი ბრუნვის ფორმით** (მაგ., 88.35 *καὶ τὰ ἐκπορευόμενα δὴ τῶν χεῖλέων μου οὐ μὴ ἀβερῶσιν*) *და რა-იგი აღმოვდა ბავითა ჩემთა, მე არა ვაქციო* **ც**; და რა-იგი აღმოვდა *ბავითა ჩემთა, არა შეურაცხ-ვეო* **ლ**); ბ) **ზმნისწინის დახმარებით**

³ სიტყვა **კვლი** ქართულში თანდებულის მნიშვნელობით ბერძნულის გზით დამკვიდრებული ებრაიზმია. ებრაულში იგი ფრაზეოლოგიური წინდებულის შემადგენელი ნაწილია და მარტივ წინდებულთან ერთად გადმოსცემს ინსტრუმენტალისის შინაარსს. სიტყვა ხელს მიერ თანდებულის მნიშვნელობა აქვს სომხურშიც.

(მაგ., 65.12 *διήλομαι διὰ πῦρός καὶ ἕδατος*] **განვლეთ ჩვენ ცეცხლი და წყალი** *ლვლ*).

3) **გამო, მიზეზით**, გადმოიცემა: ა) **მოქმედებითი ბრუნვით** (მაგ., 106.17 *διὰ γὰρ τὰς ἀνομιὰς αὐτῶν ἐταπεινώθησαν*] **რამეთუ ცოდვითა მათითა დაძდაბლდეს** *ლვლ*); ბ) **-თვის** თანდებულებით (მაგ., 105.32 *ἐκακῶθη Μωσῆς δι' αὐτούς*] **განბოროტნა მოსე მათთვის** *ლვლ*; 72.18 *πλὴν διὰ τὰς δολιότητας ἔθους αὐτοῖς*] **ხოლო ზაკეისა მათისათვის** დასთრგუნენ ივინი *ლვ*; **ხოლო ზაკეისა მათისათვის** დასდევ მათთვის ბოროტი *ლ*).

διὰ წინდებულები **παρά** წინდებულზე უფრო ხშირად ქმნის ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც წინადადებაში გარემოების ფუნქციითაა გამოყენებული. ეს ფრაზეოლოგიზმებია: **διὰ παντός** – 23-ჯერ; **διὰ τοῦτο** – 22-ჯერ; **διὰ κενῆς** – 2-ჯერ; **διὰ μέσου** – 1-ხელ; **διὰ τάχους** – 1-ხელ; **διὰ τί** – 1-ხელ, როგორც ვხედავთ, უმეტესწილად, **διὰ** სწორედ შესიტყვებებშია გამოყენებული (ცხრილი № 8).

διὰ παντός – **მარად, მუდამ** (მაგ., 15.8 *ἐνώπιόν μου διὰ παντός*] **წინაშე ჩემსა არს მარადის** *ლვ*; **წინაშე ჩემსა მარადის** *ლ*; 68.24 *καὶ τὸν ἰδὸν αὐτῶν διὰ παντός σύγκαμψον*] და **ზურგი მათი მარადლე შედრიკე** *ლ*; და **ზურგი მათი მარადის შედრიკე** *ლვ*; 118.117 *καὶ μελετήσω ἐν τοῖς δικαίωμασίν σου διὰ παντός*] და **ვიტყოდი (ვიწუროდი** *ლ*) **სიმართლეთა შენთა ყოველსა კამსა** *ლვლ*).

διὰ τοῦτο – **ამიტომ, ამისთვის** (მაგ., 41.7 *διὰ τοῦτο μισηθήσασαι σου ἐκ γῆς Ἰορδάνου*] **ამისთვის მოვივსენო შენ ქუეყანით იორდანით** *ლვლ*; 44.18 *διὰ τοῦτο λαοὶ ἐξομολογήσονται σοι εἰς τὸν αἰῶνα καὶ εἰς τὸν αἰῶνα τοῦ αἰῶνος*] **ამისთვის ერთა აღვიარონ შენ უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე** *ლვლ*; 45.3 *διὰ τοῦτο οὐ φοβηθήσασθε ἐν τῷ παράσσειναι τῆς γῆς καὶ μετατίθεσθαι ὄρη ἐν καρδίαις θαλάσσων*] **ამისთვის არა მეშინოდის მე ძრწოლასა ქუეყანისასა, ცვალებასა მთასასა და გულსა ზღუათასა** *ლვ*; **ამისთვის** არა მეშინოდის ჩვენ ძრვასა ქუეყანისასა და ცვალებასა მთათასა, გულთა ზღუათასა *ლ*).

διὰ κενῆς – **უშედეგოდ, ცუდად** (მაგ., 24.3 *αἰσχυνθήτωσαν πάντες οἱ ἀνομοῦντες διὰ κενῆς*] **პრცხუენოდენ მათ, რომელი უშჯულოებენ ცუდად** *ლვლ*).

διὰ μέσου – **შორის, შუა** (მაგ., 135.14 *καὶ διαγαγόντι τὸν Ἰσραὴλ διὰ μέσου αὐτῆς*] და **გამოიყვანა ისრაელი შორის მისსა** *ლვ*; და **განიყვანა ისრაელი შორის მისსა** *ლ*).

διὰ τάχους – **სწრაფად, მალე** (მაგ., 6.11 *καὶ καταισχυσθήσασιν σφόδρα διὰ τάχους*] **პრცხუენოდენ ფრიად და მსთუად** *ლვლ*).

διὰ τί – **რატომ?** (მაგ., 41.10 *διὰ τί μου ἐπέλαθου*] **რად დამავდებ მე** *ლვ*? **რად** დამივიწყე მე *ლვ*).

ამ ფრაზეოლოგიზმების გადმოტანისას არც ძველ და არც ახალ რეცენზიებში სიჭრელე არ არის. ყველა შემთხვევაში გვაქვს აბსოლუტური დამთხვევა, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს **διὰ παντός**-ის გადმოტანა, თუმცა მნიშვნელოვანი მერყეობა არც აქაა. მისი ხმა-

რების 23 შემთხვევიდან **მარადის** ეკვივალენტი შეესაბამება 17-ჯერ მცხეთურში, 19-ჯერ სინურში და 20-ჯერ გიორგისეულში.

ძა წინდებულის ეკვივალენტები რეცენზიათა მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში №8.

παρά და **ძა** წინდებულების მნიშვნელობებისა და შესატყვისების დადგენის პროცესში უფრო ზუსტად განისაზღვრა ზოგიერთი ქართული თანდებულისა თუ ბრუნვის მნიშვნელობა *ფსალმუნის* ტექსტში. მაგ.,

1) - ი თ ა (- ი თ) :

ა) **მოქმედების ინიციატორი ან პირი, რომელიც მოქმედებას ასრულებს:** მაგ., 67.24 *ὅπως ἂν βαφῆ ὁ πούς σου ἐν αἵματι ἢ γλῶσσαι τῶν κυνῶν σου ἕξ ἐχθρῶν παρ' αὐτοῦ*] რაღათა შეისოვლნენ ფერკნი შენნი სისხლითა, და ენანი ძაღლთა შენთანი - **სისხლითა მტერთა მისთათა** ᄎ; *მღრ. რაღათა შეისოვლნენ ფერკნი შენნი სისხლითა, და ენანი ძაღლთა შენთანი - სისხლითა მტერთაგან მის მიერ* ᄎ და რაღათა შეიღებოს ფერკი შენი სისხლითა და ენანი ძაღლთა შენთანი - **მტერთაგან მის მიერ** ᄎ.

ბ) **თანახმად, მსგავსად, შესაფერისად:** მაგ., 118.154 *διὰ τὸν λόγον σου ζῆσόν με*] და **სიტყვთა შენითა მაცხოვნე მე** ᄎ; და **სიტყვთა შენითა მივსენ მე** ᄎ.

გ) **მეშვეობით, შემწეობით, წყალობით:** მაგ., 32.16 *οὐ σφῆται βασιλεὺς διὰ πολλῆν δύναμιν*] არა განერეს მეფე **მრავლითა ერთთა თვისითა** ᄎ; არა ცხონდების მეფე **მრავლითა ძალითა თვისითა** ᄎ.

დ) **გამო, მიზეზით:** მაგ., 106.17 *διὰ γὰρ τὰς ἀνομιὰς αὐτῶν ἔταπεινώθησαν*] რამეთუ **ცოდვითა მათითა** დამდაბლდეს ᄎ.

2) - გ ა ნ :

აღნიშნავს მოქმედ პირს, მოქმედების ინიციატორს: მაგ., 23.5 *οὐ τὸς λήψεται εὐλογία παρά κυρίου καὶ ἐλεημοσύνην παρά θεοῦ σωτήρος αὐτοῦ*] ამან მოიღო **კურთხევა უფლისაგან** და **წყალობა ღმრთისაგან** მაცხოვარისა თვისისა ᄎ.

3) მ ი მ ა რ თ :

აღნიშნავს მოქმედ პირს, მოქმედების ინიციატორს: მაგ., 7.11 *ἢ βοήθειά μου παρά τοῦ θεοῦ*] შეწევნად **ხემდა ღმრთისა მიმართ** ᄎ.

4) მ ი ე რ :

ა) **აღნიშნავს მოქმედ პირს, მოქმედების ინიციატორს:** მაგ., 7.11 *ἢ βοήθειά μου παρά τοῦ θεοῦ*] შეწევნად **ხემდა ღმრთისა მიერ** ᄎ ᄎ;

ბ) **ინსტრუმენტალისი:** მაგ., 77.49 *ἐξάπεστειλεν εἰς αὐτοὺς ὄργην θυμοῦ αὐτοῦ θυμὸν καὶ ὄργην καὶ θλίψιν ἀποστολήν δι' ἀγγέλων ποιηρῶν*] მიაველინა მათდა **რისხვა გულის წყრომისა მისისა, გულის წყრომა და რისხვა და ჳირი მივლინებითა ანგელოზთა მიერ** ბოროტთა ᄎ.

5) თ ა ნ ა :

ვინმესთან ან რამესთან ყოფნა: მაგ., 11.5 *τὰ χεῖλη ἡμῶν παρ' ἡμῶν ἔστιν*] ბაგენი **ჩუენნი ჩუენ თანა** არიან ᄎ.

6) წ ი ნ ა შ ე :

ა) წინაშეობა: მაგ., 38.13 *ὅτι πάρικος ἐγὼ εἶμι παρὰ σοί*] რამეთუ მსხემ ვარ შენ წინაშე ႠႡႢ.

7) შინა :

შიგნით მყოფობა: მაგ., 140.7 *διεσκορίσθη τὰ ὀστέ ἡμῶν παρὰ τὸν ἔθνη*] ეგრე განიბნინენ ძუაღნი მათნი ჯოჯოხეთს შინა ႠႡ; განიბნინეს ძუაღნი მათნი ჯოჯოხეთს შინა Ⴂ.

8) უფროდს; უფროდს ყოველთა; უმეტეს; უდიდეს:

ა) აღმატებითი ხარისხი: მაგ., 44.3 *ἀραιὸς κάλλι παρὰ τοὺς υἱοὺς τῶν ἀθηρῶων*] შუენიერ არს იგი ხილვად უფროდს ყოველთა ძეთა კაცთასა ႠႡ; შუენიერ სიკეთითა უფროდს ძეთა კაცთასა Ⴂ.

9) - თვის :

გამო, მიზეზით: მაგ., 105.32 *ἐκκᾶθη Μωσῆς δι' αὐτοὺς*] განბოროტნა მოსე მათიჯს ႠႡႢ.

10) ჳელოთა :

ინსტრუმენტალისი: მაგ., 77.49 *θλίψιν ἀποστολήν δι' ἀγγέλων ποιηρῶν*] ჳირი მიავლინა მათდა ჳელოთა ანგელოზისა მრისხანისათა ႠႡ.

როგორც ვხედავთ, *παρὰ* და *διὰ* წინდებულების შესატყვისები ქართულში საკმაოდ მყარია და *ფხალძუნთა* ტექსტის თარგმნარეცენზირების სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. სტილისტური სიახლე არც გიორგი მთაწმინდელისეულ რეცენზიაშია. ამ თანდებულებს იმთავითვე ზუსტი ეკვივალენტები მოეძებნა, რომელთაც ზოგ შემთხვევაში ქართულისათვის სრულიად უჩვეულო მნიშვნელობა მიიღეს. ამათგან ზოგი მეტნაკლებად დაუმკვიდრდა ქართულ წინდებულებს, ზოგი კი – ვერა.

ცხრილები

ცხრილი № 1 *παρὰ* წინდებულის მნიშვნელობები ბერძნულში

	genetive	dative	accusative
<i>παρὰ</i>	1) გამოსვლითობა ა) ადგილიდან ბ) აღნიშნათა ჯგუფიდან, გ) აღნიშნავს მოქმედების ინიციატორს, წყაროს ან შემსრულებელს დ) ცალკეული პირიდან	1) ლოკატივი ა) თანაობა ბ) ზედლობა გ) შინ, შინა (მიუგებს კითხვაზე სად?)	1) გვერდით, ახლოს
	2. იშვიათად: ახლოს, მახლობლად (თანაობა)	2) წინასწარ, რაიმე მოვლენის წინ, ადრე, უწინ	2) გასწვრივ
		3) რომელიმე ავტორის ციტირებისას	3) შემდეგ, უკან
		4) გამოსვლითობა (-დან, -გან)	4) მსგავსად, მიმსგავსებულად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
 ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, I

		5) შედარება
		6) ხარისხის წარმოება
		7) მიზეზი

ცხრილი №2 **παρά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილი იდიომები

παρά βραχύν	თითქმის, ღამის, წამიც და
παρά μικρόν	
παρ' ὀλίγον	

ცხრილი №3 *ვსალმუნთა წიგნის* ქართულ რეცენზიებში დადასტურებული **παρά** წინდებულის მნიშვნელობები და ეკვივალენტები

παρά + c. gen (20) / + c. dat (9) /+ c. acc (10)	მნიშვნელობები	ეკვივალენტები
	1) პირი, რომელიც მოქმედების ინიციატორი, წყარო ან შემსრულებელია ანუ მოქმედება მისგან „გამოედინება“ (24)	ა) მიმართ (C1 / Գ2 / Լ0), მიერ (C10 / Գ12 / Լ15), -გან (CԸ8 / Լ9) ბ) Ø (C4 / Գ3 / Լ2) გ) მოქმედებითი ბრუნვა (C2 / ԳԼ0)
	2) ვინმესთან ან რამესთან ყოფნა, თანაობა (1)	თანა (CԳԼ 1)
	3) წინაშეობა (2)	წინაშე (CԳԼ 2)
	4) შიგ, შიგნით (1)	შინა (CԳԼ 1)
	5) აღმატებითი ხარისხის წარმოება (6)	უფროს სიტყვიანი კონსტრუქცია (CԼ6 / Լ5)
6) παρά βραχύν (2); παρά μικρόν (1); παρ' ὀλίγον (1) – ფრაზეოლოგიზმები სინონიმური მნიშვნელობისაა, აღნიშნავს თითქმის, ღამის, წამიც და	კინ ერთლა (CԳԼ 1), წუთლა (CԳԼ 1), კინინლა (CԳԼ 1), მცირედლა (CԳԼ 1)	

ცხრილი №4 **παρά** წინდებულის ეკვივალენტთა სტატისტიკური ცხრილი რეცენზიათა მიხედვით

LXX	ქართ. ეკვ.	⌊	Գ	Լ	სულ
აღნიშნავს მოქმედ პირს, მოქმედების ინიციატორს					
παρά	მიმართ	1	2	0	25 (26 Լ)
	მიერ	10	12	15	
	-ით	2	0	0	
	-გან	8	8	9	
	Ø	4	3	2	
ვინმესთან ან რამესთან ყოფნა					
παρά	თანა	1	1	1	1
აღმატებითი ხარისხი					
	უფროს	1	1	3	

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, I

	უფროდს ყო-ველთა	3	3	1	6 (5 ო)
	უმეტეს	1	1	1	
	უდიდეს	1	1	0	
წინაშეობა					
παρά	წინაშე	2	2	2	2
შიგნით					
παρά	შინა	1	1	1	1
მყარ შესიტყვებში					
თითქმის, ღამის, წამიც და					
παρά βραχύν	კინი ერთღა	1	1	1	2
	წუთღა	1	1	1	
παρά μικρόν	კინიღა	1	1	1	1
παρ' ὀλίγον	მცირეღღა	1	1	1	1

ცხრილი № 5 დამ წინდებულის მნიშვნელობები ბერძნულში

დამ	genitive	accusative
	1) გავლით (υπερ; through)	1) გავლით, შორის (υπερ; through)
	2) განმავლობაში	2) განმავლობაში
	3) ინსტრუმენტალისი (იარაღი, საშუალება)	3) ინსტრუმენტალისი (წყალობით, შემწეობით)
	4) მიზეზი	4) გამო, მიზეზით
	5) ნივთიერება, რისგანაც საგანია დამზადებული	5) მიზანი
	6) შორის, შუა	

ცხრილი № 6 დამ წინდებულის მონაწილეობით შექმნილი ოდიომები

დამ μέσσω	შორის, შუა
დამ κεινής	უშედევოდ, ცუდად
დამ παντός	მარად, მუდამ
დამ τάχους	სწრაფად, მაღე
დამ τί	რატომ?
დამ τούτο	ამიტომ, ამისთვის

ცხრილი № 7 ფხალმუნთა წიგნის ქართულ რეცენზიებში და-დასტურებული დამ წინდებულის მნიშვნელობები და ეკვივალენტები

დამ + c. gen (31) / + c. acc (33)	მნიშვნელობები	ეკვივალენტები
	1) ინსტრუმენტალისი (5) ა) მეშვეობით ბ) შემწეობით, წყალობით	ა) მოქმედებითი ბრუნვა (CPL 3) ბ) მიერ თანდებული (CPL / PL) გ) „კვლითა“ სიტყვა (CPL / PL)
	2) მოძრაობა ერთი წერტილიდან მეორისაკენ რაიმეს გავლით	ა) -თ სუფიქსიანი მრავლობითის მიცემითი ბრუნვის ფორმა (CPL 1)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
 ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, I

	(შორის) (2)	ბ) ზმნისწინის დახმარებით (C9L 1)
	3) გამო, მიზეზით (7)	ა) მოქმედებითი ბრუნვა (C9L 3) ბ) -თვს თანდებული (C9L 4 / L5)
	4) ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები (49):	
	δὴ παύσας (23) – მარად, მუდამ	მარადის (C17 / L19 / L20), მარადლე (C3 / L2 / L0), სამარადისოდ (C90 / L1), ყოველსა ჟამსა (C9L 1), Ø (C2 / L11)
	δὴ τῆντο (22) – ამიტომ, ამისთვის	ამისთვის (C9L 22)
	δὴ κενῆς (2) – უშედეგოდ, ცუდად	ცუდად (C9L 2)
	δὴ μέσῃ (1) – შორის, შუა,	შორის (C9L 1)
	δὴ τὰχους (1) – სწრაფად, მალე	მსთუად (C9L 1)
	δὴ τί (1) – რატომ? (კითხვითი ზმნიზედა)	რად? (C9L 1)

ცხრილი №8 δὴ წინდებულის ეკვივალენტთა სტატისტიკური ცხრილი რეცენზიათა მიხედვით

LXX	ქართ. ეკვ.	С	Գ	Ը	სულ
ინსტრუმენტალისი					
δὴ	-ით	3	3	3	4
	კელითა	1	1	0	
	მიერ	0	0	1	
მოძრაობა ერთი წერტილიდან მეორისაკენ რაიმეს გავლით (შორის)					
δὴ		2	2	2	2
შემწვობით, წყალობით					
δὴ	-ით	1	1	1	1
გამო, მიზეზით					
δὴ	-ით	3	3	2	7
	-თვს	4	4	5	
ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები:					
მარად, მუდამ					
δὴ παύσας	მარადის	17	19	20	23
	მარადლე	3	2	0	
	სამარადისოდ	0	0	1	
	ყოველსა ჟამსა	1	1	1	
	Ø	2	1	1	
ამიტომ, ამისთვის					
δὴ τῆντο	ამისთვის (ამისათვის)	22	22	22	22

უშედგოდ, ცუდად					
δὲ κειῖς	ცუდად	2	2	2	2
შორის, შუა					
δὲ μέσῳ	შორის	1	1	1	1
სწრაფად, მალე					
δὲ ταχῶς	მსუად	1	1	1	1
რატომ?					
δὲ τί	რად	1	1	1	1

ლიტერატურა:

გამოცემები:

მზექალა შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, თბილისი, 1960

Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed. A. Rahlfs

ლექსიკონები:

ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973

Lampe G.W.H., A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961

Liddell H.G. and Scott R., Greek-English Lexicon, Oxford, 1996

მეორადი ლიტერატურა:

კორნელი დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1998

ივანე იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თსუ. თბ., 1957

არამ მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იკე I, 1946

ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, „განათლება“, თბ., 1984

უჩა ცინდელიანი, ახალი მასალები გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, IV, თბ., 1978

უჩა ცინდელიანი, κατά წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებში, „მრავალთავი“, IV, თბ., 1975

Martin Johannessohn, Der Gebrauch der Prapositionen in der Septuaginta, 1925

Natia Mirotadze

**Equivalents of *παρά* and *διά* Prepositions in Old
Georgian Recensions of The Book of Psalms
(Summery)**

The Georgian translators and recensents of the Book of Psalms translate *παρά* and *διά* prepositions mainly with preposition equivalents, they use case form opportunities as well in order to express various contents. However, according to the word to word translation principle, they still prefer to apply preposition forms.

Language expressing means receive new meanings during translation, since they show the element that needs to be translated. The Georgian language accepted some of these meanings, however, some were unable to stay involved.

παρά and *διά* prepositions were found strong equivalents from the very first stage of translating and reviewing the Book of Psalms. Nothing has changed in this respect in following recensions. Stylistic change can not be found in Giorgi Mtatsmindeli's recension too.

**ფსალმუნთა წიგნის კველი ქართული
თარგმანის ხასიათის შესახებ
(*διδόναι* და *τιθέναι*-თი ნაწარმოები გრამატიკული
კონსტრუქციებისა და ფონოლოგიის გადმოცემის მაგალითზე
ქართულ ფსალმუნში)**

ბიბლიის ქართული თარგმანის ხასიათს მეტ-ნაკლები ინტენსივობით უკვე კარგა ხანია იკვლევენ მისი გამომცემლები. კორნელი დანელიას ყველაზე მეტი უწერია ამ საკითხის შესახებ. მან განსაზღვრა ქართული თარგმანის ზოგადი შტრიხები, მისი კვლევის მიმართულებები და გაგვაფრთხილა, რომ ამგვარ სამუშაოს რამდენიმე თაობის მეკვლევართა შრომა სჭირდება¹. კვლევის თავდაპირველი ეტაპი შესაძლებლობას იძლეოდა ერთი მთლიანი სურათი დახატულიყო, რომლის მიხედვითაც ძველი ქართული თარგმანის ხასიათი ვითარდება თავისუფალი თარგმანიდან სიტყვასიტყვითი თარგმანისკენ. ასეთი ზოგადი სურათი მარტო ქართულისთვის არაა დამახასიათებელი: ბერძნული, ლათინური, სირიული თარგმანების ისტორიაც სქემატურად ასევე შეიძლება იქნას წარმოდგენილი. მაგრამ ზოგჯერ თარგმანის ეს, ზოგადი, უფრო ზუსტად კი – ზედაპირული დახასიათება (რაც აუცილებელი ეტაპია კვლევის იტორიაში) ზოგადობის სახეს კარგავს, კონკრეტულ ძეგლებზე და თარგმანის ყველა პარამეტრზე ვრცელდება და “სიტყვასიტყვითობაც” და “თავისუფლებაც” აბსოლუტური (და არა მიმართებითი) მნიშვნელობით გაიგება. ასე ყალიბდება შაბლონური აზრი თავდაპირველი თარგმანების თავისუფალი ხასიათის თაობაზე, რაც, უმთავრესად, იმ არგუმენტს ემყარება, რომ ამგვარ თარგმანში უცხო ენათა იდიომი ქართული იდიომითაა გადმოტანილი.

მაგრამ რამდენად ზუსტია ეს აზრი და გამოხატავს თუ არა იგი პირველმთარგმნელთა მისწრაფებას? ეს კითხვა თეორიულ² და პრაქტიკულ დონეზე მოითხოვს პასუხს და ბევრ სხვა საკითხთან ერთად დაკავშირებულია ქართული ენისა და ქართული თარგმანის ისტორიასთანაც.

სტატიაში *διδόναι* და *τιθέναι*-თი ნაწარმოები გრამატიკული კონსტრუქციებისა და შესიტყვებების გადმოცემის მაგალითზე მე სწორედ იმის ჩვენება მიხდა, თუ რამდენად არ უფრთხილდებიან ქართული ენის ხასიათს *ფსალმუნთა* პირველი ქართველი მთარგმნელები და რამდენად ცდილობენ მასში უცხო იდიომის შემოტანას.

¹ იხ. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

² იხ. ა. ხარანაული, წმიდა წერილის თარგმანები, რწმენა და ცოდნა, 2(6), 10-24 -3(7), 10-21, 2001

I.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ზმნებთან *διδόναι* და *τιθέναι* ბერძნული ორმაგაკუზატივუსიანი კონსტრუქციის (*διδόναι τίνι τίνα (είς) acc³ და τιθέναι τίνα (είς) acc.*) ქართულად გადმოტანა: ეს კონსტრუქცია (მაგ. *διδόναι τίνι τίνα σαρηνία*) ბერძნულში უკვე ანტიკურ ავტორებთან გვხვდება.⁴ თუმცა უფრო ბუნებრივი და გავრცელებულია ამავე სემანტიკის გამომხატველი მარტივი ფორმა (მაგ. *δώσει*).⁵ რაც შეეხება სეპტუაგინტას, აქ ეს კონსტრუქცია შეესაბამება ებრაულ შედგენილ შემასმენლიან კონსტრუქციას, რომლის პირველი, ზმნური ნაწილია *ןָן* (*მიცემა, ჩუქება, გაქირავება, გაყიდვა*, მაგრამ ასევე *ქმნა* და *შექმნა*) ან *ןָשׁ* (*დადება, დადგინება, განსაზღვრა, გაკეთება*) და იგი *διδόναι* // *τιθέναι* ზმნებით გადმოტანება, მეორე ნაწილს კი წარმოადგენს ! პრეფიქსიანი სახელადი ნაწილი, პრედიკატივუმი, რომლის შესატყვისიცაა ბერძნული აკუზატივი, *είς* თანდებულთ ან უთანდებულთ ან – დატივი. აღსანიშნავია, რომ პრედიკატივუმს არტიკლიც შეიძლება ახლდეს.⁶ ასე რომ, *ფსალმუნის* ბერძნულად მთარგმნელები ებრაული კონსტრუქციისთვის ენაში უკვე არსებულ, ებრაულთან მაქსიმალურად დაახლოებულ ეკვივალენტს არჩევენ.

როგორ იქცევიან ქართველი მთარგმნელები – ბერძნულ კონსტრუქციას ქართულში არსებულს შეუსაბამებენ, როგორც ეს ბერძენმა მთარგმნელებმა გააკეთეს, თუ ახალს თხზავენ – გადაჭრით ამისი თქმა რთულია, რადგანაც არა გვაქვს (თუ არ შემოგვრჩენია) წერილობითი ძეგლები, წმინდა წერილის თარგმანამდელი პერიოდის ენას რომ ასახავდეს. შესაბამისად, ამ საკითხის გარკვევა მანამდე უნდა გადაიდოს, სანამ ორიგინალური მწერლობის ენობრივი ტენდენციები იქნება შესწავლილი. რაც შეეხება თარგმანის ტენდენციას ქართულ *ფსალმუნში*, ეს ტენდენცია ძირითადად ერთგვაროვანია და ფორმალური სიზუსტისა და მყარი ეკვივალენტის მაქსიმალურ დაცვაში გამოიხატება. თუმცა ეკვივალენტების სიმყარე შიგადაშიგ მაინც ირღვევა ხოლმე.

1. ბერძნული ფორმულის ყველაზე გავრცელებული ეკვივალენტი *ფსალმუნთა* ძველ ქართულ თარგმანში შემდეგ კონსტრუქციას ქმნის: ზმნები თავდაპირველი მნიშვნელობით არის გადმოტანილი, პრედიკატული დამატება (თანდებულისანიც და უთანდებულთ) – ვითარებით. ამრიგად, მთარგმნელი აქ იმავე კონსტრუქციას იყენებს, რასაც

³ cf. Helbing, *Kasussyntax*, 51-53, 191-193; Blass-Debrunner-Rehkopf, § 392, f.6

⁴ მაგ. *φιλῆσαι δόναι, συγγράμην δόναι*, იხ. Helbing, *Kasussyntax*, 191-192; Kühner-Gerth, § 411.

⁵ cf. Helbing, 57

⁶ იხ. Helbing, *Kasussyntax*, 52, არტიკლის ხმარებიც შემთხვევები შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთან. იხ. აგრეთვე Kuehner-Gerth II 1, 592, შენ. 4.

მიზნის ინფინიტივის გადმოტანისას,⁷ მაგ. ამავე ზმნებთანაც: 1510 ὁὐδὲ δῶσεις τὸν ὄσιόν σου ἰδέιν διαφθοράν] არცა ვსცე (სცე Geo^G) წმიდასა ჩემსა **ხილვად** განსახრწნელი (-სა Geo^G) Geo^A.

διδόναι:

28 δῶσα σοι ἔθνη τῆν κληρονομίαν σου] **მიგცნე** შენ (+ ყოველნი Geo^A) წარმართნი **სამკვდრებელად** შენდა Geo

13412 ἔδωκεν τῆν γῆν ἀπὲς κληρονομίαν] **მისცა** ქუეყანა მათი **სამკვდრებელად** Geo (= 135₂₁)

389 ὄνειδος ἄφρονι ἔδωκάς με] **საყუედრელად** უგუნურთა (-სა Geo^G) **მიმეც** მე Geo

564 ἔδωκεν εἰς ὄνειδος τοὺς καταπατοῦντάς με] **მისცნა** **საყუედრელად** დამორგუნველნი ჩემნი Geo

7314 ἔδωκάς ἀπὸν βῆμα λαοῖς] **მიეც** იგი **საჭმლად** ერსა მას Geo

6822 ἔδωκαν εἰς τὸ βῆμά μου χολῆν] **მცეს** მე **საჭმ(ე)ლად** ჩემდა ნაელელი Geo

105₄₆ ἔδωκεν ἀπὸς εἰς οἰκτιρμοὺς] **მისცნა** იგინი საწყალობელად Geo

1236 οὐκ ἔδωκεν ἡμᾶς εἰς θῆραν τοὺς ὀδοῦσιν ἀπὲς] არა **მიმცნა** ჩუენ **ნადირად** კბილთა მათთა Geo

1203 μὴ δῶς εἰς σάλον τὸν πόδα σου] ნუ **მისცემ** შეძრვად ვერკთა (ფერკსა Geo^G). თუმცა, უკანასკნელ შესიტყვებაში ვითარებითის ნაცვლად სახელობითიც გვხვდება ერთგან: 659 μὴ δόντος εἰς σάλον τοὺς πόδας μου] არა **სცა ძრვა** (ძრვა Geo^C) ვერხთა ჩემთა Geo (შდრ. ქვემოთ, ვითარებითი ამავე მუხლში *τιθέναι*-სთან). ამ ცვლილებას ანალიოგი ისევ ბერძნულში აქვს, სადაც *σάλον*, უკვე პირდაპირ ობიექტად გაიგება და არა როგორც პრედიკატივში: 5423 ὁὐδὲ δῶσει εἰς τὸν αἰῶνα σάλον τῷ δικαίῳ] არა **სცეს** **შერყევად** უკუნისამდე მართალსა Geo.

1733 ἔθετο ἄμωμον τῆν ὀδὸν μου] **დასხნა** უბიწოდ სლვანი ჩემნი Geo^ʹ, დადვა უბიწოდ გზად ჩემი Geo^G.

τιθέναι:

734 ἔθεντο τὰ σημεῖα ἀπὲς σημεῖα] **დასხნეს** სასწაულნი მათნი **სასწაულად** Geo

806 μαρτύριον ἐν τῷ Ἰωσηφ ἔθετο ἀπὲς] **წამებად** იოსების თანა **დადვა** ესე Geo

1033 ὁ τιθεὶς νέφη τῆν ἐπίβασιν ἀπὸς] რომელმან **დასხნა** ღრუბელნი **აღსავალად** თვსა Geo

⁷ Blass-Debrunner-Rehkopf, § 390, 1b; Charanauli A., *Einführung in die georgische Psalterübersetzung*, 302

782 ἔθειτο τὰ θησιμαῖα τῶν δούλων σου βρώματα τοῖς πετεινοῖς] **და(ა)სხეს** მძორები **საჭმლად** მფორინველთა Geo

659 τὸν θεμένου τῆς ψυχῆς μου εἰς ζῆλον] რომელმან **დადვა** სული ჩუენი (ჩემი Geo^G) **ცხორებად** Geo

8414 θήσει εἰς ὄδον τὰ διαβήματα αὐτοῦ] **დადვას სლვად** გზად (**გზად** სლვაჲ Geo^G) თვისი Geo

10633 ἔθειτο ποταμοὺς εἰς ἔρημον] **დასხნა** მდინარეი **კმელად** (ოკრად Geo^G) Geo

10635 ἔθειτο ἔρημον εἰς λίμνας ἰσδάτων] **დასხნა** (დადვა Geo^G) უდაბნოი **ტბად** Geo

დადვებას სინონიმი – *დადგინებაც* ენაცვლება:

8828 κἀγὼ πρωτότοκον θήσομαι αὐτὸν ἰσχηδόν] **პირმშოდ დავადგიონო** იგი Geo.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელის მიერ მოქმენილი კონსტრუქცია საკმაოდ მყარ ეკვივალენტს ქმნის, თუმცა გამონაკლისიც არსებობს, რაც სახელის ბრუნვის ცვლილებაში გამოიხატება: ერთგან პრედიკატივუმი მოქმედებითი ბრუნვით გადმოიცემა – 1473 ὁ τισεῖς τὰ ἄριά σου εἰρήνην] რომელმან **დასხნა** საზღვარი შენნი **მშუღობით** Geo. სხვაგან – ლოკატივის შინაარსის თანდებუიანი ფორმით (შდრ. ქვემოთ 89): 4714 θέσθε τὰς καρδίαις ὑμῶν εἰς τῆς δούλων αὐτῶν] **დასხენით** გულნი თქუენნი **ძალსა შინა** მისსა (მათსა Geo^D) Geo.

2. რიგ შემთხვევებში ქართველი მთარგმნელი ამავე კონსტრუქციას სხვა ეკვივალენტს უძებნის: *διδόναι* // *τιθέναι*-ს *ქმნა*, *ყოფა*, ხოლო *პრედიკატივუმს* – ვითარებითთან ერთად *წრფელობითიც* შეესატყვისება. ზმნის ლექსიკური ეკვივალენტის შერჩევა ქართულში, ერთი მხრივ, კონტექსტიდან ამოსვლით ხდება, მეორე მხრივ კი, თავად ბერძნული ლექსემის სემანტიკის და ასევე – პარალელური ადგილების გავლენით. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამოსავალი ებრაული კონსტრუქციის ზმნა *יָצַק* – *ყოფა*, *ქმნა*, *შექმნა*-საც აღნიშნავს. ბერძენი მთარგმნელი ებრაული ზმნის ამ მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაშიც დიდნა-ს ხმარობს ποειν-ის ნაცვლად, რაც ჰელბინგს ლექსიკურ ებრაიზმად მიაჩნია.⁸ კონტექსტიდან გამომდინარე, იგივე მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს τισέναι-საც მაგ. ისეთ ფრაზებში, სადაც τισέναι და ἔπεισθη ერთმანეთის გვერდზე სინონიმებად არის ნახმარი: 68₁₁ ἔπεισθη εἰς ὕπειθεσμον ἔμοι 12 καὶ ἔθειον τὸ ἔνδυσμα μου

⁸ თუმცა ჰელბინგი იმასაც აღნიშნავს, რომ დიდნა ჰომეროსთან მომზადებას, მოწყობასაც ნიშნავს, საიდანაც ადვილად შეიძლება გამოვიდეს “ქმნის” მნიშვნელობაც, Helbing, 52.

σάκκον καὶ ἐγείνομην ἀπτοῖς εἰς παραβίλην] **იქმნა** იგი ჩემდა **საყუედრელ**. **ვევ** **სამოსლად** ჩემდა ძაძად და **ვექმენ** მე მათ **ივავ** Geo^{AG}.

διδόναι-ს და τιθέναι-ს **ქმნა**, **ყოფა**-თი გადმოტანა, ერთი მხრივ, როგორცა ჩანს, უფრო ბუნებრივი იყო ქართულისათვის – იგი უფრო ნათელს ხდიდა ფრაზას, მეორე მხრივ კი, დედნის კონკრეტული ფრაზისაგან დაშორება არ არღვევდა ბერძნული ტექსტის არც მთლიან სემანტიკას და არც მის სტილისტიკას:

7766 **ἔπειθεος ἀνάσινος ἔδωκεν ἀπτοῖς]** **საყუედრელად** საუკუნოდ **შექმნა** (მისცნა Geo^G) ივინი Geo; 4314 **ἔθου ἡμᾶς ἔπειθεος τοῖς γέιτοσις ἡμᾶν]** **მყვენ** ჩუენ **საყუედრელ** მოძმეთა (მახლობელთა Geo^G) ჩუენთა Geo; 797 **ἔθου ἡμᾶς εἰς ἀντιλογίαν τοῖς γέιτοσις]** **მყვენ** ჩუენ **საყუედრელ** (საკლომელ Geo^G) გარემოდთა (გარემოთა Geo^{AB}) Geo. თუმცა იმის მაგალითები, რომ მთარგმნელს იგივე ფრაზა მეტი ფორმალური სიზუსტით გადმოაქვს, ზემოთაც ვნახეთ (შდრ. გვ. 85 389 და 564).

ყოფა-ს ხმარება **τιθέναι**-სთან უფრო პროდუქტულია:

909 **τὸν ἴψιστον ἔθου καταφυγήν σιν]** მაღალი **გიყოფიეს** **შესავედრებელად** ჩემდა (შენდა Geo^{CEG}) Geo

8841 **ἔθου τὰ ὀχυράματα ἀπτοῖς δελίαν]** **ჰყავ** სიმტკიცე მისი **შეძრწუნებულ** Geo^G, **ჰყვენ** სიმტკიცენი მისნი **შეძრწუნებულ** Geo^G

4315 **ἔθου ἡμᾶς εἰς παραβίλην]** **მყვენ** ჩუენ **ივავ** Geo, შდრ. 6812 **ἐγείνομην ἀπτοῖς εἰς παραβίλην]** **ვექმენი** მე (> Geo^G) მათ **ივავ** Geo

519 **ὅς οὐκ ἔθετο τὸν θεὸν βιοθὸν ἀπτοῖς]** რომელმან არა **ყო** ღმერთი **მწე** მისა Geo

ეს ეკვივალენტი, განსაკუთრებით შესაქმესთან დაკავშირებულ კონტექსტებში რომ უფრო ბუნებრივია მთარგმნელისთვის, იმითაც დასტურდება, რომ უშემასმენლო წინადადებაში **τιθέναι**-ით ნაწარმოებ კონსტრუქციებს შორის (იხ. ზემოთ, 106_{33,35}) მთარგმნელი აღდგენილი კოპულისათვის **ქმნას** იყენებს: 106₃₄: **შექმნა** (> Geo^G) **ქუეყანად ... ბიცად**.⁹

3. კიდევ უფრო მარტივდება ტექსტის გაგება ზმნის ეკვივალენტებით, რომელიც კონკრეტული კონტექსტიდან ამოსვლითაა შერჩეული:

10432 **ἔθετο τὰς βροχὰς ἀπτᾶν χάλκζαν]** **გარდააქცია**¹⁰ წუმად მათი **სეტყუად** Geo^G, შდრ. **დასხნა** წუმანი მათნი **სეტყუად** Geo^G.

879 **ἔθειτό με βδέλυγμα ἄπτοῖς]** **შემრაცხე** (-ეს Geo^G) (=λογιζειν)¹¹ მე **საკიცხელად** (საძაგელად Geo^G) მათდა (მათთა Geo^B, მათა Geo^{CE}) Geo.

⁹ 106₃₃ **ἔθετο ποταμοὺς εἰς ἔρημον καὶ διεξόδοις ὑδάτων εἰς δῖψαν 34 γῆν καρποφόρον εἰς ἄλγην ἀπὸ κακίας τῶν κατοικοῦντων ἐν αὐτῇ 35 ἔθετο ἔρημον εἰς λίμνας ὑδάτων...]** **დასხნა** მდინარენი ცმელად და გამოსავალნი წყალთანი წყურიელად. (+**შექმნა**) ქუეყანად ნაყოფიერი ბიცად უკეთურებისა მკვდრთა მისთადა. 35. **დასხნა** უდაბნონი ტბად წყალთა...

¹⁰ **გარდააქცევა**, ჩუეულებრივ, μεταστρέφειν-ს შეესაბამება, უფრო იშვიათად ἴσταται-ს (106₂₉) და ποιεῖν-ს (134₇).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ზმნის ლექსიკური ეკვივალენტის ცვლილება უფრო ბუნებრივს ხდის ფრაზას ქართულისათვის და არც ბერძნულის სტილისტიკას არღვევს, მთარგმნელი მაინც ყოყმანობს ორივე ამ ალტერნატივას შორის (ზმნის ზუსტი მნიშვნელობით თარგმნასა და მის კონტექსტუალურ თარგმანს შორის), რაც იდენტური ფრაზის სხვადასხვაგვარ გადმოტანაშიც ვლინდება.

4. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მთარგმნელი არ ცდილობდა ტექსტის გაგების გასამარტივებლად კონსტრუქციის გამარტივებას (მაგ. ასე: *ἔδωκα κληρονομίαν* – დაამკვდრე, *ἔδωκα βίωμα* – აჭამე). მაგრამ ამ ხერხს იგი იშვიათ შემთხვევაში მაინც მიმართავს:

1741 *τοῦς ἐχθροῦς μου ἔδωκάς μοι νάτους*] მტერნი ჩემნი **დევნულ ყვენ** (= *καταδιώκειν*) *Geo*^G, შდრ. მტერნი ჩემნი **მომცენ** მე **მეოტად** *Geo*^G; 2013 *θήσεις ἀπὸ τοῦς νάτους*] **ჰყვენ** შენ იგინი **დევნულ** *Geo*^G, შდრ. **დასხნე** იგინი **ზურგიით** *Geo*^G.

5. ბუნებრივ ქართულ სტილთან კიდევ უფრო დაახლოებისთვის acc-ის თუ *ἐίς* + acc-ის შესაბამისი ვითარებითში დასმული სახელის ნაცვლად მთარგმნელი **დამოკიდებულ წინადადებას** ხმარობს: 1735 *ἔθουσ τόνου χαλκίνου τοῦς βραχίονας μου*] **ყენა** მკლავნი ჩემნი **ვითარცა მშუღლი** მტკიცე *Geo*^G: შდრ. **ყვენ მშუღლ** რვალისა მკლავნი ჩემნი *Geo*^G. ეს ფრაზეოლოგიური შესატყვისი, როგორცა ჩანს, ბერძნულის ანალოგიითაა შედგენილი: 2010 *θήσεις ἀπὸ τοῦς ἄς κλίβανου παρό*] დაჰსხნე იგინი **ვითარცა საკუმილი** ცეცხლისა (საკუმილისა ცეცხლი *Geo*^A); 781 *ἔθειτο Ἱερουσαλήμ ἐίς ὄπαριφυσάκιον*] შექმნეს იერუსალემი **ვითარცა ლოგინი ხილის მცველთა** *Geo*^G, დაღვეს იერუსალემი **ვითარცა ხილის საცავი** *Geo*^G.

IIa

გარდა ზემოთ განხილული გრამატიკული კონსტრუქციისა, *διδόναι* // *τιθέναι* მყარ შესიტყვებებსაც ქმნის: ისეთს, როგორიცაა მაგ. *διδόντι τὴν σωτηρίαν* ნაცვლად მარტივი ფორმისა – *σώζειν*. ასეთ შემთხვევაში *διδόναι* ზმნასთან იხმარება **დატივი** (პირის ობიექტი) და **აკუზატივი** (კონკრეტული ან აბსტრაქტული საგნის ობიექტი), ხოლო *τιθέναι*-სთან აკუზატივი (საგნის ობიექტი). ე.ი. გვაქვს კონსტრუქცია – *διδόναι τίνι τί* // *τιθέναι τί*. ამ ტიპის გამოთქმები – *აღთქმის მიცემა*//*დაღება*, *პასუხის მიცემა*, *სიტყვის მიცემა*, *ცეცხლს მიცემა* – ქართულშიც დამკვიდრებულია, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად აიხსნება ისინი ბერძნულის გავლენით.

¹¹ კონტექსტის შესაბამისად ეს ზმნა *προτιθεμαι*-ს (53₅ 85₁₄) და *γίνεσθαι*-ს შეესაბამება (72₂₂ 87₅ 108₇ 118₁₁₉).

ქართველი მთარგმნელი არც ამ შესიტყვებას ამარტივებს, იგი მის სეგმენტაციას ახდენს და ფორმალური სიზუსტით გადმოაქვს:

143₁₀ τῷ δίδόντι τῆν σατηρίαν τοῖς βασιλεῦσιν] რომელმან მიეც (მის-ცა Geo^G) ცხორებაჲ მეფეთა Geo; 117₁₈ τῷ θανάτῳ οὐ παρέδωκεν με] სიკუ-დილსა არა მიმცა მე Geo

1486 πρόσταγμα ἔθετο] ბრძანებაჲ დასდვა (დადვა Geo^G) Geo (შდრ. 104₁₀ καὶ ἔστησεν αὐτῆν τῷ Ιακωβ εἰς πρόσταγμα] დაამტკიცა ბრძანებაჲ მისი იაკობის თანა); 1039 ὄριον ἔθου] საზღვარი დასდევ Geo.

მაგრამ მთარგმნელი იშვიათად ქართულისათვის უფრო ბუნებ-რივ ლექსიკურ ერთეულსაც ხმარობს ამგვარ შესიტყვებებში:

118₁₁₀ ἔθειτο ἀμαρτωλοῖς παγίδα μου] **დამირწყევს** მე ცოლვილთა მა-ხე Geo

103₂₀ ἔθου σκότος] **შექმნა** ბნელი Geo', შდრ. **დასდევ** ბნელი Geo^G, შდრ. 17₁₂ ἔθειτο σκότος] **დადვა** ბნელი Geo.

IIb

διδόναι // *τιθέναι* ხშირად იხმარება **ლოკატიური** მნიშვნელობის (ეს მნიშვნელობა შეიძლება იყოს პირდაპირიც და გადატანითიც) მქონე დატივთან, ან – ἐνώπιον, ἐν, εἰς, ἐπὶ თანდებულებიან ბრუნვასთან.¹²

38₂ ἔθემυ τῷ στόματι μου φυλακῆν] **დასდევ** (დავსდევ Geo^G) სა-ცოჲ **პირსა** ჩემსა Geo; 140₃ θὺμ κύριε φυλακῆν τῷ στόματι μου] **დასდევ**, უფალო, საცოჲ **პირსა** ჩემსა Geo

4₇ ἔδωκα ἐμφροσῆν εἰς τῆν καρδίαν μου] **მოეც** სიხარული **გულთა** ჩუენთა Geo; 12₃ ἕως τίνος θήσομαι βουλάς ἐν ψυχῇ μου] ვიდრემდის (ვიდ-რე ვისთვის Geo^G) **დავისხნე** ზრახვანი **სულსა** ჩემსა Geo; 83₆ ἀναβάσεις ἐν τῇ καρδίᾳ αὐτοῦ δίδετο] აღსლვაჲ **გულსა** თვისსა **დაიდვა** Geo

48₁₅ ἐν ἔδῃ ἔθειτο] **ჯოჯოხეთსა** მიეცნენ (-ნეს Geo^G) Geo; 87₇ ἔθειτό με ἐν λάκκῳ κατατάτῳ ἐν σκοτεινοῖς καὶ ἐν σκιᾷ θανάτου] **დამ-დევს** მე **მღვმესა** ქუესკნელსა, **ბნელსა** (-თა შინა Geo^G) და **აჩრდილთა** სიკუდილისათა Geo; 77₄₃ ὡς ἔθειτο ἐν Αἰγύπτῳ τὰ σημεῖα αὐτοῦ] **დაად-გინა** (დასხნა Geo^G) **ეგვპტეს** (>Geo^E) (ეგვპტეს შინა Geo^{DFG}) სასწაულ-ნი მისნი Geo

72₉ ἔθειτο εἰς οὐρανὸν τὸ στόμα αὐτῶν] **დასხნეს** (დადევს Geo^G) **ცათა შინა** პირნი მათნი (პირი მათი Geo^G) Geo; 88₂₆ καὶ θήσομαι ἐν θαλάσῃ χεῖρα αὐτοῦ] **დავდვა** მე (>Geo^G) **ზღუასა ზედა** კელი მისი Geo

47₁₄ θέσθε τὰς καρδίας ὑμῶν εἰς τῆν δύναμιν αὐτῆς] **დასხენით** გულნი თქუენნი **ძალსა** შინა მისსა (მათსა Geo^D) Geo

138₅ ἔθηκα ἐπ' ἐμὲ τῆν χεῖρά σου] **დამდევ** ჩემ **ზედა** კელი შენი Geo

¹² Helbing, 193; Blass-Debrunner-Rehkopf, § 218, 3

55, ἔθου τὰ δάκρυά μου ἑνώπιόν σου] **დავსხნე** (დასხნე Geo^E, დასხენ Geo^G) ცრემლნი ჩემნი **შენ წინაშე** Geo

49₁₈ μετὰ μοιχῶν τῆς μερίδα σου ἔτιμις] **მეძავთა** (-სა Geo^G) **თანა დასდგი** ნაწილი შენი Geo

7228 τίθειμαι ἐν τῷ κυρίῳ τῆς ἐλπίδα μου] **დადებად უფლისა მიმართ** სასოებად Geo; 777 **წა მანთაი ἔπι τὸν θεόν** τῆς ἐλπίδα] რაფთა **დადვან ღმრთისა მიმართ** სასოებად Geo.

ამრიგად, ყველა დასახელებულ შემთხვევაში მთარგმნელი არ ცდილობს მისთვის უცხო გრამატიკული კონსტრუქციისა თუ შესიტყვების მოქცევას ქართული ენის ქარგაში, და, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული შესატყვისები მეტ-ნაკლებად ჯდება ქართული ენის სტილისტიკაში, ყველა შემთხვევა განსახილველი კონსტრუქციისა ერთნაირად – სემანტიკური და ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვით გადმოაქვს.

ამ თვალსაზრისით სულ რამდენიმე გამონაკლისია *ფსალმუნთა* ძველ თარგმანში:

ერთმანეთს ენაცვლება τισίναι-ს და დინόναι-ს ქართული ეკვივალენტები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთარგმნელს ესმის ამ ზმნების სინონიმური მნიშვნელობა მოცემულ კონსტრუქციაში:

775 νόμον ἔθετο ἐν Ἰσραήλ] სჯული მისი **მისცა** ისრაელსა ზედა Geo^G: შდრ. შჯული **დადვა** ისრაელსა შორის Geo^G; 10427 ἔθετο ἐν αὐτοῖς τοὺς λόγους τῶν σφαιῶν αὐτῶν] **მისცნა** მათ სიტყუანი სასწაულთა მისთანი Geo^G: შდრ. **დასხნა** მათ შორის სიტყუანი სასწაულთა მისთანი Geo^G.

ამას გარდა, შესიტყვებების ქართულ ენასთან ადაპტაციის რამდენიმე შემთხვევა მაინც გვაქვს: ან გამოთქმის გამარტივების გზით, ან – ზმნების თარგმნისას კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც ეკვივალენტებს მთარგმნელი ისევ კონტექსტიდან, ანდა პარალელური ადგილებიდან იღებს:

7218 ἔθου αὐτοῖς **κακα**] **დასთრგუნენ** (დაეთრგუნენ Geo^C; დაეთრგუნენ Geo^E) (=καταπατεῖν) ივინი Geo^G, შდრ. **დასდევ** მათთვის ბოროტი Geo^G; 1085 ἔθειτο κατ' ἑμὸν **κακὰ** ἀντὶ ἀγαθῶν] **მომავეს** (=ἀνταποδιδόναι) მე **ბოროტი** კეთილისა წილ Geo: ex 75 3412 3721.

8830 **θήσομαι** εἰς τὸν αἰῶνα τὸν αἰῶνος τὸ σπέρμα αὐτῶν] **განამტკიცო** (განვამტკიცო Geo^{S-5223}) (=ὑπο ἑπι)στηρίξαι, καταρτίξαι)¹³ უკუნითი უკუნისამდე ნათესავი მისი Geo^G, შდრ. **ეგოს** უკუნითი უკუნისამდე თესლი მისი Geo^G

¹³ შდრ. იგივე ეკვივალენტი ἐτοιμάξαι-ისთვის 885 წად τὸν αἰῶνος ἐτοιμάσσω τὸ σπέρμα σου] უკუნისამდე **განვამტკიცო** (განვამზადო Geo^G) ნათესავი მისი (შენი Geo^G).

10641 ἕθετο ἄς πρὸβατα πατριὰς] უძღვდა (ბიუჯეს)¹⁴ ვითარცა ცხოვარსა (საცხოვარსა Geo^A) ტომებსა Geo.

თუ სტატიის დასაწყისში დასმულ საკითხს მივუბრუნდებით – საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად “თავისუფლები” არიან პირველი ქართველი მთარგმნელები და რამდენად უწევენ ისინი დედანზე მეტად ანგარიშს საკუთარ ენას და, ამ კუთხიდან შევხედავთ განხილული გრამატიკული კონსტრუქციისა თუ შესიტყვების გადმოტანის ხერხებს, ვფიქრობ, რომ სურათი ნათელია: მთარგმნელისათვის ამ, ქართული ენისათვის უცხო კონსტრუქციის გადმოტანა იოლი არ არის, იგი მერყეობს სხვადასხვა საშუალებებს შორის, მაგრამ ძირითადად მაინც ფორმალურ სიზუსტეს იცავს საკუთარი ენის „საზარალოდ“. რისი მაჩვენებელი უნდა იყოს ეს? – იმისა, რომ ფორმალური სიზუსტის დაცვა უფრო იოლია მთარგმნელისათვის, ვიდრე უცხო კონსტრუქციისათვის შემანტიკურად შესაბამისი ქართული იდიომის პოვნა თუ – ეს მთარგმნელობითი პრინციპია ორიგინალის ერთგულებისა, რომლის დაცვასაც მთარგმნელი ყოველთვის ვერ ახერხებს საკუთარი ენისათვის ანგარიშის გაწევის გამო, უფრო სწორედ კი იმის გამო, რომ თარგმანის ენა ჯერ ვერ მორგებია სათარგმნი ენის ყალიბს?

პირობითი აღნიშვნები¹⁵

Geo – ქართული თარგმანი

ფსალმუნის რეცენზიები და ხელნაწერები: A-38 (= A), Sin-22 (=D), Sin-29 (=C), Sin-42 (=B); Graz. Georg2 (=E), G (გიორგი მთაწმიდელის რედაქცია)

Geo' – ქართული თარგმანის გიორგიმდელი ხელნაწერები

LXX – სექტუაგინტა, ძვ. აღთქმის ბერძნული თარგმანი

L – LXX-ს ლუკიანური რეცენზია

MT – ძვ. აღთქმის ებრაული ტექსტის მასორეტული ვერსია

გამოყენებული ლიტერატურა და გამოცემები:

შანიძე მზ., *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები*, თბილისი, 1960

Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed. A. Rahlfs

¹⁴ ეკვივალენტს არ ცვლის გიორგი მთაწმიდელის ტექსტის ხელნაწერები, მათ შორის არც *ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანების* ხელნაწერები. კატენების შემქმნელი სწორედ ამ ეკვივალენტს უკეთებს კომენტარს: *ცხოვარნი წარმართები არიან, რომელთაც მწეებსი კეთილი უძღვით.*

¹⁵ სტატიაში გადმოღებულია პირობითი ნიშნების ის სისტემა, რომელიც ბერძნული და ქართული ფსალმუნის გამოცემებშია გამოყენებული.

Blass F., Debrunner A., Rehkopf F., Grammatik des Neutestamentliches Griechisch, Vanderhoek & Ruprecht in Göttingen, 17. Aufl. (=Blass-Debrunner-Rehkopf)

Helbing R., Die Kasussyntax der Verba bei den Septuaginta, Ein Beitrag zur Hebraismenfrage und zur Syntax der Κοινή; Göttingen, Vanderhoek & Ruprecht, 1928 (=Helbing)

Kühner R., Gerth B., Ausführliche Grammatik der griechischen Sprache, II, 1898 (=Kühner-Gerth)

დანელია კ., ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

ხარანაული ა., წმიდა წერილის თარგმანები, რწმენა და ცოდნა, 2(6), 2001, 10-24; 3(7), 2001, 10-21

Charanauli A., Einführung in die georgische Psalterübersetzung, Der Septuaginta-Psalter und seine Tochterübersetzungen, Herausgegeben von Anneli Aejmelaesus und Udo Quast, MSU XXIV, Vandenhoeck&Ruprecht in Göttingen, 2000, 248-308

Ana Kharanauli

**Towards the Characteristics of Old Georgian Translation of Psalms
(Constructions Produced by *διδόναι* and *τιθέναι* in the Georgian Psalm)**
(Summery)

Initial Stage of study of the Georgian Bible made it possible to create one picture, according to which old Georgian translation character developed from free translation to a word-by-word translation. This general overview is not characteristic to only Georgian language – history of Greek, Latin, Syrian translations can be imagined in the same way. However, sometimes this general, superficial definition of translation covers specific pieces of writings and all parameters of translations. The concepts of ‘word-by-word’ as well as ‘free’ are received with absolute (and not related) meaning. This is how standard idea on initial translation’s free character is formed, it is based on the argument of inserting foreign idiom with the Georgian idiom within this type of translation. How precise is this understanding and how well does it show the aspiration of initial translators? The answer to this question is required on theoretical as well as practical level. It should be related to the history of the Georgian language and Georgian translation.

The aim of the article is to show the inaccurate attitude of *the Psalm*’s first Georgian translators towards the Georgian language character, the way they try to import foreign idioms: it definitely is difficult to use foreign constructions in Georgian, the translator hesitates on various means and still selects keeping formal accuracy even though it damages his own language. What does it indicate? Can the observation of formal accuracy be connected to the ease of translation? or is it a translation principle of being devoted to original? The answer to this question is often controversial.

ბენდერის საპითხი ქართულ ფრაზეოლოგიაში

ენა და კულტურა ურთიერთდაკავშირებული სისტემებია. მათი ზეგავლენით განისაზღვრება სამყაროს აღქმა ამა თუ იმ ენობრივი ჯგუფისათვის, კოლექტივისათვის. ენა, როგორც, ერთი მხრივ, კულტურის შემქმნელი და, მეორე მხრივ, კულტურის შემადგენელი განუყოფელი ნაწილი, ინახავს და თაობიდან თაობას გადასცემს ეროვნული მსოფლხედვის თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, ლექსიკოგრაფიული მონაცემების, მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ ლინგვისტური (და არა მხოლოდ) პოზიციიდან შევაფასოთ სტერეოტიპები, ღირებულებები, წარმოდგენები, რომლებიც ამა თუ იმ კულტურისათვისაა დამახასიათებელი და ასახულია ენაში. ეს მონაცემები მნიშვნელოვან მასალას იძლევა ლინგვისტებისათვის როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ზოგადად კულტურული ფასეულობების დასადგენად.

კარგა ხანია, ენათმეცნიერების ყურადღებას იპყრობს და კარგად არის შესწავლილი ამა თუ იმ ენის გენდერული მარკირებულობა გამოხატულებისა და პრაგმატული თვალსაზრისით, მათ შორის კარგადაა შესწავლილი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებშიც, როგორც ერთგვარ კლიშეებში, ფორმულირებულია კულტურული, სოციალური, ისტორიული გამოცდილება და სტერეოტიპები. ფრაზეოლოგიური მასალის გენდერული დიფერენციაციის მიხედვით (ისევე, როგორც სხვა კულტურული კოდების – ფოლკლორის, ტრადიციების, ლიტერატურის) ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ქართულ ტრადიციაში ფემინურობისა (ქალურობისა) და მასკულინობის (მამაკაცურობის) სტერეოტიპი მყარად არის ჩამოყალიბებული და მათი რყევა ვერ მოახერხა ბოლო ასწლეულის განმავლობაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებმაც ძალიან ბევრი მყარი ღირებულებების გადაფასება გამოიწვია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გამოკვლევაც უნდა მოხდეს მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულების მიერ, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს გენდერული ფრაზეოლოგია ან ფრაზეოლოგიური გენდეროლოგია:

- ❖ გენდერული ფრაზეოლოგიის ნომინაცია და პრედიკაცია;
- ❖ მამაკაცურობის (მასკულინობის) და ქალურობის (ფემინურობის) გამოხატვის ფრაზეოლოგიური საშუალებები ენაში;
- ❖ გენდერულად მარკირებული ფრაზეოლოგიური ველები;
- ❖ ქალისა და მამაკაცის ნომინაცია, მათ შორის ანთროპონიმებისა, რომლებიც შედის ფრაზეოლოგიზმებში, როგორც ელემენტი შიდაფორმისა;

❖ გენდერის ასახვა ფრაზეოლოგიაში. (ა. ემროვა, 2002, გვ. 45)
რასაკვირველია, გენდერული სხვაობების გამოვლენა და ანალიზი გაცილებით იოლია იმ ენებში, რომლებსაც გრამატიკული სქესი მარკირებული აქვთ. ამ ტიპის ენებში მამრობითი და მდედრობითი სქესი განირჩევა როგორც ლექსიკურად, ისე მორფოლოგიურად. ქართულს გენდერული განსხვავებულობის გამოსახატავად მხოლოდ ლექსიკური საშუალება აქვს, ამდენად, ენობრივად ნაკლებად დიფერენცირებულია, თუმცა მეტად საინტერესო მასალას იძლევა მკვლევრებისათვის.

ფრაზეოლოგიზმების დიდი ნაწილი გენდერულად ნეიტრალურია. ამ ჯგუფში შედის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ასახელებს, ნომინაციას უკეთებს არა პიროვნებას, არამედ ქმედებას, საქციელს – *თავი შეწირა, თავი მოაქვს, თავი კიტრი ჰგონია* და ა. შ. თანაბრად მიემართება როგორც მამაკაცს, ისე ქალს.

სქესის მიხედვით არ გაირჩევა არც ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც კონკრეტული არქეტიპები აქვთ: *ადამის ხნისა, ეშმაკის კერძი, იუდას კერძი, კაენი, ლუარსაბ თათქარიძე, მათუსა-ლას ხნის, ნაცარქექია, ოცდაათ ვერცხლად გაყიდული*, – ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არქეტიპები ბიბლიური, ლიტერატურული, ფოლკლორული ხასიათისაა და მათი საყოველთაო გავრცელებულობის გამო გასაგებია ქართული ენობრივი სამყაროს ნებისმიერი წევრისათვის.

ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთი ნაწილის ანალიზი წარმოაჩენს ქართულის ანდროცენტრულ ბუნებას. *კაცისა* და *ადამიანის* ცნებების იდენტურობა ქართულში სწორედ ამ მოვლენის დასტურია.

ზღვა კაცი მოვიდა;

კაცია და გუნება;

კაცის თვალი იმაზე უკეთესს ვერ ნახავს;

კაცმა არ იცის და ა. შ.

სხვათა შორის, ეს ე. წ. ლინგვისტური ანდროცენტრიზმი გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ენაში და შეიძლება ერთგვარ უნივერსალიადაც მივიჩნიოთ, რომელიც უკავშირდება საზოგადოებების სოციოკულტურულ წარმოდგენას, რომლის თანახმადაც საზოგადოებაში მამაკაცი დომინანტია. ლინგვისტურ მონაცემთან ერთად ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართულისა და მისი მონათესავე კულტურებში მამაკაცის უპირატესობის გამოვლინება როგორც ყოფით ღონეზე, ისე ენობრივი თვალსაზრისით. (რ. ქურდაძე, 2002, გვ. 12).

ამავე რიგის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მდედრობითი სქესის გამომხატველი შინაარსის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენება მამაკაცების მიმართ უარყოფითი კონოტაციის გადმოსაცემად:

დედაკაცი;

დედაკაცის ღენაქი ახურავს;

ქალაჩუნა;

თუ ღიაცი არა ხარ.

ფარული გენდერული ასიმეტრიის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ქალისადმი მიმართული მასკულიზური შინაარსის გამონათქვამი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქალის გარეგნულ მხარეზეა საუბარი), ან დადებით კონოტაციას შეიცავს, ან ნეიტრალურია.

ამ ჯგუფში განვიხილავთ ერთეულებს, რომლებიც თედო სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმაში“ (თ. სახოკია, თბილისი, 1979) არ არის ასახული, თუმცა ქართულ ენაში გამოიყენება:

დღეს ქალები **კაცებივით მუშაობენ;**

კაცის ჭკუა აქვს;

ძმასავით დაგვიდგა გვერდში;

კაცივით მართავს მანქანას.

ფარული ანდროცენტრიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ, ძირითადად, მასკულიზური მნიშვნელობა აქვს ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, როგორებიცაა: **ამ საქმის მამაა** – ამ საქმის ყველაზე კარგი მცოდნეა.

ქალია თუ ვაჟი? – გაცუდება რამე საქმეში თუ გამარჯვება, უარი თუ თანხმობა მიუთითებს, რომ ქართულ კულტურაში წარმატება, გამარჯვება მამაკაცთან ასოცირდება.

ამავე დროს, გენდერული ბალანსის სასარგებლოდ მეტყველებს ქართულ ენაში ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების დადასტურება, როგორებიცაა:

დედა მოუკვდა – საქმე გაუფუჭდა;

ბებიას ხელი დაუკრავს – ბედნიერია, იღბლიანია.

ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად, საზოგადოდ, შესაძლებელია გამოიყოს სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ასახელებს და ახასიათებს ადამიანს. ესენია:

1. სოციალური წარმოშობა: **კეთილშობილი ოჯახის შვილი, ცისფერსისხლიანი** – არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი, შთამომავალი;

ამ ჯგუფში შემავალი ერთეულები გენდერულად ნეიტრალურია, თანაბრად მიემართება ქალსა და კაცს.

2. ოჯახური და ნათესაური ურთიერთობები:

ბერბიჭა – დაუქორწინებელი მამაკაცი, რომელმაც გადააბიჯა ახალგაზრდულ ასაკს.

ჩემი პირველი ნახევარი – ითქმის ცოლზე;

ჩემი უპირფასესი ნახევარი – მეუღლე, გენდერულად ნეიტრალურია;

სახლიკაცი – ოჯახის ნათესავი, ბიძაშვილი, ითქმის მამაკაცზე;

ყვავი ჩხიკვის მამიდა – ძალიან შორეული ნათესავი;

შინაბერა – გაუთხოვარი ქალი, რომელმაც გადააბიჯა ახალგაზრდულ ასაკს.

3. სოციალური სტატუსი:

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობას გადმოსცემს, ენობრივ დონეზე გენდერულად, ძირითადად, ნეიტრალურია:

დიდი კაცი – სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს;

ზეპური საზოგადოება – წარჩინებული საზოგადოება (ხშირად ირონიული კონოტაციით);

პირველი ვილინო – გარკვეული საზოგადოების ლიდერი, ხელმძღვანელი.

ამავე ჯგუფში შედის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გამოხატავს ადამიანის დაბალ სოციალურ სტატუსს, უუფლებო მდგომარეობას, ხოლო რიგ შემთხვევაში ქმნიან საოპოზიციო ცალებს მაღალი სოციალური სტატუსის შინაარსის გადმომცემ საზოგადოებასთან:

პატარა კაცი – პიროვნება, რომელსაც არა აქვს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პოზიცია, გავლენის არმქონე, არაავტორიტეტული ადამიანი;

დაბალი დობე – არარაობა, საზოგადოებისაგან დაჩაგრული, ადვილად ხელწამოსაკრავი ადამიანი.

თუმცა, ეს უკანასკნელი სემანტიკურად გარკვეულწილად გადახრილია ადამიანის შინაგანი თვისებების გადმომცემი ფრაზეოლოგიზმებისაკენ.

4. ქონებრივი მდგომარეობა

მიემართება ორივე სქესის ადამიანებს, სემანტიკურად სიმდიდრე-სიღარიბე ბუნებრივია, ქმნიან ოპოზიციურ წყვილებს:

არც ქვაბი აქვთ და არც ქოთანი – მეტად ღარიბი, უქონელი;

კატაც ვერ გაძლება მის ოჯახში – ძალზე ღარიბია, გაჭირვებულა, უქონელი, ულუკმაპუროდ დარჩენილი;

მჭადის კუტი ენატრება;

სიმდიდრე, მატერიალური კეთილდღეობა:

დულს და გადმოდულს/გადმოდის/ჩქეფს – ძალიან შეძლებულია, არაფერი აკლია;

აუღებელი სუფრა – შეძლებულია.

5. ადამიანის შინაგანი თვისებები:
გენდერული თვალსაზრისით ამ რიგის ფრაზეოლოგიზმები 3
ჯგუფად იყოფა:

ა. გენდერულად ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმები:

ამოღებული ხმალი;

არც ღვინოა, არც წყალი;

გუგული – მშვიდი, მყუდლო ადამიანი

მჭრელი თვალი;

მამა აბრამის ბატკანი;

ცხვრის ტყავში გახვეული მგელი და ა. შ.

ბ. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მამა-
კაცს:

ამირანის ხმალს აქნევს – დიდი ვაჟკაცია, გულმაგარია, მხნეა;

თანდილა ბიჭია;

კაცია და ქული ხურავს.

გ. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება მხოლოდ ქა-
ლებს:

ბარაქალა დედაკაცია;

(ბედნიერია), ვის ოჯახშიც ეგ შევა

6. ადამიანის ინტელექტუალური, გონებრივი შესაძლებლობები:

არც ცისა იცის, არც ქვეყნისა;

*აფრაკადაა, დაუშტვინე, მოსიარულე ენციკლოპედიაა მწყერიფ-
რენია, ტვინის მაგივრად ჩალა უღევს,* და ა, შ.

ადამიანის ინტელექტუალური თვალსაზრისით შეფასებისას ენაში
დაცული გენდერული სიმეტრია, ანუ ყველა ფრაზეოლოგიური ერთეუ-
ლი თანაბრად მიემართება მამაკაცსა და ქალს, განსხვავებით ადამიან-
ის ფიზიკური პორტრეტის ამსახველი ფრაზეოლოგიზმებისან. ცალსა-
ხად შეიძლება ითქვას, რომ ქართულში ფრაზეოლოგიზმები, როლებიც
ადამიანის გარეგნული მომხიბვლელობას, მშვენიერებას გადმოსცემს,
მხოლოდ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ერთეულებია:

ამომავალ მზესა ჰგავს;

თამარ დედოფალია;

ღერწამივით ტანი აქვს და ა. შ.

ერთადერთი შემთხვევა, რომელიც არ განარჩევს სქესს, არის
თვალის დამყენებელი.

რაც შეეხება გარეგნული მხარის ამსახველ უარყოფითი შინაარ-
სის შემცველ ფრაზეოლოგიზმებს, ისინი ან გენდერულად ნეიტრა-
ლურია, ან მხოლოდ ქალებს მიემართება. პირველ ჯგუფში ერთიან-
დება ფრაზეოლოგიზმები:

კანში აღარ ეტევა;

მაიმუნზე ოდნავ ლამაზია;

მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს მიემართება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

ქვაბიძირა – მეტად შავი, შავტუხა ქალი;

გომბიო – უშნო გოგო.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გენდერი იქმნება საზოგადოების მიერ, როგორც ქალებისა და მამაკაცების სოციალური ქცევის მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მათ მდგომარეობასა და როლს საზოგადოებასა და მის ინსტიტუტებში (ოჯახში, პოლიტიკურ სტრუქტურებში, ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში და ა. შ.). გენდერული სისტემა წარმოაჩენს ასიმეტრიულ კულტურულ შეფასებებსა და მოლოდინებს, რომლებიც ადამიანებს მიემართებათ მათი სქესის გათვალისწინებით (გენდერი ენაში, მ. ბერია, 2005) და განსხვავებულია ამა თუ იმ კულტურაში. ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენაში გამოვლენილი გენდერული ასიმეტრია ასახავს ჩვენი კულტურის წარმოდგენას მამაკაცის პრიმატის შესახებ. ფრაზეოლოგიზმების შესწავლა იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ საშუალებას იძლევა, აღვადგინოთ ქართულ კულტურაში არსებული პიროვნების ზნეობრივ-ეთიკური პორტრეტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მ. ბერია, 2005 – მ. ბერია, გენდერი ენაში, <http://www.slavcenter.ge>, 2005
ა. ემიროვა, 2002 – Эмирова А.М. Гендер в зеркале русской фразеологии // Культура народов Причерноморья, 2002.
თ. სახოკია, 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბილისი, 1979
რ.ქურდაძე, 2002 – ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, *საენათმეცნიერო ძიებანი*, ტ. XIII, თბ., 2002

Ketevan Gochitashvili

The Issue of Gender in Georgian Phraseology

(summery)

The article deals with the Georgian phraseologism from the viewpoint of gender. As the result of phraseological unit analysis it becomes possible to distinguish the following semantic groups that name and characterize a person: 1. social origin is shown through gender-neutral phraseologism; 2. family and relative

relations – some units are gender-neutral, in some cases there are oppositions shown on the lexical level; 3. The phraseologisms that represent person's *social status* are generally gender-neutral; 4. Property condition. Phraseologisms of this group are related to both: male and female. Wealth and poverty create opposite couples semantically. 5. Phraseologisms showing a person's internal characteristics are divided into three groups: a. the gender-neutral phraseologisms; b. male-related phraseologisms, c. female-related phraseologisms; 6. Gender balance is kept in a language when a person's intelligence and mental opportunities are estimated; 7. Phraseologisms describing a person's visual charm is characterized by female advantage.

The analysis of material shows that the masculine and feminine stereotype is strongly formed in the Georgian tradition.

The gender asymmetry in the Georgian language shows the believe of our culture on male primate. The study of phraseologisms is interesting as it enables to restore a person's moral and ethical portrait existing in Georgian culture.

შემასმენლის ერთი სახეობისათვის ქართულში

შემასმენელი, როგორც წინადადების მთავარი წევრი, აღნიშნავს ქვემდებარით გამოხატული საგნის (ან პირის) მოქმედებას ან მდგომარეობას, გრძნობითს დამოკიდებულებას ერთი საგნისას მეორისადმი, ყოლა-ქონებას, რა მოსდის საგანს, როგორია საგანი, ვინ არის ან რა არის საგანი (იხ. კვაჭაძე, 1977, 55). ის განსაზღვრავს წინადადებაში მთავარ წევრთა რაოდენობას და ქმნის მის საყრდენს, ხერხემალს.

ცნობილია, რომ შემასმენელი გამოხატულია ზმნის პირიანი ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს სრულმნიშვნელოვანი, დამხმარე ან ფუნქციური ზმნა. ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში, ქართულშიც გამოყოფენ შემასმენლის ორ სახეს: **მარტივსა და შედგენილს**¹.

მარტივი შემასმენელი გადმოიცემა ზმნის პირიანი ფორმით ნებისმიერ მწკრივში (მაგალითად: ყვავილი თავს მდაბლად **უხრიდა** მზეს), მეშველ ზმნიანი ანუ რთული ფორმებითაც (**დავბადებულვარ** ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს) ან რთული ზმნებით (ამ სიტყვებმა **შეურაცხყო** ქალი). იგი შეიძლება შეგვხვდეს გართულებული სახითაც: ა) ერთი და იმავე ზმნის განმეორებით (**გაეცა-გაეცა** ვერ დაეკეცა); ბ) შერწყმული ზმნებით (ჩაიკენეს-ჩაიტიკეცა); გ) დამხმარე სიტყვებითა და ნაწილაკებით გავრცობილი (ნუ, არ, ვეღარ, შეიძლება, იქნებ, ეგებ, უნდა, თურმე, კინაღამ, ლამის, ხოლმე, დაე...), რომლებიც მას მეტ-ნაკლებად უცვლიან ელფერსა და მოდალობას (იხ. კვაჭაძე, 1977, 56-57; ფეიქრიშვილი, 1996, 65-66; გეგუჩაძე, 2007, 8-10).

შედგენილი შემასმენელი კი შეიცავს სახელადს ნაწილსა და დამხმარე ზმნას (კვაჭაძე, 1977, 58; იმნაიშვილი, 1948, 188): ეს ყვავილი ძალიან **ნაზი არის**. ჩემი ნაცნობი გამოჩენილი **მეცნიერი იყო** და სხვ.

ვფიქრობთ, შემასმენლის ზემოთ ჩამოთვლილი ორი სახეობა ვერ ამოწურავს ქართული ენის ზმნურ ფორმათა მრავალფეროვნებას² და შესაძლებელია გამოიყოს კიდევ ერთი სახეობა: ორი უღლებადი ზმნის შემცველი, რომელთაგან ძირითადი აზრობრივი დატვირთვა მოდის მეორე ზმნაზე.

ქართულ ენათმეცნიერებაში შენიშნულია, რომ ზოგჯერ ერთ წინადადებაში გამოიყენება ორი უღლებადი ფორმა: მოდალური მნიშ-

¹ **შედგენილ** შემასმენელს, როგორც ტერმინს, გარკვეული უხერხულობა ახლავს. ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი მის აღსანიშნავად იყენებდა ტერმინს „**რთული შემასმენელი**“ (პლ. იოსელიანი, მ. კელენჯერიძე...). მას, როგორც **მარტივის** შესაფერის საოპოზიციო წევრს, ანიჭებდნენ უპირატესობას ვარ. თოფურია და ა. კიხირია, მაგრამ დღევანდლობით ტერმინი „შედგენილი შემასმენელი“ მაინც უფრო გავრცელებულია (კვანტალიანი, 1993; ფეიქრიშვილი, 1996, 66-67; იქვე, 72-73).

² ლ. კვაჭაძე ასახელებს კიდევ ერთი ტიპის შემასმენელს, შექმნილს მყარ სიტყვათა შეკავშირებით, რომელიც ზმნის პირიანი ფორმის სინონიმურია (კვაჭაძე, 1977, 64).

ენელობის ზმნა (შესაძლებლობისა და ნებელობის სემანტიკისა: შეიძლება, შემიძლია, შეუძლებელია, მინდა...) და კავშირებითის მწკრივში მდგარი, რომელსაც აქვს ევროპული ინფინიტივის მსგავსი ფუნქცია (იხ. ჩხენკელი, 1958, 176-179; კოტინოვი, 1966, 13-16; ჩხუბიანიშვილი, 1972; პაპიძე, 1981, 155-163; მისივე, 1989, 262). ამიტომაც მას პირობითად **ინფინიტიურ კონსტრუქციას**³ უწოდებენ, რომელიც „ორი, ერთმანეთთან ჰიპოტაქსური მიმართებით დაკავშირებული, პირიანი ზმნისაგან შედგება“ (პაპიძე, 1981, 156). მათგან ძირითადი სემანტიკური დატვირთვა მოდის ინფინიტიური კონსტრუქციის მეორე შემადგენელ წევრზე – კავშირებითის ფორმის ზმნაზე, ხოლო პირველი ზმნა მხოლოდ გარკვეულ მოდალურ ელფერს აძლევს შესიტყვებას (ჩხუბიანიშვილი, 1972, 57; პაპიძე, 1981, 157). ხაზგასმულია ისიც, რომ ინფინიტივის შემცველი წინადადებები აგებულების თვალსაზრისით მარტივია, მაგრამ სემანტიკურად ისინი რთულ წინადადებებს უდრის და ინფინიტივი მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ დამოკიდებული წინადადების მაგივრობას ეწევა (ჩხუბიანიშვილი, 1972, 69; პაპიძე, 1981, 156).

მიუხედავად იმისა, რომ შინაარსით ასეთი წინადადებები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას შეესაბამება, უკავშირო ორშემასმენლიანი კონსტრუქცია აგებულებით მაინც მარტივია, რადგან ფაქტობრივად მასში წაშლილია ქვეწყობის კვალი. სწორედ ამ ტიპის წინადადებებზე გაამახვილა ყურადღება ნ. კოტინოვი: „მთავარ წინადადებაში შემასმენელი გადმოსცემს მოქმედის დამოკიდებულებას მოქმედებისადმი, სხვაგვარად, მოდალურ ურთიერთობას – მოდალობას (მაგ., მსურს, მინდა, მირჩენია, ცდილობს, გთხოვთ, შეუძლია, სჯობს და სხვ.), ხოლო დამოკიდებული წინადადების შემასმენელი გადმოსცემს ძირითად მოქმედებას თუ მდგომარეობას. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, კავშირებითი კილოს ზმნის ფორმით გადმოიცემა“ (კოტინოვი, 1966, 13).

ავტორმა განიხილა დიაქრონიული ვითარებაც, რომ ისტორიულად ძველ ქართულში გამოიყენებოდა ორგვარი კონსტრუქცია: მასდარული (ვითარებითბრუნვიანი ინფინიტივის ფუნქციით) და რთული ქვეწყობილი (**რადთა** კავშირიანი). XII საუკუნიდან პირველი კონსტრუქცია დაიკარგა, ხოლო ქვეწყობილში გაქრა მაქვემდებარებელი კავშირი. ამის მიზეზად ავტორი მიიჩნევს მჭიდრო შინაარსობრივ კავშირს მოდალურ ზმნასა და კავშირებითი კილოს ზმნას შორის.

საინტერესოა ისიც, რომ ძველი ქართულის უღლებადი ფორმები „უნდა“, „ჰლამის“, „ეგების“ საშუალებით იქცნენ სხვადასხვა მოდალური ნიუანსის გამომხატველ თავისებურ ზმნებად, თანდათან დაკარგეს პირიანობა და გადავიდნენ ნაწილაკთა კლასში (კოტინოვი, 1966, 14). კავშირი ჩავარდა, მოდალური მნიშვნელობის ზმნა დაუახლოვდა კავშირებითი კილოს ზმნას, იქცა მის „უბრალო დანამატად და პირის გამოხატვაც მთლიანად მას დაეკისრა“ (იქვე, 14). ავტორის აზრით,

³ არ. მარტიროსოვი და შ. ძიძიგური ამგვარ კონსტრუქციას **მასდარულს** უწოდებდნენ (მარტიროსოვი, 1955; ძიძიგური, 1966).

რთული წინადადება მარტივად იქცა და წარმოიქმნა ორშემასმენლიანი სინტაქსური კონსტრუქცია (იხ. იქვე, 16). ცხადია, სწორედ ამ პროცესმა (კავშირის დაკარგვამ) გააუქმა ჰიპოტაქსურობა და ჩამოაყალიბა ახალი სახის შემასმენელი – ერთი სინტაქსური ოდენობა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი დღესაც სადავოდ ხდის ასეთი კონსტრუქციის მიჩნევას მარტივ წინადადებად და აძლევს მას „რომ“-კავშირწავარდნილი რთული ქვეწყობილი (ჰიპოტაქსური) კონსტრუქციის კვალიფიკაციას. ჩვენ ნ. კოტინოვის მოსაზრება დამაჯერებლად გვეჩვენება, ოღონდ საჭიროდ მიგვაჩნია იმის გარკვევა, რა სახის შემასმენელი გვაქვს ასეთ შემთხვევაში: ორი მარტივი დამოუკიდებელი ზმნური შემასმენელი თუ ერთი სინტაქსური ოდენობა. მართალია, ასეთი წინადადების ტრანსფორმაცია ადვილია ჰიპოტაქსურად, რადგან ის გარდამავალი საფეხურია მარტივსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებას შორის, მაგრამ, ვფიქრობთ, სწორედ კავშირებითის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, უფრო კომპაქტური და მოქნილი იყოს ფრაზა და შექმნას ახალი სახის შემასმენელი: უღლებადი მოდალური ზმნა (ან ნაზმნარი ნაწილაკი) და კავშირებითი კილოს რომელიმე ფორმის ზმნა, რომელსაც ევროპული ენების ინფინიტივის ფუნქცია აქვს.

მაშასადამე, წამოიჭრა რამდენიმე პრობლემური საკითხი:

I. რა ტიპისაა შემასმენელი ასეთ მარტივ წინადადებაში და რომელი ტერმინი ავირჩიოთ მის აღსანიშნავად;

II. რომელ ზმნებთან გამოიყენება ასეთი ფორმები;

III. დაისვას თუ არა სასვენი ნიშანი (მძიმე) ამ ორ ზმნურ ფორმას შორის.

I. რაც შეეხება ტერმინს, ამ შემთხვევაში მისაღებად გვეჩვენება **რთული შემასმენელი**,⁴ მით უმეტეს, რომ იგივე ტერმინი გამოყენებულია ევროპულ ენებში: გერმანულში – *zusammengesetztes Prädikat* ან *komplexes Prädikat*; შედგენილი ზმნური შემასმენლის პარალელურად რუსულში გვხვდება ტერმინი რთულიც – *составное глагольное сказуемое* ან *сложное сказуемое* (იხ. ვალგინა და სხვ., 2002; ონლაინ-რუს.; ვიკიპედია). ინგლისურში გამოყოფენ შედგენილ და რთულ შემასმენლებს, ხოლო ტერმინს – *a Compound Verbal Predicate* – ქართულად თარგმნიან ხან როგორც რთულ ზმნურ შემასმენელს, ხან – როგორც შედგენილს (იხ. გახოკიძე, 1993, 208-210). ასეთი შემასმენელი გერმანულში, ინგლისურში, რუსულსა და სხვა ენებში გვხვდება მოდალურ ზმნებთან, ასევე რამდენიმე სხვა ზმნასთანაც. მაგალითად:

Ich kann gleich dorthin gehen. I can go there at once. შდრ. მე ახლავე შემიძლია იქ წავიდე.

⁴ უნდა ვაღიაროთ, რომ ტერმინი **რთული** მთლად მოხერხებული არ ჩანს, რადგან შეიძლება აირიოს მარტივი შემასმენლის რთულ ფორმებში. ამ სახის შემასმენლისათვის დასაშვებია მეორე ტერმინიც: **შედგენილი ზმნური შემასმენელი**.

Wir **müssen** diesen Artikel **übersetzen**. We **must** translate this article.
შდრ. ჩვენ **უნდა ვთარგმნოთ** ეს სტატია.

Sie **können** dieses Buch **nehmen**. You **may** take this book. შდრ. თქვენ
შეგიძლიათ წაიღოთ ეს წიგნი.

Ich **kann** daran nicht **denken**. Я **был не в состоянии** думать об этом.
შდრ. მე არ **შემეძლო მეფიქრა** ამაზე.

Du **müsst** lernen. Ты **должен** учиться. შდრ. შენ **უნდა ისწავლო**.
Он **хочет поступить** в институт. შდრ. მან **უნდა ჩააბაროს** ინსტი-
ტუტში.

ცხადია, რთული შემასმენელი ქართულ ენაში ვერ იქნება ევრო-
პულის იდენტური, რადგან ზმნის განუსაზღვრელი ფორმის, ინფინი-
ტივის, ფუნქციას ქართულში ასრულებს ხან უღლებადი ზმნა (აწ-
მყოს ან II კავშირებითი, II თურმეობითი), ხანაც მასდარი ან შესაბა-
მისი მნიშვნელობის არსებითი სახელი. მაგალითად: Ich **kann** daran
nicht **denken**. Я **не мог** думать об этом. მე არ **შემეძლო მეფიქრა** ამაზე.
შდრ. მე არ **შემეძლო** ამაზე **ფიქრი**.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, მსგავსება მაინც იძებნება. ვფიქ-
რობთ, ქართულშიც ცალკე სახედ შეიძლება გამოიყოს სწორედ
რთული (ან შედგენილი) **ზმნური შემასმენელი**, რაც გააადვილებს
კონსტრუქციის სინტაქსურ კვალიფიკაციასა და კავშირებითის მწკრი-
ვების ფუნქციის გააზრებას.

II. ყველაზე ძნელი მაინც იმის დადგენაა, რომელ ზმნებთან გა-
მოყენებული კავშირებითი ჩაითვალოს რთულ შემასმენლად. ასეთია
მოდალური ელფერის მქონე ზმნათა გარკვეული ჯგუფი, რომელთა
შორის პირველ ადგილს იკავებს სურვილის, შესაძლებლობის, აუცი-
ლებლობის სემანტიკის (ე. წ. მოდალური) ზმნები: უნდა (მინდა),
სურს, შეუძლია... მათი კომბინაცია მეორე უღლებად ზმნასთან ქმნის
რთულ ზმნურ შემასმენელს.⁵ ევროპული ენების მოდალურ ზმნათა
ყველა ეკვივალენტი თანამედროვე ქართულში ზმნა არ არის (მაგ.,
უნდა და შეიძლება ახლა ნაწილაკებია), რადგან ფორმაუცვლელია.
ჩვენი აზრით, შემასმენელი ამ ნაწილაკებთანაც რთულად უნდა მი-
ვიჩნიოთ.

როგორც აღვნიშნეთ, მოდალური სემანტიკის ზმნა გამოხატავს
სურვილს, ნებელობა-შესაძლებლობას, აუცილებლობას, ვარაუდს.

სურვილი:

მინდა/მსურს იტალიაში **ვიმოგზაურო**.

მეც **მინდა** დედა **გავხდე** (ჯ. ქარჩხ.).

⁵ შენიშნულია, რომ ეს მოდალური ნიუანსები ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში
უმეტესად გადმოიცემა აწმყოს კავშირებითით, II კავშირებითითა და II თურმეობი-
თით „უნდა“, „შეიძლება“, „საჭიროა“ და მისთ. ფორმებთან (იხ. კვარაცხელია, 1990,
82-83).

მაგრამ რა გინდა ქნა (ჯ. ქარჩხ.).

მინდოდა სწორად გაგეგო.

და ძალიან **უნდოდა ეთქვა** რამე დიდისთვის (გ. რჩეულ.).

შესაძლებლობა:

შეუძლია შენს მაგივრად **იფიქროს** (ჯ. ქარჩხ.).

დილას **შეეძლო მოეტანა** ნავი, **დაებრუნებინა** ლილი (გ. რჩეულ.).

ბიძახემ იონას **შეეძლო** მთელი კომისიის მაგივრად **ეძინა** (ჯ. ქარჩხ.).

ამან **შეიძლება** გვარიანად პესიმისტურ შედეგამდე **მიგვიყვანოს** (ჯ. ქარჩხ.).

გულახდილად **შეიძლება ითქვას** (რ. ჭეიშვი.).

საჩუქარი, რომელიც ზღვამ მოუტანა, **შეიძლებოდა** ისევ უკან **წაეღო** რამეს (გ. რჩეულ.).

შეიძლებოდა შეცვლილიყო ასეთი ცხოვრება ცოლთან ერთად (გ. რჩეულ.).

აუცილებლობა:

II კავშირებითთან: რად **უნდა ვაფიქრებინოთ** (ო. ჩხეიძ.).

მტკიცედ **უნდა მოვილაპარაკოთ-მეთქი** (ო. ჩხეიძ.).

თითქოს თვალები **უნდა ამოიყაროს** ან დაწვები **ჩამოიხეკოს** (ო. ჩხეიძ.).

ამთავითვე **უნდა ყველაფერი გავითვალისწინოთ** (ჯ. ქარჩხ.).

აღტაცებით... **უნდა აღვნიშნოთ** (ჯ. ქარჩხ.).

მართალი **უნდა ითქვას** კაცმა (ჭ. ამირ.).

ფუღმა ფული **უნდა მოიგოს** (ჭ. ამირ.).

შენ რატომ **უნდა დაიდუპო**, შვილო (დ. კლდ.).

პენსია **უნდა დაენიშნათ** (რ. ჭეიშვი.).

II თურმეობითთან: **უნდა სცოდნოდათ** (ო. ჩხეიძ.).

ხომ **უნდა მეჭამა...** რამე (ჭ. ამირ.).

მის მოსიყვარულე შვილებს არც კი **უნდა სწყენოდათ** (დ. კლდ.).

დღესასწაული **უნდა დამთავრებულიყო** საერთო-სახალხო პურისჭამით (ჯ. ქარჩხ.).

ქალაქისთვის ეს მოულოდნელი... ვითარება **უნდა შეეპარებინათ** (ჯ. ქარჩხ.).

რომელიმე დიდი ქალაქის კლინიკაში **უნდა დაეწვინათ** (რ. ჭეიშვი.).

ვარაუდი:

ბეკინა მეტად დაშორებული **უნდა ყოფილიყო** რაიმე მათ საწყენ საქციელს (დ. კლდ.).

ან კი სად **უნდა დამალულიყვნენ!** (ჯ. ქარჩხ.).

შუაღამე გადასული **უნდა იყოს** (რ. ჭეიშვი.).

რა **უნდა გამოსულიყო** (ჯ. ქარჩხ.)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზმნებისა, კავშირებითი გეგვდება მო-
დალური სემანტიკის ზოგიერთ სიტყვა-გამოთქმასთან: **შესაძლებელია, შეუძლებელია, საგარაუდოა, საფიქრალია, საეჭვოა**⁶ ... **შესაძლებლობას აძლევს, უფლებას აძლევს, ნებას აძლევს, ნება აქვს, ნებას რთავს, ნებადართულია, აუცილებელია, გარდაუვალია, ვალდებულია, ძნელია, ადვილია**... ასევე ზმნებთან: ცდილობს, სცადა, სინჯა, სთხოვა, ეძუდარა, მოსთხოვა, მოახერხა, აიძულა, ევალება, გადაწყვიტა, უბრძანა, დაიყოლია, ურჩევს, ურჩევნია, ეშინია, სჯერა, სჯობს... წააქეზა, უბიძგა, შეაგულიანა, მიუთითა, მოუწოდა, შესთავაზა, დაავალა და სხვ.

მაგალითად: მუდამ იმას **ცდილობს** ნაკლი გამოგვიჩხრიკოს (ჯ. ქარჩხ.).

მე და ბიძაჩემი... **ვცდილობდით** არც ერთი სიტყვა არ გამოგვპაროდა (ჯ. ქარჩხ.).

გადავწყვიტე, ცოტა ხანს ქალაქის ქუჩებში მეხეტიალა (ჯ. ქარჩხ.).

კომისიის წევრებს **ვთხოვ** თავიანთი აზრი **გამოთქვანო** (ჯ. ქარჩხ.).

თანაქალაქელებს **სთხოვა** ორივე შემთხვევისთვის **გამოეთქვათ** თავიანთი სურვილები (ჯ. ქარჩხ.).

III. რაც შეეხება სასვენი ნიშნების პრობლემას, ამ საკითხზე ადრეც გამახვილდა ყურადღება, მაგრამ საბოლოოდ დადგენილი მაინც არაა, გამოიყენებოდეს თუ არა ასეთ რთულ შემასმენელთან მძიმე.

აქ გასარჩევია ორი შემთხვევა: 1. ვფიქრობთ, მძიმე საჭირო არაა, როცა პირველი უღლებადი ზმნა კავშირებითის უშუალო მეზობლობაშია და მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული: მინდა გითხრათ, შემძღვია მოვიდე, გთხოვთ გამათავისუფლოთ...

2. მაშინ, როცა პირველი უღლებადი ზმნა დაშორებულია კავშირებითისაგან და მეორე ზმნისგან გათიშულია სხვა წევრებით, შეიძლება მძიმის დასმა. მაგალითად: მინდა, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გითხრათ. გთხოვთ, განსახილველ პრობლემას გულისხმიერად მოეკიდოთ და შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროთ...

მაშასადამე, ქართულ ენაში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მარტივად ქცევისას გამოყენებულია ორზმნიანი შემასმენელი. სასურველია ის გამოიყოს ცალკე სახედ, როგორც რთული ზმნური შემასმენელი, რომელიც შედგება ორი უღლებადი ფორმისაგან: მათგან პირველი მოდალური სემანტიკისაა, მეორე კი დგას კავშირებითის ერთერთ მწკრივში და ფუნქციურად ჰგავს ევროპული ენების ინფინიტივს.

⁶ ასეთ გამოთქმათა ნაწილს მიიჩნევენ ჩართულად.

გამოყენებული ლიტერატურა

- გახოკიძე**, 1993 – A. Gakhokidze, B. Gakhokidze, English Grammar, მე-2 შეეს. და შესწ. გამოცემა, თბილისი, 1993.
- გეგუჩაძე**, 2007 – ლეილა გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი VI, თბილისი, 2007.
- ვალგინა და სხვ.**, 2002 – Валгина Н.С., Розенталь Д.Э., Фомина М.И., Современный русский язык: Учебник (Под редакцией Н.С. Валгиной), 6-е изд., перераб. и доп., Москва: Логос, 2002.
- ვიკიპედია** – <http://ru.wikipedia.org/wiki>
- იმნაიშვილი**, 1948 – ივ. იმნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი ქართულში: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948, გვ. 187-216.
- კვანტალიანი**, 1993 – ლ. კვანტალიანი, ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია: იკე, XXXII, 1993.
- კვარაცხელია**, 1990 – გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი, 1990.
- კვაჭაძე**, 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მე-2 შეეს. გამოცემა, თბილისი, 1977.
- კიზირია**, 1982 – ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი, 1982.
- კოტინოვი**, 1966 – ნ. კოტინოვი, წინადადების ერთი სახეობისათვის თანამედროვე ქართულში: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, №3, გვ. 13-16.
- მარტიროსოვი** – არ. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის: იკე, VII, თბილისი, 1955.
- ონლაინ-რუს. – http://www.russianonline.net/de_start/advanced/grammatik/texte.php?auswahl=praedikat
- პაპიძე**, 1981 – ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკეთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. IV, თბილისი, 1981.
- პაპიძე**, 1989 – ა. პაპიძე, ზმნურ ფორმათა დროულ-კილოური მნიშვნელობისათვის ზოგიერთი ტიპის შესიტყვებებში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. IX, თბილისი, 1989.
- ფეიქრიშვილი**, 1996 – ქუქუნა ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, სალექციო კურსი, ქუთაისი, 1996.
- ჩხუბიანიშვილი**, 1972 – დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1972.
- ჩხენკელი** 1958 – Kita Tschenkéli, Einführung in die georgische Sprache, Band I, Theoretischer Teil, Amirani Verlag, Zürich (Switzerland), 1958.
- ძიძიგური**, 1966 – შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, თბილისი, 1966.

დ ა მ ო წ მ ე ბ ა ნ ი

- ჭ. ამირ. – ჭაბუა ამირჯიბი, დათა თუთაშხია, თბ.: საქ. მაცნე, 2003.
დ. კლდ. – დავით კლდიაშვილი, სამანიშვილის დედინაცვალი, თბ.: მერანი, 1989.
გ. რჩეულ. – გურამ რჩეულიშვილი, ნელი ტანგო (მითხრობები), თბ.: საარი, 2005.
ჯ. ქარჩხ. – ჯემალ ქარჩხაძე, ანტონიო და დავითი (მითხრობები), თბ.: მერანი, 1987.
ო. ჩხეიძ. – ოთარ ჩხეიძე, ბორიაცე, ცხრაწეარო, თბ.: მერანი, 1984.
რ. ჭეიშ. – რეზო ჭეიშვილი, კვამლი (ნოველები), თბ.: ნაკადული, 1982.

Rusudan Zekalashvili

Towards One Variety of Predicate in the Georgian Language

(Summery)

The article deals with the issue of identifying new variety of predicate during the simplification of some hypotactic constructions. The construction has long been paid attention to (Martirosov Ar., Dzidziguri Sh., Chkhubianishvili D., Papidze A.) in Linguistic literature and the issue of considering it a simple sentence has been set (Kotinov N). Two conjugating forms gather in the sentence like this and correspondingly the need of predicate qualification appears. Identifying the predicate type of these forms and finding out the place of comma between them becomes important. The work also distinguishes some verbs and expressions that are used with another verb in relative form.

The article reviews the possibility of considering two very closely connected verbs as one syntactic unit – **compound verb predicate**, the first part of which can be an auxiliary verb and the second one – one of the verbs used in relative conjugation while changing hypotactic construction into simple one. In case both verbs are used next to each other even punctuation marks shouldn't cut compound predicate off.

ვახტანგ იმნაიშვილი

**ორმაზი მრავლობითის
ფორმები თანამედროვე ქართულში**

სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ქართულს ორი საშუალება აქვს: ე.წ. ნართანიანი და ებიანი წარმოება. ქართული ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში მათი გამოყენების სიხშირე სხვადასხვა იყო, ძველად ნართანიანი წარმოება ჭარბობდა, დღეს **ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებია უფრო გავრცელებული, თუმცა არის გარკვეული შემთხვევები, როცა დღესაც ნართანიანი მრავლობითს ვხმარობთ (მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა ყრილობა, მამათა და შვილთა ბრძოლა, დედათა მონასტერი, მეცნიერებათა აკადემია, საბჭოთა კავშირი...). ერთი რომელიმე სუფიქსი (**ებ**, **ნ**, **თ**) სავსებით საკმარისია ამა თუ იმ სიტყვის სიმრავლის გადმოსაცემად. მაგრამ ენაში გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როდესაც სახელის მრავლობითის გადმოსაცემად ერთდროულად ორი სხვადასხვა სუფიქსია გამოყენებული, რაც, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

იგულისხმება შემდეგი ტიპის მაგალითები:

მწყემსებთაგან ხმა არავის ამოულია (სულხან ქეთელაური, „ზაფხულის ცხელი დღეები“: „მნათობი“, №12, 1978, გვ. 131).

რედაქციაში მოდის წერილები, **რომლებთა** ავტორები გეთხოვენ გაგარკვიოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში („მოქალაქეთა საყურადღებო“: „პირიმზე“, №1, 1984, გვ. 19 /ხელმოუწერელია/).

მწყემსებთაგანს თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს **მწყემსთაგან** ან **მწყემსებისგან**, ხოლო **რომლებთას** მაგივრად უპრობლემოდ შეიძლება ვიხმაროთ **რომელთა** ან **რომლების**. რით განსხვავდება, მაგალითად, **მწყემსების** ან **მწყემსთა** ფორმებისაგან **მწყემსებთა**, რას აღნიშნავს ზედმეტს? რას გამოხატავს **რომლებთა** ნაცვალსახელი ისეთს, განსაკუთრებულს, რისი გადმოცემაც არ შეუძლია **რომლების** ან **რომელთა** ნაცვალსახელებს? არის რაიმე განსხვავებული ნიუანსი **რომლებთა**-ში ჩადებული, რაც დანარჩენებს არ მოეპოვება? – არავითარი! ამდენად, მეორე სუფიქსი ახალს არაფერს გამოხატავს, არაფერს მატებს ცალსუფიქსიან ფორმებს, ამიტომ იგი სრულიად უფუნქციოა და, მაშასადამე, ზედმეტიც. როდესაც ენაში ერთსა და იმავე ცნებას ორი განსხვავებული ფორმანტი გამოხატავს, ჩვეულებრივ, დროთა განმავლობაში ერთი განიდევენება ენიდან ან იგი რჩება ენაში, მაგრამ ისე, რომ სხვა ნიუანსს იძენს.

ქართულში მრავლობითობის მაჩვენებლად დღეს ებიანი და ნართანიანი ფორმები გვაქვს, მათ ერთი და იგივე ფუნქცია ეკისრებათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც განსხვავებიან ერთმანეთისაგან მოხმარების თვალსაზრისით. **ებ** სუფიქსი ყველა ბრუნვაში გამოიყენე-

ბა, **ნ** – მხოლოდ ორში, **თ** კი პრაქტიკულად მხოლოდ ნათესაობითის ფუნქციით იხმარება, თუ ნაცვალსახელ „**რომელთა**“-ს არ მივიღებთ მხედველობაში. ამ ნაცვალსახელთან თანხანი მრავლობითი მოთხრობითს, მიცემითსა ან ნათესაობითს გამოხატავს. მოქმედებითისა და ვითარებითის ფუნქციით **თ** სუფიქსი პრაქტიკულად არ გვხვდება, თუმცა ძველ ქართულში შენიშნულია თ სუფიქსის მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფუნქციით გამოყენების იშვიათი შემთხვევები (შარაძენიძე, 1956, 271–285). მაგრამ დანიშნულება ყველას ერთი აქვს – ერთის საპირისპიროდ მრავალზე მითითება.

ამგვარი ფორმები დღეს არ გაჩენილა. ჯერ კიდევ ძველი ქართული ენის ძეგლებში არის შენიშნული არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელს მრავლობითობის გამომხატველი ორი სხვადასხვა სუფიქსი ერთვის ერთდროულად.

როგორია მიმდევრობა მრავლობითობის მაჩვენებელი სუფიქსებისა?

აჩიქობავა თვლის, რომ ქართულისათვის ნიშანდობლივია სახელის ფუძეზე ჯერ **ებ** სუფიქსის დართვა, რომელსაც შემდეგ **ნ** ან **თ** სუფიქსი მოსდევს (ჩიქობავა, 1942, 8). ი. იმნაიშვილსაც ამგვარი ფორმები აქვს დადასტურებული:

ებ+ნ: სოფლებნიცა (ზარზმ. 167,34); ნაპრალენო (სას.პოეზ. 361,5).

ებ+თ(ა): სოფლებთა (ფსალმ. 106,2); ქალაქებთა (ზირაქ 46,3); უბნებთაგან (იერემ. 9,21); აქლემებთა (3 მეფ. 10,2); დაბნებთა (თუალთ. 41,12) (იმნაიშვილი, 1957, 314).

„ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში“ ორმაგი მრავლობითის საკმაოდ ბევრი შემთხვევა გვაქვს: ჭრელებნი 16,10 G; საკლველებნი 21,15 G; წინსაბრძოლებნი 4,2 G; კიბეებნი 43,17 G; კარებნი 41,23 /ორჯერ/ G; კარებთა 41,23 G; 41,25 G; სოფლებთა 22,4 G; 30,23 G; 36,19 G; სოფლებთაგან 19,8 G 20,34 G; 20,41 G; 34,13 G; 39,27 G; ქალაქებთა 16,7 G; შჯულებთა 20,18 G; სართულებთა 41,26 G. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფორმები ტექსტის გელათურ რედაქციაშია დადასტურებული, იერუსალიმურ და ოსკურ ხელნაწერებში კი შესაბამის ადგილებში მხოლოდ ცალმაგი მრავლობითის ჩვეულებრივი ფორმები გვხვდება (ცქიტიშვილი, 1976, 279).

კარპეზ დონდუა მიიჩნევდა, რომ ძირითადია საწინააღმდეგო (**ნებ**) მიმდევრობა, **ებ-ნ** კი იშვიათიაო (დონდუა, 1956, 307), მაგრამ მისი მსჯელობა არაა დამაჯერებელი.

საფიქრებელია, რომ ძველ ქართულში ორმაგი მრავლობითის ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ნიმუშების შემოჭრა გამოიწვია ებიანი მრავლობითის შეთანხმების ნაკლებმა უნარმა ნართანიანთან შედარებით (დონდუა, 1956, 313).

უნდა ითქვას, რომ ორმაგი მრავლობითის შემცველი ფორმები ქართული ენის განვითარების შემდგომ საფეხურზეც გვხვდება და XIX-XX საუკუნეებშიც არაიშვიათად იხმარება. მაგალითად, იოანე

ბატონიშვილის „კალმასობაში“ დადასტურებულია ფარშავანგებთა (გვ. 26), ქალებთა (გვ. 26), მოურავებთა (გვ. 59), ნაჭრებნი (გვ. 81), საფრებთა (გვ. 87), ნივთებნი (გვ. 95), ღმერთებთა (გვ. 100, 111, 113), მუზებთასა (გვ. 110), გმირებნი (გვ. 111), ქვაბებთა (გვ. 111), გმირებთათვის (გვ. 111), ხეებთასა (გვ. 114), ხეებთა (გვ. 114), კაცებთა (გვ. 118), კბილებთაგან (გვ. 120) და სხვ.

განსახილველი ფორმები არაიშვიათად გვხვდება XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც: „[გრ. ორბელიანის] ლექსს ეწოდებოდა „პასუხი უღირსთა **შვილებთა**“ (ჯიბლაძე, 1966, 227)

ანალოგიურ წარმოებას ვხვდებით ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებშიც: „ასამდინ მსურველი გამოვიდა **ჩერქეზებთაგან**, თუშებთაგან, და დანარჩენ მთიელ **ქართველებთაგან** (ა.ყაზბეგი, დ.კარიჭაშვილის გამოცემა, 1905, გვ. 373); „სხვა **დახოცილებთა** შორის“ (იქვე, გვ. 384); „ერთს იმ **ბილიკებთაგანზედ**“ (იქვე, გვ. 293) (შანიძე, 1973, 80-81).

ხევში წყალი გოლვისაგან ისე მიღეულიყო, რომ ძლივსღა მოიპარებოდა **ქვებთა** შორის რიყეზედ (ი.ჭავჭავაძე, სარჩობელაზედ, თ. I)

რა ვითარებაა დღეს?

ა.შანიძე შენიშნავს: „სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება ორმაგი სუფიქსი მრავლობითში, სალიტერატურო ენა კი ამას გაურბის, მაგრამ შეიძლება სადმე შეგვხვდეს“ (შანიძე, 1973, 80).. დღევანდელ ქართულში ორმაგი მრავლობითი ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება. კიდევაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება ვრ. ორბელიანის, ა.ყაზბეგისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამორეულ მაგალითებს (რაკი მათ საკმაო ხანი გვაშორებს), თავი რომ დავანებოთ ქართული ენის სხვადასხვა დიალექტს, რომლებშიც ამგვარი მაგალითები უცხო არაა, XX საუკუნის II ნახევარში განსახილველი ტიპის ნიმუშები სალიტერატურო ენაშიც შემოიჭრა მოკრძალებით. დღეს ამგვარი მაგალითები უკვე აღარაა სანთლით საქებნი. ორს ზემოთ გავეცანით, ახლა ამ იშვიათი ფორმების შემცველი დანარჩენი მაგალითებიც ვნახოთ:

რ. ნიქსონმა პირადი წერილები გაუგზავნა ... მთავრობათა მეთაურებს, **რომლებთაც** იგი იწვევს მონაწილეობა მიიღონ II თებერვალს ვაშინგტონის თათბირში („რ.ნიქსონის წერილი“: „კომუნისტი“, №9, 1974, გვ. 3)

კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ ის ბავშვები, **რომლებთაც** აღენიშნებათ ნაადრევი ფიზიკური განვითარება და სქესობრივი მომწიფება – აქსელერაცია (თ.თოფურია, რ.სვანიშვილი, „მოძრაობა აუცილებელია, მაგრამ როგორი?“, „კომუნისტი“, №28, 1983)

მას მოჰყვნენ ჟურნალის მაშინდელი მდივანი... ნიჭიერი ჟურნალისტები..., **რომლებთაც** ჩვენი მაღალმომთხოვნი და მაღლიერი მკითხველები იცნობდნენ („შეხვედრა“: „კომუნისტური შრომა“: №88, 1983, /ხელმოუწერელია/)

შენობების **არტაშნებთა** მინანქარს შეჰფენია ირმის რძეთა ნის-
ლი (დ.ივარდავა, „ჩემი თბილისის ზამთრის ფერები“: „თბილისი“,
№10, 1985)

ქვეყანა კვლავაც აძლევდეს იმედს, **ერებთა** შორის ძმობას და
ნდობას – მშვიდობის დროშას – მრავალჯამიერ! მრავალჯამიერ! (დ.ხა-
ხიაშვილი, „მრავალჯამიერ“: „სოფლის ცხოვრება, №1, 1984, გვ. 4)

დღევანდელ ქართულში ორმაგსუფიქსიანი მრავლობითის შესა-
ხებ საგანგებო წერილში მსჯელობს ლევან ბრეგაძე: „ორი სუფიქსის
გამოყენება შეიძლება ასე აგვეხსნა: რადგან –თ სუფიქსი ორ ფუნ-
ქციას ასრულებს (გამოხატავს მრავლობით რიცხვს და ბრუნვას), იგი
ერთ ფუნქციას (მრავლობითობის გამოხატვას) „უთმობს“ -ებ სუ-
ფიქსს და თვითონ მხოლოდ ბრუნვას აღნიშნავს. მაგრამ საქმე ის
არის, რომ –თ სუფიქსით გამოიხატება სამი ბრუნვა (მოთხრობითი,
მიცემითი და ნათესაობითი), თანდებულის ან კონტექსტის გარეშე –
თ-სუფიქსიანი ფორმის ბრუნვის გარკვევა შეუძლებელია. ეს ორმაგ-
სუფიქსიანი ფორმები შიგ ასეა. ამდენად, -ებ სუფიქსი ასეთ შემთხვე-
ვებს ვერ „შველის... ვიდრე ორმაგსუფიქსიანი მრავლობითისთვის რა-
იმე მკაფიო ფუნქცია გამოიკვეთებოდეს, მანამდე ეს ფორმები სალი-
ტერატურო ქათულის თვალსაზრისით უმართებულოდ უნდა ჩაითვა-
ლოს და მათ კვლავინდებურად თითოსუფიქსიანი მრავლობითის
ფორმები უნდა ვამჯობინოთ“ (დ.ბრეგაძე, 2007, 29). იქვე დ.ბრეგაძეს
მოჰყავს რამდენიმე ნიმუში ჩვენთვის საინტერესო ფორმებისა თანა-
მედროვე წერილობითი წყაროებიდან (საყურადღებოა, რომ ნიმუშად
მოყვანილი 5 მაგალითიდან 4 რეზო ჭეიშვილს ეკუთვნის):

ჟურნალისტებთაგან რამდენიმე გოგონას, მოქცევისა თუ დალა-
გებული სახის მიხედვით ეტყობოდა ოჯახიშვილობა (რ.ჭეიშვილი,
„ლიტერატურული საქართველო“, №8, 2005, გვ. 1)

... ფსიქიატრიულ სტაციონარებს, **რომლებთაც** ჩვენ დაუნებურად,
ხშირად შეგნებულადაც, საგიჟეს ვუწოდებთ, გვერდს ვუვლით ხოლმე
(რ.ჭეიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, №8, 2005, გვ. 16)

წარმოდგენა არ გვქონდა მასონთა ლოჟებსზე, **რომლებთაც** სა-
ქართველოში, ფაქტიურად არც შემოულწევიათ (რ.ჭეიშვილი, გაზეთი
„მწერლური ცხოვრება“, № 7, 2005, გვ. 9)

სირბილაძეებს, დიდბარიძეებს, **ეზაურიძეებთ** (ისინი საამქვეყნოდ
აღარ ეწერენ), ისე როგორც ბარე ორსა და ბევრსა, ვისაც ეკითხებო-
და, არა გაუგიათ-რა (რ. ჭეიშვილი, „ჯვარისა“, „კალმასობა“, №2
(101), გვ. 3)

..დელამდინარე – მტკვარი – დაუპირისპირა საქართველოს და-
ნარჩენ მდინარეებს, **რომლებთაც**, თუ ენის ამოდებაა, მართლაც არ
ამოედებათ ენა, რადგან მტკვარი ყველა მათგანზე დიდია“ (ა.ფოცხიშ-
ვილი, „ლიტერატურული საქართველო“, №6, 2007, გვ. 7).

აქ უპრიანი იქნება, თუ გაეიხსენებთ ორმაგი მრავლობითის გამო-
ხატვის კიდევ ერთ საკმოდ უცნაურ სახეობას, როდესაც **თა** სუფიქსიანი

რიცხვით სახელს მოსდევს **ვე** ნაწილაკი და შემდეგ – მრავლობითობის გამომხატველი კიდევ ერთი სუფიქსი, ოღონდ ამჯერად ნარი:

ორთავენი ფესზე წამოვდებით (გ. ფანჯიკიძე, „აქტიური მზის წელიწადი“: „ცისკარი“, №11, 1978, გვ. 45); **ორთავენი** შევჩერდით (გ. ფანჯიკიძე, „აქტიური მზის წელიწადი“: „ცისკარი“, №12, 1978, გვ. 16); **ორთავენი** ზურგით ვზივართ (იქვე გვ. 62); **ორთავენი** ვღუმვართ (იქვე, გვ. 64); **ორთავენი** დაბალ ტახტზე ვწევართ (გ. ფანჯიკიძე, „აქტიური მზის წელიწადი“: „ცისკარი“, №11, 1978, გვ. 45); **ორთავენი** მატჩის დამთავრებას ელიან მოუთმენლად (იქვე, გვ. 60); **სამთავენი** ტკბილად ღიღინებენ (გ. ჭიჭინაძე, „არა შეჯდა მწყერი ხესა“ („პიონერი“, №7, 1979, გვ. 12); **სამთავენი** მღუმარედ ისხდნენ ოპერის ლოჯაში (ნ. გაბალონი, „აივნიათი ქალაქი“: „მნათობი“, №6, 1976, გვ. 54; **სამთავენი** ამფითეატრისაკენ მიემართებიან (იქვე გვ. 13); **სამთავენი** ვღუმვართ (გ. ფანჯიკიძე, „აქტიური მზის წელიწადი“: „ცისკარი“, №11, 1978, გვ. 60)

რა თქმა უნდა, ამგვარი ფორმები მიუღებელია, მათზე საგანგებოდ მსჯელობს ი. იმნაიშვილი (იმნაიშვილი, 1984, 73).. რიცხვით სახელი თვითონ გამოხატავს სიმრავლეს და მას არათუ ორი, მრავლობითობის აღმნიშვნელი ერთი სუფიქსიც კი არ სჭირდება.

ლ. ბრეგაძე იქვე განიხილავს **წლისანები**, **ხნისანები** ტიპის ფორმებს და დასძენს: „სხვა შემთხვევა სახელობითში მრავლობითის ორმაგი სუფიქსის გამოყენებისა ჩვენთვის ცნობილი არ არის. არსებით სახელებში ამგვარი რამ შეუძლებელი ჩანს. ძნელი წარმოსადგენია ვინმემ, თუნდაც საუბარში, თქვას: **ქალაქებნი** ან **ქალაქნები**, **კაცებნი** ან **კაცნები**, თუმცა თითქოს შესაძლებელი ჩანს ასეთი გაარსებითებული ზედსართავეების გამოჩენაც: დიდებნი, მართლებნი, გამბედავებნი და მისთანანი, რაც ფუნქციას მოკლებული და, ამდენად, გაუმართლებელი იქნება“ (ბრეგაძე, 2007, 30).

დღევანდელ ქართულში იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ძველ ძეგლებში ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური ფორმები დადასტურებულია. საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას „ხევ“ ფუძიდან ნაწარმოებ სიტყვებზე: ხევნები, ხევნებთა:

ნორჩებმა სიამოვნებით გაისეირნეს ზოოპარკის **ხევნებში** („მალკა“... 40 წლისაა“: „თბილისი“, №230, 1974).. ეს ფორმა დღეს შეიძლება სადავო, იყოს, მაგრამ ძველ ტექსტებში იგი უდავოა და უფრო ხშირადაც იხმარებოდა: „ეხეკიელის წიგნის“ გელათურ ნუსხაში (XII საუკ.) გვხვდება **ჰევნებნი** (35,8; 39,11), **ჰევნებთა** (36,4), რომლებსაც ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში შესაბამისად **ჰევნი** და **ჰევთა** შეესატყვისება. ამ ფორმებს თ. ცქიტიშვილი სამმაგი მრავლობითის ფორმებად თვლის და იმოწმებს მ. კახაძეს (ცქიტიშვილი, 1976, 279), რომელიც მის მიერ გამოცემულ „ექუსთა დღეთაჲს“ დართულ გამოკვლევაში აღნიშნავს: „რაც შეეხება ჩვენს ძეგლს, აქა არამცთუ გაორკეცებული მრავლობითობა, არამედ გასამკეცებული პლურალობის 4

შემთხვევა მოგვეპოვება: 1. „და შთამავალ დღელთა შინა და **კვენ-ებთა**“ 42,28; 2. „და მდინარენი წყალთანი **კვენებთა** თანა დაუწყუედელად მდინარეთა“ 34,15; 3. „და ღრმათა მათ **კვენებთა** მიერ და დანახეთქთა შემზადებულნი“ 76,15; 4. „ხოლო დელოვანნი და **კვენებნი** მისნი თანა-წარჰკვდიან“ 76,17. ზემომოყვანილი ყველა მაგალითი მორფოლოგიურად უდაოდ გასამკეცებელი მრავლობითობის საუკეთესო ნიმუშებია. ხოლო რაც შეეხება სიტყვის სემასიოლოგიურ მხარეს, ცხადია, რომ **კვენ-ები** იგივეა იმ დროისათვის, რაც **ხევ-ები** (შდრ. ხევნი 44,8; 61,34), ე.ი. დაჩრდილულა, დასუსტებულა ამ სიტყვაში „ნ“-ს ფუნქცია და საჭირო გამხდარა ენაში **ებ**-ის მიშველიებაც“ (მ.კახაძე, 1947, 048). იმნაიშვილი თვლის, რომ აქ მხოლოდ ორმაგი მრავლობითი გვაქვს, რადგან **ხვენებნი**-ს პირველი **ნ** ფუძისეულია (იმნაიშვილი, 1957, 314).

ეს სიტყვა სხვაგანაც გვხვდება: და შევიდენ და განისუენონ ყოველთა **კვენებთა** შინა სოფლისათა (ესაია, 7,19 (ვულგ.))

სხვა სახისაა შემდეგი მაგალითი: საკვირველ არიან, უფალო, **საქმენნი** შენნი (ა.ბარამიძე, მოგონებათა ფურცლები: „მნათობი“, №3, 1977, გვ. 173)

ავტორს ორი **ნ**, რომელთაგან ერთი სრულიად ზედმეტია, ალბათ იმის გამო წასცდა, რომ ერთგვარად თავი დაიზღვია, სიმრავლის მაჩვენებელი არ გამომჩნესო და ზედმეტი მოუვიდა.

შორს სიმბირსკთან ომი ჰქონდა... სადაც **სპანნი** გაუწყვიტეს (ი.სურიკოვი, „სიკვილით დასჯა სტენკა რაზინისა“: საუნჯე“, №6, 1978, გვ. 88. ა.ონელის თარგმანი)

ღრმანნი, ბრმანნი და უწონონი (ზ.ნარმანია, „ლექსები“, „ცისკრის ბიბლიოთეკა“, №5–6, 1982, გვ. 7)

განა **უცხონნი**, განა მავანნი, ჩვენ – ბუხაიძის, მირზას, ზოიას, ბორის ძნელაძის შთამომავალნი (ს.ქობულა, საიუბილეო საღალალობა: „ახალგაზრდა კომუნისტი“, №59–60, 1980)

წარბნი ბაწარნი, თვალნი ღრმა **ცანნი**, გაუმაძღარნი მსუყე ფერებით (კ.ნემსაძე, „გალაკტიონ ტაბიძეს“: „ლიტერატურული საქართველო“, №19, 1972.

რა უნდა იყოს მიზეზი ამგვარი ფორმების გაჩენისა და მომრავლებისა? – ალბათ, შიში, რომ არ დააკლოს ფორმას სიმრავლის გამომხატველი საშუალება; სურვილი, რომ უფრო თვალნათლივ გამოიხატოს სიმრავლე; ზოგჯერ ენის კანონების არცოდნა, ზოგჯერ ორიგინალურობისკენ მისწრაფებაც ზოგიერთი ავტორისა. რატომ ხმარობს ზოგიერთი ერთის ნაცვლად ორჯერ ერთსა და იმავე საშუალებას მიჯრით ერთი ფუნქციის გადმოსაცემად სხვა შემთხვევებშიც? მხედველობაში მაქვს ანალოგიური ვითარება პირის ნიშნების ან მიმდებლობის მაწარმოებელი პრეფიქსების უსაფუძვლო გაორმაგებისა. მაგალითად, როდესაც პირველი პირის ნიშანს, ვ პრეფიქსს, ორჯერ წერენ: გავვოცდი, დავევქვდი... (დავევარდი, დავევარცხნე, დავევიწყებვივარ

და სხვათა ანალოგიით, რომლებშიც მრჩობლი ვ სწორად არის ნახმარი). ანლოგიური მაგალითები იშვიათად შეიძლება სხვა სახისაც შეგვხვდეს:

გავგოცდი, რა ნაზი თითები ჰქონია (მ.სოსელია, მთავარი ჯილდოს მოლოდინში: „ლელო“, №238, 1990); ზაარბრიუკენში პირველად რომ ჩავედი, **გავგოცდი** („ქრონიკა“, №38, 2005, გვ. 13)

როდესაც დაბეჭილი წავეკითხე და უფრო მეტად ჩაუეკვირდი, **დავეუჭვდი** (კ.კეკელიძე, წერილები სულხან-საბა ორბელიანის შესახებ: ეტიუდები, VIII, 1962, გვ. 350).

გუშინ ოთხმოცი მეტრი მოვქსოვე, **დავეოსტატდი** (ლ.ცომია, „დამლა“: „ლიტერატურული საქართველო“, 9.XII, 1988)

შეიძლება მ პრეფიქსიც იხმარონ ზედმეტად:

ტყე-ტყე მიმავალს წამოეწია თურმე და მხარი ეცვალა. ერთხანს იბურბუცა ტყეში ღვთის **მმოსავმა**, მაგრამ ვერ იქნა, გზა ვერ ინიშნა (ს.დემურხანაშვილი, „სუნსულას დატირება“: „კომუნისტი“, №76, 1979). შდრ. უწინდელს დროში ღვთისა **მოსავთა** გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი (ი.ჭავჭავაძე, „განდეგილი“)

ჯვრის ფერდოზე დვას მშვენიერი სახლაკი მცირე – მიუსაფართა შვებით **მმოსავი**, ლოცვად დამდგარი ულუმბოსავით (ა.კალანდაძე, ლექსები, 1973, გვ. 96)

სასჯელს მიიზღავდა გამყიდველი, ჯავრსაც მოვრჩებოდი **გამმთავებელს** (ო. ჭელიძე, „ამირანმთა“, 1970, გვ. 66)

ღვთისმმოსავს ცოტა ფერი მოუვიდა (მ.დავითიძე, „რამეთუ არა გაბეგებოდეთ რა“: „თბილისი“, №83, 1972).

მომქმედი: იქ ჩემი მოთხრობის **მომქმედი** პერსონაჟები იყრიდნენ თავს (თ. პირველი, „სათარგმნელედ მივდივარ“: „დროშა“, №9, 1979, გვ. 18)

შემომქმედი: ასე გათავდა ამ ლეგენდარული **შემომქმედის** ცეცხლებერ მგზნებარე სიცოცხლე (ი.იმედაშვილი, „ვაჟა-ფშაველა“: „ახალგაზრდა კომუნისტი“, №7, 1979).

ზემომქმედი: იმაში არის საყურადღებო ყოფა-ცხოვრებითი დეტალები და **ზემომქმედი** სურათები (კ.კეკელიძე, კიმენი, II, გვ. 7), ამ ფუძეში კანონური **მოქმედის** გვერდით ხშირად გვხვდება **მომქმედი**, ამ უკანასკნელში ქ-ს წინ მდგომი მ ავტორებს ფუძის კუთვნილება ჰგონიათ. ამგვარად, მიმღეობის მაწარმოებელი დუბლირებულია, ოღონდ სხვადასხვა სახით. ანალოგიური ტიპის დუბლირება სხვა სიტყვებშიც გვხვდება, მაგალისთვის გამოგვადგება **მომღიმარი**, **მომცინარი**... (რომლებიც ორთოგრაფიული ლექსიკონის მიერ დაწუნებულია)

ახლა კვლავ სუფიქსს მივუბრუნდეთ:

დღის ბოლოს ვიანგარიშით,

ვინ ვისზე **რითით** მეტია (გ.ძნელაძე) – მთავდიშვილის წერილში: „წიგნი ჩემს თაროზე“: „მნათობი“, №2, 1984, გვ. 167). აქ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი დუბლირებულია, მიჯრით არის ნახმარი. ეტყო-

ბა, ავტორისთვის პირველი ნიშანი არ იყო საკმარისი, რადგან მისი ფუნქცია ერთგვარად დაბნელებულად მოეჩვენა და მეორე დაუმატა.

აღნიშნავენ, რომ მრავლობითობის მახვენებელი სუფიქსის მრჩობლად ხმარება აიხსნება მათი ფუნქციის პოზიციური შესუსტებით. და ამის საფუძველზე ზოგ შემთხვევაში მათი დაბნელებით. საფიქრებელია, მწყემსებთა, ერებთა ტიპის სიტყვებში **ებ** სუფიქსმა დაკარგა მრავლობითობის გამოსატვის უნარი, შეერწყა ფუძეს, რის გამოც ხელმეორედ მიიერთა **ებ** სუფიქსი.. ეს პროცესი განსაკუთრებით კარგად ჩანს სიტყვაში **კარებები**. ამ ფორმაში მეორე **ებ** ელემენტის დართვა იმან გამოიწვია, რომ კარ-ებ-ი აღიქვებს როგორც მხოლობითის ფორმა და სიმრავლის გამოსახატავად საჭირო გახდა მასზე კიდევ ერთი სიმრავლის მახვენებელი სუფიქსის დართვა. ფიქრობენ, ეს მოვლენა სალიტერატურო ქართულში დიალექტებიდან უნდა იყოს შემოსული (დლონტი, 1980, 119).

მიუხედავად იმისა, რომ **კარებების** მაგალითი მაცდურია, მეექვსე ბა, რომ დღევანდელ ქართულში ორმაგი მრავლობითის განხილული მსგავსი ნიმუშების ხმარება **ებ** სუფიქსის დაბნელებით იყოს გამოწვეული. მე უფრო მგონია, რომ ამგვარი ფორმები ენაში გაუაზრებლად, ქვეცნობიერად შემოდის ზოგი ავტორის მეშვეობით, რომლებიც კი არ უგულებელყოფენ საუკუნეების განმავლობაში ენაში დამკვიდრებულ კანონებს (მაშინ გამოვიდოდა, რომ კანონები კი იციან, მაგრამ არ ემორჩილებიან), არამედ ამ მიუღებელ ფორმათა ავტორებმა არ იციან ეს წესები, გააზრებული არა აქვთ ენაში დამკვიდრებულ კანონთა დაცვის აუცილებლობა და მათი უხენაესობა. ერთი სიტყვით, ეს შეცდომები უფიცობით მოსდით და არა შეგნებულად. თუმცა ენობრივ ნორმათა შეგნებულად დამრღვევებიც გვხვდებიან. ზოგიერთი ავტორი ყოველგვარ ზღვარს გადადის:

სულ სხვა ხმაზე ჭიკჭიკებენ ისინი და **ისინები** (ვ.ჯავახიძე, „ლექსები“, 1984, გვ. 99). **ისინები** ყოველმხრივ მიუღებელი ფორმაა. მწერალმა თავს უფლება არ უნდა მისცეს, ორიგინალურობის მიზნით ასეთი მახინჯი ფორმა მიაწოდოს მკითხველს. ეს არის „მკრეხელობა“ მშობლიური ენის მიმართ!

ცუდი მაგალითი გადამდებია, სხვებიც მოისურვებენ, მიჰბადონ მათ ამ ყოველად გაუმართლებელ ორიგინალურობაში. გვჭირდება კი ეს?

დამოწმებული ლიტერატურა:

ბრეგაძე, 2007 – ლ.ბრეგაძე, ორმაგსუფიქსიანი მრავლობითი გუშინ და დღეს, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, 2007.

დონდუა, 1956 – *К.Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском*: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956.

იმნაიშვილი, 1957 – ი.იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957.

იმნაიშვილი, 1984 – ი.იმნაიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები. IX, ორთავეს თუ ორივეს? (ქართული ენა, წერილები კრებული, თსუ, 1984).

კახაძე, 1947 – ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად (გამოსცა მ.კახაძემ): მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II (25), 1947.

ღლონტი, 1980– А.Глонти, К вопросу о трех суффиксах множественности в грузинском языке: Вопросы языкознания, №5, 1980.

შანიძე, 1973 – ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, 1973.

შარაძენიძე, 1956 – თ.შარაძენიძე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956.

ჩიქობავა, 1942 – არნ.ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942

ცქიტიშვილი, 1976 – ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ.ცქიტიშვილმა), 1976.

ჯიბლაძე, 1966 – გ.ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, 1966.

Vakhtang Imnaishvili

Double Plural Forms in the Modern Georgian Language (Summery)

The Georgian language has the following two means of expressing a noun plurality: so called *nartaniani* plural formation and marking with the suffix – *eb*. The frequency of their application has varied according to the development of the Georgian language. The *nartaniani* pluralization used to be common, however, the plural form marked with the suffix –*eb* is more typical nowadays. Using one of these suffixes (*eb*, *n*, *t*) is quite enough to show the plurality of a certain word. However, in some cases plurality of a noun is formed by applying two different suffixes at the same time. The nature of the Georgian language considers the case unacceptable. The following examples are meant:

Mwyemsebtagan khma aravis amoughia (None of the shepherds uttered a word);

Erehta shoris dzmoba da ndoba (Friendship and trust among nations);

Redaqciashi modis werilebi, *romlehta avtorebi gvtxoven gavarkviot sayofacxovrebo*

momsaxurebis obieqtebshi... (we receive letters at the editorial office, the authors ask us to find out ...);

The second suffix does not express anything new, it does not add anything to the single suffix forms. Therefore, it lacks the function completely and is absolutely unnecessary. These forms haven't appeared recently. Applying two different suffixes at the same time can be found in old Georgian in number of cases. Marking *-eb* suffix followed by *n* or *t* suffixes features the Georgian language. There are some reasonless forms where plurality is expressed by double *n*: *saqmenni* (businesses), *spanni* (soldiers), *ghrmanni* (deeps), *brmanni* (blinds), *utskhonni* (the strangers), *tsanni* (the skies)...

I think, the authors of the above mentioned examples unconsciously use unacceptable forms due to the lack of knowledge on language norms. However, sometimes it is the case of seeking originality.

**უმწერლობო ენაში ჰიპოტაქსური
კონსტრუქციის რაობისათვის**

უმწერლობო ენაში¹ ჰიპოტაქსის ჩასახვასთან დაკავშირებით საკითხი დგას ასე:

ჰიპოტაქსი სამწერლო ენის კუთვნილებაა და აქედან გავრცელდა ხალხურ მეტყველებაში თუ ხალხურ მეტყველებაში დამოუკიდებლად გაჩნდა? ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გზით გადაეცემოდა. თხრობის სტილი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ დამახსოვრება არ გასტირვებოდათ ავტორ-მთქმელებს. „მარტივი წინადადებებით თხრობა ეკონომიური, ცოცხალი და საკითხავად სახალისოა, მაგრამ ცოცხალი სალაპარაკო ენისთვის არ არის დამახასიათებელი, რადგან დასამახსოვრებლად ძნელია“ (თოფურია 1960:25)². ზღაპრის ან სხვა ჟანრის სიუჟეტური ამბის თხრობისას ყურადღების ცენტრში ექცევა გმირის განსაცდელი, დაბრკოლებათა დაძლევა, საოცარი ფათერაკების გადალახვა და სხვა. ამას, ყველაფერს, მთქმელი ჰყვება ისე, რომ გააცხოველოს ინტერესი, მძაფრი სიტუაციების ეფექტი აგრძნობინოს მსმენელს. ამიტომაც „აქ (ზღაპარში) გაბატონებულ ადგილს (96%) იჭერს რთული კონსტრუქციები“ (დლონტი 1991:3). მაშასადამე, როგორც იკვეთება, უმწერლობო ენაში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენა შეაპირობა ორმა ფაქტორმა: **ადვილად დამახსოვრებისა და გამოკვეთილი, საზგასმული (ფოკუსირებული) ინფორმაციის გადმოცემის აუცილებლობამ.**

მეთოდოლოგიურად გამართლებულად მიიჩნევა, რომ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული ქვეწყობა, კავშირების დიფერენცირებული სისტემით, დიალექტთა შინაგანი განვითარების კანონზომიერებითაც აიხსნას და არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ზემოქმედებით (ძიძიგური 1973), რადგან ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, არამედ ცალკე სისტემაა (PPP, 1973; Лаптева, 1976). რაკი სინტაქსი, განსაკუთრებით ჰიპოტაქსი, ენის ხერხემალია, მაშინ ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თითოეულ ენობრივ სისტემაში დამოუკიდებლად გაჩნდებო-

¹ ცნობილია, რომ ქართველურ ენათაგან სამწერლობო მხოლოდ ქართულია, ხოლო სხვა ქართველური ენები „ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან“ (ონიანი 1997:86). უმწერლობო ენა ემყარება მეტყველების ზეპირ ფორმას, რომელიც წინასწარმოუმზადებელია. ეს იგივე ცოცხალი, ხალხური, „სპონტანური მეტყველებაა“ (დოლინინი).

² საინტერესოა ფსიქოლოგიური ფაქტორიც, როგორც გაირკვა, მსმენელი განსხვავებულად რეაგირებს მოსაუბრის მოკლე და გრძელ წინადადებებზე. პირველ შემთხვევაში გაუცნობიერებლად უნდობლობით იმსჯელება, ხოლო მეორე შემთხვევაში ენობობა, უსმენს და მის მიმართ კეთილგანწყობილია (დაწვრ. იხ. მშვიდლობაძე 1990).

და ჰიპოტაქსური კონსტრუქცია. ამგვარი ლოგიკური მსჯელობის მართებულობა ნათლად ჩანს მაშინ, როცა ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში გადაგვაქვს: [მეგრულიდან ქართულად] „თარგმნისას ყველაზე ძნელად „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა მეგრული სინტაქსური კონსტრუქციები“ (დანელია 1991:8).

მეგრულში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ფორმისა და შინაარსის ანალიზმა ცხადყო (აბესაძე 1965; ლომია 2005), რომ იქ დასტურდება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, ორი ფენა:³

ერთი, წევრ-კავშირიანი და მაქვემდებარებელკავშირიანი, რომლებიც იმეორებენ რთულ კონსტრუქციათა დახვეწისა და სრულყოფის გზას ძველი ქართულიდან თანამედროვე ქართულამდე⁴ (კერძოდ, დასტურდება სინტაქსური ასიმილაციისა და კორელატის გამეორების შემთხვევები, მისამართი სიტყვის ფიქსირებული ადგილი და სხვა. ექსპერიმენტით დადასტურებულია, რომ წინასწარი მომზადების გარეშე გადმოცემულ ტექსტებს ზედმეტსიტყვიანობა ახასიათებთ (კიხირია 1987:73). ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ეს არის მისამართი სიტყვა, კორელატი ან ორივე ერთად (დანელია 1991:10). ზეპირი მეტყველების დროს „გაბმულ ტექსტში გარკვეული დროის შემდეგ ხდება მოცემულის გამეორება, რადგან მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა ადრე ნათქვამი და ცდილობს აღადგინოს იგი მსმენელის მესსიერებაში“ (ენუქიძე 1987:121).

მეორე, საკუთრივ ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომელთა თავისებურება პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ბევრ მათგანში ჭირს დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების განსაზღვრა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არც არის საჭირო, რადგან მთლიანად წინადადება, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ინფორმაციის სტრუქტურირების სპეციფიკური სტრატეგიის გამომხატველია. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ ინფორმაციის ჩამოყალიბებისა და გადაცემის, საინფორმაციო ნაკადში დაწინაურებული წევრის მარკირების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი, განსაკუთრებით სპონტანურ მეტყველებაში, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებზე მოდის.⁵ კერძოდ, მეგრულში ამგვარ კონსტრუქციათა სახელდება ასეთია:

³ ასეთივე ორი ფენა გამოიყოფა სვანურშიც (დაწვრ. იხ. აბესაძე 1962).

⁴ „ჩვენ არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჰიპოტაქსური წინადადების სათავე მწერლობა იყოს, სამაგიეროდ, სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ჰიპოტაქსის საშუალოდ განმტკიცებასა და პარატაქსისგან მკვეთრად გამოყოფას სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი“ (ლონდუა 1967).

⁵ მეგრული მეტყველებისთვის არ არის დამახასიათებელი მიმდებარე კონსტრუქცია. მიმდებარის ადგილს იკავებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება *ფერი* „მსგავსი“ კორელატითა და *-ნი* „რომ“ კავშირ-ენკლიტიკით; მაგ., ძღაბი კარს მიკოხენ *ფერ* ბორბოლიას მიოტყობანს. „გოგო კარზე რომ ზის ისეთ ობობას ეპარება“. შარას *თოლელადაღირი* ირემი ქოძირუ, *თოლი ვაუღუღუნ ფერი* (ხუბ. 24222). „გზაზე

ა. კითხვითსიტყვიანი (მის რე ულორანქინი? „ვისაა, რომ უყვირი“?);

ბ. არაკითხვითსიტყვიანი (თქვა რენო მა ჭითა ნაბადის მიციდენტონი?! „თქვენ არის, მე წითელ ნაბადს რომ მიყიდით“?);

გ. -ო ნაწილაკიანი (კარს მიოჯინუო, მუდგარენი ქიმკოჭარუ. „კარს შეხედაა [რომ შეხედა], რაღაცა აწერია“);

დ. ინიციალური სახელობითის შემცველი: (დიდა ბედიჭვირი. მა თიმ არდგირს ვორდენი, შურო ვემკვოჯინექ. „დედა ბედდამწვარი. მე მის ადგილას რომ ვიყო, საერთოდ არ მივხედავ“);

ე. გამეორებულსიტყვიანი (მიდართუ სასუმაროშა. მიდართუ სასუმაროშან, ზღვა პის ელაყუნს. „წავიდა სტუმრად. რომ წავიდა სტუმრად, ზღვის პირს მიუყვება“).⁶

მეგრულში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგებულებისაა **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები** (მიდგა-რენი „ვიღაცა რომ არის“, მუდგა-რენი „რაღაცა რომ არის“, ნამუდგა-რენი „რომელიღაცა რომ არის“);⁷ მეგრულში თავისებურ კონსტრუქციას ქმნიან აგრეთვე დამოკიდებულ წინადადებაში ჩართული ლექსიკური ერთეულები – **ვარენო / ვარდუო** „არ არის?“/„არ იყო?“ („წინადადებაში ჩართული წინადადებები“ – Кипшидзе 1914:0144-0145:301), რომლებიც ყოველთვის მეორე ადგილს იკავებენ და **მაღალი, ტალღისებური ინტონაციით** გამოყოფენ წინმდგომ წევრს. ინტონაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზეპირმეტყველებაში ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, რაც ცალკე მსჯელობის თემაა.

ზემოსხენებულ კონსტრუქციებს პარალელები ეძებნებათ სვანურში, ქართული ენის დიალექტებში, ქართული ხალხური ზღაპრისა და ქართული მხატვრული ტექსტების ენაში.

ინფორმაციის ჩამოყალიბება და გადაცემა ხდება როგორც სამწერლობო, ასევე უმწერლობო ენაში, ოღონდ, ეს უკანასკნელი, როგორც სალიტერატურო ნორმისა და სტილისგან თავისუფალი, უფრო თამამად იყენებს გრამატიკულად ჭარბ საშუალებებს; ხოლო, რაც გრამატიკულად ჭარბია, ის ინფორმაციულად დატვირთული და მნიშვნელოვანია (შდრ. სინტაქსურად ჭარბი ნაცვალსახელი გაბმულ ტექსტში: [მე] წავედი, [მე] ვიყიდე პამიდვრები, [მე] მივუტანე დედას პამიდვრები...) (ასათიანი 2009:12), (იხ. ასევე მსჯელობა ზევით კორელაციისა და სხვა წევრთა გამეორების შესახებ).

ყურადღებას იქცევს **ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა კომპონენტების განლაგების** საკითხიც. კანონიკური სინტაქსისაგან განსხვავებით, უმწერლობო ენებისთვის დამახასიათებელია დამოკიდებული წი-

თვალამოღებული ირემი ნახა, თვალი რომ არ ჰქონდა ისეთი (დაწვრ. იხ. ჯიქია 2009:131-137).

⁶ თითოეული ზემოსხენებული კონსტრუქციის ანალიზი იხ. ლომია 2005.

⁷ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა შემადგენელი ნაწილების ფუნქციური ანალიზი დაწვრ. იხ. ლომია 2010.

ნადადების გახლეჩა და მასში ერთ ან ორშემადგენლიანი მთავარი წინადადების ჩართვა. მაგ.,

ცას **მუიე** გიმახენი? „ცაზე რაა, რომ ზის“? თე ამბე, **ვფირქენქ**, გასაშინეთ დაასქიდუ ჩქინ სქუაღენს. „ეს ამბავი, ვფიქრობ, გასახსენებლად ექნებათ ჩვენს შვილებს“.

მეგრულში -ნი კავშირ-ენკლიტიკის პოზიცია განსაზღვრავს აგრეთვე კომპონენტთა განლაგების სპეციფიკურობას და იგი შემდეგნაირად გამოისახება:

ა. მთავარი+დამოკიდებული (-ნი კავშირიანი) + **კორ.** **ბ.** დამოკიდებული (-ნი კავშირიანი) + **კორ.** + მთავარი

მაგალითად,

ბოში დო ძღაბიქ დირულეს, ქილაჯაფესინ **უკული**. „ბიჭმა და გოგომ დაიძინეს, რომ ითამაშეს მერე“. ოსერშექ გეთუნ **უკული**, თე ბოში მიდეფონეს დანჯირუშა. „ვახშამი რომ დამთავრდა მერე, ეს ბიჭი წაიყვანეს დასაძინებლად“.

რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ კომპონენტთა თავისებური განლაგების შედეგად გრამატიკული მიჯნა მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის ერთგვარად ირღვევა, რაც განპირობებულია საკომუნიკაციო მიზანდასახულობით, რომლის დროსაც „რთული ქვეწყობილი წინადადება ერთი მთლიანი მოქნილი ერთეული ხდება“ (გაბუნია 2000).

დამოწმებული ლიტერატურა

აბესაძე 1962 – ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1962;

აბესაძე 1965 – ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში, თსუ შრომები, ტ. 114, თბ., 1965;

ასათიანი 2009 – რ. ასათიანი, ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბ., 2009;

გაბუნია 2000 – ქ. გაბუნია, რთული წინადადების სტრუქტურული და კომუნიკაციური ასპექტები თანამედროვე სინტაქსურ და სემანტიკურ თეორიებში, ენათმეცნიერების საკითხები, №3, თბ., 2000;

დანელია 1991 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, ზღაპრები და მცირე ჟანრები (ქართული თარგმანითურთ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, შესავალი და შენიშვნები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბ., 1991;

დონდუა 1967 – კ. დონდუა, რჩეული შრომები, თბ., 1967;

ენუქიძე 1987 – ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987;

თოფურია 1960 – ვ. თოფურია, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებისათვის ქართულში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X-XI, თბ., 1960;

კიზირია 1987 – ნ. კიზირია, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1987;

ლომია 2005 – მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბ. 2005;

ლომია 2010 – მ. ლომია, ინფორმაციის სტრუქტურირების მოდელი მეგრულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების მიხედვით, სსიპ ახალციხის უნივერსიტეტის შრომები, ეძღვნება აკად. სერგი ჯიქიას 110 წლის იუბილეს, თბ., 2010;

მშვიდლობაძე 1980 – რ. მშვიდლობაძე, მეტყველების გაუცნობიერებელი ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციები, თბ., 1990.

ონიანი 1997 – ალ. ონიანი, საქართველო და ქართველური ენები, ქუთაისური საუბრები, IV, თეზისები, 1997;

ღლონტი 1975 – ალ. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975;

ძიძიგური 1973 – შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973;

ჯიქია 2009 – მ. ჯიქია, ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების შესახებ მეგრულში, კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბ., 2009;

Кипшидзе 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, с хрестоматией и словарем, СПб, 1914;

Лаптева 1976 – О. А. Лаптева, Русский разговорный синтаксис, М., 1976;

PPP – Русская разговорная речь, М., 1973.

Maia Lomia

On the Meaning of Hypotactic Construction in Unwritten Language

(Summery)

The article deals with the reasons of creating hypotactic construction in unwritten language and with the identified constructions. As it has turned out existence of hypotactic construction in unwritten language is stipulated by two factors: the necessity of **remembering texts easily** and expressing **emphasized (focused) information**. Based on Megrelian text the following summery can be made on the meaning and the form of hypotactic construction: here are subordinate connective constructions that repeat the ways of improving compound

constructions from old to modern Georgian. Here are also the following constructions featured for spoken constructions: including question word, not including question word, including -o particle, including initial nominative, including repeated word. the parallels of these types of constructions can be found in Svani language, Georgian dialects, Georgian fiery tales and fiction texts.

The issue of hypotactic construction component distribution is important in Spoken language. Unlike regular syntax, unwritten languages often split subordinate sentences and inserts a main sentence with one or two components. As a result communication is flexible and easy.

მაია მაღუაშვილი

**ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად შეპირობებული
ალომორფების ბანაჟილებსათვის ქართული ენის დიალექტაში
(სახელოებით და მოთხრობითი ბრუნვების მიხედვით)**

დიალექტები, მორფონოლოგიური პროცესების მხრივ, სალიტერატურო ქართულთან შედარებით მეტი თავისუფლებით ხასიათდებიან და ის შემზღვეველი პირობები, რომლებშიც სალიტერატურო ენაა მოქცეული, დიალექტების შემთხვევაში იშვიათად არსებობს. საინტერესო ვითარებაა სახელთა ბრუნვების თვალსაზრისით დიალექტებში, სადაც ბრუნვის ნიშანთა ალომორფები მრავალი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი და მათი დისტრიბუცია ხშირად სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ წესებს ემორჩილება. ალომორფთა განაწილებისას ქვესისტემებში რიგ შემთხვევებში შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებანი, რომლებითაც ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთისა და ამავე დროს სალიტერატურო ქართულის მონაცემებს. საინტერესოა, რა ფაქტორები განაპირობებს დიალექტებში ამა თუ იმ ალომორფის გამოვლენას? არის თუ არა ალომორფთა განაწილება მკაცრად განსაზღვრული? სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების მაგალითზე შევეცდებით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. საანალიზო მასალად გამოყენებული გვაქვს ცალკეულ დიალექტებზე არსებული გამოკვლევები და ტექსტები, აგრეთვე, ჩვენ მიერ მოპოვებული დიალექტური მასალა.

მორფმათა რეალიზაციის ვარიანტები, ალომორფები, სხვადასხვა მიზეზით წარმოიქმნება. ფონემატური სისტემის მორფოლოგიურ სისტემაზე დაწოლის შედეგად ვიღებთ **ფონემატურად შეპირობებულ ალომორფებს**, ხოლო მორფოლოგიური სისტემის ფონემატურ სისტემაზე დაწოლის შედეგად კი – **მორფოლოგიურად შეპირობებულებს**. შესაბამისად, ერთი და იმავე მორფემის (ჩვენს შემთხვევაში ბრუნვის ნიშნის) ალომორფებს შორის არსებულ ფონემურ განსხვავებებს, მორფოლოგიურად თუ ფონოლოგიურად შეპირობებულს, მორფოფონოლოგიური, ანუ მორფონოლოგიური მონაცვლეობები ეწოდება (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, 203).

დიალექტების უმრავლესობას ახასიათებს ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის /-ი/ და /-ე/ ალომორფებით გაფორმება. გამონაკლისს ქმნიან **არაგვისა და ქსნის ხეობათა ქართლური, ოკრიბული და ინგილოურის ალიაბათური კილოკავი** (იმნაიშვილი, 1952, 323; სომხიშვილი, 2000, 88; კახაძე, 1954, 170; იმნაიშვილი, 1966, 84-85), სადაც ხმოვანფუძიანი სახელები /-ი/-ითაა წარმოდგენილი. ეს /-ი/ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად დიალექტებში ფონოლოგიურადაა შეპირობებული განსხვავებით ძველი ქართულისაგან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხმოვანფუძიან სახელთა -ი/-ჲ ალომორფების რეალიზაციის მხრივ ერთმანეთისაგან სხვაობენ არა მხოლოდ დიალექტები, არამედ კილოკავებიცა და თქმებიც. გამოიყოფა დიალექტთა ორი ჯგუფი (ბერიძე, 1993, 122-123): ერთი, რომელშიც ალომორფთა განაწილებას ფონოლოგიურსა და მორფოლოგიურ შეპირობებულობასთან ერთად სიტყვათა რიგი და პოზიციაც განსაზღვრავს და მეორე, სადაც გარკვეული მნიშვნელობა სიტყვაფორმათა სემანტიკასაც ენიჭება.

პირველ ჯგუფში ექცევა **ქართლური, კახური, იმერულის დიდი ნაწილი, რაჭული, თუშური, ხევსურული და ინგილოურის კაკური კილოკავი**, სადაც მორფოლოგიურად შეპირობებული */-ი/* და */-ჲ/* ხმოვანფუძიან საზოგადოსა და საკუთარ სახელებთან ძირითადად რეალიზდება სიტყვის აბსოლტურ ბოლოში, აუსლაუტში, ანუ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოზიციას. მაგ.: *გაჩეხა ტყე-ი* (იმნაიშვილი, 1974, II, 58), *იძან მოიტანა შემა-ი* (სოფ. შინდისი)*¹, *იყენენ თამაზაშვილი ელიკო-ი და ოქროპირიძე პავლე-ი* (იმნაიშვილი, 1974, I, 193) (**ქართლური**); *დაიწყეს ცხოვრება-ი* (მარტიროსოვი, 1956, 68), *ნახა ელენე-ი* (იქვე, 68), *მოვიდა წვიმა-ი* (სოფ. კაჭრეთი)* (**კახური**); *დაკლეს ძროხა-ი* (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 450), *წიყეჯანა თავისი გოგო-ი* (იქვე, 450), *მიიღვეს ძან კაათ ნეფე-ი* (იქვე, 453) (**იმერული**); *ჰყავდეს ცხრა-ჲ შვილი – ოთხი ბოში და ხუთი ვაჟა-ჲ* (ძიძიგური, 1954, 186) (**რაჭული**); *ნარჩხავა-ღ' გუტებს ჯმა-ჲ* (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 108), *ზამთარ ყოფილიყუ, წელწლობა-ჲ* (იქვე, 109) (**თუშური**); *რაი გაქვს ეგეთ საქმე-ი?* (ჭინჭარაული, 1960, 48), *ცალკე ახალზალრ ას, ცალკე – მეფე-ი* (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 11) (**ხევსურული**); *არ აქ ეხლა გემო-ჲ* (აბაშივილი, 2009, 154), *ფათაჲ შტლ ეყო ი მურთაზა-ჲ* (იქვე, 153) (**ინგილოურის კაკური კილოკავი**).

დიალექტთა მეორე ჯგუფში ერთიანდება **სამცხურ-ჯავახური, აჭარული, გურული, იმერულის ზოგიერთი კილოკავი, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, მოხეური**, სადაც -ი/-ჲ მონაცვლეობა მოტივირებული ჩანს სემანტიკური და ინტონაციური მახასიათებლებით და ძირითადად გვხვდება -ა სუფიქსიან სახელებსა და საკუთარსა და მასთან გატოლებულ სახელებთან (ბერიძე, 1993, 123-124).

მესხურში გვაქვს *შოთა-ი//შოთა-ჲ, ნიშა-ი//ნიშა-ჲ, დედა-ი//დედა-ჲ, მამა-ი//მამა-ჲ*. აქ ბრუნვის ნიშნების ალომორფთა განაწილების მხრივ საინტერესო კანონზომიერება შეინიშნება საკუთართან გაიგივებულ სახელებთან. მორფოლოგიური მოდელი უცვლელად რეალიზდება და, შესაბამისად, -ი/-ჲ ალომორფები გვაქვს უმეტესად მაშინ, როცა ასეთი სახელები საკუთარი მშობლის მნიშვნელობითაა ნახმარი (მაგ.: *მამა-ი* მოვიდა = მამაჩემი მოვიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში

¹ ვარსკვლავით აღვნიშნავთ ჩვენ მიერ ჩაწერილ დიალექტურ მასალას.

კი სახელობითი ბრუნვა რეალიზებულია /-ი/-ით (*მამა-ი მოვიდა* = სხვისი მამა). აღსანიშნავია, რომ აჭარულ დიალექტში საკუთარ სახელზე /-ი/-ის დართვა ზოგჯერ განარჩევს ოფიციალურსა და კნინობით-საალერსო ფორმებს. მაგ.: *ესმე, ზეკიე*, მაგრამ: *ესმე-ე, ზეკიე-ე* და სხვ. (ჯორბენაძე, 1998, 546).

საინტერესო ვითარებაა გურულში, სადაც /-ი/, როგორც წესი, გვხვდება ერთმარცვლიან ფუძეებთან მიუხედავად ფუძის ბოლო ხმოვნის რომელობისა (*ხმა-ი, თვე-ი, ხვო-ი, ყრუ-ი*), ამით გურული უახლოვდება ქვემოაჭარულს და უპირისპირდება მესხურს. გურულში /-ი/ შესაძლოა შეგვხვდეს ა-ზე ფუძედაბოლოებულ ორ და მეტმარცვლიან სახელებთანაც, მაშინ, როცა -ა მორფემაა (ან მორფემადაა გააზრებული): *ნაფოტა-ი, ბიცოლა-ი, გულთეთრა-ი* (იქვე, 545). სხვა ხმოვნებზე დაბოლოებულ ორ და მეტმარცვლიან სახელებთან /-ი/-ს გამოყენება შეზღუდულია.

რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითს, დიალექტებში იგი გაფორმებულია /-ი/ და /-ი/ ალმორფებით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ფორმანტების დაკარგვა-შენარჩუნებაში თითქოს რაიმე კანონზომიერება არ დასტურდება (ჭინჭარაული, 1960, 48), თუმცა მასალის ანალიზის შედეგად განსხვავებული სურათი იკვეთება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ფონოლოგიურად შეპირობებული /-ი/ ყოველთვის რეალიზდება უპაუზო პოზიციაში. მაგ.: *ნაოფლარს ჯვარ-ი დაგვიწერი* (ჭინჭარაული, 1960 48), *ჯელოსან-ი გაუკეთებს საფუარს* (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 8), *ქორწილ-ი გვაქნივევ* (იქვე, 10) (ხევესურული); *ჯარ-ი წასრულიყუ უკანავ* (იქვე, 109), *ერთ ბიჭ-ი გამწყვ ზავნ ჩვენთან რაზმის უფროსს* (უთურგაძე, 1960, 90), *ქალაქ-ი განშენეს* (იქვე, 135) (თუშური); *ეშმაკ-ი რარიგად დავიჭიროთო* (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 133), *სამოც-ი კოდ-ი წმინდა პურ-ი* ჩამეწვა (იქვე, 138), *დედაკაც-ი კი გვექცა* (იქვე, 142) (ფშაური); *ი ქალ-ი დღეში ჩემოტენა იხდება* (ჩიქობავა, 1937, 48), *მთიელ-ი ვარ, მთაში გახდილი* (იქვე, 48) (მთიულური).

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, ბრუნვის ნიშნის კვეცის შემთხვევები გვაქვს კონსტრუქციის თავიკიდურა პოზიციაში, შემასმენლის წინ, როცა სახელი პირმომართი აქტანტია, ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. კონსტრუქციის ბოლოკიდურა პოზიციაში კი, პაუზის წინ ამ დიალექტებში სახელები -ი-ნ დაბოლოებითაა გაფორმებული. მაგ.: *არდოტს დასცემივ ლაშქარ-ი*, (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 375), *მაიყვანეს სამი ჯიჯე-ი* (იქვე, 22) (ხევესურული); *ერთს თვეს მღვარეყუ დიკლოს ჯარ-ი* (იქვე, 108), *განთქმულ მეომარ ყოფილიყუ მურთაზ-ი* (იქვე, 106) (თუშური); *მიუყვანა ბატო-*

ნებს ეს **ეშმაკი**; (იქვე, 134), **გასტეხია არაგვის კიდ-რ** (ცოცანიძე, 1978, 212) (**ფშაური**); **იმასა ჰყოლია სამი ქალ-ი** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 63) (**მთიულური**).

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისაგან განსხვავებით **ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში** თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი თითქმის ყოველთვის **/-Ø/-** ითაა გაფორმებული. მაგ.: **ღორ-Ø მოტკლავ** (იმნაიშვილი, 1966, 84), **ზაფხულ-Ø ეყო მაღ** (აბაშვილი, 2009, 211), **მირზა ღღელ-Ø დიდი ხანი ღღელ-Ø ეყო** (იქვე, 240), შდრ.: პაუზის წინ: დაანთეს **ცეცხლ-Ø** (იქვე, 144), **იყო ერ კაც-Ø, მაჟონა ცოლ-Ø** (იქვე, 160) (**ინგილოურის კაკური კილოკავი**). კაკურში საქმე გვაქვს სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვასთან და არა გაუფორმებელი ბრუნვის შემონახვასთან (იმნაიშვილი, 1966, 84).

საგულისხმოა, რომ **ინგილოურსა და მთის დიალექტებში /-ი/** აღდგება სახელზე ნაწილაკ-მორფემიციების დართვისას ან ენკლიტიკის შემთხვევაში. მაგ.: **ქალ-Ø მავიდ**, მაგრამ, **ქალ-ი-ე** (ქალიო), **ქალ-ი-ღ** (ქალიდა), **ქალ-ი-დ'** (ქალი და...) და სხვ. ეს კი, მორფონოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე, არაბუნებრივი **ღვ, ღღ და ღდ** კომპლექსების სუპერაციის გამო ხდება ძლიერი პოზიციის შექმნით.

ქართული ენის რამდენიმე დიალექტში თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ფუძის სახითაა წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში. მაგ.: ადგა **ბეჟან-Ø** (**რაჭული დიალექტის გლოლური კილოკავი**); **სამსონ-Ø მოსულა გუშხამ** (**გურული**); **ვახტანგ დეინახა სამსონ-Ø, სახელათ ერქვა თინათინ-Ø** (**ჯავახური**) და სხვ. (ჯორბენაძე, 1998, 548). როგორც ვხედავთ, ბრუნვის ნიშანი **/-Ø/** ალმორფითაა რეალიზებული როგორც არაპაუზის, ისე პაუზის წინ (წინადადების ბოლოში). ამ მაგალითებში ძველი ქართულისებური ვითარებაა, როცა საკუთარი სახელი სამ ბრუნვაში ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავდა. თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა სახელობითში ეს **/-Ø/** მორფოლოგიურ შეპირობებულობასთან ერთად გამოწვეულია სახელთა სემანტიკითაც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, უმეტესად **თუშურში**, ხშირად **ხევსურულსა და ფშაურშიც**, თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში გვხვდება **{-ი}**-ს მოკლე ვარიანტი **/რ/**: **მათრაჯ-რ, ამბავ-რ; /-რ/** ძირითადად **#-ის** წინ რეალიზდება. მაგ.: **ყარაულად ვავეწირნეს ოხდაათ კაც-რ** (უთურგაიძე, 1960, 90) (**თუშური**); **ამნდით უზიდვიებავ წყალ-რ** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 365) (**ხევსურული**); ამ მარტზე გამოვცადე ეს **ასლებ-რ** (ცოცანიძე, 1978, 171) (**ფშაური**).

რაც შეეხება მოთხრობით ბრუნვას, **/-მს/** და **/-მ/** ალმორფების განაწილება კანონზომიერია სალიტერატურო ქართულისათვის. გამოწვევისა ხმოვანფუძიან სახელთა **-ც** ნაწილაკიანი ფორმები: **დგდა-**

მა-ც, ხე-მა-ც და სხვ. სადაც -ა ქმნის /-მ/-ს რეალიზაციის პირობას მორფემათა საზღვარზე თანხმოვანთა ფონემატურად დაუშვებელი კომპლექსების მიღების დროს (უთურგაძე, 1986, 32).

/-მა/ და **/-მ/** ალომორფთა განაწილების მხრივ დიალექტები ორ ჯგუფად იყოფა: 1) დიალექტები, სადაც სალიტერატურო ქართულისებური ვითარებაა როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან და 2) დიალექტები, სადაც ალომორფები განსხვავებულადაა განაწილებული. ეს კი, გარდა პოზიციისა (მორფონოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე), რიგ შემთხვევებში გამოწვეულია ინტონაციითა და სახელის სემანტიკითაც.

მეორე ჯგუფის დიალექტებში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, გვხვდება როგორც **/-მ/** (საერთო წესის თანახმად), ისე **/-მა/** ალომორფები ხმოვანფუძიან საზოგადოსა და საკუთარ სახელებთან. **/-მა/** ალომორფი რეალიზდება როგორც პაუზის, ისე არაპაუზის წინ. ამ შემთხვევაში პრიმატი ეკუთვნის მორფოლოგიას. მაგ.: **ბიცოლა-მა თქვა** (სოფ. ტინისხიდი)*, **წაიყვანა გოგო-მა** (სოფ. შინდისი)*, **გამოიარა ორმა თხა-მა** (იმნაიშვილი, 1974, I, 80) (**ქართლური**); **დედა-მა თქვა** (სოფ. კაკაბეთი)*, **დიდხან გადტანა ბრძოლა-მა** (მარტიროსოვი, 1956, 69) (**კახური**); **მამცა მუშაობა-მა** (იმნაიშვილი, 1974, I, 80), **დოუბარა მამა-მა** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 443) (**ზემოიმერული**); **მესამე ძმა-მა თქვა** (იქვე, 419); **ესტუმრა ერთმა უმფროსმა ცოლისძმა-მა** (იქვე, 418), **მერე იკლო ტყე-მა** (იმნაიშვილი, 2006, 209) (**გურული**); **თვითან დეიტირა თავის დედა-მა** (ნიჟარაძე, 1961, 68), **მარობაში გამოვდა სამა დღე-მა** (იქვე, 68) (**აჭარული**); **ახლა ამ ნეფე-მა თქვა** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 520), **გამაგზავნა ჩემი ძმა-მა** (იქვე, 541) (**რაჭული**); **აჯობა კოპალა-მა** (იქვე, 141), **სუ ისრე იარა მთელ ხვეყანა-მა** (ცოცანიძე, 1978, 43) (**ფშაური**); **უხეირო დაიბარა კელმწიფე-მა** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 72) **უთხრა დედა-მა** (იქვე, 97) (**მთიულურ-გუდამაყრული**); **ხალხი შაჰყარა გოჩა-მა** (იქვე, 44) (**მოსეური**).

დიალექტთა ნაწილში იკვეთება გარკვეული კანონზომიერება: **/-მა/** დაჩნდება ხმოვანფუძიან სახელებთან პაუზის წინ, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში; არაპაუზის წინ კი ძირითადად მაშინ, როცა მას არ მოსდევს ზმნისწინითა და **ა-, ე-, ი-, უ-** (კაუზაციის, გვარისა და ქცევის) პრეფიქსებით დაწყებული ზმნა-შემასმენელი. მაგ.: **დათო-მა თქვა**, **მზია-მა ჭამა**, **დედა-მა ჰკითხა** და სხვ. მსგავსი კანონზომიერება შეინიშნება სალიტერატურო ქართულშიც მიცემითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმების მონაცვლეობასთან დაკავშირებით (იხ. მადუაშვილი, 2009, 28-29).

აღსანიშნავია, რომ **გურულში** მოთხრობით ბრუნვაში **/-მა/** ალომორფი ძირითადად გვხვდება იმ ხმოვანფუძიან სახელებთან, რომელე-

ბიც სახელობითში /-ი/ და /-ი/ ვარიანტებითაა რეალიზებული. ე. ი. გვაქვს *და-ი* და, შესაბამისად, *და-მა*, *დღე-ი* და *დღე-მა*, *ბიცოლა-ი/ბიცოლა-ე* და *ბიცოლა-მა*. უფრო მეტიც, აღნიშნულ შემთხვევებში ნათესაობითსა და მოქმედებითშიც გვაქვს *-ის/-ეს* და *-ით/-ით* ვარიანტები. **გურულში** ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებთან გამოვლენილი /-ი/ ალომორფი სახელობითში და /-მა/ – მოთხრობითში, მიუთითებს ამ დიალექტში არსებულ ტენდენციას – ერთმარცვლიანი სახელების გაორმარცვლოვნებისაკენ სწრაფვაზე (ფუტკარაძე, 1986, 10, 33). გურულ დიალექტში გამოვლენილი ეს ტენდენცია გარკვეულწილად ინტონაციურადაა შეპირობებული.

ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი **მესხურში** ფონეტიკურად შეპირობებული /-ნ/ ალომორფით არის წარმოდგენილი: მამა-ნ, დედა-ნ, გოგო-ნ... სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხმოვანი ელემენტის დართვისას კვლავ -მ ჩნდება: *ვინ ვითხრა, პაპა-მა? დედა-მა-ო* ასე დამიბარაო (ბერიძე, 1993, 146).

რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითს, დიალექტთა უმრავლესობაში თანხმოვანფუძიანი სახელები /-მ/ ალომორფთან ერთად /-მა/ ალომორფითაც რეალიზდება, თუმცა აქ ალომორფებს შორის მყარდება დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება. მათ განაწილებას შეაპირობებს პოზიცია, მათივე პოზიცია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (**ხევსურულში**, **თუშურში**, **ფშაურში**) ფონოლოგიურად შეპირობებული /-მ/ ალომორფი გვხვდება თანხმოვანფუძიან სახელებთან უნაწილაკო ფორმებში არაპაუზის პოზიციაში. მაგ.: *ვიგია ფეგ-მ ძალიან დააკოჭლ* (ვიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 20), *მემრ ამ გაბურ-მ მაიგონ ესი* (იქვე, 20), *ღმერთ-მ ნურა მიადინას* (ჯორბენაძე, 1998, 549) (**ხევსურული**); *ბიჭ-მ არ დღეჯერ* (უთურგაიძე, 1960, 82), *დეგ-მ უთხრ თურ* (იქვე, 82); *მურთაზ-მ მსგროვ მთელ ქისტეთის ჯარ* (ჯორბენაძე, 1998, 549) (**თუშური**); *ერთ კაც-მ ვერ ამიღო ჯმა* (ვიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 144), *იქნებ ან წყალ-მ წაიღო* (ცოცანიძე, 1973, 43) *აი ხუშტარის ცოლ-მ სუ წმიდა ფშაური იცის* (იქვე, 43) (**ფშაური**).

აღსანიშნავია, რომ თანხმოვანფუძიან სახელებთან **მთის დიალექტებში** დასტურდება /-მა/ იმ შემთხვევაში, როცა მათ ახლავთ ნაწილაკ-მორფემოიდები ან ენკლიტიკური ელემენტები. მაგ.: *ღმერთ-მა-ე* (ღმერთმაო), *ჯარ-მა-დ* (ჯარმა და)... ამ პოზიციაში /-მა/ ალომორფი დასტურდება ხმოვანფუძიან სახელებთანაც. მაგ.: *თქვისავ ხოგაის მინდი-მა-ე, მკედღურა-მა-დ მშავლებ-მ დაუწყეს ერცხვას თოფვაი* (**ხევსურული**), *მეშვიდე წელსავ ტყე-მა-ე ფოთოლი აღარ გამრესხავ* და სხვ. (ჯორბენაძე, 1998, 549). ამ შემთხვევებში /-მა/-ს ხმოვნითი ელემენტის საშუალებით ხდება ფონემატურად არაბუნებრივი თანხმოვანკომპლექსების დაძლევა.

რაჭულსა და გურულში თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები (მათი სემანტიკიდან გამომდინარე) სახელობითის მსგავსად მოთხრობით-შიც /-*ღ*-ითაა გაფორმებული როგორც უპაუზო პოზიციაში, ისე აუსლაუტში. მაგ.: ადგა **ბეჟან-ღ** (სახელობითი). შდრ.: **ბეჟან-ღ** (მოთხრობითი) **ესროლა ისარი (რაჭული დიალექტის გლოლური კილოლაგი); სამსონ-ღ** (სახელობითი) **მოსულა გუშხამ**, შდრ.: **ვახტანგ-ღ** (მოთხრობითი) **დეინახა სამსონ-ღ (გურული)** (იქვე, 550).

ნაცვალსახელური წარმომავლობის მორფოლოგიურად შეპირობებული /-*მან*/ სუფიქსი იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება დიალექტებში როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან მაგ.: **გამაიარა დედაკაც-მან** (ჯორბენაძე, 1998, 548) (**კახური**); **ქალ-მან დაუძახა** (იქვე, 548) (**ჯავახური**); **ნახა კელმწიფე-მან ისახლგაზრდა** (გივინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 72) (**მთიულური**); **ჯაყო-მან ბრიკაჯიზემ შუ ჩამოხია ჯარიო** (იქვე, 112) (**თუშური**); **მოთხრის ჩემ მამა-მან** (ცოცანიძე, 1978, 43) (**ფშაური**) და სხვ. ამ მაგალითებში გამოვლენილი /-*მან*/ არის ძველი ვითარების ინერცია, როდესაც ქართულში მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ამ ვარიანტით გამოიხატებოდა. დიალექტებში დღეს დადასტურებული /-*მან*/ შეპირობებულია ძირითადად ზეპირსიტყვიერების ნიმუშებითა და არქაული გამოთქმებით. ასე რომ, /-*მან*/ დღეს მოქმედი სისტემის ელემენტი არ არის. მისი ხმარება ექსპრესიულ ხასიათს ატარებს და ხმარობენ მოხუცები ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში (უთურგაძე, 1986, 33).

ნაშრომში წარმოდგენილი მასალის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დიალექტებში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნების ალომორფთა გამოვლენისას ხშირად აღვიღი აქვს მორფოლოგიური მოდელის უცვლელად რეალიზებას (ფონემატური დაწოდის გარეშე) და პირიქით (როდესაც პრიმატი ეკუთვნის ფონოლოგიას). ამის ნიმუშები მრავლად ვნახეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ქვესისტემებშიც გვხვდება სალიტერატურო ქართულის მსგავსი ვითარება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბრუნვის ნიშნების ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფთა განაწილებისას დიალექტებში იკვეთება გარკვეული კანონზომიერებები. ცვლილებათა შედეგების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უმეტესად სიტყვათა რიგს. პოზიციასთან ერთად ალომორფთა გამოვლენისას რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელთა სემანტიკა და ინტონაცია.

სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნების ალომორფთა რეალიზაციასთან დაკავშირებული მკაცრი დისტრიბუციული განსხვავება ზოგ შემთხვევაში, ზოგში კი გადამკვეთი პოზიცია შეპირობებულია ენასა და დიალექტებში მიმდინარე მორფოლოგიური და ფონოლოგიური სისტემების სტრუქტურასთან დაკავშირებული პროცესებით და მათი გამომწვევი მიზეზებით. აქედან გამომდინარე,

ბრუნვის ნიშანთა მორფონოლოგიური ვარიანტები იქმნება იმის მიხედვით, თუ რომელი სისტემა იმარჯვებს ამა თუ იმ შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშვილი, 2009 – ვ. აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბ., 2009.

ბერიძე, 1993 – მ. ბერიძე, სამცხურის ძირითადი თავისებურებანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1993.

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია – თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

იმნაიშვილი, 1974 – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, II, თბ., 1974.

იმნაიშვილი, 1952 – გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იკე, IV, თბ., 1953.

იმნაიშვილი, 1966 – გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

იმნაიშვილი, 2006 – გრ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი, თბ., 2006.

კახაძე, 1954 – ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954.

მადუაშვილი, 2009 – მ. მადუაშვილი, სახელთა -ა სუფიქსის დიაქრონიული ანალიზი ქართულში, სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №9, თბ., 2009.

***მადუაშვილი** – მ. მადუაშვილი, ქართლსა და კახეთში 2007-10 წლებში ჩაწერილი დიალექტური მასალა; გამოუქვეყნებელი ტექსტები.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

მარტიროსოვი, 1984 – ა. მარტიროსოვი ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

ნებიერიძე, 2003 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2003.

ნიუარაძე, 1961 – შ. ნიუარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, თბ., 1961.

სომხიშვილი, 2000 – ვ. სომხიშვილი, ლიხვისა და ქსნის ხეობათა ქართლური, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2000.

უთურგაძე, 1976 – თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

- უთურგაიძე, 1986** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
- უთურგაიძე, 1960** – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
- ფუტკარაძე, 1986** – ტ. ფუტკარაძე, სახელის ფორმალურების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1986.
- ქურდაძე, 1987** – რ. ქურდაძე, ქართული ენის ქართლური დიალექტის ლიახვი-ფრონის ხეობათა მეტყველება (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1987.
- ჩიქობავა, 1937** – არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, თბ., 1937.
- ცოცანიძე, 1978** – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
- ძიძიგური, 1954** – შ. ძიძიგური, ძივბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- ძოწენიძე, 1973** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ჭინჭარაული, 1960** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960
- ჯორბენაძე, 1989** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
- ჯორბენაძე, 1998** – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

Maia Maduashvili

**Towards the Distribution of Phonologically and Morphologically
Conditioned Allomorphs in the Dialects of Georgian Language
(According to Nominative and Ergative cases)
(Summery)**

The work deals with the issue of distribution of phonologically and morphologically conditioned allomorphs in the dialects of Georgian language according to Nominative and Ergative cases. According to the result of data analysis dialects are characterized by the diversity of nominative and ergative cases' allomorphs. Unlike Literary Georgian, subsystems often keep morphological model invariably realized (without Phonetic influence). For example: *movida cvima-i* (Kaxeti dialect); *utxra deda-ma* (Mtiuleti Dialect); *kal-man dauzaxa* (Javaxeti dialect); In a number of cases primate belongs to phonology: *qor cil-Ø gvaknivev* (Xevsureti dialect); *bič-m ar dī'žer* (Tušeti dialect) etc. It's noteworthy that sometimes the condition like in literary Georgian can be met at subsystems as well.

During the distribution of phonologically and morphologically conditioned allomorphs certain rules are formed in dialects by which they oppose themselves as well as Literary Georgian data. Word order (position) has often a significant meaning from the changes' outcome viewpoint. Nouns' semantics and intonation are also important while identifying allomorphs.

In some cases there is a strict distributional difference between the allomorphs of nominative and ergative cases; Sometimes the position is crossing, which is stipulated by the processes related to the structure of morphological and phonological systems in Literary Georgian and dialects.

მერი ნიკოლაიშვილი

**პილევ ერთხელ ბრუნვათა
კლასიფიკაციისათვის ქართულში**

ბრუნვათა კლასიფიკაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ ფუნქციაზე. ცნობილია, რომ ბრუნვა არის სახელისათვის დამახასიათებელი კატეგორია, რომელიც წინადადებაში სიტყვათა დამაკავშირებლად გვევლინება. „ბრუნვა გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან, ან ზმნასთან სათანადო შინაარსის გადმოსაცემად“ (8, გვ. 035).

ამრიგად, ბრუნვები გამოხატავენ როგორც გრამატიკულ, ასევე სემანტიკურ მიმართებებს. ეს ფუნქციები, მართალია, სხვადასხვა ბრუნვებშია განაწილებული, მაგრამ მაინც შესაძლებელია მათი დიფერენციაცია.

ბრუნვის პარადიგმაში ბაზისური ფორმა არის სახელობითი, რომლის სახეცვლას წარმოადგენს ყველა სხვა ბრუნვა. სახელობითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციაა ნომინაცია, საგნის ან მოვლენის სახელდება. ეს არის მისი სემანტიკური ფუნქცია. მხოლოდ ეს ფუნქცია რომ ჰქონოდა სახელობით ბრუნვას, შესაძლებელია არც კი შესულიყო ბრუნვათა სისტემაში, ან მალევე გამქრალიყო (წრფელობითის მსგავსად). საქმე ის არის, რომ სახელობით ბრუნვას ქართულში ძალიან მნიშვნელოვანი გრამატიკული ფუნქცია აკისრია. პირველ რიგში ეს არის სუბიექტის ბრუნვა გარდაუვალ ზმნებთან, ასევე სუბიექტის ბრუნვა ყველა ტიპის ზმნების პირველი სერიის ფორმებთან და II სერიის გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ბრუნვა.

ამდენად, სახელობითი ბრუნვა ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის გრამატიკული სტრუქტურაში.

რაც შეეხება მოთხრობითს, ანუ ერგატივს, ის სპეციფიკური ბრუნვაა ქართულისათვის, რომელიც აქტიური ზმნის სუბიექტის ბრუნვაა II სერიის ფორმებთან.

მიცემითი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვაც არის (გარდამავალი ზმნის სუბიექტის III სერიის ფორმებთან) და ობიექტებისაც, როგორც პირდაპირის, ასევე ირიბის (6, 488-490).

ამრიგად, აღნიშნულ ბრუნვებს (სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს) გარკვეული გრამატიკული ფუნქცია აკისრიათ. ისინი ქმნიან მარტივი წინადადების სტრუქტურებს, რომელთა განმსაზღვრელიც არის ზმნა-შემასმენელი. ამ სტრუქტურა-მექანიზმებში სახელობითი ბრუნვა სრულებითაც არ აღიქმება როგორც სახელდებითი. არამედ ის არის წინადადების შემდგენელი ერთ-ერთი კომპონენტის გრამატიკული ფორმა, როგორც ორი დანარჩენი: მოთხრობითი და მიცემითი.

ამრიგად, სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი S, O_d და O_{ind}-ის ანუ აქტანტების ბრუნვებია. აქტანტების მიხედვით განისაზღვრება

ზმნის ვალენტობა. ვალენტობა არის ზმნის უნარი, შეიწყოს აქტანტების გარკვეული რაოდენობა. ამ თვალსაზრისით ზმნა შეიძლება იყოს ავალენტური, ე.ი. არ შეიწყობს აქტანტს. ასეთი ავალენტური ზმნებია მეტეოროლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები: წვიმს, თოვს, თენდება და სხ. ზმნა იმდენვალენტიანია, რამდენი აქტანტიც შეეწყობა (5, 152). თუ ზმნა ერთ აქტანტს შეიწყობს - ერთვალენტიანია, თუ ორს - ორვალენტიანი და თუ სამს - სამვალენტიანი. ქართულში სამზე მეტ ვალენტიანი ზმნა არ გვაქვს, აღნიშნავს გ. ნებიერიძე, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ოთხ აქტანტს შეიწყობს ზმნა, მაგრამ აქედან ორი აუცილებლად იქნება O_{ind} , მაგ „ქალს მიმაცემინებ თეიმურაზს, მე შენ მას მას (S - შენ, ქალს - O_d და მე, მას - O_{ind}).

ზმნასთან შეწყობილი სახელები (აქტანტები) მხოლოდ აღნიშნულ სამ ბრუნვაში (სახ., მოთხრ., მიც.) გვხვდება. ეს ბრუნვები შესიტყვებაში გრამატიკულ ფუნქციებს ასრულებენ და მაქსიმალურად დაცული არიან სემანტიკური მნიშვნელობისაგან.

თ. უთურგაიძე აქტანტებს ორ ჯგუფად ყოფა: პირმიმართი და პირმიუმართავი. „პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტებს, ვუწოდებთ იმის მიხედვით, ზმნაში საკუთარი ნიშნები აქვთ თუ არ აქვთ. ეს აქტანტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზმნურ ქმედებაში მონაწილეობის ხასიათით. პირმიმართი აქტანტებია: S, O_d და O_{ind} (6, გვ. 13).

განსაზღვრული ურთიერთობა არსებობს ქართული ზმნის პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტებს შორის. პირმიმართი აქტანტების ჯგუფი (S, O_d , O_{ind}) პირმიუმართავთაგან განსხვავებით, როგორც მათი სახელწოდებიდანაც ჩანს, ზმნაში მარკირებით არის გარჩეული. ავტორი აღნიშნავს, რომ აქტანტებმა შეიძლება სახე შეიცვალოს, რაც დამოკიდებულია ზმნურ კატეგორიათა კომბინაციაზე, რომელიც იქმნება კონკრეტულ შემთხვევაში. ასე მაგ.: სამპირიანი ზმნის I და II სერიის ფორმებში პირმიმართი აქტანტი O_{ind} III სერიაში პირმიუმართავ აქტანტად იქცევა. ასევე პირმიუმართავი აქტანტი შეიძლება მოიქცეს პირმიმართ აქტანტად.

პირმიმართი აქტანტების მთავარი და განმსაზღვრელი არის ზმნის ფორმაში პირის გაჩენა და შესაბამისად მარკირება (ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ზმნაში ამა თუ იმ პირის ნიშანი არ არის წარმოდგენილი, რასაც გარკვეული მორფოლოგიური საფუძველი აქვს). ამავე დროს აქტანტების ბრუნვები თავის მხრივ, ზმნის მიერ არის მართული, ანუ გვაქვს საურთიერთო მართვა (8, 232-3.4. 25).

პირმიმართი აქტანტების ბრუნვებს: სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს, პირდაპირ ბრუნვებს ვუწოდებთ. ეს ტერმინი - პირდაპირი ბრუნვა - ჯერ კიდევ ანტიკურ გრამატიკაში გამოიყენებოდა ნომინატივისათვის, როგორც ყველაზე მაღალი რანგის აქტანტის - სუბიექტის გამომხატველი ბრუნვა, ხოლო ყველა დანარჩენისათვის ირიბი ბრუნვები (5.83). ქართულში, ცნობილია, რომ სუბიექტი სამ ბრუნვაში გვხვდება (სახ., მოთხ., მიც.) პირდაპირი ობიექტი - სახელობით-

სა და მიცემითში, ირიბი – მიცემითში. ზმნის მრავალპირიანობიდან გამომდინარე პირმომართი აქტანტები ტოლფასოვან ერთეულებს წარმოადგენენ ენის გრამატიკულ სტრუქტურაში, ამდენად მათ გამომხატველ ბრუნვებს, როგორც აღნიშნეთ, პირდაპირ ბრუნვებს ვუწოდებთ.

ირიბი ბრუნვები კი იქნება: ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ამ ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელები ვალენტობით ვერ უკავშირდებიან ზმნას, შესაბამისად პირსაც ვერ აჩენენ ზმნაში, მაგრამ როგორც ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, სახელი ზმნის მიერ არის მართული ბრუნვაში (4.55). აღნიშნულ ბრუნვებს განსხვავებით პირდაპირი ბრუნვებისაგან გარკვეული სემანტიკური მნიშვნელობის გამოსატყა აკისრია. განვიხილავთ თითოეულს.

ნათესაობითი ბრუნვა ცნობილია, როგორც კუთვნილების გამომხატველი. მაგრამ აქ შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი:

1. გენეტიკური კავშირი: ვანოს შვილი, ლევანის და და სხვ.
2. ქონების მნიშვნელობით: ამხანაგის წიგნი, მეგობრის შვილი.
3. გამოსატყავს მასალას: ხის სახლი, ბამბის ქსოვილი და სხვ.
4. გამოსატყავს რაღაცის ნაწილს: წყლის წვეთი. ქონების ნახევარი და სხვა.
5. ერთი და იგივე შესიტყვება შეიძლება ორგვარად გავიგოთ. მაგ. გიორგის სურათი.

ა) გიორგის სურათი, ანუ მისი ფოტო (ან ნახატი, რომელზედაც გიორგია გამოსატყული).

ბ) გიორგის სურათი, ანუ სურათი, რომლის მფლობელიც გიორგია და სხვ.

მოქმედებითი ბრუნვა გამოსატყავს:

1. სამოქმედო იარაღს. მაგ.: კალმით დაწერა, ფანქრით დახატა.
2. მოქმედების საშუალებას. მაგ.: მანქანით მოვიდა, ფეხით დადის.
3. აღნიშნავს შიგთავსს. მაგ.: ფულით სავსე ჩანთა. ავეჯით მოწყობილი ბინა.
4. აწარმოებს დროის ზმნიხედას. მაგ.: ღამით მოვიდა, დღითადრე ვდგები, საღამოთი ვუყურებ ტელევიზორს და სხვ.

ვითარებითი ბრუნვა გამოსატყავს:

1. საგნის გარდაქმნას. მაგ.: ვანო მხეცად იქცა
2. საგნის დანიშნულებას, გამოსადგომობას. მაგ.: წამლად ვხმარობ. ცოლად ვთხოვლობ. ექიმად ვმუშაობ.
3. ასახელებს საგნის ღირებულებას. მაგ.: ყვიდი 5 ლარად.
4. მიუთითებს ადგილზე: მაგ.: მეზობლად ცხოვრობს.

5. ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ვითარებით ზმნიზედას გამოხატავს. მაგ.:

ცუდი – ცუდად კითხულობს.

ლამაზი – ლამაზად წერს და სხ.

6. რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმიდან იწარმოება წილობითი რიცხვითი სახელის ფუძე. მაგ.:

მესამე – მესამედი, მეშვიდე – მეშვიდედი, და ა.შ.

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, ჩვენი აზრით, ის არ გამოხატავს არც გრამატიკულ და არც სემანტიკურ მიმართებას. ამიტომ არ შეგვაქვს ბრუნვათა პარადიგმაში და მიმართვის ფორმად მივიჩნევთ ისევე, როგორც ამას აღნიშნავენ არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. ნებიერიძე, შ. აფრიდონიძე და სხ.

არნ. ჩიქობავა წერს: „ტრადიციით გამოყოფენ წოდებით ბრუნვასაც (ძმალ! ამხანაგო!). ესაა მიმართვის ფორმა. ის არ უკავშირდება არც ზმნას, არც სახელს. მას შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრელად სახელი (ძვირფასო ძმალ!), მაგრამ მსაზღვრელიანია, თუ ცალკე აღებულ მიმართვა, იგი წინადადების ორგანულ ქსოვილში არ შედის: წინადადებაში სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი.

გ. ნებიერიძე წოდებით ბრუნვას (9, 036) სახელობითი ბრუნვის ვარიანტად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, სახელდებასა და მოწოდებას შორის ძალიან მცირე სხვაობაა. საგნის დასახელების დროს საგანზე გამახვილებთ ყურადღებას. საგნები უამრავია ჩვენს ირგვლივ. იმ საგანს, რომელსაც ვასახელებთ, გამოყოფთ მრავლიდან. მოწოდების დროს ასევე გამოყოფთ საგანს მრავლისაგან. ამრიგად, დასაშვებია სახელდებისა და მოწოდების ერთმანეთის გვერდით წარმოადგენა, როგორც საერთო სიმრავლიდან საგნის გამოყოფის საშუალება. ამიტომ არის, რომ ბევრ ენაში წოდებით ბრუნვას თავისი ნიშანი არ აქვს. საყურადღებოა ისიც, რომ წოდებითი ბრუნვა იხმარება დაძახების, მოწოდების, მიმართვის დროს, როცა გვინდა ყურადღება მივიპყროთ. ეს ფორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მივმართავთ ადამიანს ან ადამიანთან დაახლოებულ ცხოველს (ძაღლს, კატას და ა.შ.). უსულო საგანს ვერ მივმართავთ, შეიძლება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით. ამრიგად, წოდებითი ბრუნვის ხმარება შეზღუდულია. წოდებით ბრუნვას ქართულში აუცილებლად ახლავს ინტონაცია. ზოგჯერ მხოლოდ ინტონაციით არის გამოხატული. (მაგ. ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში (ემთხვევა სახელობითს) ო-ზე და უ-ზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებში). რაც შეეხება –ო (ვ) სუფუქსს, რომელიც ბრუნვის ნიშნის როლს ასრულებს, ვ. თოფურიას აზრით წოდებით ბრუნვის ნიშნებისაგან განსხვავებული გენეზისი აქვს. მეგრულსა და სვანურში წოდებითი ფორმის ფუნქციას სახელობითი ასრულებს სათანადო ინტონაციითა და ზოგჯერ –ო ნაწილაკით. ო დადიანო, უ გერგი! ხშირად ამ ფორმებს ოდ ნაწილაკი აქვთ დართული. ოდ მწყემსო. ავტორის აზრით, ეს შორისდებული ოდ მოიქცა სიტყვის ბოლოში.

შემდეგ ავტორი დაასკვნის: წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნ-
ვებისაგან:

1. ინტონაციით
2. წარმოშობით (შორისდებულისაგან მომდინარეობს)
3. ფუნქციით (რაც, ძირითადად, წინადადების წევრებთან სინტაქ-
სური კავშირის უქონლობით).
4. ამის გამო სხვადასხვა ადგილას გვხვდება და მძიმით ან ძახი-
ლის ნიშნით გამოიყოფა.

ამრიგად, ჩვენც ვიზიარებთ იმ მეცნიერთა აზრს, რომლებსაც
წოდებითი ბრუნვა მიმარვის ფორმად მიაჩნიათ და შესაბამისად ქარ-
თულ ენაში 6 ბრუნვას გამოვყოფთ. აქედან:

სამი არის პირდაპირი:

სახელობითი – ი, Ø

მოთხრობითი – მა, მ

მიცემითი – ს

და

სამი – ირიბი:

ნათესაობითი – ის, ს

მოქმედებითი – ით, თ

ვითარებითი – ად, დ

გამოყენებული ლიტერატურა:

აფრიდონიძე, 2003 – შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა
სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, ავტორეფერატი,
თბ., 2003

გამყრელიძე, 2000 – თ. გამყრელიძე, ზმნის ”პირიანობა” და ”ვა-
ლენტობა”, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000

კვაჭაძე, 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინ-
ტაქსი, თბ., 1977

ნებიერიძე, 1999 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი,
თბ., 1999

შანიძე, 1953 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლე-
ბი, თბ., 1953

უთურგაიძე, 2002 – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიები-
სა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002

ჩიქობავა, 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა
ქართულში, თბ., 1968

Meri Nikolaishvili

Towards the Classification of Declension in the Georgian Language

(Summery)

Special attention should be paid to the function of cases while classifying them. It is well-known that a declension is the characteristics of a noun and it shows grammar as well as semantic relation. These functions are distributed in different cases. Considering the viewpoint, six cases are distinguished in the Georgian language, three of them (Nominative, Ergative and Dative) express grammar relations and they are called direct cases. The rest three (Genitive, Instrumental and Adverbial) express semantic relations and are called indirect cases.

პრეზენტაცია როგორც დისკურსული ერთეული

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კომუნიკაციური პრაგმატიკისადმი ენათმეცნიერული ინტერესის ზრდამ მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოაქცია შეტყობინების ინდივიდუალურ-პიროვნული, ინტენციური და სიტუაციური ასპექტების შემქმნელ ენობრივ და არაენობრივ საშუალებათა გამოყენების დინამიკური შესწავლა. სხვადასხვა სოციალურ სფეროში კომუნიკაციური ქცევის სპეციფიკაზე დაკვირვება კვლევათა ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება გახდა მთელ რიგ ჰუმანიტარულ დისციპლინებში, სახელდობრ, სოციო- და კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, ლინგვოკულტუროლოგიაში, აქსიოლოგიურ ლინგვისტიკაში, ლინგვისტიკურ კონცეპტოლოგიასა და დისკურსულ ლინგვისტიკაში.

ჰუმანიტარულ დისციპლინებში ანთროპოცენტრულ მიმართულებათა დომინანტურობამ წინ წამოსწია ისეთი საკითხები, როგორცაა: ადამიანის მიერ მატერიალური გარესამყაროსა და ინფორმაციული სივრცის ლინგვოსემიოტიკური ათვისება-ასახვის კანონზომიერებათა გამოვლენა; მენტალური ერთეულების ფორმირება-ფორმულირება მოთხოვნილებებთან მიმართებით; კომუნიკაციის სტრატეგიული აგება მოთხოვნილებითს ამოცანათა შესასრულებლად და ამ მოთხოვნილებათა სარეალიზაციოდ კომუნიკანტებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

კომუნიკაციურ ტექნოლოგიათა სწრაფმა განვითარებამ კარდინალურად შეცვალა ადამიანის კომუნიკაციური ქცევა. თუ ჰიპერინფორმაციული ბუმის წინმსწრებ ეპოქაში კომუნიკაციის პრაგმატიკული მიზნების მიღწევა უპირატესად ვერბალური გზით ხორციელდებოდა, ჩვენს დროში აუცილებელი შეიქნა კომუნიკაციაში ვიზუალური შემადგენლების ინტენსიური გამოყენება. სამყარო უფრო ცხადი, მეტად ილუსტრირებული, დემონსტრაციული გახდა, გაჩნდა რეალური საფრთხე ამ თვალუწვდენელ და კაშკაშა სამყაროში ადამიანის დაკარგვისა, თუმცა, ამასთანავე, ადამიანს გაუჩნდა საკუთარი თავის წარდგენის უამრავი შესაძლებლობა, მიეცა ფართო ასპარეზი საკუთარი მოთხოვნილებების სარეალიზაციოდ, საკუთარი განზრახვის მიმზიდველად წარმოსადგენად, რაც ასევე უზრუნველყოფს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

თანამედროვე კომუნიკაციის შერეულმა (ვერბალური-არავერბალური) ხასიათმა, რომელიც არ არის წინააღმდეგობრივი, ურთიერთობა „აზრთა დემონსტრირებად“ აქცია, რითაც წინ წამოსწია მისი ინტერაქტიული პარამეტრი. ეს ცვლილება ენათმეცნიერულ დისციპლინებშიც აისახა. ადამიანსა და საზოგადოებაზე ინფორმაციული ნაკადის ინტენსიური და უწყვეტი ზემოქმედების პირობებში ამ ზემოქმედების მექანიზმების კვლევისა და მისი შედეგების ანალიზის ინტერესი გაჩნდა, რამაც, თავის მხრივ, დასაბამი დაუდო იმის თეორიულ შესწავლას, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ენობრივი პიროვნება

მოზღვავებულ ინფორმაციას, როგორ უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და შენახული კულტურული ფასეულობები, როგორ უნდა ააგოს საკუთარი მეტყველება, რომ მის, როგორც კონკრეტული ენობრივი კულტურის მატარებლის, თავისთავადობას არაფერი დაემუქროს.

ყოფითს ცხოვრებაში ინფორმაციის მოზღვავება განპირობებულია დღევანდელი კომუნიკაციის მასობრიობით. სწორედ მასობრივმა კომუნიკაციამ გაუჩინა საზოგადოებას მოთხოვნილებათა და ინტენციათა ფართო სპექტრი. სამყაროს მოდელირების საშუალებათა დიდი არჩევანი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ართულებს, ამიტომ კომუნიკაციის ინტერაქტიულობისათვის სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება ზემოქმედების უნარის მქონე ინსტრუმენტთა საგანგებო განმარტება. პირველ ადგილზეა თვითგადარჩენის მოთხოვნილება, იმისათვის რომ ინფორმაციის დიდ ნაკადში არ ჩაიკარგოს, საზოგადოებასა თუ ცალკეულ პიროვნებას სჭირდება თვითპრეზერვაცია, რაც მათ დანარჩენი მოთხოვნილებების მაქსიმალური რეალიზების საშუალებას მისცემს. მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში გადარჩენის მოთხოვნილება ადამიანის ცნობიერებაში აჩენს მეტყველების წარმომქმნელ საგანგებო მექანიზმს, რომელიც თვითგადარჩენის მოთხოვნილების სრული რეალიზების საშუალებას იძლევა. ამ მექანიზმის შესწავლას ემყარება **დისკურსის პრეზენტაციული თეორია** (ოლიანიჩი, 2007), რომლის შექმნა განაპირობა მეცნიერთა ინტერესის ზრდამ ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა: რეალობის შემეცნების კოგნიტიური საფუძვლები; ზემოქმედების მიზნით ინფორმაციის გადამუშავებისა და გადატანის პროცესი; ენობრივი პიროვნებად ჩამოყალიბება; ენობრივი პიროვნების მიერ შექმნილი ინფორმაციული ნაკადების გარდაქმნა რთულ სისტემურ პროდუქტად – დისკურსად.

დისკურსის სუბიექტის სამეტყველო ნაკადი სემანტიკურად და სემიოტიკურად საგანგებოდ ყალიბდება იმისათვის, რომ ეფექტური ზემოქმედება მოახდინოს სოციალურ ობიექტზე, ინდივიდსა თუ ინდივიდთა ჯგუფზე, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ზემოქმედების ობიექტთა ქცევის ცვლილება ზემოქმედის სასარგებლოდ. დისკურსის ამგვარ ორგანიზაციას დისკურსის პრეზენტაციულ სტრუქტურას უწოდებენ. მის მამოძრავებელ ძალას ენის პრეზენტაციული ფუნქცია წარმოადგენს, რომლის ამოცანაა ზემოქმედების უნარის მქონე ენობრივი ელემენტების დისკურსში შეტანა.

ზემოქმედების უნარის მქონე უმცირესი საინფორმაციო ერთეული არის **პრეზენტემა**, რომელიც, თავის მხრივ, რთულ ლინგვოსემიოტიკურ კომპლექსს წარმოადგენს. ამ კომპლექსს ქმნის სუბიექტის მიერ კოგნიტიურად ათვისებული კონცეპტები და სამყაროს სურათი, აგრეთვე, კომუნიკაციის პროცესში მოცემული სუბიექტის მიერ მათი გამოყენება ობიექტზე ზემოქმედების მოსახდენად. კომუნიკაციის პროცესი დროსა და სივრცეში გაშლილ პრეზენტემათა მიმდევრობად შეიძლება წარმოდგეს როგორც წმინდა სემიოტიკურად (ვიზუალურად), ასევე დისკურსულად (უპირატესად ვერბალურად). დისკურსის პრეზენტაციული თეორია-

ში პრეზენტემა მთავარ ადგილს იკავებს და დისკურსის ნებისმიერ სახეობაში შეიძლება შეგვეხვდეს. პრეზენტემა, უწინარეს ყოვლისა, ეპისტემოლოგიური ერთეული, ლინგვისტიკური აღწერის საშუალებაა.

პრეზენტემის, როგორც კომპლექსური ნიშნის, სპეციფიკა მის სამმაგ ბუნებაშია: ერთი მხრივ, იგი ენობრივი ნიშანი ან ენობრივ ნიშანთა ერთობლიობაა, მეორე მხრივ, იგი კომუნიკაციური ერთეულია, რომელიც კომუნიკანტის მიერ კოგნიტიურად ათვისებული და პრეზენტემაში ჩადებული ინფორმაციის რეალიზებას ახდენს დისკურსში, მესამე მხარე ამ ლინგვოსემიოტიკური და კომუნიკაციურ-ინფორმაციული ერთეულისა გახლავთ ზემოქმედების მომხდენი კომუნიკანტის ინტენცია (ოლიანიჩი, 2007, 182).

პრეზენტემის ძირითადი ფუნქციაა ობიექტის ცნობიერებაში ასახოს კოგნიტიური ზემოქმედების მომხდენი სუბიექტის წარმოდგენები კონცეპტებსა და სამყაროს ხატზე. კომუნიკაციურ სივრცეში აღნიშნული ფუნქციის განხორციელება პრეზენტაციულ ამოცანათა შესრულებას გულისხმობს ენისა და მეტყველების სხვადასხვა დონეზე და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის პრეზენტემათა ტიპოლოგიზაციას.

გამოიყოფა პრეზენტემათა სამი დიდი ჯგუფი: 1. არავერბალური (სემიოტიკური) პრეზენტემები; 2. ვერბალური პრეზენტემები და 3. შერეული ტიპის (ვერბალურ-არავერბალური ანუ ლინგვოსემიოტიკური) პრეზენტემები.

პრეზენტემათა ტიპები

არავერბალური	ვერბალურ-არავერბალური	ვერბალური
ვიზუალური (უესტები, პროქსემები, კოლორემები, გრაფემები)	ინტროდუქტივები დემონსტრაცივები კონსტატივები	პროსოდიულ-ფონაციური ლექსიკურ-სემანტიკური სიტყვაწარმოებითი
ტაქტილური (შეხებითი პრეზენტემები)	ინვექტივები კონფლიქტივები	ინტერტექსტური კონცეპტური (კონცეპტ-პრეზენტემები) სინტაგმატური
სცენტალური (სუნთან/ სურნელთან დაკავშირებული პრეზენტემები)	იდეოლოგემები ფასციალური ემოტივები რეკურსივები (რიტუალური პრეზენტემები)	
გუსტალური (გემოსთან დაკავშირებული პრეზენტემები)		

ქვეკლასიფიკაციით პრეზენტემათა სახეების რაოდენობა იზრდება, მაგალითად, ჟესტები სამ ჯგუფად იყოფა, **ბუნებრივ** ჯგუფს მიეკუთვნება ჟესტ-პრეზენტემები, რომელთა მნიშვნელობა ყოველდღიური ურთიერთობის კონტექსტში ადვილი ამოსაცნობია და სპეციალურ შესწავლას არ საჭიროებს; **კონვენციურ ჟესტებს** საგანგებოდ სწავლობენ, მათი სისტემა ენის სტრუქტურას იმეორებს, ამ ჯგუფში შედის ყრუ-მუნჯთა, მომთაბარეთა საიდუმლო „ენა“, ამერიკელი მონადირეების ჟესტები, რიტუალური ჟესტები, პროფესიული ჟესტები. ამ უკანასკნელის მაგალითია სპორტულ ასპარეზობათა მსაჯების, ორკესტრის დირიჟორების, მშენებლების, სამხედროების, საგზაო მოძრაობის მარეგულირებელთა ჟესტები. ცალკე გამოყოფენ **დაქტილურ** (ხელის თითებთან დაკავშირებულ) პრეზენტემათა ჯგუფს.

პრეზენტემათა ტიპოლოგიზაციას ემოციური ტონალობის მიხედვითაც ახდენენ. ასხვავებენ აფექტივებს, ინსპირატივებს, პერმისივებს, კონფლიქტივებს, და სხვ.

დისკურსის სემანტიკური პრეზენტაციისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო საკუთრივ ენობრივი მხარე, არამედ კომუნიკაციური ასპექტები. ამდენად, დისკურსის შესწავლა ვერბალურ-არავერბალურ პრეზენტემათა გამოვლენასა და აღწერასაც გულისხმობს. ამგვარი მიდგომა გვეხმარება გამოვიკვლიოთ დისკურსის ეროვნულ-კულტურული შემადგენლები, შევისწავლოთ ფაქტორები, რომლებიც ურთიერთობის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას განაპირობებენ.

ეროვნული ლინგვოკულტურული სივრცის დასახასიათებლად ყველაზე მეტად დაგვეხმარა ქართული დისკურსის ანალიზი **კონცეპტთა** და **ინტერტექსტურ პრეზენტემათა** მიხედვით.

კონცეპტების (ბედი, ქარი, ნათლის სვეტი, წუთისოფელი...) აღწერამ გამოავლინა მათი ეროვნული თავისებურებანი, რომლებიც თავს იყრიან კონცეპტთა დამატებით ნიშნებსა და შინაფორმაში.

უნიკალური საზრისის მომცველი აღმოჩნდა „წუთისოფელი“, რომლის ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ ცნობიერებაში ამქვეყნიური ცხოვრება დროისა და სივრცის კოორდინატთა გადაკვეთაა – დროის გზა სივრცეზე გადის. ამიტომ დრო სივრცეს ზომავს (შდრ. ერთი დღის სავალი) და თვითონაც სივრცით იზომება (შდრ. „მზე შუბის წვერზე გადაიწვერა“). ამქვეყნიურ ცხოვრებას დროის ასპექტით სიტყვა „საწუთრო“ სდებდა სახელს, ხოლო სივრცის ასპექტით – „სოფელი“. ეს სიტყვები სინონიმური მნიშვნელობით პარალელურად იხმარებოდა. „წუთისოფელი“ ერთ სიტყვაში გააერთიანა ორი არსი და შექმნა მესამე, რომელიც შემდეგ იღვას გამოხატავს: ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული დროით თანამიმდევრობასთან, რაც მეოცე საუკუნის მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი იღვაა დროისა და სივრცის, როგორც შემეცნების ფორმების, განუყოფლობის შესახებ. „წუთისოფლის“ ეროვნულ-ენობრივი სპეციფიკა იმაშიც მდგომარეობს, რომ დრო მასში შემჭიდროებულია (წუთი – „ცოტა“), ხოლო სივრცე (სოფელი – „ქვეყანა“) – ინტენსიფიცირებუ-

ლი, ჩათრეული დროის მოძრაობაში (შდრ. „სოფლის ტრიალი“, „სოფლის უკუღმა ტრიალი“ – ვაჟა). უნდა აღინიშნოს სიტყვის შემფასებლური მიმართებაც: წუთი ნიშნავდა წუთიერს, დროებითს, საწუთრო – წარმავალს, რაც წუთისოფლის, როგორც კულტურული კონცეპტის, განცდითი მხარეა.

ინტერტექსტურ პრეზენტემებს შორის უმთავრესია ციტემები და რემინისცენციები, რომლებიც არამარტო საკომუნიკაციო ამოცანას ასრულებენ, არამედ კულტურულ ინფორმაციას შეიცავენ და, ამდენად, თვითპრეზენტაციას ემსახურებიან. ინტერტექსტურ პრეზენტემებს მიეკუთვნება ყველა სახის პრეცედენტული მოვლენა.

ქართული დისკურსის სტრუქტურაში პრეცედენტულ მოვლენათა ორი მნიშვნელოვანი შრე გამოიყოფა – მართლმადიდებლურ ქრისტიანობასა და საქართველოს ისტორია-ლიტერატურასთან დაკავშირებული.

ენა ადამიანებს ეროვნებად კრავს იმ კონცეპტთა და პრეცედენტულ სახელთა მეშვეობით, რომლებიც იძლევიან გარკვეულ დირებულებითს პარადიგმასა და ქცევის იმ მოდელებს, რომელთა მიბაძვა რეკომენდებული ან აკრძალულია. ასე იქმნება გმირთა და ანტიგმირთა „პანთეონები“, პარემიები, ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სამყაროს ეროვნული სურათის ეთიკურ-ზნეობრივ პარამეტრებს წარმოაჩენენ.

პრეცედენტულ მოვლენებს შორის არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, აგრეთვე, ფართოდ ცნობილ ტექსტებთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ სახელებს, თვით ტექსტებს, ციტატებს და სხვ., რომლებიც ცნობილია ქართველი ერის წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის.

განვიხილოთ პრეცედენტულ ფენომენთა რეალიზაციის მაგალითები:

„ – **ლიკურგეს** სახელსა ვფიცავ, – **ბუაჩიძეს გრიგოლ მუშიშვილი** ართმევს სიტყვას, – ჩხრეკაც არ უნდა, ეს ფორმულა: „**მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს**“ უშუალოდ ბურჟუაზიული ნაციონალიზმიდან მომდინარეობს, რომლის არსია მისწრაფება განკერძოებისაკენ, ეროვნული შეხლედულობის ნაჭუჭში ჩაკეტვისაკენ. ამ სიტყვებში პოეტი წარმოდგენილია განმარტოებულად, საბჭოელი ხალხისგან მოწყვეტილად. მაგარამ **ტაბიძეს** ავიწყდება, რომ თავის-თავად იგი პატარა და უძლურია. საბჭოთა მწერალი უნდა ხედავდეს მექანიკურ სიზმრებს, რომლებიც სავსე იქნება ბედნიერი **საკოლმეურნელ ცხოვრებით, ელვარე დაზგებითა** და იმ **დაზგებთან სპეცტანსაცემელში მორთული მუშებით** (მარტო **შპენგლერისა** და **ლტმარ შპანისნაირ** მუქთახორებს თუღა ჰგონიათ, რომ განვითარების თეორია სრულიად მოკლებულია აზრს და იგი მხოლოდ **მარქს-დარვინის** აბსტრაქტული აზროვნების მეტაფიზიკური ნაყოფია, რომ „ადამიანის მტერი მანქანაა და რომ სწორედ მანქანური წარმოება უთხრის ძირს ნამდვილ „ადამიანურ“ ცხოვრებას), **ლევან ქვაკირელებისა, გრიშა გიგაურებისა** და

მექი ვაშაკიძისნაირ მტკიცე კლდესავით ურყევი „ახალი ადამიანე-
ბით“, ვინც უსიტყვოდ და დაუფიქრებლად შეასრულებს **სკკპ მოთ-
ხოვნებს და დადგენილებებს**“ (ბურჭულაძე, 2004, 85-86).

ამ მცირე ნაწივეტში ზ. ბურჭულაძის რომანიდან „სახარება ვირი-
სა“ წარმოდგენილია პრეცედენტული ფენომენის თითქმის ყველა სახე:

1) პრეცედენტული დასახელებები ცნობილ ადამიანთა და ლიტე-
რატურულ ნაწარმოებთა პერსონაჟებისა: **ლიკურგე** (სპარტელი კანონ-
მდებელი, ძვ. წ. IX ს.), **ბუაჩიძე** (ბენიტო ბუაჩიძე – ქართველი საბჭო-
თა პოეტი), **გრიგოლ მუშიშვილი** (ფსევდონიმი ქართველ საბჭოთა პო-
ეტ გრიგოლ ხოფერიასი), **ტაბიძე** (გალაკტიონ ტაბიძე), **შპენგლერი**
(ო. შპენგლერი – გერმანელი იდეალისტი), **ოტმან შპანი** (ავსტრიელი
ფილოსოფოსი), **მარქს-დარვინი** (მარქსი და დარვინი), **ლევან ქვაკირე-
ლი** (იაკინთე ლისაშვილის ნაწარმოებ „ვარდნილის“ პერსონაჟი),
გრიშა გიგაური (პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულების“ პერსონაჟი),
მექი ვაშაკიძე (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ მთავარი
პერსონაჟი); **საკოლმეურნეო ცხოვრება, დაზგები, სპეცტანსაცემელში**
**მორთული მუშები, სკკპ მოთხოვნები და დადგენილებები, ახალი ადა-
მიანი, დიდი საბჭოთა კავშირი** – როგორც მოცემული სიტუაციისათ-
ვის მყარი დასახელებები;

2) პრეცედენტული ციტატა: „**მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენე-
ბურს**“ (სტრიქონი გალაკტიონის ლექსიდან „მე მძინარე ვარ“);

3) პრეცედენტული ალუზიები და რემინისცენციები გრიგოლ მუ-
შიშვილის სტატიისა „გველისპერანგოსანი“ და ა. ბაქრაძის წიგნისა
„მწერლობის მოთვნიერება“ (ომიაძე, 2009, 100-111).

პრეცედენტული ტექსტი, როგორც მეტყველებით-აზროვნებითი ქმე-
დების პროდუქტი, დასრულებული და თვითკმარია. იგი ცნობილია ლინ-
გოკულტურული ერთობის ნებისმიერი საშუალო წევრისათვის და მრავალ-
ვალგზის ახლდება კომუნიკაციის პროცესში, ყოველთვის გამოიხატება,
რადგან მისი აღქმის ინვარიანტი შესულია კოგნიტიურ ბაზაში.

ჩვენ ასევე გამოვავლინეთ და შევისწავლეთ **ლექსიკურ-სემანტი-
კური პრეზენტემები**: 1. უარგონი; 2. ობსცენური ლექსიკა; 3. ინექტი-
ვა; 4. უცხო სიტყვა (უცხო სიტყვით ზემოქმედების მოტივები).

თანამედროვე ქართულ დისკურსზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ
ბოლო დროს **უარგონი** და **ბილწსიტყვაობა** მოურიდებლად შემოიჭრა
ჩვენს ყოფასა და, რაც უფრო შემაშფოთებელია, მწერლობაში, რომე-
ლიც ოდითგანვე ქართული სალიტერატურო ენის დასაყრდენი იყო.

ქართული მწერლობა თავისი დოკუმენტური არსებობის მანძილ-
ზე ყოველთვის იყო ორიენტირებული მაღალ სულიერებაზე, რასთა-
ნაც სრულიად შეუთავსებელია ვულგარიზმი და ლანძღვა-გინების სე-
ნი, რომელმაც დღეს პანდემიის ხასიათი მიიღო.

ქართული მენტალიტეტის „შემღვრევას“ იწვევს, აგრეთვე, უცხო
სიტყვათა უწყვეტი ნაკადი, როცა არ არსებობს მათი გამოყენების მი-

ზანშეწონილობა, სიტუაციური აუცილებლობა და სოციალურ-ენობრივი მოთხოვნილება.

თანამედროვე პროზის, სასაუბრო მეტყველებისა და ფოლკლორული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ **ინვექტივამ**, როგორც სიტყვიერი აგრესიის ფორმამ, უარყოფითი ემოციის გამოხატვის ფუნქცია შეინარჩუნა თანამედროვე დისკურსშიც, თუმცა გამოყენების არე გაიფართოვა, საგრძნობლად შეიცვალა ევფემიზაციის სტრატეგია, რაც ინვექტივის აქტივაციის პირობებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში ძალადობისა და უხეშობის მოთხოვნილება გაიზარდა, თუნდაც ვერბალურ დონეზე. ინვექტივა ობსცენური თვალსაზრისითაც უფრო მძაფრი გახდა. თანამედროვე დისკურსის ამ ტენდენციათა განხილვა ენობრივი შესწავლის ფარგლებს სცილდება და მათ სოციალურ პრობლემად გვისახავს.

ერთი შეხედვით, ამ ახალ თეორიაში (დისკურსის პრეზენტაციულ თეორიაში) ახალი თითქოს არაფერია, პრეზენტემბად წარმოდგენილ ერთეულებს გამომსახველობითი საშუალებების სახელით ვიცნობდით, მაგრამ მათი თავმოყრა, კლასიფიკაცია და, რაც მთავარია, კომუნიკანტის მოთხოვნილებების განხორციელებასთან დაკავშირება, ცოდნას აფართოებს, დისკურსის ზედმიწევნითი ანალიზის პირობებს ქმნის და ამ თეორიას გამოსაყენებლად მოსახერხებელს ხდის. აღნიშნულმა თეორიამ შეიძლება განვითარება პოვოს პოლიტიკურ ლინგვისტიკაში, ლინგვოკონფლიქტოლოგიასა და ემოციოლოგიაში, სახელდობრ, მასზე დაყრდნობით შეიძლება აიგოს პოლიტიკურ მოღვაწეთა მეტყველების წარმომქმნელი მოდელები, გამოვლინდეს პოლიტიკოსთა კონფლიქტოგენური თუ კონფლიქტომორფული ტიპები.

გარკვეული ტიპის პრეზენტემათა გამოყენება-არგამოყენება კომუნიკანტთა ქცევებში გენდერული სხვაობის ინდიკატორად გამოდგება და ამ მოვლენაზე დაკვირვება სასარგებლო იქნება სქესთაშორისი ურთიერთობის შესასწავლად.

დისკურსის პრეზენტაციული თეორია ხელს შეუწყობს, აგრეთვე, თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა დისკურსულ პრაქტიკათა კულტურათშორისი პარალელები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა პრეზენტაციული თავისებურებები, კონცეპტების ვერბალიზაცია და ვიზუალიზაცია.

ლიტერატურა

- ბურჭულაძე, 2004** – ზ. ბურჭულაძე, სახარება ვირისა, თბ., 2004.
ომიაძე, 2009 – ს. ომიძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბ., 2009.
ოლიანიჩი, 2007 – А. Олянич. Презентационная теория дискурса. М., 2007.

Salome Omiadze

**Presentema as a Discourse Unit
(Summery)**

Presentema is the smallest information unit having the ability of making affect. It is a lingua-semiotic complex. The main function of presentema is to reflect the imaginations of a subject making cognitive effect in the object's consciousness on concepts and the world image.

The implementation of the above mentioned function in the world of communication means the fulfillment of presentation tasks on various levels of language and speech; accordingly it enables to distinguish typologies of presentema. There are three big groups of presentemas: 1. Non-verbal (semiotic) presentemas; 2. Verbal presentemas; 3. The presentemas of the mixed type (verbal-non-verbal the same that lingua-semiotic).

Semantic presentation of the discourse strictly requires not only linguistic part, but also aspects of communication. Therefore, discourse study intends to identify and describe verbal and non-verbal presentemas. The approach helps us to research national and cultural components of discourse, to study the factors that stipulate national and cultural specifics of relation.

**სისხლის სამართლის ტერმინიდან ჟარგონამდე
(“თავან” ფუძის ისტორია ქართულში)**

ჟარგონი სოციალურ დიალექტს გულისხმობს და იგი, ჩვეულებრივ, საერთო სამეტყველო ენისაგან იმით გამოირჩევა, რომ მას სპეციფიკური ლექსიკური ერთეულებისა და ასევე სპეციფიკური ფრაზეოლოგიის გამოყენება ახასიათებს. ლექსიკოლოგია ბევრ სხვა სფეროსთან ერთად განსაკუთრებული ინტერესით შეისწავლის სოციალურ ჯგუფთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვა-ერთეულებს. როგორც ბ. ფოჩხუა წერს: “ლექსიკოლოგია იკვლევს **სიტყვათა ხმარების სფეროს**, ე.ი. იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ სიტყვას (თუ მნიშვნელობას) თითქოს ბეჭედი აზის გარკვეული დარგისა, სადაც ეს სიტყვა იხმარება” (ფოჩხუა, 1974; 16) და იქვე საინტერესო მაგალითებიც მოჰყავს: **“შატალო, ათესვა – მოწაფურ-სტუდენტურ მეტყველებას ახასიათებს, ხოლო აწვევა, შმონი – სისხლის სამართლის დამნაშავეთა ჟარგონისეულია”** (ფოჩხუა, 1976; 16).

ამრიგად, ჟარგონული ლექსიკის შესწავლა ლექსიკოლოგიური კვლევის სფეროს განეკუთვნება და თავისი ხასიათით უაღრესად საინტერესო და თვითმყოფად ჯგუფს ქმნის. ენობრივი კოლექტივის მსოფლხედვა, მისი დამოკიდებულება აღსანიშნი ობიექტების მიმართ, სემანტიკური შესაძლებლობებისა და ენის მეტაფორული აზროვნების ძალა განსაკუთრებული სიმძაფრით სწორედ ჟარგონში აისახება ხოლმე. ეს უკანასკნელი ხშირად სალიტერატურო ენის წიაღში დაბადებული ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულია, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვნად სახეცვლილი, გადააზრინებული და რომელიმე სოციალური ჯგუფის მეტყველებაში ჟარგონად, სპეციფიკურ, სოციალურ ლექსიკურ ერთეულად დაღეჭილი.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკმაოდ გრძელი გზა თვალნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს სიტყვათა ისტორიული მნიშვნელობები და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფარგლები ამ სიტყვათა გამოყენებისა.

ყურადღებას შევაჩერებთ თანამედროვე ქართულ ენაში საკმაოდ გავრცელებული ჟარგონის – **თავანის** – ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ძველი ქართული სისხლის სამართლის კანონი პარვისთვის, ე.ი. ქურდობისათვის, სხვადასხვაგვარ სასჯელს ითვალისწინებდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს: “მპარავს, გარდა იმისა, რომ **“ნაპარევი”** ჩამოერთმეოდა და პატრონს უნდა დაბრუნებოდა, პარვისათვის სასჯელად ნაპარევის შეიდგეცი ღირებულება უნდა გადაჰხდენოდა” (ჯავახიშვილი, 1984; 232). სისხლის სამართალი გაცილებით მძიმე სასჯელს უწესებდა სახელმწიფო მოხელეებს, თუკი ისინი სახელმწიფო ქონების – ძირითადად, საღაროს, ეკლესიის ან ჯოგის – ქურდო-

ბაში იქნებოდნენ მხილებულნი. ამისათვის მათ თვალების დაწვივით, ანუ “მბნებელობითა” და ხელ-ფეხის მოკვეთით, ანუ “ასოთმილებით” სჯიდნენ (ჯავახიშვილი, 1984; 232-233). ცხადია, მეორე ტიპის დანაშაული თავისი არსით გაცილებით მძიმე იყო და იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სოფლად ჩადენილი სისხლის სამართლის იმ წვრილმანი დანაშაულობებისაგან, რომლებიც, ზოგადად, ქურდობის დანაშაულს გულისხმობდა.

გრიგოლ სურამელის, XIII საუკუნის ქართლის ერისთავის, მიერ შედგენილ ანდერძში ვკითხულობთ:

თუ ნაპარევი შეჰკვდეს მღუიმის კაცსა, მღუიმის კელისუფალმან თაენი კელთ მისცეს და შუიდეული წმიდის შიოსდა შემიწირავს, სმ–ნ ჩემი კერძია საერისთავოი”; ([1247-1250] დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი);(კორპუსი 1984; 123).

ანდერძიდან ირკვევა, რომ წვრილმანი ქურდობის დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მპარავს უპირველესად ევალებოდა მოპარული საგნების, ნივთების, დაბრუნება, ან “თუ მოპარული ნივთი უკვე აღარ იყო” (ჯავახიშვილი, 1984; 232), მაშინ მისი შესაბამისი, ალბათ, სასამართლოს მიერ დადგენილი ღირებულების გადახდას აიძულებდა. ანდერძის მიხედვით, “ნაპარევის ღირებულების ოდენობას “თაენი” რქმევია”, – წერს ივ. ჯავახიშვილი.

XIII საუკუნის ქართულ ენაში **თაენი** სისხლის სამართლის იურიდიული ტერმინია და **ძირეულ ღირებულებას, ფასს, ან, შესაძლებელია, სანაცვლო ნივთსაც გულისხმობდეს**. ტერმინი “თავ” ფუძისაგანაა ნაწარმოები და თავდაპირველის, მთავარის, ძირითადის სემანტიკა აქვს, იგი პოლისემიური ფუძეა. “ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონში” (იმნაიშვილი, 1986; 214-217) “თავ” ფუძის მრავალ მნიშვნელობათა შორის (1. თავ–[თავი]; 2. თავ–[უკუქცევითი ნაცვალსახელი]; 3. თავ–[მთავარი (ქვა კუთხისა)]; 4. თავ–[(ხომაღლის) ბოლო]; 5. თავ–[სასთუმალი]; 6. თავ–[პურის თავთავი]; 7. თავ–[თითოეული მახარებლის წიგნი]; 8. თავ–[წიგნის ერთი ნაწილი]), მოცემულია ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობაც – ეს არის მისი ერთ-ერთი სემანტიკური ფუნქცია ძველ ქართულში – აღნიშნოს მთავარი, ძირითადი.

პრქუა მათ იესუ: არასადა აღმოვიკითხავსა წიგნთა შინა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკრველ წინაშე თუალთა ჩუენთა: მათე, 21, 42 (ოთხთავი 1979)

ლექსიკური ერთეული **თაენი**, როგორც აღვნიშნეთ, “თავ” ფუძისაგანაა მიღებული, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მას –ნ მორფოლოგიური ფორმანტი დაერთვის. ეს უკანასკნელი, ერთი შეხედვით, შეიძლება მრავლობითი რიცხვის **ნარ**-ადაც კი მიგვეჩნია, მაგრამ სამართლის ძეგლებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამ სიტყვაში

–ნ მრავლობითის მაწარმოებელი არ არის და იგი სიტყვათმაწარმოებელ აფიქსს ჰგავს, რადგან სახელობითი ბრუნვის შემთხვევებთან ერთად, მას მიცემითსა და ნათესაობითშიც შენარჩუნებული აქვს ფუძისეული –ნ თანხმოვანი და ვხვდებით ფორმებს: **თავნ-ს** (მიც.ბრ.); **თავნ-ის-ა** (ნათ.ბრ.). საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

იქ რომ ერთმანეთში ქურდობა იქნას, შვიდეულად აზღვევინონ; ერთიორად პატრონს, ოთხი ბატონს, ერთი მოურავს.

თუ უცხოს ქვეყნის მოპარული შეახნდეს, თავნი პატრონს, ერთი ბატონს, ორი აბაზი მოურავს: დასტურლამალი, ზანდუკი [1703-1724], (სამართლის ძეგლები 1965; 311).

ბატონის ცხენი რომ დაიკარგოს, მეჯოგემ ზღოს თავნი; და თუ სხვაგან შეახნიოს, შვიდეულად თავისთვის აზღვევინოს, ამისი საზღაური მეჯოგისა და მეჯოგეთ-ხუცისა არს: დასტურლამალი, ზანდუკი [1703-1724], (სამართლის ძეგლები 1965; 322).

.. ხუთს ანუ ექვს წელს გაველო აღებიდამ და სარგებელი მიცემულ ჰქონიყო და თავნი ისევ დარჩომილ ყოფილიყო, და მასუკან რამდენიმე ხანი ვასულიყო, სარგებელი აღარ ეძლია ასე, რომ თავნს სარგებელი შესწორებიყო და იქნებოდა კიდევ გარდამატებოდა: საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი [1810-1815], (სამართლის ძეგლები 1965; 567).

ამისთანას შემთხვევაში ვიდრემდის მასესხებელს თავნს სრულეობით არ მისცემდნენ, ვირაოს არ ჩამოართმევდნენ, რაც უნდა დიდხანს მასესხებელს სჭერიყო ვირაო: საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი [1810-1815], (სამართლის ძეგლები 1965; 569).

და თუ იმედი იხი აღარ იყო, მაშინ ყოველსავე ქონებას გაუყიდნენ და მასესხებელთ, თავნისა და სარგებლის მიხედვით, ვის რაერთი შეხვდებოდა, გაუწილევდნენ: იგივე, (სამართლის ძეგლები 1965; 571).

უკუეთუ მცირეს წლოვანის მოვალის შეიღისაგან არაფერი მამავალს დროს ვალის გარდახდის იმედი არ დაინახებოდა და არც მასესხებელნი ვადას გადასცემდნენ, მაშინ გაუყიდნენ ქონებასა და მასესხებელთ გაუწილევდნენ თავნისა და სარგებლის მიხედვით: იგივე, (სამართლის ძეგლები 1965; 572).

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ **თავნი** სისხლის სამართლის ტერმინია. “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” მიხედვითაც, **თავნი**-ი განმარტებულია, როგორც: “ძვ. ძირითადი თანხა სარგებლით გასესხებული ფულისა // ძირითადი თანხა, რომელსაც ვაჭა-

რი ატრიალებდა”(ქეგლ, 1955); სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონაში”(სულხან-საბა, 1991) კი ამ სალექსიკონო ერთეულს საერთოდ არ ვხვდებით. რაც შეეხება მის გრამატიკულ აგებულებას, იგი მხოლოდითი რიცხვის, “ნ” თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეა. სავარაუდოდ, ამ ფუძის ნარ-თანხანი მრავლობითი ასე გამოიყურებოდა – ***თავნ-ნი / *თავნ-თა** (ქართული სამართლის ძეგლებში ამგვარი ფორმები არ დასტურდება). თავის მხრივ, აქ –**ნ** არი სადერივაციო ელემენტი მოჩანს. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს სახელურ ფუძეთა მაწარმოებელ უძველეს დეტერმინანტ სუფიქსთან – **-ან-თან**, რომელიც მოცემულ ფორმაში რედუცირებულია და **-ნ** მხოლოდ მის ნაშთს წარმოადგენს. ჩვენეული ლოგიკის მიხედვით, გაცილებით ადრინდელ ვარიანტად უნდა აღდგეს ფუძე ***თავ-ან**. იგი ისეთივე წარმოებისა მოჩანს, როგორებიცაა: **მაგ-ან-ი** (>*[მ]ავ-ან-ჩავ-ან-ი), **მ-ან**, **იმ-ან** და მისთანანი. იმის გამო, რომ **-ან** დეტერმინანტი სუფიქსი თავისი წარმოშობით არქაულია, თავ-[ან] ფუძეც გაცილებით ძველი უნდა იყოს, ვიდრე ქართული ენის განვითარების საშუალი ეტაპი (როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, “თავ[ან]” ფუძე პირველად XIII საუკუნის ანდერძში გვხვდება)*.

***შენიშვნა:** საყოველთაოდაა ცნობილი ბოლოკიდური “ნ” თანხმოვნის “დ”-ში გადასვლის ტენდენცია ქართულ ენაში (**სადა < სა-ნა // სანე** (იმერულ დიალექტში); **სანამდე/ სადამდე**; აგრეთვე **ნარ** იანი პასივების **დონ** იან პასივებად ქცევა და სხვ.).

ამის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ თავან-ი < > თავნ-ი ფორმები ამისავალი იყოს **თავად** ფუძისათვის (ძველი ქართულისეული მნიშვნელობით “თვითონ”). პარალელურ ფორმათა გაჩენის შემდგომ, სავარაუდოა, რომ მათი მნიშვნელობები დასცილდა ერთმანეთს და **ორი სრულიად დამოუკიდებელი სემანტიკური ხაზი მოგვცა: I – თავნი / თავანი – თავდაპირველი, მთავარი, ძირითადი და II – თავადი – თვითონ** : “ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს: მათე, 12,39.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული ფუძე “თავან” თანამედროვე ქართულშიც არსებობს, ოღონდ, ადრინდელი ძეგლებისაგან განსხვავებით, იგი რედუცირებული არ არის და თანაც უარგონია. ლექსიკური ერთეული **თავანი** ქუჩური მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი, სოციალურად დაბალი ფენის ადამიანთა მეტყველებაში ვხვდებით და დაახლოებით იმასვე აღნიშნავს, რასაც იგი სამართლის ძეგლებში გულისხმობდა. **თავანი დღესაც ნიშნავს თავდაპირველ, ძირითად თანხას; შეიძლება, მას ნივთიერი სახეც კი ჰქონდეს და უმთავრესად დაპირებულის ან წაგებულის ანგარიშგებისას ითხოვენ**, მაგალითად: “თავანი მოიტანა”, “თავანი ჩააბარა“ და მისთანანი.

ამრიგად, თავ-ნი < > თავ-ანი ერთი წარმოშობის, პარალელური ფუძეები უნდა იყოს. მათი ძირითადი სემანტიკური ხაზი XIII საუკუნიდან დღემდე ფაქტობრივად უცვლელია, შეცვლილია მხოლოდ გამოყენების არეალი. თამამედროვე ქართულში თავ-[ა]ნი აღარ არის სისხლის სამართლის ტერმინი, სანაცვლოდ, არასალიტერატურო ენაში ვიწრო სოციალური ჯგუფების, ძირითადად, ქუჩურ, ზოგჯერ აზარტული თამაშების მოყვარულთა ან დამნაშავეთა სამყაროს წრეში მოლაპარაკეთა მეტყველებაშია შემონახული და საერთოქართულ ენობრივ სივრცეში ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- იმნაიშვილი**, 1986 – ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონი, თბ., 1986.
- სულხან-საბა**, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ორტომეული, ტ. I, თბ., 1991 (გამოკვლევა და განმარტებათა საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ).
- ფონხუა**, 1974 – ბ. ფონხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- ქეგელი**, 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, ტ. IV, თბ., 1955.
- ჯავახიშვილი**, 1984 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, **თხზ. ტ. VII**, თბ., 1984.

საილუსტრაციო მასალა:

- ოთხთავი 1979 – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია; ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.
- სამართლის ძეგლები 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, თხზ. ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX ს.ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.
- კორპუსი 1984 – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XIII ს.ს.), თბ., 1984 (შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა).

Inga Sanikidze

**From Criminal Code term to Slang
(History of the root “*tavan*” in the Georgian language)
(Summery)**

Together with the number of interesting issues, lexicology studies the field as well as the bounds of words’ usage including the origin of slang and the power of language’s metaphoric thinking. Quite often slang is an ordinary lexical unit originated within the literary language though significantly changed throughout centuries, rethought and preserved in certain social group’s speech. An extensive road of the Georgian literary language development is the clear example of how the historic meaning or the bound of word’s usage can change. The article deals with the historic meaning of quite well spread slang in contemporary Georgian – *tavani* (debt).

The fact is that according to old Georgian criminal code in case of pleaded guilty for small criminal case, a thief was obliged to return the stolen things. Lexical unit *tavn-i* is used with the meaning of **the root cost, the equivalence of its price** in the will of XIII century Kartli Eristavi (The leader) Grigol Surameli. *Tavni-i* is derived from the root “*tav*” that is appended by “*n*” morphological formant. Supposedly, plural forms of the same root were as follows: **tavn-n-i* / **tavn-ta*; although, they are not confirmed in old Georgian legal documents. *n-ari* here seems to be the derivational element. We believe this is the case of noun root formation, ancient determinant suffix - *an* – is reduced in the given format and - *n* is only its remnant. According to the analysis, earlier version should be restored as root **tav-an*. It seems to have the same origin as: *mav-an-ni*(> **[m]av-an-chav-an-i*), *m-an*, *im-an* and *mistanani*. Due to the fact that -*an* determinant suffix is archaic, the root *tav-[a]n* should belong to even earlier period than middle stage of the Georgian language development (XIII-XVIII centuries).

It is noteworthy, that the above discussed root “*tavan*” exists in modern Georgian too. However, with the difference from the forms certified in old documents (Dative case *tavn-s* / Genitive case *tavn-is-a*) it is not reduced and besides, it is slang.

The lexical unit *tavani* is characteristic and kept in the speech of gamblers, criminals and preserves nearly the same meaning today too.

**მართლწერის საკითხები ზოგი ხმოვანფუძიანი
სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით**

ქართული მართლწერა ყოველთვის იყო ყურადღებისა და ზრუნვის საგანი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და საქართველოს სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებში. მიუხედავად ამისა, ქართული მართლწერის საკითხების ანალიზი და მათი შემდგომი დახვეწა დღესაც აქტუალურია.

ქართული მართლწერა თეორიული ასპექტითაც საინტერესოა, პრაქტიკული თვალსაზრისით კი მისი წესების სრულყოფა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო დროს ეროვნული გამოცდებისა და სხვა სახის ტესტირების პირობებში.

ქართული ენის მასალაზე აგებული სხვადასხვა სახის ტესტები, სავარჯიშოები და სახელმძღვანელოები, რითაც ქართული სალიტერატურო ენის ცოდნა და წერის კულტურა მოწმდება, ძირითადად მართებულია და საინტერესოდ არის შედგენილი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ტესტები ყოველთვის მაღალ დონეზეა და ხარვეზები უმნიშვნელოა, მით უმეტეს, რომ ხშირად ერთი შეხედვით მცირე გრამატიკულ დეტალსაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ტესტის შეფასებისას ყველასთვის, ვისთვისაც ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნა და შესაბამისი ტესტირების გავლა აუცილებელი გამხდარა. ამის მიზეზი შეიძლება ამა თუ იმ ნორმით დადგენილი ფორმების პარალელური ვარიანტების არსებობა იყოს, ზოგჯერ კი უბრალოდ არ ხერხდება უკვე არსებული წესის გაგრძელება სხვადასხვა კონკრეტულ მაგალითზე.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება ამჯერად. კერძოდ, საქმე ეხება -ა-ბოლოხმოვნიან სახელთა კვეცა-უკვეცელობას.

როგორც ცნობილია, -ა და -ე ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ფუძეს იკვეცენ (მთა – მთის, მთით; კლდე – კლდის, კლდით და ა. შ). ფუძე იკვეცებათ აგრეთვე ამავე ხმოვნებზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებს: ახმეტა – ახმეტის, ახმეტი; საირმე – საირმის, საირმით და სხვ.

იკვეცება აგრეთვე -ე-ზე დაბოლოებული ადამიანთა გვარები: შანიძე – შანიძის, შანიძით; თუმცა არ იკვეცება: -ა-ზე დაბოლოებული გვარები: თოლორაია – თოლორაიას(ი), თოლორაიათ(ი); მირცხულავა – მირცხულავას(ი), მირცხულავათ(ი), მაგრამ მრავლობითში -ებ სუფიქსის დართვის შედეგად ფუძე იკვეცება და გვაქვს: თოლორაიები; მირცხულავები. ასეთებია -ა, -ია, კინობითობის სუფიქსებით გაფორმებული სახელები: დედოფალა – დედოფალას(ი), დედოფალათ(ი), ფისუნია – ფისუნიას(ი), ფისუნიათ(ი); -ა სუფიქსიანი სახელები, როცა -ა გამოყენებულია ქონების

ან მსგავსების გამოსახატავად: გულწითელა – გულწითელას(ი), გულწითელათ(ი); ლურჯა – ლურჯას(ი), ლურჯათ(ი); როცა -ია სუფიქსი ვისიმე ან რისიმე ხელობას ან თვისებას გამოხატავს: ბაქია – ბაქიას(ი), ბაქიათ(ი) და სხვ.

ასეთ სახელებში კვეცა იწვევს აზრის დაბნელებას, რადგან სიტყვაში უჩინარდება -ა და -ია სუფიქსებთან დაკავშირებული მნიშვნელობა. მაგ.: ვანომ **ბზრიალის** თამაში დაიწყო – ვანომ **ბზრიალას** თამაში დაიწყო; გაზაფხულზე **ეკლის** შეჭამანდს აკეთებენ – გაზაფხულზე **ეკალას** შეჭამანდს აკეთებენ და სხვ. ამის შესაბამისად ჩამოყალიბებულია წესი: **თუ სიტყვის ბოლოს -ას სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა აქვს, ნათესაობითსა და მოქმედებითში იგი არ უნდა მოიკვეცოს** (შალამბერიძე, 1961, გვ. 15-16, ზექალაშვილი, 2004, გვ. 21-22, ქირია, 2009, გვ. 19).

წესი სავსებით ცხადი და გასაგებია. თუ ამ წესს განვაგრძობთ, იგი ასეთ სახეს მიიღებს: თუ სიტყვაწარმოებითი -ა სუფიქსით წარმოქმნილი სიტყვის პარალელურად, რომელსაც უკვე ახალი მნიშვნელობა აქვს შექმნილი (ჩვენს შემთხვევაში: ბზრიალა, ეკალა), არსებობს უამსუფიქსო სიტყვა ძველი ძირეული მნიშვნელობით (ბზრიალი, ეკალი), მაშინ ეს სუფიქსი არ უნდა მოიკვეცოს. ასევე არ უნდა მოიკვეცოს -ია სუფიქსის ა ხმოვანი, რადგანაც მის გარეშე სრულიად გაუგებარ სიტყვებს ვიღებთ, შდრ.: ფისუნია – ფისუნიას(ი), მაგრამ *ფისუნიის, ბაქია – ბაქიას(ი), მაგრამ *ბაქიის.

მაგრამ რამდენად ზუსტად შეიძლება გატარდეს ეს წესი იმ შემთხვევაში, როცა აღარ არსებობს (აღარ იხმარება) ძირეული სიტყვა, საიდანაც წარმოქმნილი ფორმა მივიღეთ? ასეთებია, მაგალითად:

ალაწოდა, ახტაჯანა, ბურჩხა, გაიძვერა, გლეხუჭა, გორდა, დუდრუქანა, ვარიკა, ვერანა, თიჯინა და სხვა.

ასეთივე სურათია მაშინაც, როცა უცხო ენებიდან შემოსულია ა ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ ჩვენს ენაში პარალელური ვარიანტები ა ხმოვნის გარეშე?

მაგალითად:

ალიღუია, აღურა, ანაკონდა, გორილა და სხვა.

წარმოდგენილ სახელთა ორივე ჯგუფი ქართული ენის ოროგრაფიული ლექსიკონის მიხედვით უკვეცვლია. იქ პირდაპირ მითითებულია, კერძოდ,

პირველი ჯგუფისათვის: **ალაწოდა (ნათ. ალაწოდას), ახტაჯანა (ნათ. ახტაჯანას), ბურჩხა (ნათ. ბურჩხას), გაიძვერა (ნათ. გაიძვერას), გლეხუჭა (ნათ. გლეხუჭას), გორდა (ნათ. გორდას), დუდრუქანა (ნათ. დუდრუქანას), ვარიკა (ნათ. ვარიკას), ვერანა (ნათ. ვარანას), თიჯინა (ნათ. თიჯინას)** და სხვ.

მეორე ჯგუფისათვის: **ალიღუია (ნათ. ალიღუიას), აღურა (ნათ. აღურას), ანაკონდა (ნათ. ანაკონდას), გორილა (გორილას)** და სხვ.

სხვა მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი -ა სუფიქსით ნაწარმოები სახელი, რომელსაც აღარ აქვს ძირეული უამსუფიქსო პარალელური

ვარიანტი, ანდა ასეთი ვარიანტი არც არასოდეს ჰქონია, ორთოგრაფიულ ლექსიკონში კვეცადებად არიან წარმოდგენილნი. მაგალითად:

პიტნა (ნათ. პიტნისა), აგრეთვე ვირისპიტნა (ნათ. ვირისპიტნისა); ურიკა (ნათ. ურიკისა), აგრეთვე ელექტროურიკა (ნათ. ელექტროურიკისა) და სხვ.

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ზოგჯერ ამა თუ იმ სახელის ორივე ფორმაა წარმოდგენილი. კერძოდ, -ა სუფიქსით და ამ სუფიქსის გარეშე. მაგალითად, **გრუზა // გრუზი; თავშიველ-ფესშიშველი // თავშიშველ-ფესშიშველა; მათხოვარი // მათხოვარა.** ესენი ლექსიკონში, რა თქმა უნდა, უკვეცვლ ფორმებადაა წარმოდგენილი: **გრუზა (ნათ. გრუზას); თავშიშველ-ფესშიშველა (ნათ. თავშიშველ-ფესშიშველას); მათხოვარა (ნათ. მათხოვარას).**

თუმცა ერთი ასეთი შემთხვევისათვის, როცა ორივე ფორმაა წარმოდგენილი (-ა სუფიქსით და ამ სუფიქსის გარეშე), ნათესაობითში მოყვანილია ორივე სახის (კვეცადი და უკვეცვლი) ფორმები: **მათრობელა (ნათ. მათრობელას) // მათრობელი (მათრობლისა)** (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998).

თუ ზემოთწარმოდგენილ წესს დავეყრდნობით, იმ მაგალითებისათვის, რაც ჩვენ პირობითად ორ ჯგუფად წარმოვადგინეთ მისაღები სწორედ კვეცადი ფორმები უნდა იყოს. რადგანაც კვეცადი ვარიანტები არც ძირეულ სახელებს ემთხვევა მნიშვნელობით, რაკი მათი უმეტესობისათვის ასეთები უბრალოდ არ არსებობს. მაგალითად: I ჯგუფისათვის, რომელშიც ქართული სიტყვებია არ გვხვდება: *ალაწოდი, *ახტაჯანი, *გაიძვერი და სხვ., მით უფრო II ჯგუფისათვის, რომელშიც უცხო სიტყვებია არ არსებობს: *ალილუი, *ალიური, *ანაკონდი და სხვ. და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში კვეცას არც აზრის გაბუნდოვანება მოსდევს.

საერთოდ, ასეთი საკითხების განხილვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით მაშინ, თუ ასეთი და მსგავსი წესების მიხედვით საგამოცდო ტესტებს ვადგენთ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ არა ვართ მომხრე ახლა მეორე მხარის მიმართ რადიკალურად შევცვალოთ განწყობილება და ზემომოყვანილი და მსგავსი მაგალითებისათვის უკვეცვლი ფორმები უმართებულოდ გამოვაცხადოთ. ასეთ ფორმებს თავისი ტრადიცია აქვთ და რაც მთავარია, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ წესის გატარება უკლებლივ ყველა ფორმაზე ფაქტობრივად შეუძლებელია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს ზემომოყვანილ სახელთა კვეცადი ფორმები და ისინიც უკვეცვლ ფორმებთან ერთად მართებულ, დასაშვებ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ, რის გამოც ზემომოყვანილი მაგალითები ასეთ სახეს მიიღებს:

I ჯგუფი:

სახელობითი ბრუნვა	ნათესაობითი უკვეცელი	ნათესაობითი კვეცადი
ალაწოდა	ალაწოდას(ი)	ალაწოდის(ა)
ახტაჯანა	ახტაჯანას(ი)	ახტაჯანის(ა)
ბურჩხა	ბურჩხას(ი)	ბურჩხის(ა)
გაიძვერა	გაიძვერას(ი)	გაიძვერის(ა)
გლეხუჭა	გლეხუჭას(ი)	გლეხუჭის(ა)
გორდა	გორდას(ი)	გორდის(ა)
დუდრუქანა	დუდრუქანას(ი)	დუდრუქანის(ა)
ვარიკა	ვარიკას(ი)	ვარიკის(ა)
ვერანა	ვერანას(ი)	ვერანის(ა)
თოჯინა	თოჯინას(ი)	თოჯინის(ა)

II ჯგუფი:

სახელობითი ბრუნვა	ნათესაობითი უკვეცელი	ნათესაობითი კვეცადი
ალიღუია	ალიღუიას(ი)	ალიღუიის(ა)
ალურა	ალურას(ი)	ალურის(ა)
ანაკონდა	ანაკონდას(ი)	ანაკონდის(ა)
გორილა	გორილას(ი)	გორილის(ა)

ვფიქრობთ, იგივე წესი უნდა გავრცელეს გეოგრაფიულ სახელებშიც. კერძოდ, ის ა ბოლოხმოვნიანი გეოგრაფიული სახელი თუ ჰიდრონიმი, რომლის ფუძის კვეცაც აზრის გაბუნდოვანებას იწვევს, ზემომოყვანილი წესის შესაბამისად უკვეცელი უნდა დარჩეს. ამიტომ უმჯობესია ქვემოთ მოყვანილი სახელებისათვის უკვეცელი ფორმები მივიჩნიოთ მართებულად. კერძოდ:

ბროწეულა (სოფელია სამტრედიის რაიონში) – ნათ. **ბროწეულასი**, მოქ. **ბროწეულათი** და არა **ბროწეულის**, **ბროწეულით**;

გუთანდამპალა (ადგილის სახელი საგარეჯოს რაიონში, სოფ. ნინოწმინდის ჩრდილოეთით, ტყეში. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **გუთანდამპალასი**, მოქ. **გუთანდამპალათი** და არა **გუთანდამპლის**, **გუთანდამპლით**;

ვერძა (ცნობილი ადგილია ქსნის ხეობაში, ახალგორის რაიონში. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **ვერძასი**, მოქ. **ვერძათი** და არა **ვერძის**, **ვერძით**;

ტანა (მდინარეა ცენტრალურ ქართლში, გორის რაიონში. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **ტანასი**, მოქმ. **ტანათი** და არა ნათ. **ტანის**, **ტანიით**;

ყვირილა (დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდინარე) – ნათ. **ყვირილასი**, მოქ. **ყვირილათი** და არა **ყვირილის**, **ყვირილით**;

ჩამძვრალა (სოფელია ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონში. ბედოშვილი, 2002) – ნათ. **ჩამძვრალასი**, მოქ. **ჩამძვრალათი** და არა **ჩამძვრალის**, **ჩამძვრალით**.

გამოყენებული ლიტერატურა:

- შალამბერიძე**, 1961 – გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1961;
- ზექალაშვილი**, 2004 – რ. ზექალაშვილი, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004;
- ქირია**, 2009 – ჭ. ქირია, ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის საკითხები და ორთოგრაფიულ სირთულეთა ლექსიკონი, თბ., 2009;
- ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998 – **გ. თოფურია**, **ივ. გიგინეიშვილი**, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
- ბედოშვილი**, 2002 – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.

Ramaz Kurdadze

Spelling Issues Regarding the Declension of Some Vowel-final Nouns (Summery)

The article deals with the spelling issues of the nouns having *a* final-vowel. Commonly *a* final vowel nouns are discussed among truncating noun group. There is a rule on when to truncate vowel *a*. In case it has derivative function, it does not truncate.

The article presents the discussion on how to implement this rule in common and geographic names. It also provides recommendations on the right application of the above mentioned nouns.

1. In common names together with non-truncating forms it is acceptable to have truncating stems for the nouns where *a* vowel omission does not lead to ambiguity: *akhtajana – akhtajanas(i) // akhtajanis(a)(playful girl)*; *gaidzvera – gaidzveras(i) // gaidzveris(a)(lustful person)*; *varika – varikas (i) // varikis (a)(little pullet)* .

2. Non-truncating forms are considered to be correct in geographic names as in this case, truncation of the vowel *a* leads to ambiguity: village *Brotseula – brotseulas(i)*, river *Tana – Tanas(i)*.

ბიული შაბაშვილი

**აწმყო პერფექტის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები
ქართული დიალექტების მიხედვით
(მთის დიალექტების მონაცემებზე დაყრდნობით)**

ნებისმიერ ზმნურ პრედიკატს (VP) განსაზღვრავს, ერთი მხრივ, დროული, ასპექტური და კილოს მახასიათებლები, ხოლო, მეორე მხრივ, სინტაქსური რეალიზაციის გარემო. ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, პერფექტი რთული კატეგორიაა. მიხეულისა, რომ პერფექტულ სემანტიკასა და კონსტრუქციას ქმნის დროის (აწმყო / წარსული), გრამატიკული ასპექტის, მოქმედების სახისა და სხვადასხვა ტიპის დროის ზმნიზედების ურთიერთზეგავლენა (ალექსიადუ, რატერტი, სტენოვი, 2003). ძველი ქართული ენის მონაცემების მიხედვით პერფექტი ქმნის ძირითადად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს და ყველაზე გავრცელებულია მისი სამი სემანტიკური სახესხვაობა: **მოქმედებითი** (აქციონალური), **უნივერსალური**, **შედეგობითი** (რეზულტატური) (შაბაშვილი, 2009, 120). რაც შეეხება თანამედროვე ქართულის ვითარებას, შეიძლება ითქვას, პერფექტის კატეგორიამ აქ ნაწილობრივ დაკარგა ეტალონური მნიშვნელობა და დღეს აწმყოს პერფექტული ფორმა (I თურმეობითი) ძირითადად გადმოსცემს მოდალურ შინაარსს, უნახაობისა და უნებურობის სემანტიკას. პერფექტული სემანტიკის საკომპენსაციოდ კი ენამ მიმართა ანალიტიკურ, აღწერით კონსტრუქციას: **აქვს ზმნა + -ილ** სუფიქსიანი წარსული დროის მიმდევობა (**აქვს გაკეთებული** ტიპი). წმინდა პერფექტული მნიშვნელობა I თურმეობითის ფორმებთან მხოლოდ გარკვეულ პრაგმატულ გარემოშია წარმოდგენილი.

საინტერესოა, თუ რა ვითარებას გვიჩვენებს, ამ მხრივ, ქართული ენის მთის დიალექტები, სადაც, როგორც ცნობილია, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ენის განვითარების ძველი მონაცემები. ბუნებრივად იმის კითხვა, როგორ არის გადმოცემული აქ აწმყოს პერფექტულობის სემანტიკა, რამდენად არის დაცული მისი პირვანდელი შინაარსი I თურმეობითის მწკრივებში, ამჟღავნებს სიახლოვეს ძველ ქართულში არსებულ ვითარებასთან თუ უთანაბრდება თანამედროვე ქართული ენის მონაცემებს?¹ საკითხის კვლევა რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

I. პირველ რიგში, აუცილებელია, გაიმიჯნოს აწმყოს პერფექტული ფორმების **ანალიტიკური** და **ორგანული** წარმოება: მთის დიალექტებში ამ ფუნქციით გეხვდება როგორც **აქვს გაკეთებული** ტიპი, ისე I თურმეობითის მწკრივები.

¹ ნაშრომში პარალელურადაა გამოყენებული ტერმინები: აწმყოს პერფექტული ფორმები და I თურმეობითის ფორმები.

აღწერით ფორმებში სრულყოფილადაა მოცემული პერფექტულობის სემანტიკა: **წარსულში ჩადენილი მოქმედება და რეზულტატი, შედეგი, წარმოდგენილი, აწმყოში.** მათი რეფერენცია იმდენად მყარია და ნათელი, რომ აღარაა საჭირო დამატებითი ფაქტორების გათვალისწინება. ამგვარი ფორმები შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში, საინტერესოა, რომ მთის დიალექტებშიც გვაქვს ანალიტიკური წარმოების შემთხვევები (სულ 30%). ეს საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ზოგადად პერფექტის კატეგორიის სემანტიკური გრადაციის ეტაპებს.

მაგალითი:

*მერმეს დღეს ეტყოდ: – წაედივ აქითავ, დაიკარგევ, ხო მაგათრივეოდ' ეხლა ვ ზა **სნილი გაქვავ!***

ხევს. 11

ფუტკირითვინ წინათ იცოდნენ ხოკრები. ხოკერი აი ესეთი მსრგალი რამ არი და თავზედაც სარქველებ აქვის შამოკერებული და ბოლოზედაც.

მთიულ. 57

ერთი შვილი შირაქში ჰყავ გადასახლებული, ერთიც ერწოსა ჰყავ გადასახლებული, ერთიც ჯარში ჰყავ. გადასახლდა. შავიდენ კოლმეურნეობაში და დაიწყეს მუშაობა იქა.

გულ. 80

თუ ქალ დაიწყებდა წუნობას, მაში ქმარ თავს არ გაანებებდ. სახლი გვაქვავ ნახარჯავივ, შინ მიუყვანსავ, თავს არ გავანებებთავ.

ხევს. 10

რადას დეეჭიდოს, მკარი მოტეხილი აქვს. ახლა გამტყუვდენ ისინი.

მთიულ. 69

ერთმა სთქო: – მენ მაქვის თეთრი ბეწვი ჩაყლამპულიო.

მთიულ. 77

II. რაც შეეხება ორგანულ წარმოებას (I თურმეობითის ფორმებს), მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის საჭიროა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

1. პირველ ეტაპზე, უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის დისკურსში გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ზმნები.

იმდენად რამდენადაც დამუშავებული მასალა წარმოადგენს, ფაქტობრივად, დიალექტოლოგიურ ჩანაწერებს, ტექსტებს ძირითადად ნარატივის ფორმა აქვს, შემთხვევათა უმეტესობაში გადმოცემულია ესა თუ ის ამბავი, მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობა, თუმცა, გვხვდება ასევე დიალოგები, პირდაპირი ნათქვამი და სიტუაციის აღწერა.

მაგალითი:

ნარატიული თხრობა:

*ერთ დედამთილ ყოფილ. ორნ ზაღნ ხეგანვიან. ჩეჩეს საღამ არ შეეარნეს მუშანი... მახკვდომინ ი დაწყეულ დიაცს შვილები...
ხეეს. 7*

დიალოგი:

- *გაზაფხულზედა ცხორს ეს მთა აავლიან და მაღლა არეკიან.*
- *წამაუსხმია ყისინა. პოვლე გოჩიეთს ეთქო:...*

მოს. 27

ნარატიული თხრობისას შეინიშნება ერთი საინტერესო კანონზომიერება: ხშირად თხრობა იწყება და მთავრდება წყვეტილის ფორმებით, ტექსტის ძირითად ნაწილში კი ზმნები I თურმეობითში დგას. ეს შეიძლება აიხსნას მთქმელის სურვილით, სათქმელი უფრო ექსპრესიულად გადმოსცეს. ამ პერფექტული ფორმების ექსპრესიულ ფუნქციაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ პრაგმატული მოტივაციის ანალიზისას.

მაგალითი:

ამ ლეკის კვლმწიფესა დაპატიუეს იქა. ეს ლეკის კვლმწიფე რო ჩავიდა იქა, კაი არაყი დაღლია, კარვა ხორცი ჭამა, კარვა შეექცნეს, მოკეთურას. მამრე თამაშობაც გაიმართა. იქ ქალიც იყო, რძალიც იყო. ამ ლეკს მეწონა რძალი მოგვევისა და უთქმია იქა: - არშის ციხეჩი ამამიყვანეთ ეს რძალიო. ამ ქმარს და მახლს უთქმია: - ეს ქალი როგორ წაუყვანათ, ამ ლეკს ჩუენ წაუღათ ორი კმალი და ერთი თოფი...

ახლა ამათ გამაართვეს კმალი და დასძახეს.: - კმაღს სიმოკლითა რას სწუნობ, წადგი ფევი წინა და დაგრძელდებო! - მაუქნიუს კმალი და წაავდებიეს თავი ი ლეკსა.

მოს. 42

2. ზმნური ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების განსასაზღვრად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ სინტაქსურ / პრაგმატულ გარემოში ხდება მათი რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით, უნდა გამოიყოს აწმყოს პერფექტული ფორმების ხმარების შემთხვევები როგორც ფართო, ისე მინიმალურ კონტექსტში². მთის დიალექტების მასალის მიხედვით, მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: **ფართო კონტექსტი** – 70%, **მინიმალური კონტექსტი** – 30%.

მაგალითი:

ფართო კონტექსტი:

უფრო ბევრა მამული მანგიათ ხქონივ გიორწმიდას. შატილით შაცილიენებ რო წასულან ადგილის დასაჭრად, აღურდაჩი კიდ არ

² მინიმალურ კონტექსტში იგულისხმება კითხვითი წინადადება და პირდაპირი ნათქვამი, ფართო კონტექსტში – რთული სინტაქსური კონსტრუქციები: რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები (შაბაშვილი, 2009, 9).

დახვედრივ. მანგიათ კაც ყოფილ ერთმ, დავეკურპთ ჯიშისა რაიმ...
იმას მამუკა ხქვივნებოვ, ბერისძის შვილ ყოფილ.
ხევს. 15

მინიმალური კონტექსტი:

როცა გმირი გამოსცადა უხეირო, თქო: – ეს ჩემზე კარგი ყოფი-
ლაო!

ხევ. 20

შეიძლება ითქვას, რომ აწმყოს პერფექტული ფორმების რეალი-
ზაციას ამგვარ პრაგმატულ გარემოში განაპირობებს, ერთი მხრივ,
დისკურსის ტიპი, ხოლო, მეორე მხრივ, მთქმელის **პრაგმატული მო-
ტივაცია**.

3. აწმყოს პერფექტული ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანა-
ლიზისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი რეალიზაციის
პრაგმატული მოტივაციის დადგენა: რა განაპირობებს მთქმელის მიერ
ამა თუ იმ პრაგმატულ გარემოში ამ კონკრეტული ფორმების ხმარებას.

ახალ ქართულში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აწმყოს
პერფექტული ფორმების გამოყენების პრაგმატულ მოტივაციას წარ-
მოადგენს სამეტყველო სიტუაციაში მოალაპარაკის სწორედ ავექტურ-
რი მონაწილეობა, აქედან გამომდინარე კი, უნებურობისა და უნახაო-
ბის სემანტიკა. ძველ ქართულში, გარდა ხემოაღნიშნული შემთხვევი-
სა, აწმყოს პერფექტული ფორმა გამოიყენება მაშინ, როცა კეთდება
სამეტყველო სიტუაციის გარკვეული შეფასება, დასკვნის გამოტანა,
ერთგვარი შეჯამება. ეს ფორმები იხმარება აგრეთვე მთქმედების შე-
დეგზე ყურადღების მეტად გამახვილების მიზნით, ასევე ექსპრესიუ-
ლი ფუნქციით (შაბაშვილი, 2009, 116-117).

საინტერესოა, რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით მთის დი-
ალექტებში. აწმყოს პერფექტული ფორმები გამოყენებულია **შედევზე**
ორიენტირებისას, **შედევზე** მეტი ყურადღების გამახვილებისას:

მაგალითი:

ქალმა ვერე შაატყობინა, რო: – იმ ხოჯას ჩემთან **გამაუგ ზავნია**
ევ ჯარი, მე უნდა ჩამიყვანან იმასთანო, მამახემი დაიჭირეს და ცეც-
ხლხი ჩააგდეს, იმას სწვენო.

მოს. 43

ამ ფორმების გამოყენებით მთქმელმა შეიძლება **დაადასტუროს**
სათქმელი და ყურადღება გაამახვილოს წარსულში ჩადენილ **მოქმე-
დებაზე**:

მაგალითი:

ასულან, მართლაც **უნახავთ** დათვი. უხვრიათ. ყურში რო მოჭ-
ხლომია, თვალში გამოსულა.

მთიულ. 61

აწმყოს პერფექტული ფორმების გამოყენებით სათქმელი ხშირად
უფრო ექსპრესიულად გადმოიცემა.

მაგალითი:

როგორც ადამიანები, ისე არა სცოდნია ტირილი! თელი ღამე მენც სუ ვიტირე, ხან რძისთვინ ვირბოლე, ხანა...

მთიულ. 61

სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გვხვდება ეს ფორმები ანდაზებსა და გაერცვლებულ გამოთქმებში.

4. ცალკე ყურადღებას საჭიროებს იმ ზმნური ფორმების შესწავლა და გათვალისწინება, რომელთა მეზობლობაშიც რეალიზდება ჩვენთვის საინტერესო პერფექტული ზმნები. ამ თვალსაზრისით დამუშავებულ ტექსტებში შემდეგი ვითარება გვაქვს: აწმყოს პერფექტული ფორმები შემთხვევათა უმეტესობაში თანაბარი რაოდენობით გვხვდება როგორც **წყვეტილის** (დამუშავებული მასალის 35%), ისე **I თურმეობითის** (დამუშავებული მასალის 35%) ფორმების გარემოცვაში. უნდა აღინიშნოს, რომ აწმყოს პერფექტული ფორმები ხშირად გვხვდება ასევე **აწმყო** დროის ფორმებთან (დამუშავებული მასალის 30%). შეიძლება ითქვას, რომ მეზობელი ზმნების გარემოცვა განაპირობებს ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას: **წარსული** დროის ფორმებთან I თურმეობითის ფორმები კარგავენ პერფექტის ეტალონურ მნიშვნელობას და იძენენ წყვეტილის ფუნქციას.

მაგალითი:

ამ არშას ვერ შეუვიდესკე მტერი. დიდი კლდით იყო მოზღ დილი.

ამ ურჯულთო მაუფიქრებია: მოდი, უნაგირები ავაგათო, უნაგირებზე ავიდეთო და გავტეხათ ციხეო. ენახათ, ეს ლეკები ამაღიან ზეითა. იმ ყალაურმა გაუგა, რო ამაღის მტერი და იმან ტყუია კი არ დახარჯა, ის ტყუია ძუირი ღირდა, აილა ქვა და ზეით დასცა, რომელიც ზაით ადიოდა.

მობ. 41

სანდრო ცხორჩიც დადიოდა. როგორცა ცხორჩი მოარული, კობხუჯები ეცო, ბოხოხიც ეხურა. ესეები იცოდის. ის მიმდინარა ცხორჩი და პურისთუის დამრჩაღა ძაუგს: პური უნდა წაუღას მწყემსებსა. ახლა მეპურეს ვილაც უბრალო კაცი ეგონა და დაუძახა გარდავისა და წაუყონებია, უნდა დეეჭირა. რო მაუყონია, როსა მივიდა უფროსთანა, იმა ამაილა და თავისი ნიშანი უჩვენა.

მობ. 47

I თურმეობითის ფორმების თანმიმდევრული ხმარება ხელს უწყობს აგრეთვე პერფექტის რეზულტატური მნიშვნელობის რღვევას და **უნახაობითი, თურმეობითი** მნიშვნელობის ჩასახვას:

მაგალითი:

მისცა ის ჯარიცა და ვადარეკა. კობის ბოლოჩი რომ ჩამოვიდა, მავ კვეჩი შაუბრუნებია ჯარი და უთქმია: – დადექით მანდა, თუ დამჭირდა, მოგალიო.

მობ. 42

რაც შეეხება ახლანდელი დროის ფორმებთან ხმარების შემთხვევებს, ამგვარი პრაგმატული რეალიზაციის პირობებში, აწმყოს პერფექტული ფორმები ინარჩუნებენ პერფექტის ეტალონურ, მთავარ მნიშვნელობას და გვიჩვენებენ **რეზულტატურობის** სემანტიკას, წარსულში ჩადენილი მოქმედების შედეგად მოცემული მომენტისათვის რელევანტურ ვითარებას, შედეგს.

მაგალითი:

როცა მიცვალებული შახედება ოჯახს, თუ მამაკაცი გარდაიცვლება, ქალები თმაგაშლილები მოვლენ, თმაჩი, მუხლებჩი იცემენ და ტირიან, როგორც ვინმე მახერხებს. ზოგი მოსთქომს, წასულებს ივონებს, ან თუ ლაშქარჩი ყოფილა, იმის სადარი მაივონება.

მოს. 39

*კიდობნები გოქე რადა! ზოგს კიდობანი აქვ, ზოგს გოდრები აქვ, გოდრებიც ვიცით. წინავ, ადრევ ჯალაბნი **ვეოფილევართ**, აგერ სოფელში დგანან, ერთ გოდორშია ორმოიდაექვსი ტუმარა ჩადენილა.*

გუდ. 84

*ეგ კლდე არის იმნაირად მოსული, რო ციხეთ **უცმარიათ**.*

მოს. 41

მთის დიალექტებში წარმოდგენილია აწმყოს პერფექტის თითქმის ყველა შესაძლო **დროულ-ასპექტური ინტერპრეტაცია**. გვაქვს შემთხვევები, როცა მოქმედების შედეგი გარეგნული ფაქტორია და არ უკავშირდება რაიმე შედეგის მიღწევას. ეს არის **განგრძობითი, კონტინუაციური** პერფექტი.

მაგალითი:

*ჯიხვის გუნდი ვნახეთ, ეგრე ორმოცამდე იქნებოდა. მათ ხყვანდა თავის ყარაული. სულ მუდამ **ხყვანია** ერთი ყარაული. ისები რო დასვენებულნები არიან, ერთი-ორი მაღლა კლდეზე შახდებიან, რო არავინ გაივას და მიეპარას.*

მოს. 49

*ფორი გააკეთიან, ჩაადვიან პურის ამე, მახუხს ეტყოდეს, და გამაწკანწკარდის. კარტოხაის არაყი არ **გუიკეთობია**.*

მოს. 33

პერფექტის კატეგორიას შესწევს აგრეთვე უნარი, ასახოს **მრავალგზისობის** სემანტიკა, რელევანტური და ხაზგასმული იტერატიული მოქმედებით გამოწვეული შედეგი.

მაგალითი:

*მამრე ამდგარა ეს ხალხი, რომა ამაზე გზა **ფუჭებულა**, ნიაგღვარს **უფუჭებია**, წყალს, და პირიმზეში ისეთი ამბავი **მომხდარა**, ერთი ღამე ერთურთი **უხოცნია**.*

გუდ. 83

*როცა **დამთერწლა** და **დაგორწებულა**, როგორც კაკალი გაგორდება, ეგრე მიგორავს მაყარი.*

მთიულ. 60

აწმყოს პერფექტს შეიძლება ჰქონდეს **ფუტურალური** მნიშვნელობაც. ეს ფუნქცია გამოიყოფა როგორც ახალ, ისე ძველ ქართულში.

მაგალითი:

გერგეტლებს ყალნად ედვა შეშის კონების მოტანა. ვისაც კი შეეძლა, ყველას უნდა მეეტანა სანდროს მამისთუი ფიხის კონები. ერთხელ მამა გაუმაჯრებია გლესსა, – რატო ერთი მარცოლი კონა მოუტანია. სანდრომა იმ მოხუცს უთხრა: – წადი და მეორეთა აღარა გნახა აქა... შემრე მამას მიუბრუნდა და უთხრა: – მე შენ დავიხაფრებით ერთუც შიგაო, თუ გერგეტლები არ გაგითავისუფლებია შეშის ყალანისაგანო.

მოს. 47

პანაქრონიული პერფექტი გადმოგვცემს უწინარესობას, რომელიც არ არის დაკავშირებული შეფარდების კონკრეტულ წერტილთან. ხშირად გვხვდება ზეპირმეტყველებაში, ანდახეხსა და აფორიზმებში (კაშკინი, 1991). შეიძლება ითქვას, რომ აწმყოს პერფექტის ეს ფორმები ერთგვარი ფორმულაა, მთქმელის ექსპრესიული განწყობისა და ფაქტების შეფასების გადმოსაცემად. მთის დიალექტებში ამ ტიპის ფორმებიც ფიქსირდება.

მაგალითი:

იქ ქალი არ დაღნებდა, საღი იყო. ავიდეს ჩუენი ხალხი, სულ აივსა ლეკის პოსტი და, რაიც ხალხი იყო ლეკებისა, ისე დაჯოცეს, როგორც ცხვრები დაგიჯოცია.

მოს. 44

ნადირის რქები რომ გინახია, იმითი ასხამდეს და იმითი ასვამდეს. იქ მოტყუება არ იქნებოდა.

მოს. 37

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აწმყოს პერფექტული ფორმების ხმარების თვალსაზრისით ქართული ენის მთის დიალექტებში მეტნაკლებადაა დაცული ძველი ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაწყებულია პერფექტის კატეგორიის სემანტიკური ტრანსფორმაცია, ეტალონური მნიშვნელობის კარგვა, შეინიშნება აღწერიითი კონსტრუქციების ხმარების შემთხვევების გაზრდა, მისი პირვანდელი სემანტიკა – შედეგობითობა ჯერ კიდევ მაღალი პროცენტული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, მთის დიალექტებში მოცემულია პერფექტის კატეგორიის თითქმის ყველა შესაძლო სემანტიკური სახესხვაობა. ეს კი სიახლოვეს ამჟღავნებს ძველი ქართული ენის მონაცემებთან და საინტერესოა ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით. შეიძლება დავასკვნათ, რომ აწმყოს პერფექტი მთის დიალექტებში, ისევე როგორც ძველ ქართულში, კარგად ჩამოყალიბებული, მყარი თხრობითი რეზულტატივია და ამ სემანტიკის გადმოსაცემად დიალექტის მატარებლები სწორედ ამ ფორმებს იყენებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსიადუ, რატერტი, სტეხოვი, 2003 – A. Alexiadou, M. Rathert, A.V. Stechow, The modules of Perfect constructions, 2003, www.2.sfs.nphil.uni-tuebingen.de/armin10/aufsaetze/vorwortperfect.pdf.

კაშკინი, 1991 – В. Б. Кашкин, Функциональная типология перфекта, Воронеж, 1991.

შაბაშვილი, 2009 – გ. შაბაშვილი, პერფექტის კატეგორიის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები, I, თბ., 2009.

წყარო:

ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, შემდგენლები: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, თბ., 1961.

შემოკლებანი:

მოს. – მოსკოვი დიალექტი

მთიულ. – მთიულური დიალექტი

გუდ. – გუდამაყრული დიალექტი

ხევს. – ხევსურული დიალექტი

Giuli Shabashvili

Functional and Semantic Characteristics of Present Perfect According to Georgian Dialects (Based on Mountain Dialect Data) (Summery)

The Georgian language mountain dialects have more or less preserved the previous condition from the viewpoint of applying of the forms of perfect tense. In spite of the fact that semantic transformation of the perfect category as well as the loss of standard meaning has began, analitical construction application has increased, its principal semantics – resultative is still presented at high percentage.

In addition, mountain dialects keep almost all possible semantic alterations of the perfect category. Here we have modal, continues, future, panachronic perfects. Standard meaning of perfect (the result) is also preserved. Cases of the main meaning violation are presented. Sometimes perfects of present are used with past tense meaning. This shows connection to the old Georgian language data and is extremely interesting from language development point of view. It can be considered that present perfect in mountain dialects as well as in old Georgian language is a well developed resultative. Dialect users apply this forms in order to express the semantic of result.

შინაარსი

ზურაბ ჭუმბურიძე , კორნელი დანელია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე	5
კორნელი დანელია , საკულტო ჯემევა (ჯემევა) ფუძის ისტორიისათვის.....	12
ქეთევან ბაბოშვილი , K – 29 ხელნაწერი კოდიკოლოგიური კუთხით.....	19
ნათია ღუნღუა , ლექსიკური კალკები ფსალმუნთა წიგნის ქართულ თარგმანებში	27
რეზენ ენოხი (რუბენ ენუშაშვილი) , ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები “თავსილში”.....	34
რეზენ ენოხი (რუბენ ენუშაშვილი) , მცირე შენიშვნა ერთი ძველი ქართული ტერმინის განმარტებისათვის – “(და)ბეჭდული”	44
დაჩუჩან თვალთვაძე , სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 41 ხელნაწერში დაცული მათეს სახარების ტექსტისათვის	50
თამარ თუშიშვილი , მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის სემანტიკის განვითარებისათვის ქართულ სარაინდო პოეზიასა და პროზაში.....	65
ნათია მიროტაძე , Παρά და διά წინდებულთა ეკვივალენტები ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებში	72
ანა ხარანაული , ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანის ხასიათის შესახებ (<i>διόναι</i> და <i>τιθείαι</i> -თი ნაწარმოები გრამატიკული კონსტრუქციებისა და შესიტყვებების გადმოცემის მაგალითზე ქართულ ფსალმუნში).....	83
ქეთევან გოჩიტაშვილი , გენდერის საკითხი ქართულ ფრაზეოლოგიაში	93
რუსუდან ზეძალაშვილი , შემასმენლის ერთი სახეობისათვის ქართულში	100
ვახტანგ იმნაიშვილი , ორმაგი მრავლობითის ფორმები თანამედროვე ქართულში.....	108
მაია ლომია , უმწერლობო ენაში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის რაობისათვის	118

მაია მაღუაშვილი, ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად შეპირობებული ალმორფების განაწილებისათვის ქართული ენის დიალექტებში (სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების მიხედვით)..... 124

მერი ნიკოლაიშვილი, კიდევ ერთხელ ბრუნვათა კლასიფიკაციისათვის ქართულში 134

სალომე ოშიაძე, პრეხენტემა როგორც დისკურსული ერთეული..... 140

ინგა სანიძე, სისხლის სამართლის ტერმინიდან უარგონამდე (“თავან” ფუძის ისტორია ქართულში)..... 148

რამაზ შურაბაძე, მართლწერის საკითხები ზოგი ხმოვანფუძიანი სახელის ბრუნვასთან დაკავშირებით..... 154

გიული შაბაშვილი, აწმყოს პერფექტის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები ქართული დიალექტების მიხედვით (მთის დიალექტების მონაცემებზე დაყრდნობით)..... 159



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას ქ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge